კვირის პალიტრა

N20 (258) 19/V.-25/V.20[illegible] 60 თ.

1168
2005

რას ნახულობდა სტალინი ანუ „საქართველოს ოქროპირი" ჩერჩილს და ჰიტლერს პირადად იცნობდა...

ექსკლუზივი ამერიკიდან ანუ CNN-ის ერთადერთი ქართველი პროდიუსერი ქალბატონი გვიამბობს...

„სპეციალური ვებსაიტი გაიხსნა, სადაც ბუში „ქართულად" ცეკვას ცდილობს..."

გზავნილები — „ვისაც გათხოვება სურს... დამირეკოს!"

ქრისტინე იმედაძემ პატრულს სისხლი გაუშრო — „ცოცხალი თავით არ დავსვი ჩემი მანქანის საჭესთან..."

მონადირე

„ამ სტრიქონებს თუ წაიკითხავენ, გაიგონ, კარგად ვიცი, ტახი რომ მომპარეს..

არ გამოგრჩეთ!

ლიტერატურული პოლიფონია

• ერეკლე სხვიტორია
ვანო და ნიკო
• ირინა ჭყონია
ობლიგაცია
• [illegible] ხვედელიძე
[illegible] გზა
[illegible]ია
მანანა ჩიქოშვილი
[illegible] ბაქრაძე
[illegible] ოსთინაძე
[illegible]ია
• [illegible]
• კასპრიელ კასრილა მანკოში
წინასწარ გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა
• [illegible]
თერთმეტი წუთი
ნობელიანტები
• [illegible]

№ 5 (8), მაისი, 2005

ფასი 1.5 ლარი

ეკვე 138! გვერდი

თქვენ ხომ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით...

ᲙᲘᲠᲘᲚᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ
ᲒᲖᲐ
№20 (258)
19 - 25 ᲛᲐᲘᲡᲘ
2005
ᲤᲐᲡᲘ 60 ᲗᲗᲗᲠᲘ

ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ
ᲮᲔᲠᲮᲘ ᲡᲧᲝᲑᲘᲐ ᲦᲝᲜᲔᲡᲐ ᲐᲜᲣ „ᲛᲘᲓᲘ, ᲨᲕᲘᲚᲝ, ᲘᲑᲚᲐᲢᲐᲕᲔ!“ 3
ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ 4
ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ
ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲗᲐᲜ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲗ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲞᲣᲢᲐᲪᲘᲐ ᲨᲔᲘᲚᲐᲮᲔᲑᲐ 5
ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲔᲥᲝ
- ᲜᲣᲜᲣ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ CNN-ᲘᲓᲐᲜ: „ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚ-ᲠᲣᲛᲔᲨᲘ“ ᲕᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲝᲓᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ ᲐᲑᲐᲜᲝᲗᲣᲑᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ...“ 6
- „ᲝᲠᲘ ᲙᲕᲘᲠᲐᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲙᲘ ᲤᲔᲮᲡ ᲓᲐᲕᲐᲓᲒᲐᲛᲓᲘ, ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲔᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲔᲬᲔᲠᲐ – „ᲨᲔᲘᲧᲕᲐᲠᲔ!..“ 8
- ᲚᲔᲚᲐ ᲬᲣᲠᲑᲣᲛᲘᲐ ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲙᲝᲛᲞᲚᲘᲛᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲡ 10
ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ
ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘ ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝ ᲒᲔᲒᲛᲐᲡ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲜ 11
ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
ᲛᲐᲛᲘᲜᲐᲪᲕᲐᲚᲛᲐ 5 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲠᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲐᲡᲐᲚᲛᲐ 13
ᲛᲐᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ
ᲛᲘᲮᲐᲘᲚ, ᲛᲐᲜᲐᲜᲐ, ᲙᲘᲠᲘᲚ ᲙᲝᲖᲐᲙᲝᲕᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲭᲝᲚᲐ ᲬᲣᲚᲐᲫᲔᲛ ᲡᲐᲝᲯᲐᲮᲝ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲛᲐᲡ ᲡᲐᲛᲨᲕᲔᲚᲘ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲐᲧᲔᲜᲔᲡ... 16
ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ
ᲒᲐᲜᲙᲣᲠᲜᲔᲑᲐᲓᲘᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲕᲔᲜᲔᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ – ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲘᲜᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲗᲐ ᲘᲛᲐᲢᲐ... 18
ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ
„ᲕᲘᲡᲐᲪ ᲒᲐᲗᲮᲝᲕᲔᲑᲐ ᲡᲣᲠᲡ... ᲓᲐᲛᲘᲠᲔᲙᲝᲡ!“ 20
ᲩᲔᲛᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ
ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲐᲕᲒᲣᲚᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲗᲔᲑᲘ... ᲠᲐᲢᲝᲛ ᲘᲧᲝ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲑᲐᲦᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲝᲑᲐ ᲠᲗᲣᲚᲘ... 24
ᲥᲐᲚᲘ ᲡᲐᲭᲔᲡᲗᲐᲜ
„ᲒᲐᲛᲔᲪᲐᲚᲔᲗ, ᲪᲣᲓ ᲠᲐᲛᲔᲡ ᲛᲝᲘᲬᲔᲕᲗ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲣ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲐᲜᲔᲑᲔᲑᲗ-ᲛᲔᲗᲥᲘ!“ – ᲒᲐᲕᲐᲣᲠᲗᲮᲘᲚᲔ ᲑᲘᲭᲔᲑᲘ... 26
ᲛᲐᲓᲚᲘ
„ᲨᲔᲕᲜᲐᲢᲠᲝᲓᲘ ᲡᲝᲤᲘ ᲚᲝᲠᲔᲜᲘᲡ, ᲑᲠᲘᲥᲘᲢ ᲑᲐᲠᲓᲝᲡ, ᲯᲘᲜᲐ ᲚᲝᲚᲝᲑᲠᲘᲯᲘᲓᲐᲡ ᲑᲔᲓᲡ...“ 28
ᲛᲝᲜᲐᲓᲘᲠᲔ
„ᲰᲝᲓᲐ, ᲐᲛ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲡ ᲗᲣ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕᲔᲜ, ᲒᲐᲘᲒᲝᲜ, ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲕᲘᲪᲘ, ᲢᲐᲮᲘ ᲠᲝᲛ ᲛᲝᲛᲙᲐᲠᲔᲡ...“ 30
ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲐᲕᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ
- ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲕᲘᲪᲕᲐᲗ ᲒᲐᲒᲐᲣᲮᲣᲚᲒᲔ ᲗᲛᲐ ᲛᲒᲘᲡᲒᲐᲜ 32
- „ᲡᲐᲮᲘᲡ“ ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲐ 33

ᲒᲐᲜᲙᲣᲠᲜᲔᲑᲐᲓᲘᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲕᲔᲜᲔᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ



ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ, ᲘᲡᲔ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲘᲡ ქᲕᲔᲨ ᲓᲒᲔᲑᲐ. ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘ ᲙᲘ, ᲕᲔᲜᲔᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲒᲐᲜᲙᲣᲠᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲡ ᲘᲫᲚᲔᲕᲐ – ᲗᲣ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ ᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲬᲧᲕᲔᲢᲚᲘᲕ ᲩᲐᲒᲐᲠᲓᲔᲑᲐ.

18

ᲜᲣᲜᲣ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ CNN-ᲘᲓᲐᲜ: „ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚ-ᲠᲣᲛᲔᲨᲘ“ ᲕᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲝᲓᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲐᲑᲐᲜᲝᲗᲣᲑᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ...“

ᲯᲝᲠᲯ ᲑᲣᲨᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲛ ᲣᲙᲕᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲓ ᲛᲝᲜᲐᲗᲚᲐ. ᲒᲐᲓᲐᲕᲬᲧᲕᲘᲢᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲙᲣᲗᲮᲘᲗ ᲨᲔᲕᲮᲔᲑᲝᲓᲘᲗ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲗ ᲛᲘᲕᲛᲐᲠᲗᲔᲗ ᲐᲨᲨ-ᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲡ. ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲩᲐᲜᲐᲤᲘᲥᲠᲛᲐ ᲒᲐᲐᲛᲐᲠᲗᲚᲐ...

6

ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲓᲐᲜ ᲒᲐᲫᲛᲕᲔᲑᲣᲚᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘ“

ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲔᲛᲘ�გᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲕᲘ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲐ. ᲡᲞᲘᲠᲘᲓᲝᲜ ᲙᲔᲓᲘᲐ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ 20-ᲘᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲐᲫᲔᲕᲔᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲓᲐᲜ. ᲛᲗᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲔᲛᲘ�გᲠᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲐᲒᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲘᲛ ᲓᲦᲔᲖᲔ ᲝᲪᲜᲔᲑᲝᲑᲓᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲣᲡᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲣᲚᲡ ᲘᲮᲘᲚᲐᲕᲓᲐ...

37

„ᲪᲣᲓ ᲠᲐᲛᲔᲡ ᲛᲝᲘᲬᲔᲕᲗ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲣ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲐᲜᲔᲑᲔᲑᲗ!..“

„ᲡᲘᲩᲥᲐᲠᲔᲡ ᲛᲝᲣᲛᲐᲪᲔᲡ, ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲕᲔᲦᲐᲠ ᲐᲛᲘᲥᲪᲘᲔᲡ, ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲒᲖᲘᲡ ᲡᲐᲠᲘᲡᲞᲘᲠᲝ ᲛᲮᲐᲠᲔᲖᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲨᲠᲣᲒᲝ ᲪᲐᲥᲡᲘᲡ ᲨᲔᲕᲯᲐᲮᲜᲔᲜ. ᲙᲘᲓᲔᲕ ᲙᲐᲠᲒᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲪ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲓᲐᲨᲐᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲘᲡ ᲑᲘᲭᲔᲑᲘ. ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲕᲫᲐᲮᲔ – ᲮᲛᲝ ᲒᲘᲗᲮᲐᲠᲘᲗ, ᲠᲐᲦᲐᲪᲐᲡ ᲛᲝᲘᲬᲔᲕᲗ-ᲛᲔᲗᲥᲘ! ᲮᲛᲘᲡ ᲐᲛᲝᲦᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲪ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ...“

26

ჯანმრთელობა
- ექინოკოკოზი 34
- წნევა გაქვთ? უარი თქვით ჩიფსებზე 35

ტაძარი
რა უნდა ვიცოდეთ ეკუმენისტურ ერთობლივ ლოცვებთან დაკავშირებით? 36

შთამომავლობა
რას ნანობდა სტალინი – სამშობლოდან გაძევებული „საქართველოს ოქროპირი“ ჩერჩილს და ჰიტლერს პირადად იცნობდა 37

ლეგენდა
ოთარ ქორქიას ვარსკვლავი 12 წელი ბრწყინავდა 40

რომანი
მიხეილ იაშვილი. მაქცია (გაგრძელება) 42

ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 46

მწვრთნელი
ალან ქირესი კრიტიკოსებს კორექტულობისკენ მოუწოდებს 46

ავტო 49

ბედი კაცისა
გაქცევა ამერიკაში... ინდოეთის გავლით 50

ვარსკვლავი
ჯენიფერ კონელი: „მე უფრო მეტი ვარ, ვიდრე მხოლოდ ლამაზი მკერდი და გრძელი ფეხებია...“ 52

ბომონდი 54

მომღერალი
„მიყვარს მუსიკა, რომელსაც სქესი არა აქვს...“ 55

ფავორიტები
მანჩესტერელთა წითური პრინცი 56

სპორტული მოზაიკა 57

ნამდვილი ამბავი
სამუდამოდ გამოუხიზლებული 58

ნუმეროლოგია
ნუმეროლოგიური ემანაციები ანუ რიცხვთა სიმფონია 59

ჰოროსკოპი
კვირის (19-25 მაისი) ასტროლოგიური პროგნოზი 60

სკანვორდი 61

იუმორი 62

ტესტი
ხართ თუ არა ეჭვიანი? 63

კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

„მიყვარს მუსიკა, რომელსაც სქესი არა აქვს...“

„მე სიმღერის გარდა სხვა შემოსავლის წყარო არ მაქვს. უბრალოდ, ბავშვებს ვამზადებ ინგლისურში და გიტარასაც ვასწავლი, მაგრამ ამ ეტაპზე, როცა კონცერტი მქონდა, მოსწავლეებს ვერ ავიყვანდი. ასე ვლავირებ ხან კონცერტისთვის, ხან ალბომის ჩასაწერად, მაგრამ სადამდე მეყოფა ძალები, არ ვიცი“.

55

ჯენიფერ კონელი: „მე უფრო მეტი ვარ, ვიდრე მხოლოდ ლამაზი მკერდი და გრძელი ფეხებია...“



„იმ ადამიანებთან, რომლებიც ფანატიკოსებივით შემომცქერიან და ყოველ წამს ქათინაურს მეუბნებიან, თავს მუდამ უხერხულად ვგრძნობ. ადამიანს მიმზიდველი გარეგნობა ცხოვრებაში დიდ უპირატესობას ანიჭებს. მაგრამ მედალს ორი მხარე აქვს.“

52

ოთარ ქორქიას ვარსკვლავი 12 წელი ბრწყინავდა



დღეს არავის ეპიტნავება სიტყვა „საბჭოთას“ ხსენება. მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ეს პრაქტიკულად აღმოსავლეთ ევროპისა და ნახევარი აზიის ჩემპიონატი იყო. და თუ ამხელა ქვეყნის უძლიერეს გუნდებს შორის, ქართული კლუბი და ქართველი კაცი იმარჯვებდა, ვფიქრობთ, მით უფრო დასაფასებელია ეს გამარჯვებები.

40

მაქცია

მიხეილ იაშვილი

...შეწუხდა გამყიდველი, ცდილობს, დაამშვიდოს, მაგრამ ნურას უკაცრავად!

ვინ ჯანდაბაა-მეთქი? – ჩუმად ვეკითხე. ეს დიდი ვინმეა, ოლგა ტიმოფეევა, ოპერის ცნობილი მომღერალი, ბრეჟნევთან „შენობით“ არისო...

ქალი, როგორც იქნა, დააწყნარეს და გაისტუმრეს. ავედევნეთ. მაღაზიის მახლობლად შავი „ვოლგა“ ელოდებოდა.

42

ხერხი სჯობია ლონესა ანუ „მილი, შვილო, იბოძვე!"

ნამეტანი „აგვაბლატავა" დასავლეთის მხარდაჭერამ! ბუშის ჩამოსვლის შემდეგ ხომ სულ „აგვივარდა თავში" და ჩვენი ტოლი და სწორი თუ ვინმეა დედამიწის ზურგზე, აღარ გვგონია...

დასავლური ცივილიზაციის წინააღმდეგი ვინ ოხერია, მაგრამ ამ ცივილიზაციამ თუ მთლად წაგვლეკა და ჩვენი აღარაფერი შეგვარჩინა, გინდა, ასე გადავგვარებულვართ და გინდა – ისე!.. მდიდარ და საჭირო სტუმარს რომ ფეხქვეშ ვეგებით და ღარიბს კინწისკვრით ვაგდებთ სახლიდან, ამას მასპინძლობა კი არა, „ვიგოდნიკობა" ჰქვია. სწორედ ამან გაგვინაწყენა ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები: იყო დრო, როცა რუსეთს „შევციცინებდით" თვალებში და **WELCOME** გვეკერა პირზე; ახლა, შენ ხარ ჩემი ბატონი... დავამუღამეთ და მოსაკრუხებლად მომწიფებული ვარიებივით, ამერიკას ვეკეკლუცებით. სამაგიეროდ, მობეზრებული სტუმრებისადმი გავიმკაცრეთ ტონი და ახლა **уходи от сюда**-ს ვუყვირით. რაღაც

ორი გაღლეტილი ბაზა უგდია ჩვენს მიწაზე და ისიც ვერ აგვიტანია.

ბოლოს და ბოლოს, თუ პოლიტიკოსი ხარ, იმდენი კი უნდა იცოდე, რომ „პოლიტიკა კომპრომისების ხელოვნებაა" და როცა მუქარა არ ჭრის, ტკბილი სიტყვაა საჭირო: ჩავატარეთ შარშან – 26 მაისს რუსეთის შემაშინებელი სამხედრო აღლუმი და რაც მძიმე ტექნიკა გვქონდა, სანაპიროზე მივადრიხინეთ სუყველა... ისიც ვთქვით პუტინის გასაგონად – ეს რაც თვალით ჩანს, მხოლოდ ისაა, თორემ, აგერ მტკვარს რომ უყურებ, სულ წყალქვეშა ხომალდებითაა სავსეო (არადა, შარშან მაისში მტკვარი ისე „მოკირკილებდა", რომ ხომალდი კი არა, მურწა ვერ იმალებოდა ქვის ქვეშ)... შევაშინეთ?! – ვერა.

მერე ეკონომიკური სანქციებით დავუპირეთ შეშინება: – თუ არ გავლენ ბაზები, დენს და წყალს შევუწყვეტთო – სასაცილოა პირდაპირ! დენი და წყალი 15 წელია, შეწყვეტილი აქვს გლდანს, მაგრამ გავიდა სადმე? ისევ იქაა, – „ახმეტელის" მეტროსთან.

ამანაც რომ არ გაჭრა, შეიკრიბა მინისტრთა კაბინეტი თურმე და გადაუწყვეტიათ, ისეთი მიმართვის ტექსტი შევადგინოთ, რომ გულზე მოხვდეთ და გავიდნენო. საიდუმლო წყაროებით გავიგე, რომ ნამეტანი მოსვლიათ და ისეთი ტექსტი მიუღიათ, რომ ყველას შერცხვენია წაკითხვა და ბოლოს, პრივატიზაციაგაყიდვების ზორბატანა მინისტრს უთქვამს – მე წავიკითხავ, რა პრობლემააო?! – მაგრამ ისევ ამაოდ...

კი არავინ მიფასებს, მაგრამ რადგან ჩვენმა მთავრობამ ვერ მოიფიქრა, როგორ უნდა გააყვანინოს რუსეთს ბაზები, მზად ვარ, უანგაროდ ვემსახურო ჩემი ქვეყნის ინტერესებს და რჩევა მივცე: იმ ბაზებზე ტექნიკა ისეთ მდგომარეობაშია, რომ თუ შეეხვეწები რაკეტას – გაფრინდიო და ისიც ხათრით თუ იზამს რამეს, თორემ საწვავი აღარ უსხია; რაც ტექნიკური სპირტისა და ანტიფრიზის მარაგი ჰქონდათ, ბოლო წვეთამდე გამოწრუპეს ჯარისკაცებმა და ახლა კი არიან ფხიზლად. ვთხოვოთ ჩვენს ბიზნესმენებს, ამოდენა ღვინოს, არაყსა და ლუდს რომ აწარმოებენ, თითო ცისტერნა მოუკითხონ ამ „საპატიო სტუმრებს" და თუ აქამდე ისინი ვერ გავიყვანეთ, ერთ კვირაში „გავიტანთ" და მოვისვენებთ...

მეორე, უკეთესი ხერხიც არსებობს: ხომ ვხედავთ, რომ რასაც ვეტყვით კრემლს, ყველაფერს პირიქით აკეთებს. ამიტომ ვთხოვოთ, გაზარდოს სამხედრო კონტინგენტი საქართველოში. რუსები იტყვიან, ქართველებს რაღაც ფარსაგი აქვთ ჩაფიქრებულიო და ეგრევე მივიღებთ პასუხს – პირიქით, უნდა შევამციროთო!..

P.S. *სატელეფონო საუბარი საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტებს შორის:*

– Господин Путин, я принял решение, что российские военные базы остаются на территории Грузии...

– Не быть тому, чего вы желаете, господин Саакашвили! Завтра уже не будет ни одного русского солдата на грузинской земле!..

პროვოკატორი

„ბაზების დავალიანება მილიონს გადააჭარბებს“

— 15 მაისს, რუსეთის სამხედრო ბაზების საკითხთან დაკავშირებით პარლამენტის დადგენილება ძალაში არ შევიდა. იყო თუ არა ეს გონივრული კომპრომისი?

იგორ კვესელავა, *პრეზიდენტის მრჩეველი:*

— 22 მაისისთვის, ამ საკითხზე რუსეთ-საქართველოს შეხვედრაა დაგეგმილი. რუს სამხედრო ექსპერტთა განცხადებები ადასტურებს, რომ მათ მოლაპარაკების გაგრძელება სურთ. საქართველომ სერიოზული ნაბიჯების გადადგმა უკვე დაიწყო. 12 წლის განმავლობაში ვერ ვბედავდით, რომელიმე სახელმწიფოსთვის ჩვენი სამართლიანი პრეტენზია კატეგორიული ტონით გამოგვეთქვა. საკანონმდებლო ორგანოს პრინციპულობამ რუსული მხარე აამოძრავა. საქართველოს ეს დადგენილება რომ არ მიეღო, შესაძლებელია, ბაზების გაყვანის საკითხის განხილვა კიდევ 10 წელი გაგრძელებულიყო: რუსი ექსპერტები ხომ ბაზების სამუდამოდ დარჩენის პერსპექტივასაც არ გამორიცხავდნენ. ჩემი აზრით, ქართული დიპლომატია თანმიმდევრულად მიიწევს წინ. არ შეიძლება, დღეს იმაზე ვილაპარაკოთ, რომ უკან დავიხიეთ — უბრალოდ, საქმე ადგილიდან დაიძრა და ახლა, დიპლომატიური კუთხით უნდა მივუდგეთ საკითხს. მაგრამ თუ გონივრულ ვადებში შეთანხმება ვერ მოხერხდა, ამ შემთხვევაში, პარლამენტის დადგენილების ამოქმედებას ვერავინ შეაჩერებს. მანამდე კი, უნდა შევისწავლოთ ბაზების დავალიანება, რომელმაც შესაძლოა, 1 მილიონსაც გადააჭარბოს. ჩვენ არ უნდა დავუშვათ რუსეთის მიერ დროის გაწელვა, მათი მხრიდან კომპრომისის მოლოდინში კი, მოლაპარაკებების გაგრძელება, საქართველოს უკან დახევად არ უნდა აღვიქვათ. ■

ლავროვი და ზურაბიშვილი ბაზების საკითხს ვერ გადაწყვეტენ

— გავრცელებული ინფორმაციით, პარლამენტის თავმჯდომარე კვლავ უკმაყოფილოა საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ წარმართული მოლაპარაკების შედეგებით...

ნინო ბურჯანაძე, *პარლამენტის სპიკერი:*

— უთანხმოებას ჩემსა და ქალბატონ სალომეს შორის, ზედმეტად აზვიადებენ. თუ პარლამენტის თავმჯდომარე საკუთარ პოზიციას გამოხატავს, ეს ვინმესთან დაპირისპირებას ნამდვილად არ ნიშნავს. მე კანონმდებლობა არ მავალდებულებს იმას, რომ რომელიმე მინისტრისგან განსხვავებული შეხედულებები არ მქონდეს. თუ ვინმეს სურს, ჩვენ შორის არსებულ დაპირისპირებაზე გააკეთოს აქცენტი, ეს უბრალოდ, სასაცილოა. მე ვერ ვესწრები მოლაპარაკებებს, რომლებსაც ქალბატონი სალომე რუსეთში აწარმოებს, მაგრამ ჩვენ ვისმენთ ამ შეხვედრების ანგარიშს, რომელიც ჩემთვის სრულიად დამაკმაყოფილებელია. ამ შეხვედრების დროს, საგარეო საქმეთა მინისტრი მშვენივრად აფიქსირებს ქართული მხარის პოზიციას. ბაზებთან დაკავშირებით საკანონმდებლო ორგანო და საგარეო უწყება აქტიურად თანამშრომლობდა, იყო ორმხრივი კონსულტაციები და პოზიციების ურთიერთშეჯერება. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოლაპარაკებები ძალზე მნიშვნელოვანია, საბოლოო შედეგი მაინც ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული, ამიტომ მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ თუ ამ ეტაპზე, მოლაპარაკებები სასურველი შედეგით არ დასრულდა, ამაში სალომე ზურაბიშვილი ან რომელიმე სხვა მინისტრი უნდა დავადანაშაულო. იმედი მაქვს, რუსეთი კონსტრუქციულ ნაბიჯებს გადმოდგამს, რაც დაძაბულობას განმუხტავს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოლაპარაკებები აზრს დაკარგავს და რუსი სამხედროების მიმართ სანქციებიც ამოქმედდება. ■

ემუქრება თუ არა თბილისს ენერგოკრიზისი?

— მომავალი კვირიდან, სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი შეწყდება. ენერგეტიკის სფეროს ექსპერტების აზრით, ეს გადაწყვეტილება ქალაქის ენერგომომარაგებას სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის.

ბექა ბარამიძე, *თელასის წარმომადგენელი:*

— სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის შეწყვეტის მიზეზი გახლავთ ენერგეტიკული კორპორაციის მიერ გაკეთებული განცხადება კილოვატ-საათის 0,15 ცენტით გაზრდის შესახებ. მიზეზად სომხურმა მხარემ დრამის გამყარება დაასახელა, რის გამოც, მათ ზარალი განიცადეს. ამ საკითხზე მხარეებს შორის მრავალეტაპიანი და ხანგრძლივი მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, მაგრამ კონსენსუსის მიღწევა ვერ მოხერხდა. გადაწყდა, რომ სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი უნდა შეწყდეს. 0,15 ცენტით გაზრდილი ტარიფი ჩვენთვის სრულიად მიუღებელია. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს ენერგოკრიზისის დადგომას. იმპორტის შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებას არ მივიღებდით, ადგილობრივ ენერგოსისტემაში დამაიმედებელი სიტუაცია რომ არ გვქონოდა. კერძოდ, ადგილობრივი გენერაციის ობიექტებიდან მიღებული სიმძლავრეები საკმარისი აღმოჩნდა თბილისის მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად. ასე რომ, მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგებაში შეფერხება არ მოხდება. ■

მოამზადა ხათუნა მაღრაძემ

ვის გაურიგდა ეკონომიკის მინისტრი

— „ტაკომი“ ეკონომიკის მინისტრს აეროპორტის მშენებლობაზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კონსორციუმის ლობირებაში ადანაშაულებს. თქვენი მიუკერძოებლობის არც საკანონმდებლო ორგანოში სჯერათ...

ლეძსო ალეძსიშვილი, *ეკონომიკის მინისტრი:*

— თუ ტენდერში მონაწილე რომელიმე ფირმა მიიჩნევს, რომ ტენდერი არასწორად ჩატარდა, მათ შეუძლიათ, სასამართლოში გვიჩივლონ, სადაც ჩვენ შევძლებთ, დავამტკიცოთ საკუთარი გადაწყვეტილების სისწორე. გამარჯვებულ კონსორციუმს, რომელიც ამერიკელ „ეიჯეის“, ლუქსემბურგის „ჯითიესა“ და თურქულ „ჩელების“ აერთიანებს, ტენდერში ყველაზე კარგი წინადადებები ჰქონდა წარმოდგენილი. ის მცირე დროს ითხოვს მართვისთვის, უმოკლეს ვადებში ააშენებს საერთაშორისო დონის აეროპორტს, ასევე მის მიერ აშენებული აეროპორტი შემდგომი გაფართოების საშუალებას იძლევა. რაც შეეხება „ტაკომს“, ის გადასახადებისგან გათავისუფლებასა და სახელმწიფოსგან ფინანსური გარანტიების მიღებას ითხოვდა. როცა ჩვენი იურისტები მათ პირობებს გაეცნენ, დაადასტურეს, რომ ამ ფირმასთან კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში, სახელმწიფო სერიოზული რისკის ქვეშ აღმოჩნდებოდა: თუ ფირმა ვერ მიიღებდა წინასწარ გათვლილ მოგებას, სახელმწიფო იძულებული იქნებოდა, ეს თანხა აენაზღაურებინა მისთვის. ჩვენი მოთხოვნაა, რომ ბიზნესჯგუფმა რისკი საკუთარ თავზე აიღოს, სახელმწიფომ კი, საერთაშორისო დონის აეროპორტი უნდა მიიღოს. არ ვიცი, ოპოზიციამ სახელმწიფო ინტერესების დაცვა, რომელიმე ფირმის ლობირებასთან რატომ გააიგივა. თუ ვინმეს ტენდერის გამჭირვალედ ჩატარებაში ეჭვი ეპარება, შეუძლია, გაეცნოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, აქ კულუარულ გარიგებებს ადგილი ნამდვილად არ ჰქონია. ■

აფხაზეთის ბანკებთან თანამშრომლობით რუსეთის რეპუტაციაც შეილახება

რომან გოცირიძე რუსეთის ფედერაციაში მოქმედ კომერციულ ბანკებს, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ბანკებთან უკანონო კავშირში ამხელს. მისი თქმით, აფხაზეთის კომერციულ ბანკებში ხორციელდება დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაცია. „ჭუჭყიანი“ ფულის გათეთრება კი, FATF-ის (ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალურ ქმედებათა ჯგუფი) წევრი ქვეყნის რეპუტაციას უქმნის საფრთხეს — აღნიშნავს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, რომელმაც თავის რუს კოლეგას სპეციალური წერილით მიმართა. თუმცა, რამდენად ადარდებს ჩრდილოელ მეზობელს ჩვენი სახელმწიფოს რეპუტაცია, ჯერჯერობით უცნობია...

ხათუნა მაღრაძე

რომან გოცირიძე, *ეროვნული ბანკის პრეზიდენტი:*

— ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საბანკო საქმიანობის რეგულირება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეროგატივას წარმოადგენს. ამდენად, რუსული ბანკების, აფხაზეთის ტერიტორიაზე საბანკო საქმიანობაში რაიმე ფორმით ჩარევა, უკანონოა.

— გარდა იმისა, რომ რუსული მხარე საქართველოს ეროვნული ბანკის გვერდის ავლით აწარმოებს საქმიანობას, აფხაზეთის კომერციულ ბანკებში ფულის გათეთრების პროცესიც მიმდინარეობს...

— ჩემი შეშფოთების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ ეს არის. ამგვარი არაკონტროლირებადი და უკანონო საბანკო რეჟიმი, რომელშიც რუსული ბანკები მონაწილეობენ, დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციისათვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის. ეს ეწინააღმდეგება იმ ვალდებულებებს, რომლებიც რუსეთს, როგორც FATF-ის წევრ ქვეყანას აქვს ნაკისრი, რამაც რუსეთის რეპუტაციასაც შეიძლება შეუქმნას საფრთხე.

— ამ საფრთხის გამო, აფხაზეთში ფულის გათეთრებაზე უარს იტყვიან?

— ჩემს რუს კოლეგას გადავეცი მასალები, რომლებიც აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსული ბანკების მიერ განხორციელებულ უკანონო საქმიანობას ეხება. ჩვენ მზად ვართ კოორდინირებული მუშაობისთვისაც, შეგვიძლია, დავიხმაროთ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ევროსაბჭოს ექსპერტთა კომიტეტიც. ამ მოვლენასთან ბრძოლა მსოფლიო პრობლემას წარმოადგენს, რუსეთის და აფხაზეთში მოქმედი კომერციული ბანკები იძულებული გახდებიან, ეს უკონტროლო თანამშრომლობა შეწყვიტონ. ამისათვის საერთაშორისო ბერკეტები უნდა ამოქმედდეს.

— დიდი ხანია, რაც საქართველო აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედ არალიცენზირებულ ბანკებთან რუსული მხარის თანამშრომლობის შესახებ ინფორმაციას ფლობს, მაგრამ პრობლემის მოგვარების სქემა დღემდე არ არსებობს...

— რუსეთის კომერციული ბანკების თანამშრომლობას აფხაზეთის არალიცენზირებულ ბანკებთან 1998 წელს ჩაეყარა საფუძველი. მაშინ პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი გახლდით და ამის შესახებ ვაცნობე საქართველოს მთავრობას. აღნიშნული პროცესი მაშინვე უნდა შეჩერებულიყო, მაგრამ ამას სათანადო ყურადღება არ მიექცა. დღეს უკვე 50-ზე მეტი რუსული ბანკი თანამშრომლობს აფხაზეთში მოქმედ არალიცენზირებულ ბანკებთან. ჯერ კიდევ მაშინ, როცა რუსეთი, ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული პრობლემის გამო, მსოფლიოს საბანკო წრეებში შავ სიაში იყო შეყვანილი, საქართველოს ხელისუფლებას აფხაზეთში მიმდინარე საბანკო მაქინაციების გამო ხმაური უნდა აეტეხა... დღეს რუსეთმა ამ შავი სიიდან „გამოძრომა“ შეძლო. სპპარატისტულ ბანკებთან უკანონო თანამშრომლობის შეჩერებაში წარმატების მიღწევა გაჭირდება, მაგრამ ეს შეუძლებელი არ არის.

— დღეს, როცა აფხაზეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის აღდგენაზე ვლაპარაკობთ, ზემოთ ხსენებულ კომერციულ ბანკებს რა ალტერნატივა უნდა შევთავაზოთ?

— თუ აფხაზეთში არსებული ბანკები საქართველოს ეროვნული ბანკისგან მოითხოვენ ლიცენზიას, მათ კანონის ფარგლებში შეეძლებათ მუშაობა, მაგრამ ის პროცესი, რომელიც უკონტროლო ტერიტორიიდან რუსეთის გავლით, ნებისმიერ ქვეყანაში ფულის გადარიცხვას ითვალისწინებს, უნდა აღიკვეთოს. თუ სათანადოდ ვიმოქმედებთ, საერთაშორისო ბერკეტების ამოქმედებით, რუსეთს სერიოზული სანქციები დაეკისრება. ■

ნუნუ ჯაფარიძე CNN-იდან:

«კონტროლ-რუმში» ვიმყოფებოდი, როცა ეკრანზე აბანოთუბანი გამოჩნდა...

უკვე კვირაზე მეტი გავიდა პრეზიდენტ ბუშის სტუმრობიდან, მაგრამ ამ თემას აქტუალობა ჯერაც არ დაუკარგავს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჯორჯ ბუშის ვიზიტი საქართველოში საზოგადოებამ უკვე წლის მოვლენად მონათლა, ინტერესი ამ ფაქტის ცნობილი თუ ჯერ კიდევ უცნობი დეტალების მიმართ დიდი ხნის განმავლობაში არ ჩაცხრება. ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ აღნიშნულ მოვლენას სხვა კუთხით შევხებოდით და რამდენიმე კითხვით მივმართეთ აშშ-ში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეს, რომელიც მასმედიის მსოფლიო ლიდერში — ტელეკომპანია CNN-ში მუშაობს. ჩვენმა ჩანაფიქრმა გაამართლა — ინტერვიუდან შეიტყობთ: ახლდა თუ არა ამერიკის დელეგაციას ცნობილი მომღერალი ბობ მარლი, რა დაურიგა საქართველოს მთავრობამ უცხოელ ჟურნალისტებს და რა შინაარსის წერილი მისწერა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა აშშ-ის სახელმწიფო მდივანს კონდოლიზა რაისს.

საქართველოდან მიღებულ პირდაპირ სიგნალს ჩემი თანამშრომლებიც ადევნებდნენ თვალყურს, თან პერიოდულად, სამუშაო ოთახში მირეკავდნენ: არ გამოგრჩეს, ნახე, რა პატარა ბავშვი ცეკვავსო!..

ემა ტუხიაშვილი

ნუნუ ჯაფარიძე, *ტელეკომპანია „სიენენის“ პროდიუსერი*:

— ჯორჯ ბუშის ვიზიტს საქართველოში მართლაც, ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. ისეთ პოლიტიკურ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ამერიკის მხარდაჭერა ძალზე მნიშვნელოვანია. უნდა გენახათ, რაოდენ ფართოდ აშუქებდა ამერიკული მასმედია ბუშის ამ ვიზიტს. ბუშის, სააკაშვილისა და თავისუფლების მოედანზე შეკრებილი ხალხის ფოტოებით აჭრელებული იყო ცნობილი ჟურნალ-გაზეთები, ხოლო ტელეგიგანტები დეტალურად აშუქებდნენ ვიზიტს და ქართველთა თბილ, ემოციებით სავსე მასპინძლობას. 10 მაისს, გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ წერდა, რომ ეს ვიზიტი კიდევ უფრო დააკავშირებს საქართველოს ამერიკასთან და რომ ჯორჯ ბუშმა თავისუფლების მოედანზე გამოსვლისას, პირდაპირ განაცხადა: საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ყველამ პატივი უნდა სცესო. ამერიკელმა ჟურნალისტებმა ეს ფრაზა უშუალოდ პუტინსა და რუსეთს დაუკავშირეს. ამერიკის პრეზიდენტმა ასევე სურვილი გამოთქვა, რომ ჩვენს ქვეყანას რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანაში დაეხმაროს, ხოლო ამერიკის გავლენას ამ საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამას გარდა, ბუშის ვიზიტმა საქართველოში განაპირობა ის, რომ ამერიკა და მთელი მსოფლიო საქართველოს კულტურასა და იქ არსებულ პრობლემებს გაეცნო. მიმაჩნია, რომ ეს იყო შესანიშნავი პიარი ჩვენი ქვეყნისთვის და პრეზიდენტი საკაშვილი ქართველ ხალხთან ერთად ნამდვილად იმსახურებს ქებას ამ ვიზიტის ორგანიზებისთვის.

ჩემმა თანამშრომლებმა თბილისიდან სუვენირებიც ჩამომიგანეს, რომლებიც მათ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა გადასცეს

— საქართველოში მიმდინარე მოვლენებს შენ ამერიკიდან ადევნებდი თვალყურს. გვიამბე, რა ხდებოდა შენ ირგვლივ?

— „სიენენს“ საქართველოდან ბუშის ვიზიტის გაშუქებისას, პირდაპირი ჩართვები ჰქონდა მოწყობილი. რა თქმა უნდა, პირდაპირ ეთერში ყველაფერს ვერ ვუჩვენებდით. თუმცა მე საქართველოდან გადმოგზავნილი პირდაპირი ტრანსლაციისთვის თვალი არ მომიშორებია. 10 მაისს, „სიენენის“ საერთაშორისო განყოფილების პროდიუსერად ვმუშაობდი და თეთრ სახლში მოქმედი, ტელეკომპანიის განყოფილებასთან ერთად ვგეგმავდი ვიზიტის გაშუქების სქემას. ე.წ. „კონტროლ-რუმში“ (ვიზუალური მასალის გასინჯვის ოთახი) ვიმყოფებოდი, როდესაც აბანოთუბანში გამართული კონცერტის სიგნალს გვაწვდიდნენ ჩვენი კოლეგები თბილისიდან. იმ დროს, განსაკუთრებული სიამაყის გრძნობა დამეუფლა. ჩემმა ტექნიკურმა დირექტორმა შემატყო, რომ ზედმეტად ემოციური გავხდი და თანამშრომლებს ხუმრობით გადაულაპარაკა — ნუნუს პირდაპირი ეთერი გამოურთეთ, თორემ, დაგვტოვებს და მშობლიურ საქართველოში წავაო, — თან სარკაზმით ისიც დაამატა — მერე,

ჩვენ რაღა გვეშველებაო?!. საქართველოდან მიღებულ პირდაპირ სიგნალს ჩემი თანამშრომლებიც ადევნებდნენ თვალყურს, თან პერიოდულად, სამუშაო ოთახში მირეკავდნენ: არ გამოგრჩეს, ნახე, რა პატარა ბავშვი ცეკვავსო!.. ყველას აინტერესებდა, საცეკვაო კოსტიუმები ტრადიციული ქართული სამოსი იყო, თუ უბრალოდ, კონცერტისთვის შეიკერა. 10 მაისი ჩემთვის ემოციებით აღსავსე დღე იყო. სიამაყე, ნოსტალგია, სიყვარული, იმედი – ყველა ეს გრძნობა ერთიანად მომეძალა. „სიენენის“ ვაშინგტონის ბიუროში ყველამ იცის, რომ ქართველი ვარ და ყოველთვის ვცდილობ, დავარწმუნო ჩვენი მენეჯმენტი, რაც შეიძლება მეტი ყურადღება დაუთმონ საქართველოში მიმდინარე პროცესების გაშუქებას.

— თბილისში შენი კოლეგები — ამერიკელი ჟურნალისტებიც იმყოფებოდნენ. რა შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ ისინი საქართველოდან?

– თეთრი სახლის კორესპონდენტს დანა ბეშს გული სწყდებოდა, რომ საქართველოში უფრო მეტი დროის გატარების საშუალება არ მიეცა. „სიენენის“ ფოტოკორესპონდენტი ჯაკო რიგსი კი ამერიკაში დაბრუნებისთანავე მოვიდა ჩემთან იმის სათქმელად – ეს რა სტუმართმოყვარე სამშობლო გქონიაო! ისიც დასძინა – ნაწნავებმა, ნაქსოვმა ქუდმა და ბობ მარლის სტილმა თბილისელებში დიდი მოწონება დაიმსახურა, ხალხი ქუჩაში ჩერდებოდა და ჩვენს ფოტოკორესპონდენტს, ბობ მარლის სიმღერებს უმღეროდა... ჩემი კოლეგები გაოცებული იყვნენ თავისუფლების მოედანზე შეკრებილი ხალხის რაოდენობითა და მათი ენთუზიაზმით. ერთ-ერთმა ჟურნალისტმა იხუმრა: ცუდია, რომ თბილისში შეკრებილ ხალხს ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება არ შეუძლია, თორემ, ბუშს მესამე ვადით არჩევა გარანტირებული ექნებოდაო. ამერიკელებს საქართველოს მიმართ დიდი ინტერესი გაუჩნდათ. ჩემი აქაური მეგობრები უკვე გეგმავენ საქართველოში სამოგზაუროდ წამოსვლას. ჩემმა თანამშრომლებმა თბილისიდან სუვენირებიც ჩამომიტანეს, რომლებიც მათ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა გადასცეს. ეს არის ამერიკისა და საქართველოს დროშებით შემკული შავი ჩანთა, ასევე დროშებით შემკული კალამი და რვეული, საქართველოს შესახებ შედგენილი ბუკლეტი და დროშებით გაფორმებული „ბრელოკი“. ყველაზე მეტად კი, ჩემს თანამშრომლებს ქართული სამზარეულო მოეწონათ, მაგრამ სამწუხაროდ, კერძებს სუვენირად ვერ ჩამოიტანდნენ...

— არ გთხოვენ ხოლმე კოლეგები, ქართული კერძების მომზადებას?

– ზოგიერთ მათგანს საქართველოში ვიზიტამდეც გავაცანი ქართული სამზარეულო. დროდადრო მართლაც მიმაქვს სამსახურში ქართული კერძები. ახლა კი გადავწყვიტე, შევისვენო, ვინაიდან რაც უფრო ხშირად ვანებივრებ ჩემს ამერიკელ მეგობრებს ქართული კულინარიით, მით უფრო ხშირად მთხოვენ – კიდევ მოიტანეო...

— ქართული კერძების მიმართ გულგრილი არც ამერიკის პრეზიდენტი დარჩენილა, ხოლო ქართულმა ცეკვა-სიმღერამ საუკეთესო განწყობილება შეუქმნა მას...

– პრეზიდენტ ბუშის არაორდინარულმა ქცევამ ამერიკელებიც კი გააოცა. აქამდე ჯორჯ ბუშის „საცეკვაო კარიერა“ მხოლოდ ლორა ბუშთან და მათ ქალიშვილებთან ცეკვით შემოიფარგლებოდა. პრეზიდენტ ბუშის აცეკვება თვით რიკი მარტინსაც კი გაუჭირდა, 2005 წლის ინაუგურაციის

Nestlé

„NESTLE“-ს ბავშვთა კვების პროდუქტები რუსეთის მომხმარებლების მიერ აღიარებულია, როგორც საუკეთესო

марка доверия TRUSTED BRAND 2005 Readers Digest

“NESTLE”-ს სავაჭრო ნიშანი გახდა დამოუკიდებელი კვლევის - “READER’S DIGEST 2005 EUROPEAN TRUSTED BRANDS” – გამარჯვებული „ბავშვთა კვების“ კატეგორიაში.

„ნესტლე“-ს სავაჭრო ნიშანმა მიიღო ჯილდო **“Most Trusted Brand”** („ყველაზე სანდო სავაჭრო ნიშანი“) ნომინაციაში „ბავშვთა კვება“ (რუსეთი). აღნიშნული ჯილდო ამა თუ იმ სავაჭრო ნიშანს ენიჭება ჟურნალ **Readers’ Digest**-ის მკითხველთა გამოკითხვის შედეგების მიხედვით - ევროპაში ყველაზე ფართომსშტაბიანი კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 28 832 ადამიანმა.

კომპანია „ნესტლე“-ს ბავშვთა კვების განყოფილების ხელმძღანელმა, ეკატერინა კოტლიაროვამ ასეთი კომენტარი გააკეთა აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით: „ნესტლე“-ს ბავშვთა კვება უკვე 140 წელია სარგებლობს მომხმარებელთა ნდობით. სწორედ ამ ხნის მანძილზე სთავაზობს კომპანია მყიდველებს ბავშვთა კვების ხარისხიან, უსაფრთხო და სრულფასოვან პროდუქტებს, რომელთაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის რუსეთშიც, ენდობიან. მოხარული ვარ, რომ ჩატარებული გამოკვლევის შედეგებიც იგივეს მოწმობს“.

დამოუკიდებელი კვლევა **“READER’S DIGEST EUROPEAN TRUSTED BRANDS”** ტარდება 2001 წლიდან. კვლევის მიზანს წარმოადგენს იმ სავაჭრო ნიშნების გამოვლენა, რომელთაც ყველაზე მეტად ენდობიან ამა თუ იმ ქვეყანაში. გამოკვლევის მსვლელობისას ჟურნალის მკითხველებს სთხოვენ ამოირჩიონ ის სავაჭრო ნიშანი, რომელიც მათში ყველაზე მეტად იწვევს ნდობას, ასევე, მიუთითონ, შეუძენიათ თუ არა ოდესმე ეს პროდუქტი თავად. მითითებული ნიშანი ფასდება ისეთი კრიტერიუმებით, როგორიცაა ხარისხი, ღირებულება, გარეგნული სახე, შესაბამისობა მომხმარებელთა საჭიროებებთან.

ამ წელს გამოკვლევა ჩატარდა ევროპის 14 ქვეყანაში, მათ შორის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც. გამოკითხვაში, რომელიც ჩატარდა რუსეთში, მონაწილეობა მიიღო **Readers’ Digest** ჟურნალის 4000-ზე მეტმა მკითხველმა. აღნიშნული 14 ქვეყნიდან თითოეულში რესპონდენტების შერჩევა განხორციელდა **Readers’ Digest**-ის კლიენტთა ბაზიდან.

* * * * *

მოკლედ კომპანიის შესახებ

კომპანია „ნესტლე“ – ეს არის ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოების მრავალწლიანი გამოცდილება, საკუთარი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები, ტრადიციულად მაღალი ხარისხი, მხოლოდ და მხოლოდ ნატურალური პროდუქტები. „ნესტლე“ მომხმარებლებს სთავაზობს პროდუქციის ფართო ასორტიმენტს, რომელშიც ასევე გაერთიანებულია რძის ნარევები, ფაფები, ხილისა და ბოსტნეულის პიურე, ნატურალური წვენები.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:
შპს „ნესტლე ფუდ“, საგარეო კორპორატიულ საქმეთა განყოფილება, მარინა ზიბარევა
ტელ.: 725-7209, ფაქსი: 725-7172, ელ. ფოსტა: Marina.Zibareva@ru.nestle.com

წვეულებაზე. „სიენნის“ კორესპონდენტმა ჯინი მუსმა სპეციალური რეპორტაჟიც კი მიუძღვნა ბუშის მიერ თბილისში შესრულებულ საცეკვაო ილეთებს. გარდა ამისა, ინტერნეტში გაიხსნა სპეციალური ვებსაიტი, სადაც მოცეკვავე ბუში ქართული ცეკვის ილეთების შესრულებასაც ცდილობს. ამერიკის თითქმის ყველა არხი უჩვენებდა მოცეკვავე პრეზიდენტს და ჟურნალისტები დასძენდნენ, რომ საქართველოში ბუში ენერგიით იყო აღსავსე და გვიანობამდე არ დაუძინია. ამერიკის სამთავრობო მრჩეველმა ანიელ კუნინმა აღნიშნა, რომ ბუშმა არა მარტო დააგემოვნა ქართული სამზარეულო, არამედ კერძს კერძზე უკვეთდა რესტორანში...

— მოწინააღმდეგეები თუ ჰყავდა საქართველოში ბუშის ვიზიტს და რა იყო მათი არგუმენტაცია?

— ამერიკაში ასეთი რამ არავისგან მსმენია, ხოლო სხვა სახელმწიფოებს რაც შეეხება, თქვენ უკეთ იცით, ვის შეიძლებოდა, ჰქონოდა პრეტენზია ამასთან დაკავშირებით. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს არც დაუფარავს უკმაყოფილება აღნიშნული ვიზიტის გამო და ამის თაობაზე წერილიც კი გაუგზავნა ამერიკის სახელმწიფო მდივანს კონდოლიზა რაისს.

— ბუშის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით რაიმე ეჭვი ხომ არ გამოუთქვამთ პრესაში ან პოლიტიკურ წრეებში?

— რადგან საქართველო არც ისე სტაბილური ქვეყანაა, გარკვეული შიში მის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით მართლაც, არსებობდა. მაგრამ ჯორჯ ბუში ერაყში ვიზიტს არ შეუშინდა, მაშინ, როდესაც იქ ბრძოლები იყო გაჩაღებული. ლორა ბუში კი სულ ცოტა ხნის წინ გახლდათ ავღანეთში, სადაც ასევე დაძაბული ვითარებაა. ■

„ორი ყვირილი, სადაც კი თქმა

ოვლოგვმოი, ყვიროგან ie სიცოცხლ ie წერა — „შეიყვარე!..“

მარი ჯაშარიძე

ბუშის ვიზიტმა ჩაიარა, ვნებათაღელვა დაცხრა და დადგა დრო, როცა ხალხმა ჭორებით გართობა დაიწყო: თურმე ბუშს „კინტაურის“ მოცეკვავე პატარა გოგა ამერიკაში მიუწვევიაო... თურმე ლელა წურწუმიაზე უთქვამს — ასეთი თვალის მომჭრელი სილამაზე არსად მინახავსო... თურმე ლიზა ბაგრატიონზე უთქვამს — მსგავსი ხმა ჯერ არ გამიგონიაო... თურმე ხინკალი რომ ჭამა, მუცელზე ხელი დაუტყაპუნებია და უთქვამს — რუსული პელმენი ყველაზე მაგარი მეგონა, მაგრამ ქართული ხინკალი უფრო მაგარი ყოფილაო...

მე კი ისეთი ჭორი გავიგე, ამასთან შედარებით ზემოთქმული არაფრად მოგეჩვენებათ. თურმე კონცერტის ორგანიზატორებს „რონდოს“ მიწვევა აზრადაც არ მოსვლიათ, ბატონ პრეზიდენტს მომღერლების სიისთვის გადაუხედავს და უთქვამს — ჩემი საყვარელი „რონდო“ სად არის, ხომ იცით, მათი შემოქმედების თაყვანისმცემელი ვარ, ვინ გაბედა მათი „წაყრუებაო“?.. გადავწყვიტე, გამეგო, შეესაბამებოდა სიმართლეს თუ არა ჩემ მიერ გაგონილი ჭორი. ამისათვის ლელა ოთარაშვილს დავუკავშირდი, თუმცა ჩვენი საუბარი მხოლოდ ბუშის ვიზიტით არ შემოფარგლულა.

— ვფიქრობ, „რონდომ“ ძალზე დიდი პაუზა გააკეთა და კარგა ხანია, მსმენელისთვის ახალი არაფერი შეუთავაზებია...

— თებერვალში მიწვეული ვიყავით ჰოლანდიაში. ჯერ ამ ტურნესთვის ვემზადებოდით. შემდეგ დაიწყო საღდგომო მარხვა და ამ დროს ყოველგვარი შემოქმედებითი პროცესი შევაჩერეთ. ახლა ბუშის ვიზიტიც „გადავაგორეთ“ და უკვე სერიოზულად მოვკიდეთ საქმეს ხელი. ივნისის პირველ რიცხვებში ჩვენი ახალი ალბომი გამოვა. შემდეგ კლიპების გადაღებასაც ვგეგმავთ, მაგრამ ცოტა ფინანსებში „გარღვევა“ გვაქვს. ყველაფრის მიუხედავად, ერთ კლიპს მაინც გადავიღებთ.

— ჩიტმა ამბავი მომიტანა, რომ ბუშის ჩამოსვლასთან დაკავშირებით გამართული კონცერტის მონაწილეთა სიაში თავდაპირველად „რონდო“ არ ყოფილა და მხოლოდ პრეზიდენტის პირადი მითითების შემდეგ გადაწყდა თქვენი მონაწილეობის საკითხი.

— სიმართლე რომ გითხრათ, მე ამის შესახებ არაფერი ვიცი. ლიზის (*„რონდოს“ ხელმძღვანელი და ლელას დედა. — ავტ.*) დაურეკა ბატონმა დავით ოქიტაშვილმა და აუწყა, რომ უნდა გვემღერა თავისუფლების მოედანზე. პირველად რეპეტიციაზე რომ მივედით, ხალხი განსაკუთრებული ემოციით შეგვხვდა. გაგვიკვირდა, რამ გამოიწვია ასეთი რეაქცია. მერე გვეუბნებოდნენ — ვაა! მოხვედით? ე.ი. ეს ჭორი მართალი ყოფილაო. აღმოჩნდა, რომ ქალაქში სწორედ ისეთი ხმა დადიოდა, როგორიც თქვენ ჩიტმა მოგიტანათ. მე ამაზე კომენტარს ვერ გავა-

კეთებ, რადგან საქმის კურსში არ ვარ. ფაქტია, რომ მიგვიწვიეს. ვისი დაკვეთით – არ ვიცი.

— კონცერტისთვის სიმღერები თქვენ შეარჩიეთ?

– არა, ორგანიზატორებმა გვითხრეს, რომ უნდა გვემღერა ვიქტორ დოლიძის „ქართული საცეკვაო“ და „მთიულური“. წინასწარ ინსტრუქტაჟი ჩაგვიტარეს – არ უნდა გვკეთებოდა ლითონის აქსესუარები. არც საყურე, არც ქამარი... ორგანიზატორების ყურადღება სწორედ ასეთი წვრილმანებისკენ იყო მიმართული. კიდევ იყო ასეთი მოთხოვნა: კონცერტის ყველა მონაწილე უნდა ყოფილიყო გრძელ, საღამოს კაბაში გამოწყობილი. ჩვენ ეს გავაპროტესტეთ. ძლივს მივაღწიეთ იმას, რომ კოსტიუმებით გამოსვლის ნება მოეცათ. მერე ხუმრობდნენ – შარვალში მხოლოდ თქვენ და პირველი „ლედები“ იყავით გამოწყობილიო. იმ დილით 6-ის ნახევარზე გავიღვიძე, რადგან 8-ზე უკვე თავისუფლების მოედანზე უნდა ვყოფილიყავით. შემდეგ მთელი 3 საათი შესასვლელ რიგში ვიდექით. გვჩხრეკდნენ, გვამოწმებდნენ დეტალურად და ისე გვიშვებდნენ. ძალზე მეამაყება, რომ ამ ისტორიული ფაქტის მონაწილე ვიყავი.

— რომ არ მიეწვიეთ, გული ძალზე დაგწყდებოდათ?

– რა თქმა უნდა. ყველაფერ ამას მთელი მსოფლიო ხომ პირდაპირ ეთერში უყურებდა?

— მაყურებელი ელოდა, რომ თქვენ პირველ საღამოსაც იმღერებდით.

– როგორც ჩანს, ორგანიზატორებმა არ ჩათვალეს საჭიროდ. ეს მათი გადაწყვეტი იყო.

— ჰოლანდიაში ჩატარებული კონცერტებით კმაყოფილი ხარ?

– უზომოდ. იქაურმა მაყურებელმა ძალზე კარგად მიგვიღო. ძირითადად დისკო-კლუბებში ვმღეროდით. ამ ტურნესთვის სპეციალურად ახალი რეპერტუარი მოვამზადეთ. „მოხევური“, „სვანური“, „სასატურა“ და „ლეზგინკა“ გადავწყვიტეთ ორიგინალურად და ძალზე დიდი მოწონებაც დაიმსახურა. ამსტერდამში, კლუბ „ეი-ელ-ლაუნჯი“-ში ვატარებდით „დისკო-ფართებს“. ძალზე სასაცილო იყო, როდესაც ზანგები ჩვენთან ერთად მღეროდნენ და ყვიროდნენ – სისაა! ბელგიაში, ქალაქ ანტვერპენში ჩვენს სოლო კონცერტს დაესწრო ჩვენი უსაყვარლესი ადამიანი, გია ყანჩელი. პირადად მე ამ კონცერტზე მხოლოდ მისთვის ვმღეროდი და თითოეულ მის მიმიკასა თუ ჟესტს ვაკვირდებოდი. ბატონმა გიამ თქვა ერთი სიტყვა – გენიალურია! – ეს ჩვენთვის ყოველგვარ ჯილდოზე მეტია. იმავე ქალაქში გავიცანით კაცი, რომელიც გახლავთ „სახალხო ჰიმნის“, „სამი დალიეს“ ავტორი. ის ისრაელში ცხოვრობს და იმ დღეს ბელგიაში გახლდათ ჩამოსული. „ღამის შოუში“ სწორედ ეს სიმღერა შევასრულეთ. ავტორს ეს გადაცემა უნახავს. რომ გაგვიცნო, გვეხუმრებოდა – თქვენ გენაცვალეთ, როგორ დამცინოდითო?

— ჰოლანდიაში ალბათ თაყვანისმცემლების მთელი არმია გეყოლებათ...

– კონცერტის დროს მოვწონებივარ ერთ ჰოლანდიელს. დაწვრილებით გამოუკითხავს ჩემ შესახებ და თბილისური კოორდინატებიც დაუდგენია. ერთ მშვენიერ დღეს უცნობი თაყვანისმცემლისგან უზარმაზარი ამანათი მივიღე. ეს გახლდათ ძალზე დიდი ყუთი, რომელიც სავსე იყო ტანისამოსით, ჩანთებით, სუნამოებით, ტკბილეულით, არც თმის საშრობი ფენი დავიწყებია და არც სხვა წვრილმანი. ყველაფერი ძალზე გემოვნებიანად იყო შერჩეული.

— ალბათ, ცოტა ხანში თვითონაც გამოჩნდება...

– არ ვიცი, შესაძლოა, მართლაც გამოჩნდეს, მაგრამ მე კონტრაქტით 2 წლის განმავლობაში გათხოვება მეკრძალება...

— შენ ამის გამო პროტესტი არ გამოგითქვამს?

– არა, რადგან ჯერჯერობით არავინაა ისეთი, ვისზეც სერიოზულად ვფიქრობ. ჯერ სიყვარულის მოლოდინში ვარ. ვოცნებობ დიდ, ლამაზ ქორწილზე, სადაც მე თეთრი კაბა მეცმება და ძალზე ბევრი თეთრი და ბაცი ვარდისფერი ვარდი იქნება. ერთ საინტერესო ამბავს მოგიყვებით. 13

თებერვალს, ღამით, როდესაც ვალენტინობა თენდებოდა, ტელეფონზე დამირეკა ერთმა ადამიანმა და მთხოვა, 5 წუთში ფანჯარაში გამეხედა. ჩემი ფანჯრის ქვევით 8 ბიჭი იდგა გიტარით ხელში და მიმღეროდა. გამვლელი მანქანები უსიგნალებდნენ და შეძახილებით ამხნევებდნენ – ყოჩაღ, ბიჭებო!.. მიდით, ბიჭებოო!.. თავი ფილმის გმირი მეგონა, არ დაგიმალავთ, რომ ასეთ მომენტზე მიოცნებია კიდეც. 5 სიმღერა შეასრულეს და წავიდნენ... ყოველ დილით კუს ტბაზე სავარჯიშოდ დავდივარ ხოლმე. 8 მარტს, დილით ფანჯარაში გავიხედე, რომ მენახა, როგორი ამინდი იყო. თვალში მომხვდა ასფალტზე დაწერილი ჭრელი ასოები, დავაკვირდი – „ლელა, ასე რომ ვინმეს ვუყვარდე, ცოლად გავყვებოდი. შეიყვარე!“ – ასეთი ტექსტი ეწერა. მანქანას ხან ერთ ავტოსადგომზე ვაჩერებ ხოლმე, ხან – მეორეზე. ორივეს შესასვლელში ეწერა – „შეიყვარე!“ იმ დღესვე პეკინზე მანქანით მიმავალმა შევნიშნე, რომ რამდენიმე ბილბორდზე იგივე სიტყვა ეწერა. ორი კვირის განმავლობაში სადაც კი ფეხს დავადგამდი, ყველგან ეს სიტყვა ეწერა. მობილურზე სხვადასხვა ნომრიდან მესიჯები მოდიოდა და იქაც „შეიყვარე“ ეწერა... ლამის გავგიჟდი. ეს ლამაზი სიურპრიზი ერთმა კარგმა პიროვნებამ მომიწყო. ის შემპირდა – სადაც გაივლი, ყველგან თავს შეგახსენებო და ასეც მოიქცა... ■

ლელა წურწუმიას პრეზიდენტებისგან კომპლიმენტების აგროვებს

ლელა წურწუმიას სილამაზის სალონში საკმაოდ უჩვეულო ფორმაში წავაწყდი. სპორტულ შარვალსა და ბოტასებში გამოწყობილი მომღერალი, რაღა დაგიმალოთ და, უმაკიაჟოდ ძალზე სიმპათიურად გამოიყურებოდა... ჩემს მისვლამდე თურმე, სწორედ ჯორჯ ბუშზე ლაპარაკობდა და როდესაც აშშ-ის პრეზიდენტის ვიზიტზე ვკითხე, თვალები გაუბრწყინდა. სკამი მივაჩოჩე და ფენის გუგუნის ფონზე დავიწყეთ საუბარი.

სოფო ყარალაშვილი

— ვერ აღგიწერთ იმ ემოციას და სიხარულს, რომელიც იმ დღეს განვიცადე. წარმოიდგინეთ, რამდენად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ასეთ პატარა ქვეყანას მსოფლიოში ნომერ პირველი პოლიტიკოსი ეწვია.

— ალბათ, განსაკუთრებულად ემზადებოდი პრეზიდენტ ბუშის ვიზიტისთვის. რა შედიოდა ამ სამზადისში?

— დათო დოიაშვილმა ერთი თვით ადრე მითხრა, რომ ამ კონცერტში უნდა მიმეღო მონაწილეობა. დავიწყეთ ფიქრი, თუ რა სიმღერა შემესრულებინა, თანაც ეს უნდა ყოფილიყო აუცილებლად ფოლკი *(ხალხური. — ავტ.)*. შეირჩა სიმღერა, რომლის ჩაწერაც ანსაბლ „ფესვებთან“ ერთად ახალი დამთავრებული მქონდა. რასაკვირველია, მჭირდებოდა კოსტიუმი სპეციალურად ამ კონცერტისთვის. ის კაბა, რომელიც მეცვა, ჩემი დიზაინით შევიკერე და სხვათა შორის, თმაც სწორედ ამ სალონში დავივარცხნე.



— ვიზიტის დღეს როგორ გაიხსენებთ?

— ისეთი ამბავი იყო, მონაწილეებსაც გვაკონტროლებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ წვიმდა, ჩვენ არ გვქონდა უფლება, მივსულიყავით ქოლგით, არ შეიძლებოდა, გვკეთებოდა რამე სამკაული, თმის სამაგრი — მოკლედ, ისეთი ნივთი, რომელიც შეიძლება, ადამიანს შეარჭო... მოცეკვავეებს, რომლებიც „ქართულს“ ცეკვავდნენ, ხანჯლები ჩამოართვეს... თავდაპირველად, დაგეგმილი იყო 6 სცენა, წარმოგიდგენიათ, ეს რა იქნებოდა!.. პირველად ბუში მანქანაში დავინახე, როდესაც მისი ესკორტი გამოჩნდა. მე „ფესვებთან“ ერთად სცენაზე ვიდექი. ძალიან ავღელდი. ბატონმა პრეზიდენტმა რომ დამინახა, ჩემკენ წამოვიდა, კიბეზე ჩავირბინე და შევხვდი, ხელი ჩამომართვა, ვიგრძენი როგორ მომიჭირა ხელი; მახსოვს, ცხელი ჰქონდა. მოვიკითხე, მან კი მითხრა — რა ლამაზი ხარო!..

— მამულიჩამ ხომ არ იეჭვიანა?

— რას ამბობთ?!. კახა ამ ყველაფერს ტელევიზორით ადევნებდა თვალყურს, მითხრა — რამდენიმე კაცი ერთად ვუყურებდით, ვეცით ერთმანეთს და გადავკოცნეთო.

— თქვენი კოლეგები ხომ არ განაწყენებულან, ვინც ამ კონცერტში არ მონაწილეობდნენ?

— არ ვიცი, მათ შესთავაზეს თუ არა მონაწილეობის მიღება. ისე კი, მეორე დღეს შევხვდი ჩემს კოლეგებს და არ შემიმჩნევია უარყოფითი დამოკიდებულება ჩემ მიმართ, იმის გამო, რომ იქ მე მოვხვდი და ისინი — არა.

— მანამდე თუ შეხვედრიხართ მ ღალი რანგის სახელმწიფო მოღვაწეებს?

— პირისპირ ისრაელის პრეზიდენტს შევხვედრივარ, როდესაც ბატონი მიხეილი ვიზიტით იყო წასული ისრაელში. ვახშამზეც გახლდით მიწვეული. თუმცა, ასეთი ემოცია იქ არ განმიცდია.

— საქართველოს პრეზიდენტს თუ უთქვამს კომპლიმენტი თქვენთვის?

— 6 მაისს, აჭარის რევოლუციის წლისთავზე, პრეზიდენტმა წამიყვანა ბათუმში. რა თქმა უნდა, სასაუბროდ საკმაო დრო გვქონდა. მითხრა — როცა საშუალება მაქვს, ყოველთვის ვისმენ შენს სიმღერებსო... მისი ის ინტერვიუ არ მინახავს, მაგრამ ვიცი, ტელევიზიით ერთ-ერთი გამოსვლისას უთქვამს — ჩემი საყვარელი მომღერალი ლელა წურწუმიაოო... ■

ვაკანსია

შპს „არტი“, Procter&Gamble-ისა და Gillette-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში იწვევს 24 წლამდე ასაკის ვაჟებს სავაჭრო წარმომადგენლის თანამდებობაზე

კონკურსანტთა შერჩევა მოხდება ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, ავტობიოგრაფია (CV) გამოგზავნოთ ფაქსზე: 94-18-94. ელ. ფოსტაზე: vacansy@arti.ge

რესპუბლიკელები პრეზიდენტისთვის სახიფათო გეგმას ამზადებენ

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, დავით ბერძენიშვილს აჭარის რევოლუციის წლისთავზე შევხვდი, იმ დღის სწორს, როცა პრეზიდენტმა სააკაშვილმა ხალხს აუწყა — „ასლანი გაიქცა, აჭარა თავისუფალია!“ ლოზუნგის — „აჭარა ასლან აბაშიძის გარეშე!“ — ავტორი, გარკვეული მიზეზების გამო, მშობლიურ რეგიონს არ სტუმრებია. აჭარა არა მარტო აბაშიძის, იმ დღეს, რევოლუციონერი ბერძენიშვილის გარეშეც დარჩა — ის თბილისიდან ადევნებდა თვალყურს მოზეიმეთ და იტალიაში, ქალაქ ტრიერში პოლიტიკურ კონფერენციაზე წასასვლელად ემზადებოდა...

ნანა ფიცხელაური

— ასლან აბაშიძესთან ბრძოლის წარმატებით დამთავრებისგან სრული მორალური, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური კმაყოფილება უკვე მივიღე და არ ვაპირებ, დარჩენილი ცხოვრება გავატარო ნირვანაში — რა კარგია, ასლან აბაშიძე რომ გავაგდეთ-მეთქი... არაფერი საზეიმო არ გვაქვს. არ მიმაჩნია, რომ საქართველოში 23 ნოემბერი და 6 მაისი, 7 ნოემბრისა და პირველი მაისის დარად აღსანიშნავი უნდა იყოს. არ მინდა, საქართველო საბჭოთა კავშირს დაემსგავსოს. ჩვენ წარსულის ტყვეობაში კი არ უნდა დავრჩეთ, არამედ მომავალზე უნდა ვიყოთ ორიენტირებული. ყველა უსახური კლიპი, რომელსაც ხელისუფლება ამ დღეებში უჩვენებს, გარკვეული კომპლექსის გამოვლინებაა — ემანდ, ვინმე არ ჩამეზიაროს წარმატებაშიო... მე არ მესწავლება, რომ ასლანი ცუდი იყო. არც „აღორძინებაში“ ვყოფილვარ და არც „მოქკავშირში“, არასოდეს დამითვლია ასლანის თხები და ძაღლები და არც შეურაცხყოფა ამიტანია მისგან — საქართველოს ხელისუფლების პირველი პირებისგან განსხვავებით.

— თუმცა, ამ პირებთან კარგა ხანს, ერთ ბლოკში იყავით გაერთიანებული და პოლიტიკურ ჭირსა თუ ლხინს იზიარებდით...

— შევარდნაძის და აბაშიძის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური პროცესების დროს, საჭირო იყო ქართული დემოკრატიული ძალების ერთიანობა. სააკაშვილთან მჭიდრო კავშირის გარეშე — შევარდნაძის წინააღმდეგ, ხოლო რესპუბლიკელების გარეშე — აბაშიძის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელი გახლდათ. ეს იყო ინტერესთა თანხვედრა. ჩვენი ლოზუნგის რეალიზაციისთვის, ერთად ყოფნა იყო საჭირო. ამ პრაგმატული ერთიანობის შემდეგ, თუ სააკაშვილი ივარგებდა და „იჰაველებდა“, ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდებოდა. თუმცა, ამის ალბათობა დაბალი იყო და ბუნებრივია, რომ დღეს ოპონენტები ვართ. აჭარაში რესპუბლიკელებისადმი ხელისუფლების დამოკიდებულება არაფრით განსხვავდება იმისგან, რაც აბაშიძის დროს იყო, უბრალოდ, დღეს ჩვენ იქ უფრო მყარად ვდგავართ ფეხზე.

— მაინც რამ გამოიწვია თქვენი დაშორიშორება?

— სააკაშვილის ინიციატივით, საქართველოს პარლამენტმა აჭარისთვის სამარცხვინო სტატუსი მიიღო. ამ სტატუსით ერთი სოფლის მართვაც კი არ შეიძლება. ისიც სამარცხვინო იყო, რომ პრეზიდენტმა აჭარის ხელმძღვანელად დანიშნა კაცი, რომელსაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღია დემოკრატიულ პროცესებში. სამარცხვინო იყო გაყალბების აუტანელი მასშტაბი აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნების დროს. ჩვენ მინიმუმ 7 ადგილი წაგვართვეს, რომელსაც ახლა ვიბრუნებთ — „ნაციონალები“ ნელ-ნელა გადმოდიან ჩვენ მხარეზე, იმიტომ, რომ ღირსეული ადამიანისთვის იქ ყოფნა გაუსაძლისი ხდება. ჩვენ გვინდა მაღალი ხარისხის დემოკრატია, სააკაშვილს კი, დემოკრატიასთან მიმართებაში პრობლემები აქვს. ამის კონკრეტული გამოვლინებები იყო: აჭარის სტატუსი, საკონსტიტუციო ცვლილებები, საკადრო პოლიტიკა, „მხედრიონის“ ტიპის საძმოების ჩამოყალიბება „ნაცმოძრაობის“ „ჭერქვეშ“, წილების გადანაწილება. ბევრი ცუდი პროცესი მიმდინარეობდა, რომელსაც ვუპირისპირდებოდით. ამასთან, ყოველთვის ვინარჩუნებდით ობიექტურობას — მაგალითად, არ დავფიქრებულვართ იმაზე, თუ რამდენად პოპულარული იქნებოდა განათლების რეფორმა და უმალ მხარი დავუჭირეთ მას. არსებობს საკითხები, სადაც ჩვენ შორის სრული კონსენსუსია. მე ვიყავი ზვიად გამსახურდიას მწვავე ოპონენტი, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ჩემთვის, რომ მასთან ერთად ხელი მომეწერა დამოუკიდებლობის აქტისთვის — ისევე, როგორც შევარდნაძესთან ერთად, ხელი მომეწერა კონსტიტუციისთვის. ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში, არსებობს საკითხები, რომლებშიც საერთო ნაციონალური ინტერესების თანხვედრაა... მთავარი ამოცანა, ქვეყანაში ნორმალური არჩევნების ჩატარებაა. ამდენი ხანია, ბათუმსა და სხვა ოლქებში არჩევნებს არ ნიშნავენ — ეშინიათ, რომ წააგებენ. ახლა, შემოდგომისთვის გადაიტანეს, ვითომ ხალხი შემოდგომაზე უფრო კმაყოფილი იქნება ცხოვრებით... ხელისუფლებისთვის განსაკუთრებით მძიმე იქნება ბათუმის არჩევნები. წაგების შემთხვევაში, იქ უკვე პრაქტიკულად, აღარ დარჩება საპარლამენტო უმრავლესობა — თუ, რა თქმა უნდა, შედეგები არ გააყალბეს. პრეზიდენტს არაფრით არ უნდა არც თბილისში და არც ბათუმში მერების არჩევითობის დაშვება, ვინაიდან მოგების შანსი არა აქვთ. ასე თუ ისე, თვითმმართველობის არჩევნები იქნება სასინჯი ქვა მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის. ხელისუფლება უნდა შეეჩვიოს იმას, რომ იმოქმედოს კონკურენტულ რეჟიმში — ხან მოიგებს, ხან — წააგებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისევე მოყვება ნანგრევებში, როგორც შევარდნაძე — „მოქკავშირის“, აბაშიძე — „აღორძინების“ ნანგრევებში მოყვნენ. ასე რომ, ერთპარტიული სისტემის ჩამოყალიბების პერსპექტივა ქვეყანაში არ არსებობს და ყოველგვარი მცდელობა კრახით დამთავრდება. სააკაშვილი ვერაფერს ისეთს ვერ დააშავებს, რომ შევარდნაძეზე უარესი იყოს; ვერც იმას ვინატრებ — ნეტავ, შევარდნაძის დრო დაბრუნდეს-მეთქი. თუ ჩვენ გამოვიყენებთ გარკვეული პოლიტიკური პლურალიზმის შესაძლე-

ბლობებს, ქვეყანა ფეხზე დადგება.

— არც მერობას აპირებთ?

— ბათუმის მერის არჩევნებში ალბათ კენჭს ვიყრი. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ტიპის არჩევნები იქნება და რა უფლებამოსილების მერი აირჩევა. როგორც ჩანს, სააკაშვილს აქვს კომპლექსი — არ უნდა, წარმატებები სხვებს გაუზიაროს: სარეკლამო რგოლებში პრეზიდენტის გარდა, რევოლუციის არც ერთი ლიდერი არ ჩანს, მხოლოდ პრეზიდენტი და ხალხი!.. ასეთი დამოკიდებულება ახასიათებს მოდიქტატორო პრეტენზიების მქონე ადამიანს. XXI საუკუნის დასაწყისია და მიშა დიქტატორი ვერ გახდება. ვფიქრობ, არც ამის სურვილი უნდა ჰქონდეს. ძალიან დიდი წინააღმდეგობაა, სააკაშვილის პიარმიდრეკილებებსა და რეალურ მდგომარეობას შორის. გული მწყდება, რომ სააკაშვილი დემოკრატიულობის შესაძლებლობებს არ იყენებს და მოსდის ინტელექტუალური შეცდომა — მიაჩნია, რომ ნახევრად დემოკრატიით და ნახევრად ავტორიტარული მმართველობით შესაძლებელია ფონს გასვლა. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდაა, მისი მიღწევები (23 ნოემბერი და 6 მაისი) წარსულში დარჩა. ადამიანი არ უნდა იყოს საკუთარი დამსახურებების — ისევე, როგორც შეცდომების ტყვეობაში. ის ვერ გათავისუფლდა შევარდნაძესთან ურთიერთობის შეცდომის ტყვეობიდან, უფრო მეტიც — მიაჩნია, რომ სწორად იარა, რაღაც მომენტი დაიჭირა და ოპოზიციაში გადავიდა. არ მინდა, ჩემი სამომავლო წარმატება სააკაშვილის პარტიის სისუსტეზე ავაგო. რაც უფრო ნორმალური იქნება ხელისუფლება, მით უკეთესი იქნება მისი ოპოზიცია. ჩვენ ამერიკელებისა და ევროპელებისთვის მაშინ ვიქნებით პარტნიორები, როცა მაღალი სტანდარტების დემოკრატია გვექნება. ვისურვებდი, ამ 4 წელიწადში სააკაშვილი არ იყოს წარუმატებელი პრეზიდენტი. თუმცა, მისი გათვლები 9 წელზეა გაკეთებული... 4 წლის მერე, თუ ის წარმატებას მიაღწევს, არჩევნებს მოიგებს, თუ ვერა — ეყოლება ალტერნატივები. სააკაშვილი კი არა, ჩერჩილმა ომი მოიგო და უთხრეს — წადი სახლში, დაისვენეო...

— მართლა მოხდა თუ არა რევოლუცია აჭარაში და მართლაც, 60 მილიონი დაჯდა თუ არა ის?

— როგორც თბილისის, ისე ბათუმის მოვლენებს არჩევნებში გამარჯვება უძღოდა წინ. შევარდნაძემაც და აბაშიძემაც არჩევნები წააგეს. როგორც 2 ნოემბერი იყო 23 ნოემბრის წინაპირობა, ისე 28 მარტი — 6 მაისის... ათეულობით მილიონზე ლაპარაკი აბსურდია. საიდან მოვიდნენ ის ადამიანები, რომლებმაც, დიდი რისკის მიუხედავად, ხელისუფლების წინააღმდეგ მისცეს ხმა და აბაშიძის წასვლის მოთხოვნით გამოვიდნენ ქუჩაში 5 მაისს?!. საქართველოს ხელისუფლებამ, რა თქმა უნდა, ბევრი იმუშავა აბაშიძის სისტემის რღვევისათვის — ვიღაცა გადმოიბირეს, ვიღაცა — იყიდეს, ვიღაცა — აბაშიძისგან წამოვიდა და ამათ მიიღეს... იმ პერიოდში, ამ სახელისუფლებო პროცესების კოორდინატორი, ვანო მერაბიშვილი იყო და ამ საკითხებზე კარგად მუშაობდა, მაგრამ ეს იყო დამხმარე ფაქტორი იმისათვის, რომ აჭარა ყოფილიყო აბაშიძის გარეშე.

— დღეს ბევრს ლაპარაკობენ ვარშალომიძის კლანზე და იმაზეც, რომ აჭარაში ახალი „ასლანიზმის“ საშიშროებაც კი არსებობს...

— ვარშალომიძეს არა აქვს შესაძლებლობა, რომ მარწუხებში მოაქციოს პოლიტიკური ოპონენტები და აჭარის საზოგადოება. მისი კლანი არ არის ასლანის კლანის ტოლფასი, თუმცა, სანათესავო კლანის ჩამოყალიბების ტენდენცია შეინიშნება. ვარშალომიძე ძალზე სუსტი მმართველია. სწორედ ამიტომაც აირჩიეს და ამიტომ აქვს ასეთი სტატუსიც — პრეზიდენტი ნიშნავს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და თუ უზენაესი საბჭო მას არ დაამტკიცებს, საბჭოს გარეკავს... ასლანისთვის გარანტიებს, მის მიერ ჩამოყალიბებული რეჟიმი და რუსეთთან ურთიერთობა წარმოადგენდა. ლევან ვარშალომიძის ხელისუფლების გარანტიას მხოლოდ სააკაშვილი წარმოადგენს. ერთი წკიპურტი უნდა მისგან, რომ აღარ იყოს... ვარშალომიძეს აჭარაში არავითარი საყრდენი არ გააჩნია, ამიტომაც არის სუსტი. სააკაშვილის ბლოკში ყოფნის მიუხედავად, ჩვენ მისთვის შინაურები არ ვყოფილვართ, განსაკუთრებით — 23 ნოემბრის შემდეგ, როცა ჩვენთან კონტაქტი გაწყვიტა. ამის აფიშირება არ შეიძლებოდა, ვინაიდან ასლანის წინააღმდეგ ბრძოლისას, ერთად უნდა ვყოფილიყავით, მით უმეტეს, როცა ამ ბრძოლაში, რესპუბლიკელების გარდა, მისი ტოლფასი სხვა რესურსი სააკაშვილს არ ჰქონდა.

— ამბობენ, აჭარაში ბევრი პოზიტიური რამ გაკეთდა. თქვენი აზრით, პოლიტიკური ცვლილებები დაეტყო თუ არა ეკონომიკურ მდგომარეობას და საერთოდ, როგორ შეაფასებთ განვლილ წელიწადს?

— კარგი მხოლოდ ის არის, რომ აბაშიძე აღარ არის და აჭარაში თავისუფლად სუნთქვა შეიძლება. ეკონომიკურს რაც შეეხება, არანაირი წინსვლა არ არის. ბათუმი საკმაოდ უსიამოვნო სანახავია საღამოობით. ადრე, კაფე-რესტორნები მაინც მუშაობდა... ახლა მოსახლეობა დამსვენებლებს ელოდება. აჭარის ბიუჯეტიდან ერთი თეთრიც არ გამოიყოფა მცირე ბიზნესისთვის კრედიტების გასაცემად. ეკონომიკური კონკურენციისთვის ნორმალური პირობები არ არსებობს. ზღვის პირას უზარმაზარი ქონება ჩალის ფასად იყიდება და ამ ქონებას თავად ნომენკლატურა ყიდულობს... ეს ხელისუფლება დიდხანს ვერ გაძლებს. პირველი რეგიონი, სადაც სააკაშვილის ხელისუფლება წააგებს, აჭარა იქნება. თბილისის შემდეგ, ყველაზე მაღალი პოლიტიკური კულტურით ბათუმი გამოირჩევა და ოპოზიციაც ძლიერია, საზოგადოებასთან ერთად.

— საკუთარ გამარჯვებაში ძალზე დარწმუნებული ჩანხართ. იქნებ, მომავალი არჩევნებისთვის ახალი ლოზუნგიც გაქვთ მოფიქრებული, რომელიც ისეთივე პოპულარული გახდება, როგორიც წინამორბედი?

— დარწმუნებული იმიტომ ვარ, რომ ბათუმში ყველა გამოკითხვა ჩვენს უპირატესობაზე მიანიშნებს. ბათუმში არასოდეს წაგვიგია არჩევნები, გამსახურდიას დროსაც კი. ჩემი სურვილია, საქართველოს ხელისუფლება ისე იქცეოდეს, რომ გადატრიალებას და რევოლუციებს ამ ქვეყანაში წერტილი დავუსვათ. ლოზუნგს რაც შეეხება — ჯერ არ ვიცი... ლოზუნგები ჩვეულებრივ, იქმნება სოციალური შეკვეთის ამოსაცნობად — იმისა, თუ რა უნდა და რა მოთხოვნები აქვს ხალხს. ლოზუნგების — „საქართველო შევარდნაძის გარეშე!“ და „აჭარა აბაშიძის გარეშე!“ — ანალოგი მანამდე სხვაგან იყო გამოყენებული. მერე ჩვენ ავიღეთ. მე ვთქვი და სააკაშვილიც მიხვდა, რომ ეს იყო სოციალური შეკვეთა. მინდა, მომავალი არჩევნები იყოს პოზიტიური და არა ყველაზე ეფექტური ნეგატიური ლოზუნგების კონკურენცია.

— ბათუმში ბინა რატომ გაყიდეთ?

— ბათუმში ბინა აღარ მაქვს, გავყიდე იმიტომ, რომ იმ ფულით თბილისში მეყიდა საცხოვრებელი... ვცხოვრობ საბურთალოზე ნორმალურ, სამოთახიან ბინაში. ბევრს უკვირს, რომ პოლიტიკაში ამდენი ხნის ყოფნის მიუხედავად, ვერ „გავკეთდი“... ბედს არ ვემდური — პარლამენტში მაღალი ხელფასი მაქვს. მყავს მეუღლე, ნინო ინწკირველი და 3 შვილი — 2 ვაჟი და 5 წლის გოგონა. უფროსი ვაჟი 6 მაისს, 17 წლის გახდა, ის მედიაკოლეჯში სწავლობს, მომავალი ჟურნალისტი გახლავთ. შარშან, აბაშიძემ შვილის დაბადების დღეს, მისი საქართველოდან წასვლა „მომიძღვნა“, მანამდე ცოცხალი თავით არ მიდიოდა. ორმაგად ბედნიერი ვიყავი იმ დღეს.

■

მამინაცვალმა 5 წლის გერი სიცოცხლეს გამოასალმა

განსასჯელის სისასტიკით აღშფოთებულმა მოსამართლემ სასიკვდილო განაჩენი წარბშეუხრელად წაიკითხა

ეს შემზარავი ამბავი 1992 წლის 6 იანვარს, ახმეტის რაიონის ერთ-ერთ სოფელში მცხოვრებ თვალაბეიშვილების (ყველა მოქმედი პირის გვარ-სახელი შეცვლილია) ოჯახში მოხდა. ოჯახის უფროსმა — 37 წლის თენგიზ თვალაბეიშვილმა საკუთარ სახლში საშინელი დანაშაული ჩაიდინა. როგორც მის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმის მასალებშია აღნიშნული, უმნიშვნელო მიზეზით გაღიზიანებული, მთვრალი თვალაბეიშვილი ისე გაავდა და გამხეცდა, რომ იმ დროს მასთან ერთად მარტოდმყოფ მცირეწლოვან გერს — 5 წლის გიორგი კახნიაშვილს სასტიკი წამებით ამოხადა სული. ნანახით გაოგნებული და შოკში ჩავარდნილი მოწმეები, ექიმები თუ სამართალდამცველები ამბობდნენ, რომ ბავშვი განსაკუთრებული სადიზმით იყო მოკლული.

მეგი ცანავა

პროკურატურის მასალების თანახმად, მამინაცვალმა პატარა გიორგი ჯერ დაშანთა, შემდეგ კი — ცემით სიკვდილის პირას მიიყვანა. ნაცემი ბავშვი მეორე დილით, თელავის ბავშვთა საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში გარდაიცვალა...

დანაშაულის მიზეზის თაობაზე იმ დროს, ბევრს ლაპარაკობდნენ. მოწმეები პროკურატურასა თუ სასამართლოში დაკითხვისას აღნიშნავდნენ, რომ თვალაბეიშვილი გერის მიმართ ყოველთვის გადაჭარბებულ სიმკაცრეს იჩენდა, ხშირად სცემდა და სადისტური მეთოდებით სჯიდა მას. ამბობდნენ იმასაც, რომ მამობილი გერს დაიმარტოხელებდა თუ არა, მაშინვე წიხლებს ურტყამდა, შემდეგ კი, ატირებულ ბავშვს საქონლის სადგომში პირუტყვთან ერთად საათობით ამწყვდევდა. როგორც მეზობლები აღნიშნავდნენ, გერისა და მამობილის ურთიერთობას ბავშვის დედა ვერ არეგულირებდა, რადგან თავადაც ხშირად ხდებოდა ქმრის მუქარისა და ტერორის მსხვერპლი.

გამოძიების მასალებში არსებული ჩვენებების თანახმად, თენგიზ თვალაბეიშვილი ოჯახში მსგავს სისასტიკეს მაშინ იჩენდა, როცა ნასვამი იყო. საქმის სასამართლო განხილვისას, მისი შეურაცხადობის საკითხიც დადგა, მაგრამ ექსპერტმა-ფსიქიატრებმა კატეგორიულად გამორიცხეს განსასჯელის ფსიქიკური დაავადების ფაქტი. მათი თქმით, სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზისთვის შესასწავლად გადაცემული მასალებიდან ჩანდა, რომ თვალაბეიშვილი სავსებით გაცნობიერებულად სჩადიოდა დანაშაულს, მას შეეძლო, მოსალოდნელი მძიმე შედეგის გათვალისწინებაც მაშინ, როდესაც ბავშვს სასტიკად სცემდა და აწამებდა. აღსანიშნავია ისიც, რომ თვალაბეიშვილი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აღრიცხვაზე არასდროს ყოფილა. აქედან გამომდინარე, ის სრულიად ჯანმრთელად ცნეს. ფსიქიკურ მოშლილობას თავად განსასჯელიც და მისი ადვოკატიც უარყოფდნენ. ისინი პროკურატურის მიერ წაყენებულ ბრალს კატეგორიულად უარყოფდნენ. თვალაბეიშვილი თავს სრულიად უდანაშაულოდ აცხადებდა და გამოძიების მიერ დაფიქსირებულ ფაქტებს არ ადასტურებდა. მაგრამ მისი პოზიცია არც პროკურატურამ და არც სასამართლომ არ გაიზიარა. ჩადენილ დანაშაულში მამობილი, მეზობლებისა და ექიმების წინაშე თავად მომაკვდავმა ბავშვმა ამხილა და ამ მტკიცებულებას განსასჯელი და მისი ადვოკატი ვერსად გაექცნენ. ყველაფერთან ერთად, სასამართლო იმაზეც ამახვილებდა ყურადღებას, რომ თენგიზ თვალაბეიშვილი წარსულში სამჯერ გახლდათ ნასამართლევი, სხვადასხვა განზრახ დანაშაულისთვის, მათ შორის — ხულიგნობისა და სხეულის განზრახ, მძიმე დაზიანებისთვის. ყოველივე ეს, მოსამართლის თქმით, განსასჯელის აგრესიულობასა და კრიმინალური დანაშაულისადმი მის მიდრეკილებაზე მიუთითებდა.

ოფიციალური ცნობების თანახმად, თვალაბეიშვილს ჯერ ახმეტის რაიონულმა სასამართლომ მიუსაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო შემდეგ — ორჯონიკიძის სასამართლომ შეუფარდა 8 წლით პატიმრობა, მკაცრი რეჟიმის კოლონიაში სასჯელის მოხდით. 1989 წელს, ის კვლავ წარდგა სამსჯავროს წინაშე მორიგი დანაშაულისთვის. მაშინ ახმეტის რაიონის სასამართლომ მას 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ბოლო სასჯელისგან თვალაბეიშვილი 1990 წელს გათავისუფლდა. სამართალდამცველები აღნიშნავდნენ, რომ ის მაინც არ დაადგა გამოსწორების გზას, არსად მუშაობდა და უფრო მეტიც, სწორედ ციხიდან ახლად გათავისუფლებულმა, გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალაც შეიძინა. ჩაიდინა თუ არა რაიმე დანაშაული აღნიშნული იარაღით თვალაბეიშვილმა — ეს პროკურატურისთვის უცნობი დარჩა. მათ ავტომატი და ვაზნები, გიორგი კახნიაშვილის მკვლელობის მეორე დღეს, თვალაბეიშვილის ბინაში ჩატარებული ჩხრეკისას აღმოაჩინეს. აღსანიშნავია, რომ იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონოდ შეძენა-შენახვას არც თვალაბეიშვილი უარყოფდა. მისი თქმით, ავტომატი და ვაზნები თელავის რაიონში მოწყობილი ერთ-ერთი პიკეტის დროს ამოიღო უცნობი პირის ავტომანქანიდან. თვალაბეიშვილი აღნიშნავდა, რომ იარაღი არასდროს გამოუყენებია, მას უბრალოდ, სახლში ინახავდა... პროკურატურამ მას, განზრახ დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის მუხლთან ერთად, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონოდ შეძენა-შენახვის მუხლიც წაუყენა.

საქმის მასალების მიხედვით, თენგიზ თვალაბეიშვილი სოფელში თავის

მეუღლესთან, ლამარა მენთეშაშვილთან ერთად ცხოვრობდა. მათ ოჯახში იზრდებოდა, ამ უკანასკნელის ვაჟიშვილი – გიორგი, თუმცა ლამარა მენთეშაშვილს პირველი ქმრისგან კიდევ 2 შვილი ჰყავდა. ბავშვებზე მისი ყოფილი მეუღლე – თამაზ კახნიაშვილი ზრუნავდა, მიუხედავად იმისა, რომ მათი განქორწინების შემდეგ, სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, სამივე შვილთან ცხოვრება და მათი აღზრდა დედას დაეკისრა.

როგორც გამოძიების მასალებშია აღნიშნული, შემთხვევის დროს, ბავშვის დედა შინ არ იმყოფებოდა. ფაქტი 1992 წლის 6 იანვარს, საღამოს, დაახლოებით 21 საათსა და 30 წუთზე მოხდა. გერთან მარტოდმყოფმა მთვრალმა მამობილმა, უმნიშვნელო მიზეზით გაღიზიანებულმა, ბავშვს წამება დაუწყო. ჯერ უყვირა და ცემის მუქარით, თავისთან მიიხმო შეშინებული გერი. მიახლოებულ ბავშვს ანთებული სიგარეტით სამ ადგილას ამოუწვა ზურგი, შემდეგ, შარვალი გაახდევინა და შიშველი მუხლები გახურებულ ღუმელზე მიადებინა. სიმწრისა და ტკივილისგან ატირებულ ბავშვს, კიდევ უფრო ტანჯავდა. ნუ ტირიო! – უყვიროდა და ღუმელზე მუხლების გაჩერებას აიძულებდა. როგორც ექიმები აღნიშნავდნენ, ბავშვმა პირველი და მეორე ხარისხის დამწვრობები მიიღო. გამხეცებული მამობილი ამასაც არ დასჯერდა და განაწამებ ბავშვს ხელით ააგლიჯა მუხლებიდან, დამწვარი კანის ზედაპირი. იმისთვის, რომ მისი ტანჯვა-წამება გაეგრძელებინა, დაავალა, სახლის მეორე სართულიდან თავისი სპორტული შარვალი ჩამოეტანა, ჩაეცვა და დასისხლიანებული ფეხები დაეფარა... დაუძლურებულმა ბავშვმა დავალების შესრულება ვეღარ შეძლო. ფიზიკური უმწეობის გამო კიბეზე ვეღარ ავიდა და იქვე წაიქცა. ამით კიდევ უფრო გაღიზიანებულმა მამობილმა გერს ფეხის დარტყმით სხეულის სხვადასხვა ადგილას მძიმე ხარისხის მრავალი დაზიანება მიაყენა. ბავშვს წიხლები ურტყა – როგორც თავში, ასევე მუცლის არეშიც. ექიმების თქმით, დაზიანებები სიცოცხლისთვის საშიში იყო. ცემის შედეგად, ბავშვს გაგლეჯილი ჰქონდა ელენთა და თხემ-კეფის დაზიანებაც აღენიშნებოდა.

როგორც გამოძიების მასალებიდან ჩანს, გიორგი კახნიაშვილი მაშინვე არ გარდაცვლილა. მამობილმა, ალბათ მას შემდეგ, რაც მას სადიზმის შეტევა ცოტა ჩაუცხრა, ბავშვი საწოლში ჩააწვინა და დაძინება უბრძანა. მეორე დილით, გამთენიისას, თვალაბეიშვილის სახლში მეზობელი – ტარიელ დათუკაშვილი მივიდა.

დათუკაშვილის ჩვენებიდან:

„თენგიზი ეზოში დაკლულ ბურვაკს ამუშავებდა. მე რაღაც საოჯახო ნივთი მჭირდებოდა და მის ასაღებად სახლში ჩემი ინიციატივით შევედი. ქვედა სართულზე, ოთახში, საწოლზე მწოლიარე გიორგი ვნახე. უგონოდ იწვა. ბავშვის ფერი არ მომეწონა და მივუახლოვდი. სახე მთლად გაჰყვითლებოდა. ხელით შევანჯღრიე. გიორგი-მეთქი, – დავუძახე. თვალები გაახილა და მითხრა – მუცელი მტკივაო. საბანი გადავხადე და ვნახე, რომ მუცელი საკმაოდ გაბერილი ჰქონდა. რა დაგემართა-მეთქი? – შეშფოთებულმა ვკითხე ბავშვს. – წუხელ თენგომ მცემაო, – მიპასუხა და თვალები ისევ დახუჭა. მგონი, გონებაც დაკარგა. შეშინებული, მაშინვე გარეთ გავვარდი. თენგიზს დავუძახე – რაშია საქმე, ბავშვს რა დაემართა-მეთქი? მიპასუხა – წუხელ მეორე სართულიდან გადმოვარდაო. მისმა პასუხმა გამაოგნა. ვუსაყვედურე – ბავშვი ძალიან ცუდადაა, სოფლის ექიმს გამოვუძახოთ-მეთქი. ცოტა ხანში, სოფლის ექიმი მართლაც, მოვიდა. გასინჯა თუ არა გიორგი, მაშინვე გვითხრა – დაუყოვნებლივ საავადმყოფოში უნდა გადავიყვანოთო. საავადმყოფოში ექიმებმა სასწრაფო ოპერაციის აუცილებლობაზე დაიწყეს ლაპარაკი, გვირჩიეს, ბავშვი თელავის საავადმყოფოში გადაგვეყვანა...“

თელავის ბავშვთა საავადმყოფოს გამგის ჩვენებიდან:

„5 წლის გიორგი ოპერაციის შემდეგ, ქირურგიული განყოფილებიდან რეანიმაციულ განყოფილებაში მოვათავსეთ. ბავშვი ძალზე მძიმე მდგომარეობაში იყო. ხშირად ითხოვდა წყალს. ერთხელ, გონზეც მოვიდა და მაშინვე ვკითხეთ ექიმებმა – რა დაგემართათქო? – თენგომ მცემაო, – გვპასუხობდა, – მუხლები ცხელ ღუმელზე მიმადებინაო. მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ თენგო მისი მამინაცვალი იყო. გარეგნულადაც ეტყობოდა ბავშვს, რომ დაზიანებები დამწვრობითა და ცემით იყო გამოწვეული. მთელ სხეულზე აღენიშნებოდა ესკორაციები, დამწვრობები, სისხლჩაქცევები და განაკაწრები. რეანიმაციაში ბავშვს დედა არ ადგა თავზე. მომხდარის შესახებ დედას არაფერი უთქვამს ჩვენთვის, თვითონ ბავშვი ამბობდა – თენგომ მცემაო. შემდეგ მის მამინაცვალსაც შევხვდი. მითხრა, რომ გიორგი კიბეზე დაგორდა“...

მიუხედავად იმისა, რომ მცირეწლოვან გიორგის, თელავის ბავშვთა საავადმყოფოში სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს და სასწრაფო ოპერაციაც გაუკეთეს, მისთვის სიცოცხლის შენარჩუნება ექიმებმა მაინც ვერ შეძლეს. იმავე დილით ის გარდაიცვალა. ექსპერტიზის დასკვნით, სიკვდილის უშუალო მიზეზი, ქალატვინის ბლაგვი, დახურული ტრავმა და თავის ტვინის დაჟეჟილობა გახლდათ.

პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე იმავე დღეს აღიძრა. ექიმებისა და სხვა მოწმეების ჩვენებების საფუძველზე, თენგიზ თვალაბეიშვილს მცირეწლოვანი ბავშვის მკვლელობაში წაუყენეს ბრალი. ბრალდებულმა გამოძიებას აღიარებითი ჩვენება არ მისცა, მაგრამ წარსულში ჩადენილი, ბავშვის

ცემის ფაქტები დაადასტურა. მოგვიანებით, სასამართლო სხდომაზე, მან პროკურატურისთვის მიცემული ჩვენებებიც უარყო და აღნიშნა, რომ პოლიციელები მისგან მკვლელობის აღიარებას მოითხოვდნენ და ამისთვის სასტიკად სცემდნენ. სხვათა შორის, საქმის მასალებში ამის დამადასტურებელი საბუთი არ მოიპოვებოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ სასამართლო სხდომებს ბავშვის დედა – ლამარა მენთეშაშვილი არ დასწრებია. მას კოლეგიისთვის არც ჩვენება მიუცია. დაზარალებულ პირად კი, გამოძიებამ ბავშვის მამა – თამაზ კახნიაშვილი ცნო. სასამართლომ ისიც დაჰკითხა.

თამაზ კახნიაშვილი:

„გიორგი, ლამარა მენთეშაშვილთან ცხოვრების პერიოდში შემეძინა. მის გარდა, ჩვენ კიდევ ორი შვილი გვყავს. 1990 წელს, მე და ჩემი მეუღლე ერთმანეთს გავშორდით, ოფიციალურად განვქორწინდით. ამის შემდეგ, ის თენგიზ თვალაბეიშვილს გაჰყვა ცოლად. ბავშვებზე წესით, სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, მას უნდა ეზრუნა. სამივე შვილი დედასთან უნდა აღზრდილიყო, მაგრამ ეს ასე არ ხდება. შვილებზე ფაქტობრივად, მე ვზრუნავ. ყველაზე ხშირად ჩემი ყოფილი მეუღლის სახლში გიორგი რჩებოდა. იმის გამო, რომ ბავშვი პატარა იყო, ძირითადად, დედასთან იზრდებოდა. ვიცოდი, რომ მამინაცვალი ჩემს შვილს ძალიან ცუდად ექცეოდა. მეუბნებოდნენ მეზობლები – ბავშვს სისტემატურად აწამებსო. რამდენჯერმე დავაპირე კიდეც, შვილი ჩემთან წამომეყვანა, მაგრამ ყოფილი ცოლი მეწინააღმდეგებოდა და ვერაფერს ვხდებოდი. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ მამინაცვალმა ჩემს შვილს ტანჯვა-წამებით, სრულიად უმიზეზოდ ამოხადა სული...“

როგორც დაზარალებულმა აღნიშნა, შვილის დაკრძალვის ხარჯები თავად გაიღო. მის ჩვენებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა განსასჯელი, რომლის თქმითაც, მას და გერს ერთმანეთი განსაკუთრებით უყვარდათ.

თენგიზ თვალაბეიშვილი:

„წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ვცნობ. მე გიორგი კახნიაშვილის მკვლელობა არასოდეს განმიზრახავს. არც არასდროს მიცემია იგი. პირიქით, ყოველთვის განსაკუთრებულ მზრუნველობას ვიჩენდი მის მიმართ. ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი მე და ჩემს გერს. ბავშვი მიჩვეული იყო ჩემთან ყოფნას, რადგან მთელ დროს ჩემთან ატარებდა, გვერდიდან არ მშორდებოდა, მელაპარაკებოდა, მეთამაშებოდა... არასდროს მიწამებია იგი, ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო. არც ის არის სწორი, თითქოს გაბრაზებული, ვსჯიდი გერს და მას საათობით თხებთან ვამწყვდევდი. არ ვიცი, ასეთი რამ წერია თუ არა ჩემს ჩვენებებში. წინასწარი გამოძიების პერიოდში, არც ერთი ჩემი ჩვენება არ წამიკითხავს. ბრმად მომაწერინეს ხელი დაკითხვის ოქმებზე. პოლიციელები მცემდნენ, მაგრამ ეს ფაქტი არ გამისაჩივრებია. ექიმებს არ შევუმოწმებივარ, ჩემს სხეულზე დაზიანებები ოფიციალურად არსად არ იყო დაფიქსირებული და აქედან გამომდინარე, ვერაფრით დავამტკიცებდი... იმ დღეს – 6 იანვარს, დაახლოებით საღამოს 9 საათისთვის, ახმეტის რაიონის სოფელ ალავერდიდან ვბრუნდებოდი შინ სიძის ავტომანქანით. ჩემთან ერთად იყო გიორგიც. მე დალეული მქონდა 3 ჭიქა ღვინო. ავტომანქანიდან გადმოსვლისას, გიორგიმ შემთხვევით ფეხი ჩადგა დაგუბებულ წყალში და შარვლის ტოტები დაუსველდა. სახლში რომ შევედით, ბავშვს პალტო და ფეხსაცმელი გავხადე, მაშინვე დავანთე თუნუქის ღუმელი და გიორგის ვუთხარი – მაღლა, მეორე სართულზე ადი და შენი სპორტული რეიტუზი ჩამოიტანე-მეთქი. ბავშვის გარეთ გასვლიდან ცოტა ხანში, ხმაური შემომესმა. გარეთ რომ გავედი, დავინახე, რომ მეორე სართულზე ასასვლელ მარმარილოს საფეხურებთან, კიბის ძირში, ქვიშაზე წაქცეულიყო გიორგი. ბავშვი პირქვე იწვა მიწაზე. მაშინვე ხელში ავიყვანე და სახლში შევიყვანე. შემდეგ ცხელი წყლით დავბანე მუხლები. მაშინ შევნიშნე, რომ ორივე მუხლი გადაფლეთილი ჰქონდა, ხოლო ზურგზე, ხერხემლის მიდამოში, ორ ადგილას გადაფლეთოდა კანი და სისხლი სდიოდა. ამის შემდეგ, დავაწვინე და დაიძინა. დაახლოებით დილის 4 საათისთვის, წყალი მოითხოვა. დალია თუ არა, მაშინვე გული აერია. ამბობდა – მუცელი მტკივაო. ამიტომაც, დილით, სოფლის ექიმი მოვიყვანე და მისი მითითებით, ბავშვი ჯერ ახმეტის, ხოლო შემდეგ – თელავის საავადმყოფოში წავიყვანე“.

ჩვენებისას, განსასჯელს არაფერი უთქვამს იმ დამწვრობებზე, რომლებიც ექიმებმა მომაკვდავი ბავშვის სხეულზე დააფიქსირეს. პროკურორის შეკითხვაზე – თუ რით ახსნიდა ამ გარემოებას? – განსასჯელმა განაცხადა: „დამწვრობები საიდან გაჩნდა, არ ვიცი. საერთოდ, ეჭვქვეშ ვაყენებ ამგვარი დაზიანებების არსებობას მის სხეულზე. მოვითხოვ გვამის ექსჰუმაციას და ხელახალი ექსპერტიზის ჩატარებას“. ამ დროს, სასამართლო სხდომაზე მყოფმა, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსჰუმაციას აზრი არ ჰქონდა, რადგან გვამის ხანდაზმულობის გამო, მასზე დამწვრობების კვალის დაფიქსირება შეუძლებელი იქნებოდა. ექსპერტმა ისიც განაცხადა, რომ გამორიცხული იყო, კიბეზე დაგორების ან გადავარდნის შემთხვევაში, ბავშვს ასეთი ხასიათის დაზიანებები მიეღო. „საავადმყოფოში მოსული მამინაცვალი ამბობდა, რომ ბავშვი მეორე სართულიდან გადავარდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც გიორგის სხეულზე დამწვრობები შევნიშნეთ, მის სიტყვებში ეჭვი შეგვეპარა. ეჭვს იწვევდა ის გარემოებაც, რომ მამინაცვალმა მაშინვე არ მიმართა სასწრაფო სამედიცინო დახმარებას“, – აღნიშნა პროცესზე საავადმყოფოს მედდამ.

მოწმეების, დაზარალებულისა და განსასჯელის დაკითხვის შემდეგ, პროკურორმა სიტყვით მიმართა სასამართლოს და განსასჯელისთვის სასჯელის უმაღლესი ზომის – დახვრეტის შეფარდება მოითხოვა. რაც შეეხება მეორე მხარეს, განსასჯელის ადვოკატს – მან განაცხადა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი სრულიად უდანაშაულო იყო და მისი გამართლების მოთხოვნით მიმართა სასამართლოს. მტკიცებულებების გამოკვლევისა და მხარეთა კამათის მოსმენის შემდეგ, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საქმეში თენგიზ თვალაბეიშვილის ბრალის გამაქარწყლებელი არანაირი გარემობა და მტკიცებულება არ მოიპოვებოდა და ამდენად, ის დამნაშავედ უნდა ეცნოთ. კოლეგიამ სასჯელის შეფარდების ნაწილშიც გაიზიარა პროკურატურის პოზიცია და თენგიზ თვალაბეიშვილს დახვრეტა მიუსაჯა. კოლეგიის თავმჯდომარის თქმით, მან მცირეწლოვანი ბავშვი განსაკუთრებული სისასტიკით გამოასალმა სიცოცხლეს და ამასთანავე, საქმეში მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი არანაირი გარემობა არ მოიპოვებოდა. პროცესის მონაწილენი დღესაც იხსენებენ, რომ ეს იყო სასიკვდილო განაჩენი, რომელიც განსასჯელის სისასტიკით აღშფოთებულმა მოსამართლემ წარბშეუხრელად წაიკითხა... ■

„ერთმანეთი თბილისში გაიცნეს. მამას თურმე, დედა ისე შეუყვარებია, როგორც გრიბოედოვს ნინო ჭავჭავაძე უყვარდა...“ — ამბობს ცნობილი რუსი მსახიობის, მიხაილ კოზაკოვის ქალიშვილი, და კოლეგა, მანანა კოზაკოვა. ის ძალიან პატარა ყოფილა, როცა მშობლები ერთმანეთს გაეყარნენ, მაგრამ მამა-შვილი წელიწადში ორჯერ მაინც ნახულობს ერთმანეთს. საინტერესოა, როგორი მამა, ბაბუა და სიმამრია და რა ურთიერთობა აქვს სიძესთან — რეჟისორ ლევან წულაძესთან, მიხაილ კოზაკოვს? ყოველივე ამას მისი ქალიშვილი გაგვანდობს.

მიხაილ, მანანა, ჯიჩიკ კოზაკოვებმა და ჭოლა წულაძემ

სპოჯახო სპექტაკლის დადგმას საშველი ვერ დაუყენეს...

ეკა მინდაძე

— ჩემი მშობლები ერთად ძალიან ცოტა ხანს ცხოვრობდნენ. მე იმდენად პატარა ვიყავი, რომ მამასთან მოსკოვში ცხოვრების რაღაც მომენტები ბუნდოვნად მახსოვს.

— ალბათ მეთანხმები იმაში, რომ ყველა ბავშვზე მოქმედებს ოჯახის დანგრევა. შენ თუ გაგიჭირდა მამასთან განშორება და შემდეგ, მამინაცვალთან შეგუება?

— არა, არ განვიცდიდი. ჯერ ერთი, ჩემი წლოვანების ბავშვი ამას ვერ გააანალიზებდა. მეორეც — ალბათ იმიტომ არ გამიჭირდა მამასთან განშორება, რომ ღვთის წყალობით, მე ნამდვილად შევიძინე მეორე მამა, რომელმაც ღვიძლი შვილივით მიმიღო და მამის მაგივრობა გამიწია. ეს ადამიანი გახლავთ დედაჩემის მეორე მეუღლე, ტოლიკა ჩიჩუა. ის არაჩვეულებრივი ბაბუაც არის. ჩემი შვილი გიჟდება მასზე, ბაბუკოს გარეშე ვერც კი წარმოუდგენია. ამრიგად, მე ვერ ვიტყვი, რომ ტრავმირებული ბავშვობა მქონდა.

— როგორ მიმართავდი შენს მამინაცვალს?

— ყოველთვის ტოლიკას ვეძახი. სხვათა შორის, მამაჩემსაც არ ვეძახდი „მამას“, ბავშვობიდან მოყოლებული დღემდე, სახელით მივმართავ.

— მანანა, ახლა დედაშენი გაგვაცანი.

— დედა მედეა ბერელაშვილი პროფესიით ფილოლოგი გახლავთ. ადრე ის საქართველოს ხელოვნების მუზეუმში მუშაობდა, სადაც ქსოვილების რესტავრაციით იყო დაკავებული — მას შემდეგ, რაც ჩემი და გაჩნდა, აღარსად უმუშავია. სრულიად განსხვავებული პროფესიის ადამიანია ტოლიკა, ის ქიმიკოსი გახლავთ. სხვათა შორის, მსახიობი დეიდა მყავს — ნანა ქავთარაძე. მან ორ ფილმში — „ქორწილი“ და „ვედრება“ დაუვიწყარი სახეები შექმნა.

— მშობლები ხშირად გტუქსავდნენ?

— არა, არასოდეს, რადგანაც ძალიან დამჯერი ბავშვი ვიყავი. მიუხედავად ამისა, ალბათ დედა მაინც უფრო მკაცრი იყო. მართალია, მე და მამას ბევრი რამ გვაქვს საერთო, მაგრამ ჩვენ შორის ყოველთვის დიდი სხვაობა იყო — ბოლოს და ბოლოს, სხვადასხვა ქვეყნის შვილები ვართ... მახსოვს, 15 წლის ვიყავი, როცა გამაცა მამის კითხვამ — შეყვარებული თუ გყავსო? ხოლო როდესაც ვუპასუხე — არა-მეთქი, — ის ძალიან შეშფოთდა და გაოცებულმა მკითხა: რატომ, არ ზიხარ ქართველების გემოვნებაშიო?.. აბა, რომელი ქართველი მამა დაუსვამს 15 წლის ქალიშვილს ასეთ შეკითხვებს?.. სხვანაირი სიტუაცია იყო ოჯახში, სადაც ვიზრდებოდი, როცა ტელეფონით ვინმე დარეკავდა და მიკითხავდა, ტოლიკას ტონით ვხვდებოდი, რომ ბიჭი იყო...

— რამდენად ხშირი კონტაქტი გქონდა მამასთან?

— ყოველ წელს მეც ჩავდიოდი მოსკოვში და ისიც ჩამოდიოდა ჩემს სანახავად. ხანდახან ამას ემატებოდა გასტროლებიც, რაც საბჭოთა კავშირის პერიოდში, საკმაოდ ხშირად ხდებოდა.

— როგორც ვიცი, მამის მხრიდანაც გყავს და-ძმა და დედის მხრიდანაც...

— მამის მხრიდან ორი და და ორი ძმა მყავს. უფროს და-ძმასთან ძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს. მეც ჩავდივარ მათთან ჩემს ოჯახთან ერთად და ისინიც ჩამოდიან ხოლმე. მაგალითად, შარშან ზაფხულს ჩემი და თავის ოჯახთან ერთად, მთელი თვე იმყოფებოდა ჩვენთან. მომდევნო და-ძმასთან ჯერჯერობით ვერ ვურთიერთობ, რადგან ისინი ძალიან პატარები არიან. უფროსმა ძმამ — კირილმა, მამის პროფესია აირჩია, და — კატია კი ფილოლოგია; პატარები — მიშა და ტოლია სკოლის მოსწავლეები არიან. დედის მხრიდან კი, 10 წლით უმცროსი და მყავს, რომელიც ფაქტობრივად, ჩემი გაზრდილია. ახლაც, ჩემს ქალიშვილს მექანიკურად ნინოს — ჩემი დის სახელს ვეძახი ხოლმე, იმდენად მიჩვეული ვარ მასზე მზუნველობას.

— თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარებისკენ მამის მაგალითმა ხომ არ გიბიძგა?

— რა თქმა უნდა, გარკვეულწილად, ეს ალბათ ამ გარემოებამაც განაპირობა. ამიტომაც ბავშვობიდან, ყოველთვის მინდოდა, მსახიობი ვყოფილიყავი. მერე, ერთი პერიოდი, ფილოლოგიურზე ჩაბარება გადავწყვიტე და ამისთვის ვემზადებოდი კიდეც. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, რადიკალურად შევიცვალე აზრი. ეს ალბათ, ჩვენი ოჯახისთვის უახლოესი ადამიანის — გოგი მარგველაშვილის დამსახურებაც არის. სტუმრად მოსულმა, ასეთი რამ მითხრა: რატომ არ უმხელ შენს თავს იმას, რაც გინდაო?.. ასე — უცებ გადავწყვიტე, 3 თვეში მოვემზადე და ჩავბარე თეატრალურ ინსტიტუტში.

მეუღლესთან — ლევან წულაძესთან ერთად

მიშა ჟოზაკოვი შვილიშვილებთან ერთად

— ბატონი მიშა როგორ შეხვდა ამ გადაწყვეტილებას?

— მამაჩემი მსახიობების იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელსაც არ სურს, რომ შვილები მის კვალს გაჰყვნენ. როცა ჩემმა უფროსმა ძმამ გადაწყვიტა მსახიობობა, მიშამ ეს არჩევანი არ მოუწონა. ამის გამო, ისინი გამუდმებით კამათობდნენ. როცა ჩემი გადაწყვეტილების ამბავი შეიტყო, მგონი, იმდენად დაიღალა ბრძოლით, რომ მაინცდამაინც დიდი წინააღმდეგობა აღარ გაუწევია. — უბრალოდ, მელაპარაკებოდა ხოლმე ამ პროფესიის ნაკლოვან მხარეებზე.

— ოჯახში თუ უჭერდნენ მხარს შენს არჩევანს?

— ოჯახში ყველაზე მეტად ტოლიკა მეწინააღმდეგებოდა. ის ამას ძალიან განიცდიდა, რადგან მიაჩნდა, რომ მსახიობი მუდამ სხვაზეა დამოკიდებული — თუ რეჟისორი არ მიიწვევს როლზე, უმოქმედოდ რჩება. დღეს ის ჩემი შემოქმედებითი მიღწევებით კმაყოფილია და ამაყობს კიდეც.

— მამა როგორ აფასებს შვილის შემოქმედებას?

— დადებითად. ბევრჯერ უნახავს ჩემი ნამუშევარი ვიდეოჩანაწერის მეშვეობით, მაგრამ ცოცხალი სპექტაკლი სულ სხვაა. ჰოდა, შარშან, მოსკოვში გასტროლების დროს, ჩვენი სპექტაკლი — „ვენეციელი ვაჭარი“ — მიშას დაბადების დღეს დაემთხვა, მაგრამ მან ყველაფერი გადადო და თეატრში ჩემს სანახავად მოვიდა. დამთავრდა თუ არა სპექტაკლი, მან მაშინვე ჩემი ქება დაიწყო; უხერხულ მდგომარეობაში ჩამაგდო, რადგან ვფიქრობ, ამდენი ქების ღირსი ნამდვილად არ ვიყავი.

— ახლა სიძე-სიმამრის ურთიერთობაზეც მოგვიყევი.

— მამას იმდენად უყვარს ხელოვნება, რომ არ შეიძლებოდა, არ მოსწონებოდა ლევანი. ისინი ხომ ერთსა და იმავე სფეროს ემსახურებიან!.. ლევანი მამას პირველად, ბატონმა რობერტ სტურუამ წარუდგინა, ისრაელში ყოფნისას. ჰოდა, როცა ჩვენი შეულლების ამბავი შეიტყო, კმაყოფილმა მითხრა — ნამდვილად კარგი არჩევანია, ეს ჩვენი კაციაო *(იცინის)*... სხვათა შორის, მათ პირველსავე შეხვედრისას გამონახეს საერთო ენა და ამის აღსანიშნავად, ძალიან ბევრი დალიეს... მიშას ძალიან მოსწონს ჭოლას ნამუშევრები. მის მიერ დადგმული „ფაუსტი“ რომ ნახა, ძალიან მოეწონა, მიუხედავად იმისა, რომ „ფაუსტი“ მასაც დადგმული აქვს (კინოში). აქვე ერთ საინტერესო დამთხვევაზეც გეტყვი. მიშას პირველი რეჟისორული ნამუშევარი, ფილმი — „უსახელო ვარსკვლავი“ — გახლდათ და ჭოლას პირველი სადიპლომი ნამუშევარიც, ამ ნაწარმოების მიხედვით დადგმული სპექტაკლი იყო.

— როგორი ურთიერთობა აქვს ბაბუას შვილიშვილთან?

— ძალიან კარგი. მახსოვს, თავიდან, თინათინს და მამას ერთმანეთთან ურთიერთობა გაუჭირდათ, რადგანაც თინათინმა რუსული არ იცოდა, მამამ კი — ქართული. მიშას იუბილეზე რომ ვიყავით წასული, თინათინი ვერ დაელაპარაკა ბაბუას. ამან იმდენად იმოქმედა ბავშვზე, რომ იქიდან დაბრუნებულმა, მთხოვა, რუსული მესწავლებინა მისთვის... ახლა თინათინი მშვენივრად ფლობს რუსულს და ბაბუასთანაც გადასარევი ურთიერთობა აქვს.

— ქართული საერთოდ არ იცის?

— არა. იცის მხოლოდ ერთი სიმღერა, რომელსაც „დამტვრეული“ ქართულით ასრულებს ხოლმე. ამ სიმღერაში ერთადერთი სიტყვაა, რომელსაც გარკვევით წარმოთქვამს — ეს არის სიტყვა „თმახუჩუჩა“... მინდა, სიამაყით აღვნიშნო, რომ მამამ არჩევულებრივად იცის საქართველოს ისტორია და ლიტერატურა. ის მშვენივრად კითხულობს მისთვის უსაყვარლესი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების თარგმანებს, ხოლო მისი სამაგიდო წიგნია „ვეფხისტყაოსანი“.

— მას ქართული სუფრაც ეყვარება, ხომ ასეა?

— რა თქმა უნდა. მამა ქართული ტრადიციების დიდი მოყვარულია. გიჟდება ქართულ კერძებზე, განსაკუთრებით — საციესა და ღომზე. ერთხელ, როცა მოსკოვში პირველად ჩავედი, მამამ მის ერთ-ერთ მეუღლესთან სახლში წამიყვანა. მივდიოდი სადილზე და თან ვფიქრობდი — რა სუფრა უნდა ჰქონდეს-მეთქი?!. მაგრამ მისვლისთანავე, გაოცებული დავრჩი: სუფრაზე სულ ქართული კერძები ელაგა — დაწყებული საციით, დამთავრებული ჩახოხბილით და მწვადით.

მანანა ჟოზაკოვა შვილთან და დასთან — კატიასთან (მარცხნიდან მეორე) და დისშვილებთან ერთად

— თუ არ ვცდები, მამის რომელიღაც ფილმში მიგიღია მონაწილეობა.

— კი, მან გადამიღო „მასკარადში“. მართალია, იქ ეპიზოდური როლი შევასრულე, მაგრამ მაინც მიხარია, რომ მამაჩემის ფილმში მიმიღია მონაწილეობა.

— გიფიქრიათ იმაზე, რომ ერთობლივი ნამუშევარი შეგექმნათ ოჯახის წევრებს?

— რა თქმა უნდა! სხვათა შორის, ერთად მუშაობის სურვილი მამას უფრო აქვს, სულ გვეუბნება — მოდი, ერთობლივი სპექტაკლი დავდგათ, სადაც მაყურებლის წინაშე ჩვენი დიდი ოჯახი წარდგებაო. მართლაც, ძალიან კარგი იქნებოდა. მაგრამ ამას ჯერ ვერ მოაბეს თავი ვერც ლევანმა და ვერც მიშამ, ვნახოთ, იქნებ მომავალში მოვახერხოთ ამ ჩანაფიქრის განხორციელება... ■

რუსული ენის შემსწავლელი კურსები

უახლესი მეთოდებით სანქტ-პეტერბურგიდან.
აცხადებს მიღებას სექტემბრიდან

მისამართი — ილია ჭავჭავაძის 17 ა
სკოლა „მერმისი“ ტელ: 899-29-33-23

23662
საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

განკურნებადია თუ არა ვენერული დაავადება საქართველოში

ინფიცირებულია რიცხვმა იმატა...

ბოლო წლებში, საქართველოში სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების შედარებითი მატება აღინიშნება. თუმცა, სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს, რადგან არსებული სოციალური სიტუაციიდან გამომდინარე, ვენერულ დაავადებას თითქმის ყველა განხრის მედიკოსი მკურნალობს — გინეკოლოგი, უროლოგი, თერაპევტი, ნეკროპათოლოგი და ა.შ. ადამიანთა უდიდესი ნაწილი (უსახსრობის გამო) ამ ინფექციურ დაავადებებს სათანადო ყურადღებას ვერ აქცევს ან თვითმკურნალობით შემოიფარგლება. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში, ადამიანის სიცოცხლე საფრთხის ქვეშ დგება. თანამედროვე სამედიცინო მეთოდები კი, ვენერული დაავადებებისაგან საბოლოოდ განკურნების საშუალებას იძლევა — თუ, რა თქმა უნდა, მკურნალობა დროულად და შეუწყვეტლივ ჩატარდება.

ლიკა ქაჯაია

ვენეროლოგია (ლათ. ვენერა, სიყვარულის ქალღმერთი) შეისწავლის ვენერულ დაავადებებს, მათ მკურნალობას და პროფილაქტიკას. ვენერული დაავადებებია: ათაშანგი, გონორეა, რბილი შანკრი, საზარდულის ლიმფოგრანულომატოზი. ეს დაავადებები ძირითადად, სქესობრივი გზით ვრცელდება და საკმაოდ ფართო გავრცელების გამო, საფრთხეს უქმნის საზოგადოებას. მკურნალობის შეწყვეტის ან არასათანადო დონეზე ჩატარების შემთხვევაში, ვენერული დაავადებები შეიძლება გახდეს უშვილობის, სხვადასხვა ორგანოს დაზიანების მიზეზი ან საბოლოოდ დაინვალიდოს ადამიანი და ბოლოს, სიცოცხლეც მოუსწრაფოს მას. ამ ინფექციურ დაავადებებში უფრო ვრცლად გასარკვევად, კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს, **გოგა გალდავას** *ვეწვიეთ.*

ბოლო დროს, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების მატება შეინიშნება

— ბოლო დროს, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების მატება შეინიშნება. საქართველოში ძალიანაა გავრცელებული შემდეგი ინფექციური დაავადებები — ათაშანგი ანუ სიფილისი, გონორეა, ლიმფოგრანულომატოზი. რაც შეეხება შიდსს, ამ მხრივ ჯერჯერობით სტაბილური სიტუაციაა, თუმცა უახლოეს მომავალში უნდა ველოდეთ შიდსის შემთხვევათა მატებას.

— და მაინც, სტატისტიკური მონაცემებით, ვენსნეულებებით დაავადებულთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა?

— სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემები არ გაგვაჩნია, რადგან დაავადებულთა ნაწილი მკურნალობს სხვადასხვა განხრის ექიმთან — გინეკოლოგთან, თერაპევტთან, უროლოგთან — ერთი სიტყვით, იმ მედიცინის მუშაკებთან, რომლებსაც ჩვენ მიმართ არანაირი ვალდებულება არ აკისრიათ. საქართველოში 2004 წელს, ოფიციალურად რეგისტრირებული იყო დაახლოებით 700 სიფილისის შემთხვევა. თუ ამ პროცენტულ მაჩვენებელს შევადარებთ სხვა — მაგალითად, აზერბაიჯანში დაავადებულ ადამიანთა პროცენტულ მაჩვენებელს, სადაც საქართველოსთან შედარებით ორჯერ მეტი ადამიანი ცხოვრობს და ასევე 700-მდე ავადმყოფი იყო დაფიქსირებული, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: თუ აზერბაიჯანში ყოველი 10 ადამიანიდან ამ ვენერული დაავადებით 2 დაავადებულია, მაშინ საქართველოში ეს ციფრი ოთხს შეადგენს. რა თქმა უნდა, ეს საგანგაშოა და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჩვენ ზუსტი სტატისტიკური მონაცემები არ გვაქვს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე (პროსტიტუციას ვგულისხმობ), საქართველოში სიფილისით დაავადებულთა რიცხვი მეტი იქნება.

— რა ნიშნებით უნდა მიხვდეს ადამიანი, რომ ის ინფიცირებულია?

— ვენერული დაავადებების კლინიკური ნიშნები ძალზე მარტივია. თუ ადამიანს ჰქონდა სქესობრივი კავშირი ვენერული დაავადებით დასნებოვნებულ პარტნიორთან, მას კლინიკური ნიშნები საინკუბაციო პერიოდის გასვლის შემდეგ გამოუვლინდება. გონორეის საინკუბაციო პერიოდი 3 დღიდან 1 კვირამდე, ათაშანგის — 21-დან 30 დღემდე გრძელდება, ლიმფოგრანულომატოზისა — 3 კვირა და მეტია. საინკუბაციო პერიოდის გასვლის შემდეგ, კლინიკური ნიშნები ძირითადად ვლინდება შარდსასქესო სისტემაში, სხვადასხვა სიმპტომით.

— კონკრეტულად, რა გამოვლინებები აქვს?

— პაციენტს საშარდე მილიდან, შეიძლება აღენიშნოს უხვი ლორწოვან-ჩირქოვანი გამონადენი, რომელიც შარდვის



თუ პაციენტი კლინიკურ ნიშნებს ყურადღებას არ მიაქცევს ან ჩაიტარებს თვითმკურნალობას, დაავადება ქრონიკულ ფორმაში გადადი

დროს წვასა და ქავილს იწვევს; სპეციფიკური სუნი, ხაჭოსებრი ნადები, გამონაყარი, რომელიც წყლულის სახით ვლინდება. შესაძლოა, აგრეთვე, რეგიონალური ლიმფური ჯირკვლების გადიდებაც აღენიშნებოდეს.

— რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ამ სიმპტომების აღმოჩენის შემდეგ, დაავადებული ადამიანი თვითმკურნალობას დაიწყებს?

— თუ პაციენტი კლინიკურ ნიშნებს ყურადღებას არ მიაქცევს ან ჩაიტარებს თვითმკურნალობას, დაავადება ქრონიკულ ფორმაში გადადის, რაც იმაში გამოიხატება, რომ კლინიკური ნიშნები — გამონადენი, გამონაყარი, სპეციფიკური სუნი ვლინდება ნაკლები ინტენსივობით. მაგრამ ეს დამღუპველია, რადგან ქრონიკულ ფორმაში გადაზრდილ ინფექციას ახასიათებს სხვა ორგანოების დაზიანება. ინფექცია, ლიმფოგენური და ჰემატოგენური გზებით ვრცელდება შინაგან ორგანოებზე, იწვევს მრავალ გართულებას — ქრონიკულ პროსტატიტს, უშვილობას, იმპოტენციას. ამიტომ, როგორც კი პირველი კლინიკური ნიშნები გამოვლინდება და იმ შემთხვევაშიც კი, როცა არ გამოვლინდა, მაგრამ ადამიანს ჰქონდა შემთხვევითი სქესობრივი კავშირი, აუცილებლად უნდა მიმართოს (კომპლექსური გამოკვლევისათვის) ექიმ-ვენეროლოგს.

მკურნალობა დამოკიდებულია დაავადების ფორმაზე

— ვრცელდება თუ არა ეს ინფექცია მხოლოდ სქესობრივი კავშირით, თუ სხვა გზებითაც არის შესაძლებელი დაავადების გადადება?

— ეს დაავადება ძირითადად, სქესობრივი გზით ვრცელდება, მაგრამ იშვიათად, საყოფაცხოვრებო პირობებშიც შეიძლება გადასდოს ერთმა ადამიანმა მეორეს.

— საყოფაცხოვრებო პირობებში რას გულისხმობთ?

— ვენერული დაავადება შეიძლება გადაგედოთ ნემსის ჩხვლეტით, სხვადასხვა სამედიცინო მანიპულაციის შედეგად. გამორიცხულია, რომ ინფექცია ვთქვათ, აუზში ცურვის შედეგად გადაედოს ადამიანს.

— მაგრამ შარშან ზაფხულში იყო შემთხვევა, როცა ერთ-ერთი აუზიდან ხალხი ვენერული სენით დაავადდა.

— რა ინფექციით?

— ეს თქვენ უნდა მითხრათ, რა ინფექციით შეიძლება დაავადდეს ადამიანი წყალში...

— ეტყობა, ის აუზი არ იყო, რადგანაც როგორც წესი, აუზის წყალს ქლორირება უკეთდება და ქლორის კონცენტრაცია იმდენად დიდია, რომ ნებისმიერი ბაქტერია უნდა დაიღუპოს.

— ვენერული დაავადებები სრულ განკურნებას ექვემდებარება თუ არა?

— ეს დაავადებები მკურნალობას ექვემდებარება ზუსტი დიაგნოზის დასმისა და შესაბამისი კვალიფიციური მკურნალობის ჩატარების შედეგად. მკურნალობა დამოკიდებულია დაავადების ფორმაზე: მწვავე ფორმა ადვილი სამკურნალოა, ხოლო ქრონიკული ფორმების მკურნალობა — შედარებით რთული და ხანგრძლივიცაა. ხაზი უნდა გაესვას აგრეთვე მედიკამენტების სწორად შერჩევას, რადგან დღეს ქართული ფარმაცევტული ბაზარი გავსებულია გაურკვეველი წარმოშობის, ფალსიფიცირებული მედიკამენტებით, რომლებიც არანაირ შედეგს არ იძლევა.

— მაგრამ როგორ უნდა გავარჩიოთ, ფალსიფიცირებული პრეპარატი არაფალსიფიცირებულისგან?

— როცა მედიკამენტები მოაქვთ, ჩვენ ვხვდებით, ვარგისია ისინი თუ არა. თუ ამას მხოლოდ დათვალიერებით ვერ მივხვდებით, სხვა მეთოდს მივმართავთ — ვთქვათ, წამალს გავხსნით საინიექციო ხსნარში ან სხვა გამხსნელში: ფალსიფიცირებული პრეპარატი ფერს იცვლის. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში ვარჩევთ ეტიკეტის, ფასის მიხედვით.

— რამდენად ძვირად ღირებულია ვენერული დაავადების მკურნალობა?

— ოფიციალურად ვთქვათ, ათაშანგის მკურნალობა დაახლოებით 130 ლარი ჯდება, ამ თანხაში მედიკამენტების ღირებულებაც შედის და ექიმის ჰონორარიც. რაც შეეხება ქრონიკული გონორეის მკურნალობას — შიდასტანდარტის მიხედვით, 25 ლარი სჭირდება. თუმცა, ამაში არ არის გათვალისწინებული მედიკამენტების ფასი.

— თუ ათაშანგით დაავადებული ადამიანი ვერ შეძლებს 130 ლარის გადახდას, არსებობს თუ არა მისთვის რაიმე შეღავათები?

— ჩვენ საპატრიარქოსთან მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს. იქიდან გვიგზავნიან ასეთ გაჭირვებულ, მიუსაფარ პაციენტებს. მაგრამ ეს ერთეული შემთხვევებია და ძალიან გთხოვთ, ხაზი გაუსვათ — ჩვენ არა გვაქვს იმის საშუალება, რომ ყველა დაავადებულს უფასოდ ვუმკურნალოთ. ამის დაფინანსებას დღესდღეობით, ვერც სახელმწიფო ახერხებს. ■

ტელეფონით დაწყებული ურთიერთობა

„ვისაც გათხოვება სურს... დამირეკოს!“

თქვენი მესიჯების კითხვისას, ერთი შეკითხვა გამიჩნდა — წინათ, ვიდრე მობილურ თუ ჩვეულებრივ ტელეფონს გამოიგონებდნენ, როგორ ახერხებდნენ ადამიანები ოჯახის შექმნას ან როგორ უნიშნავდნენ ერთმანეთს პაემანს? ერთი წუთით წარმოიდგინეთ უტელეფონოდ ქვეყანა და მიხვდებით, ჩვენს წინაპრებს რაოდენ დიდი ძალისხმევა სჭირდებოდათ ერთმანეთის გასაცნობად. „მობილური ტელეფონი რომ არ არსებობდეს, არც „გზავნილები“ იქნებოდა და ვერც ჩემს შეყვარებულს დავუმესიჯებდი“, — მწერს ერთი მკითხველი. „მე ვერ ვიტან მობილურს, მაგრამ სამსახური მაიძულებს, რომ აუცილებლად მქონდეს“, — წუწუნებს მეორე. „კიდევ კარგი, მობილური არსებობს, თორემ, დღემდე გაუთხოვარი ვიქნებოდი“, — გვიზიარებს აზრს მესამე და საკმაოდ საინტერესო ამბავს გვიყვება...

მარი ჯაფარიძე

„რძლობაზე უარს ნუ მეტყვი!“

„ძლივს მოვახერხე 30 წლის ასაკში გათხოვება და ამას მობილურ ტელეფონს უნდა ვუმადლოდე. მთელი წელი ვაგროვებდი ფულს ტელეფონის საყიდლად და ბოლოს, როგორც იქნა, სანატრელ ნივთს ვეღირსე. პირველი დღეების განმავლობაში, ღამით სასთუმალთან მედო, მთელი დღე ვეფერებოდი ხოლმე. ალბათ გული მიგრძნობდა, რომ სწორედ ეს ნივთი გახდებოდა ჩემი ბედნიერების საწინდარი. ერთ მშვენიერ დღეს, მობილურზე სასიყვარულო მესიჯი მომივიდა. ისეთი ლამაზი სიტყვები ეწერა, გაოცებისგან პირი დავაღე: ნეტავ, ვის ვუყვარვარ ასე ძლიერ-მეთქი?.. გულმა არ მომითმინა და ორიოდე საათის ფიქრის შემდეგ, ამ ნომერზე დავრეკე. ქალმა მიპასუხა. ავუხსენი — თქვენი ნომრიდან ჩემს მობილურზე მესიჯი მოვიდა-მეთქი. გამომელაპარაკა — ორი ვაჟი მყავს, ალბათ, რომელიმე მათგანმა გამოგიგზავნა, მითხარი, რამდენი წლის ხარ და მივხვდები, რომელი იყოო. — 29-ის-მეთქი. — ჰოო... მაშინ ნიკო იქნებოდა, უმცროსი მხოლოდ 25 წლის არის, ის არ იქნებოდა, ნიკო კი, უკვე 34 წლის გახლავსო... ერთმანეთს დავემშვიდობეთ. სახელი „ნიკო“ ჩემთვის არაფრის მთქმელი იყო, ასეთს არავის ვიცნობდი. გვიან ღამით, უცხო ნომრიდან დამირეკა ვიღაცამ — ნიკო ვარ, დედაჩემმა მითხრა, რომ ჩემი სახელით ვიღაცას თქვენთვის დაუმესიჯებიაო... მივხვდი, დედამისმა რაღაც აურია, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამიტომ ნიკოს მოვუბოდიშე. — თქვენ რისთვის იხდით ბოდიშს, რა შუაში ხართ, რაღაც გაუგებრობა მოხდა, თორემ, მე საკუთარი ტელეფონი მაქვს და დედის მობილურით რატომ დაგიმესიჯებდითო?.. მერე, საქალაქო ტელეფონის ნომერი მთხოვა და შინ დამირეკა. კარგა ხანს ვისაუბრეთ... ამის შემდეგ, ჩვენი ურთიერთობა რაღაც კარგად აეწყო. ხან დედა მირეკავდა, ხან — შვილი... მერე ქალბატონმა ხათუნამ მთხოვა, შინ ვსტუმრებოდი. ნიკომ ცალკე მთხოვა — მაინც უნდა შევხვდეთ ერთმანეთს და ბარემ შინ გვეწვიე, რაღა გარეთ დავთქვათ პაემანიო... ერთი სიტყვით, საგანგებოდ გამოვიპრანჭე და ნიკოს ოჯახს ვესტუმრე. ძალზე თბილად მიმიღეს. საღამოს, ნიკომ შინ გამომაცილა და უამრავი სასიამოვნო ეპითეტით შემამკო... რამდენიმე დღის შემდეგ კი, ხათუნას სასიამოვნო ხმამ სასიამოვნო ინფორმაცია შემატყობინა — ძალიან მოგვეწონე, ნიკო გამოტყდა, რომ უყვარხარ და რძლობაზე უარს ნუ მეტყვიო!.. რა თქმა უნდა, მოსაფიქრებლად დრო ვთხოვე, თუმცა თანახმა ვიყავი, მაშინვე გავქცეულიყავი მათთან. ალბათ გაინტერესებთ, ის მესიჯი როგორ მოხვდა ჩემს ტელეფონზე. ჩემს მაზლს თავისი შეყვარებულისთვის გაუგზავნია და ნომერი შეშლია...“

„რცხვენოდა, რომ ძმა ჰყავდა...“

„ორი წლის წინ, სახლის ტელეფონზე ახალგაზრდა მამაკაცმა დარეკა და მთხოვა, კარის მეზობლად მცხოვრები გურამისთვის დამეძახა. მათ ილაპარაკეს, შემდეგ გურამს ყავა შევთავაზე. თავის მეგობარ ზაზაზე მელაპარაკა, რომელსაც ტელეფონზე ესაუბრა. მე უინტერესოდ ვუსმენდი... რამდენიმე დღის შემდეგ, ზაზამ ჩემთან ისევ დარეკა. ამჯერად, მე გამიბა ლაპარაკი. ძალზე ცივად მოვიშორე. ერთ საათში ისევ დარეკა... მოკლედ, ჩვენი ურთიერთობა ნელ-ნელა „ხურდებოდა“. მის ხმას ძალზე მივეჩვიე. თითქმის ყველაფერს ვუყვებოდი ჩემ შესახებ. ღამეებს ლაპარაკში ვათენებდით, დღისით — ერთმანეთს მესიჯებს ვწერდით... შეხვედრას ვაჭიანურებდი. მეშინოდა, ჩემი წარმოდგენა ხუხულასავით არ დანგრეულიყო. ამასობაში, სიყვარულის გრძნობა მიძლიერდებოდა... ზაზაც ვეღარ ძლებდა უჩემოდ. ბოლოს, დავთქვით პაემანი. შევხვდით. საოცარი გრძნობა დამეუფლა. ვისაც ტელეფონით ნაცნობობა ჰქონია, ალბათ დამეთანხმება, რომ ძალზე დიდი ბარიერის გადალახვა ხდება საჭირო. გაორების გრძნობა დამეუფლა: ვერ ვაიგივებდი ხმას, რომელიც ყოველდღე მესმოდა და ადამიანს, რომელსაც შევხვდი. თუ საუბრის დროს თვალებს დავხუჭავდი, ხმის ნაცნობი ტემბრით ვხვდებოდი, რომ ეს ზაზა იყო... არ დამიმალავს მისთვის, რასაც ვგრძნობდი. გაეცინა. ამ დროს, ბარში ვისხედით. ზაზა წამოდგა და სადღაც გავიდა. რამდენიმე წუთში, მობილურზე დამირეკა. მისი ხმის გაგონებაზე, სიამოვნებისგან დავდნი... მივხვდი, რომ დიდი ხანი დამჭირდებოდა იმისათვის, რომ ამ შეუსაბამობას შევჩვეოდი. ზაზა გარეგნობითაც მშვე-

ნიერი ბიჭი იყო, მაგრამ მე „სატელეფონო“ ზაზა უფრო მიყვარდა და როცა ჩემ გვერდით იყო, „ის“ მენატრებოდა... ბოლოს, როგორც იქნა, ყველაფერი მოგვარდა. ჩვენ შორის მხურვალე რომანი გაიბა. ვიცოდი, რომ მას ჰყავდა ერთი და და ერთი ძმა, ცოლი არ მყავსო, – მითხრა. ერთ დღეს დავინახე, როგორ გაჩერდა მაღაზიის წინ მისი მანქანა. ზაზა გადმოვიდა, მანქანას შემოუარა, წინა კარი გააღო, იქიდან ჯერ ასე, ერთი წლის ბავშვი მიაწოდეს, შემდეგ ახალგაზრდა გოგო გადმოვიდა. გარედან ვხედავდი, როგორ არჩევდნენ მაღაზიაში პაწიასთვის ტანისამოსს... შემდეგ, ისევ მზრუნველად ჩასვა მანქანაში ორივე. მათ ტაქსით „ავეკიდე“. ორივე, იმ სახლში მიიყვანა, სადაც თვითონ ცხოვრობდა... ვცდილობდი, ემოციებს არ ავყოლოდი. ცრემლები მახრჩობდა... მეორე დღეს, დილით, „დავერჭვე“ მათ სახლთან. მოხერხებული ადგილი მოვძებნე და თვალთვალი დავუწყე. მალე ვიღაც ქალი მოვიდა (ისინი კერძო სახლში ცხოვრობენ და კარგად გაარჩევდი მიმსვლელ-მომსვლელს)... მერე ზაზა და მისი ცოლი სადღაც წავიდნენ. ის ქალი კი, ბავშვით ხელში, ეზოში დადიოდა და რაღაცას საქმიანობდა. მივხვდი, ძიძა იყო. უკან გამოვბრუნდი, შინ მივედი და ხმამაღლა ვიტირე. მერე ვიფიქრე – მარტო მე რატომ უნდა გავმწარდე, მივალ და მის ცოლს ყველაფერს მოვუყვები-მეთქი. ბევრი აღარც მიფიქრია. საღამო ხანი იყო, როცა ზაზას სახლს მივადექი. კარი სანდომიანი გარეგნობის ქალმა გამიღო. ზაზა ვიკითხე. შინ შემიპატიჟა. – თქვენ ალბათ, ბაბეტა ხართო (ასე მეძახდა ზაზა მოფერებით), არა?.. გამიკვირდა, საიდან უნდა სცოდნოდა ამ ქალს ჩემ შესახებ? ოთახში შესულს, ასეთი სურათი დამხვდა: ზაზას ცოლს ბავშვი კალთაში ეჯდა და კოვზით აჭმევდა, შუახნის მამაკაცი (ზაზას მამა) ტელევიზორს უყურებდა, დედა კი თბილად მეუბნებოდა – აქეთ მობრძანდი, აქ დაბრძანდიო. ნამდვილი ოჯახური იდილია სუფევდა და ვინანე კიდეც – ნეტავ, არ მოვსულიყავი-მეთქი... ბატონი დავითი წამოდგა, ხელი ჩამომართვა. ქალბატონმა ნინომ ახალგაზრდა გოგო გამაცნო – ეს ჩემი ქალიშვილია, ზაზას დაო... თვალი დავჭყიტე და ბავშვს შევხედე... – ეს კიდევ, ჩვენი უმცროსი შვილი, რომელიც სიბერეში ღმერთმა გვაჩუქაო... მეგონა, ფრთები გამომესხა და სადაც იყო, გავფრინდებოდა. ყურებს არ ვუჯერებდი. ცრემლები თავისით წამსკდა. ხმამაღლა ვტიროდი, თან ვსლუკუნებდი და ცრემლებს ხელისგულებით ვიწმენდდი. ყველა გაკვირვებული მიყურებდა. ცდილობდნენ, დავემშვიდებინე... დაუფარავად მოვუყევი ჩემი ეჭვებისა და მათთან მისვლის მიზეზის შესახებ. გულიანად იცინეს. ზაზას დამ მითხრა – როცა სადმე გამოვჩნდებით, პატარაც თუ თან გვახლავს, ყველას ცოლ-ქმარი ვგონივართო... ზაზას კი თურმე, ერიდებოდა იმის გამხელა, რომ 48 წლის დედამ და 50 წლის მამამ ძამიკო გაუჩინეს და სწორედ ამიტომ დაუმალავს ჩემთვის. ათასი ბოდიში მოვიხადე, პატარას მოვეფერე და ყველას ვთხოვე, ჩემი ვიზიტის შესახებ ზაზასთვის არაფერი ეთქვათ... მალე დავქორწინდით. ჩემი მაზლი 1 წლის და 6 თვის გახლდათ, როცა ჩვენ შევუღლდით. მას საკუთარი შვილივით ვზრდი. ახლა, რომ მკითხავენ ხოლმე – ეს პატარა ვისიაო? – და ვეუბნები – ჩემი მაზლია-მეთქი, – ხალხის რეაქციაზე მეცინება...“

„...ჩემმა ქმარმა მეგობარს მოუბოდიშა და დაგვტოვა...“

„გათხოვილი გახლავართ, 3 წლის შვილი მყავს. შარშან შემოდგომაზე, შინ ტელეფონმა დარეკა და მამაკაცის „დაცემა“ ხმამ ჩემი მეუღლე იკითხა. დათო შინ არ იყო. საღამოს იმავე ხმამ ისევ იკითხა ჩემი ქმარი. ისევ არ იყო... ვინ ხართ-მეთქი? – დავინტერესდი. – მეგობარი ვარ, წლების განმავლობაში ყაზახეთში ვცხოვრობდი, ახლა ჩამოვედი და დათოს ვეძებო. მის შესახებ მეუღლისგან ადრე მსმენოდა. დათოს ხშირად უთქვამს – უზომოდ მიყვარს და მენატრება მალხაზი, 6 წელია, არ მინახავსო. ამიტომ მისი გამოჩენით აღვფრთოვანდი და შევთავაზე – შინ გვეწვიეთ, სადაცაა, დათოც დაბრუნდება, უზომოდ გაუხარდება თქვენი ნახვა-მეთქი... დათოს ვერაფრით დავუკავშირდი, რომ სასიხარულო ამბავი მეცნობებინა. მალე მალხაზი მოვიდა. არ ველოდი, თუ ასეთი ლამაზი მამაკაცი იქნებოდა. ძალზე მდიდრულად ჩაცმული, კარგი მანერების მქონე, ძვირფასი სუნამოს სურნელს აფრქვევდა. პირველივე წუთებიდან გავეპრანჭე, რატომღაც ძალაუნებურად ვიქცეოდი ასე. თან ჩემს თავზე ვბრაზობდი, მაგრამ როგორც ჩანს, ეშმაკი შემიჩნდა და თავს ვერ ვაკონტროლებდი... მალე დათოც მოვიდა. მართლა ძალზე გაუხარდა მეგობრის დანახვა. მე დავფაცურდი, რომ სუფრა გამეწყო, მაგრამ დათომ არჩია, რესტორანში წასულიყვნენ. მალხაზმა დაჟინებით მოითხოვა, რომ მეც გავყოლოდი. ბავშვი ჩემს მშობლებთან დავტოვეთ. კიდევ რამდენიმე საერთო მეგობარს დაურეკეს და ისინიც ცოლებიანად დაპატიჟეს... კარგად ვიმხიარულეთ. დათო არ მოეშვა მალხაზს და იმ ღამით ჩვენთან დატოვა. შინ გვიან დავბრუნდით, მაგრამ გადავწყვიტეთ, ყავა დაგველია და ცოტა ხანს გვეჭორავა. ჩემი მეუღლე ექიმი გახლავთ. აიჩემა – დღეს დილით ოპერაცია რომ გავუკეთე, ის ავადმყოფი უნდა მოვინახულო, მძიმედ არის და ყურადღება სჭირდებაო, – მეგობარს მოუბოდიშა და დაგვტოვა. მე და მალხაზი ზოგად თემებზე ვსაუბრობდით, მაგრამ ორივე ვგრძნობდით, რომ სულ სხვა რამეზე ვფიქრობდით... დათო მალე დაბრუნდა და ასე ვთქვათ, იმ დღეს გადავვარჩინა... მაგრამ შემდეგ, ჩემი და მალხაზის ურთიერთობა ჯერ ტელეფონით გაგრძელდა, შემდეგ – პაემანიც დავთქვით. ახლა ის სიგიჟემდე მიყვარს. არ ვიცი, რა გვეშველება. ჩემმა ქმარმა რომ შეიტყოს ყველაფერი, თვალსაც არ დაახამხამებს, ისე მოგვსპობს ორივეს...“

წაგებული ნაძლევი და უტორტოდ დარჩენილი სტუმარი

„ერთ მშვენიერ საღამოს, შინ ტელეფონმა დარეკა. კარგ გუნებაზე გახლდით, ამიტომ უცხო მამაკაცს საუბარი გავუბი. ერთმანეთი გავიცანით, მაგრამ ვთხოვე – შესაძლოა, სხვა დროს ასეთ კარგ ხასიათზე არ ვიყო, ამიტომ ხშირად ნუ დამირეკავ-მეთქი... ხანდახან მირეკავდა, მერე მოუხშირა, მერე – შეხვედრაც მთხოვა. მე ვუთხარი – სვანი ვარ და არ გეშინია, ჩემმა ბიძაშვილებმა ჩემ გვერდით რომ გნახონ-მეთქი?.. – სვანების კი არა, მამალი მგლისაც არ მეშინიაო, – მიპასუხა. გავიდა ხანი. ჩვენ ისევ ვლაპარაკობდით ხოლმე ტელეფონით, მე ისევ არ ვთანხმდებოდი პაემანზე... ერთხელ რაღაც საკითხზე ვიკამათეთ. მე ჩემსას ვამტკიცებდი, ის – თავისას. დავნაძლევდეთო, – მითხრა, – თუ შენ იქნები მართალი, შინ დამპატიჟებ, ტორტი, ხილი და 10 ბოთლი შამპანური ჩემზე იყოს, ხოლო თუ გამტყუნდები, მაშინ მაინც შენ უნდა დამპატიჟო, ოღონდ – ყველაფერი შენვე უნდა იკისროო... დავთანხმდი. ნაძლევი წავაგე. გადავწყვიტეთ, შაბათ დღეს შევხვედროდით ჩემთან. უზარმაზარი ტორტი შევუკვეთე, ხილი და შამპანურიც ვიყიდე და ჩემი 6 ბიძაშვილიც დავპატიჟე. წინასწარ გავუმხილე ჩემი ჩანაფიქრი და სტუმრის მოსვლამდე, ისინი საძინებელში შევიყვანე... როგორც იქნა, ოთარიც მოვიდა. ყვავილები მომართვა და ყურში ჩამჩურჩულა – იმაზე მშვენიერი ყოფილხარ, ვიდრე წარმოდ-

გენილი მყავდიო. სუფრას მიუჯდა, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია იმისთვის, რომ ის 8 ადამიანზე იყო გაწყობილი. შევაპარე – როგორც ვიცი, სვანების არ გეშინია, ხომ? – არაო, – გააქნია თავი. – ჰოდა, მოულონელად უშგულიდან 6 ბიძაშვილი მეწვია, ახლა მეორე ოთახში არიან; თუ გინდა, არ გამოვლენ, მაგრამ თუ შენთვის პრობლემას არ წარმოადგენს, მაშინ დავუძახებ-მეთქი... ცოტა კი შეცბა, მაგრამ მაინც იხტიბარი არ გაიტეხა. თანაც, ხომ არ მეტყოდა – საძინებელში გამოკეტე შენი ნათესავებიო. ჰოდა, „გამოლაგდნენ" მთასავით ბიჭები... აქეთ-იქიდან მიუსხდნენ ოთარს და გაჩაღდა ქეიფი. ხან ერთი სვანი დაჰკრავდა მხარზე ხელს – აბა, „ბრატ", ერთი სადღეგრძელო დაგვილიეო! – ხან – მეორე, თან ერთმანეთს თვალებს უპაჭუნებდნენ... ოთო მთლად დაპატარავდა. ბოლოს, როგორც იქნა, გამოსავალი მოძებნა და ფეხზე წამოხტა – წავალ, გამაგრილებელ სასმელსა და ნაყინს მოვიტანო, – და გავარდა. ალბათ მიხვდით, რომ ის უკან აღარ მობრუნდებოდა. ამის შემდეგ, ჩემი ხმის გაგონებაზე, ყურმილს კიდებდა ხოლმე... რა ვიცი, რა ეწყინა. მე ხომ უბრალოდ, გავეხუმრე!.."

ვინ არის „გზის" მკითხველი, იდუმალი ქალბატონი?..

„თავხედობასა და თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, თუ ვიტყვი, რომ გარეგნობით უნაკლო მამაკაცი ვარ. 27 წლის გახლავართ. ამბავი, რომელიც უნდა მოგიყვეთ, 2 წლის წინ გადამხდა თავს. ჩემი გარეგნობის წყალობით, გოგონები არასოდეს მაკლდა. საღამო ისე არ გავიდოდა, რომ 2-3 გოგონას არ დაერეკა და არ ეთქვა – შენი გაცნობა მინდაო. ხან გავუბამდი ლაპარაკს, ხან – ყურმილს ვუკიდებდი... ერთხელ გადავწყვიტე, მე თვითონ დამერეკა უცნობ ნომერზე, ვინმე გამეცნო ისე, რომ თანაბარ პირობებში ვყოფილიყავით. ალალბედზე ავკრიბე ნომერი და ნინო ვიკითხე. შემთხვევით აღმოჩნდა, რომ მართლაც უცხოვრია იქ ნინოს, რომელიც 22 წლის იყო. მშვენივრად ავაწყვეთ საუბარი. ორი თვის განმავლობაში ვურთიერთობდით. ძალზე დავინტერესდი მისით. ერთ დღეს, პაემანზე შევთანხმდით. სანაპიროზე, კორტებთან უნდა დავლოდებოდი. გამოვიპრანჭე, ოდეკოლონიც ვიპკურე და შუქნიშანთან გავჩერდი. დათქმულ დროს, ჩემ წინ „მერსედესი" გაჩერდა. ჩემს მხარეს მინა ჩასწია. საჭესთან მომხიბვლელი ქალი იჯდა, მაგრამ 22 წლისას ნამდვილად არ ჰგავდა... გამოვაღე კარი და მანქანაში ჩავჯექი. მოვიკითხე. საუბარი გავაბით და მივხვდი, რომ ეს ნინო არ იყო. მოთმინებით აღვიჭურვე და დაველოდე, რა მოხდებოდა. თამუნა (ასე გამეცნო) საჭეს მდუმარედ მართავდა, მხოლოდ მოკლე ფრაზებს მესროდა. მერე, ერთ-ერთ სასტუმროსთან გაჩერდა და მკითხა – ქალები გიზიდავსო?.. თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი. – თანახმა ხარ, ერთი ღამე ჩემთან გაატაროო?.. ანგელოზივით ქალი იყო, უარს რატომ ვეტყოდი?.. ყველაფერმა მშვენივრად ჩაიარა. ისე დაგვათენდა თავზე, ვერც კი გავიგეთ. დილით ჩემი ტელეფონის ნომერი ჩაიწერა და მითხრა – როცა მომენატრები, დაგირეკავო. ყოველ წუთსა და წამს ველოდი მის ზარს. ცხოვრება ჯოჯოხეთად მექცა. მინდოდა, ამომეხსნა, ვინ იყო ეს ქალი. არავისკენ აღარ ვიხედებოდი, ყველა გოგო ერთბაშად მოვიშორე თავიდან... თვეზე მეტი იყო გასული, როცა ჩემს ტელეფონზე დაფარული ნომრიდან ზარი შემოვიდა. გულმა მიგრძნო, რომ ის იქნებოდა. შევხვდით. ისევ იმ სასტუმროში მიმიყვანა... მესამედ, უფრო მალე – ორი კვირის შემდეგ დამირეკა... ჩვენი ურთიერთობა უკვე ორი წელია, გრძელდება. დღემდე ვერაფერი დავადგინე მასზე. ამას წინათ, მის მანქანაში ჟურნალი „გზა" შევნიშნე. იქნებ, წაიკითხოს ჩემი მესიჯი და გამარკვიოს, თორემ, შეიძლება გავგიჟდე".

ახლა კი, მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

„ტელეფონის ქურდს ვეძებდი და დაუვიწყარი სიყვარული ვიპოვე"

„ეს გასულ ზაფხულს დაიწყო. ჩემმა დამ შემთხვევით აკრიბა ტელეფონის ნომერი და ის ბიჭი ჩვენი რაიონიდან აღმოჩნდა, ოღონდ, აქ „კომანდოს" ბატალიონში მსახურობდა. ისინი ერთმანეთს უმესიჯებდნენ და საკმაოდ მეგობრული ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ. ეს ჩემი ტელეფონით ხდებოდა... მალე, ჩემი და გათხოვდა. ჩვენ კი ურთიერთობა გავაგრძელეთ. ის ძალზე კარგი ადამიანი აღმოჩნდა. მისი დაკარგვა არ მსურდა. შინ მოვიპატიჟე. რა თქმა უნდა, ჩემი და თავის ოჯახში იყო და ის არ უნახავს... ახლა რამდენიმე თვეა, ერაყში იმყოფება. ისევ ტელეფონი გვშველის. მინდა, მობილურ ტელეფონს ძეგლი დავუდგა, რომ ასეთი გულითადი მეგობარი მაპოვნინა..."

„მეგრელო, რისთვის გინდა ეგ მობილური, თუ ჩემისთანა „დაცემა" გოგოს არ დაუმესიჯებ? შე ინგლისურში გაუნათლებელო! რომ მაწერინებ რუსულ მესიჯებს, პასუხს რატომ არ მცემ?.. იცოდე, გაგებუტები და მერე ელოდე, როდის მომიბრუნდება გული. სვანი სალომე".

„ჩემო პატარა ალა, კარგად დაიმახსოვრე, რომ მაგ პატარა ჭიათურაში ვერ დამემალები. მალე ჩამოვალ და იცოდე, რომ ტელეფონით დაწყებულ ურთიერთობას ასე არ დავტოვებ. ნუ ჯიუტობ, თორემ ინანებ!"

„ყველაფერი ტელეფონით დაიწყო. ნაცნობთან ვრეკავდი ახალი წლის მისალოცად. მის ნაცვლად, სხვამ მიპასუხა. ლაპარაკი გავაბით. არ დამიჯერებთ, რომ გითხრათ, რომ ეს ბიჭი ტელეფონით შემიყვარდა, თანაც – იმავე დღეს. თქვენ წარმოიდგინეთ, თურმე, ასეც ხდება. გადიოდა დღეები. მის ხმას რომ ვერ გავიგონებდი, ცუდად ვხდებოდი. ეს ადამიანი თვალით ნანახიც არ მყავდა. ჩემთვის მის გარეგნობას მნიშვნელობა არ ჰქონდა... ასე, ლაპარაკ-ლაპარაკში გავიდა რამდენიმე თვე. 23 მარტს, მეგობრის დაბადების დღეზე წავედი. დილიდანვე აფორიაქებული ვიყავი. იქიდან გვიან წამოვედი. მან მომაკითხა. ძალიან მომეწონა გარეგნობითაც. მთელი ღამე არ მიძინია. ტელეფონით ყოველდღე ვლაპარაკობდით. ხშირად ვჩხუბობდით. მასთან შეხვედრას მიშლიან, მაგრამ ჩუმ-ჩუმად მაინც ვახერხებ. ყველას მოვატყუებ, ოღონდ, მას შევხვდე. არავინ და არაფერი მაინტერესებს. ყველა შემოტევას ვუმკლავდები. ძალზე ბედნიერი ვარ. დიდი მადლობა ტელეფონს, რომ არსებობს. თეო".

„უკვე 3 წელია, რაც ერთ ბიჭს ტელეფონით ვეკონტაქტები. ჰოდა, ამ ოხერმა ისე შეგვაყვარა ერთმანეთი, რომ ტელეფონით დაწყებულს, მალე, ქორწილით დავამთავრებთ. ხათო".

„2 წლის წინ, შემთხვევით გავიცანი ლაშა. ის თელავში ცხოვრობს, მე კი – ქუთაისში... ზოგჯერ, ხშირ-ხშირად მიმესიჯებს, მერე – დაიკარგება ხოლმე. თუ „გზავნილებს" კითხულობს, მიხვდება, რომ ქუთაისიდან ნათია ეკონტაქტება, ამჯერად – „გზის" საშუალებით".

„ტელეფონით ერთი ბიჭი გავიცანი. მისი ხმისა და მესიჯების გარეშე ვერ ვძლებდი. ბევრი თაყვანისმცემელი მყავდა. ის კი მიმტკიცებდა – შენთან მეგობრობა მინდაო, ამიტომ ძალზე მივენდე. მოულოდნელად გამომიცხადა, რომ თურმე, რამდენჯერმე ვყავდი ნანახი. ცოტა ხანში კი გამომიტყდა, რომ ძალიან ვუყვარდი და ჩემ გარეშე ვერ ძლებდა... ყოველ წუთს სიყვარულს მიმტკიცებდა, ჩემთვის კი ყველაფერი დამთავრდა. მასთან შეხვედრის სურვილი დავკარგე. ჩოხატაუ-

რელო გიო, შენ მე გული მატკინე, ვერასდროს მნახავ. ნინო, ზუგდიდი“.

„გამარჯობა, მარი! ხომ ხარ ისე, როგორც შენს ერთგულ მკითხველს გაუხარდება? მინდა, ჩემი ამბავი მოგიყვეთ. შინ მარტო ვიყავი. ჩემი ძმის მობილურ ტელეფონზე ვიღაც ზარს უშვებდა (ჩემი ძმა შინ არ იყო). გადავრეკე დაფიქსირებულ ნომერზე. არ მიპასუხა. ასე გამეორდა რამდენჯერმე. ავდექი და „მწარე“ მესიჯი გავუგზავნე. ის 16 წლის, თავხედი გოგონა აღმოჩნდა. რის ანანო ვარ, თუ რამეს არ გავუჩალიჩებდი?! ავდექი და ბიჭის ხმით დაველაპარაკე. ძლივს „მოვარჯულე“ პატარა კაპარჩხანა და ბოლოს აღმოჩნდა, რომ შევუყვარდი. ეს რომ მითხრა და მეხვეწა, შემხვდიო, ლამის, მოვკვდი სიცილით. თან, შემეცოდა. ჰოდა, ერთი ჩემი „სიმპო“ ძმაკაცი გამოვპრანჭე და პაემანზე გავუშვი... საბოლოოდ, ყველაფერი გაირკვა, მაგრამ მათ ერთმანეთი შეუყვარდათ და ამის შემდეგ, ქვეყანას კიდევ ერთი ანანო მოეკლინა. აი, ასე „ვიღვწი“ სხვისი ბედნიერებისთვის, მე თვითონ კი, „ცალრქად“ დავდივარ“.

„თითქმის ერთი წელია, რაც ტელეფონით ვეკონტაქტები თბილისელ გოგოს. მას ნაირა ჰქვია. პირადად არასოდეს შევხვედრივარ. მინდა, ვუთხრა, რომ მასთან მეგობრობის გაგრძელებას ვცდილობ და ძალიან მიყვარს. მინდა, შევხვდე და ყოველივე პირადად ვუთხრა. მარი, დამიბეჭდე, შესაძლოა, ჩემი მომავალი ამ მესიჯზე იყოს დამოკიდებული. გოჩა დ-ძე. ქობულეთი“.

„ჩემს მეგობარ გოგოს ერთი ბიჭი მოსწონდა. გადავწყვიტე, დავხმარებოდი. ამ ბიჭის ნომერი გავიგე და დღედაღამ ამ გოგოს ქებით გამოვუჭედე ყურები. ჩემს ვინაობას ცოცხალი თავით არ ვუმხელდი. ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. შემდეგ ჩვენ შეგვიყვარდა ერთმანეთი. ახლა სურს, რომ ოჯახი შევქმნათ, მაგრამ მე ჯერჯერობით თავს ვიკავებ“.

„მესიჯებით გავიცანი ერთი ბიჭი. ჩვენი ურთიერთობის შესახებ ჩემს ნათესავს ვუყვებოდი, ის — თავის ძმაკაცს, რომელსაც მე ვუყვარდი. ეს ბიჭი მეც მომწონდა. რომ გაიგო ჩემი სატელეფონო ნაცნობობის შესახებ, ძალზე გააქტიურდა. მეც, ტელეფონით გაცნობილ ადამიანს, ის ვარჩიე, რადგან ძალზე შემაყვარა თავი. „სატელეფონო“ შეყვარებულს კი ვერ გაუგია, რატომ გავწყვიტე მასთან ურთიერთობა. თუ ამ მესიჯს წაიკითხავს, მიხვდება. დათო, ნიკა მიყვარს. ლიზი“.

„8 თვის წინ, ჩემმა მეგობამა ტელეფონით გაიცნო ბათუმელი თემო. მზიას ვეუბნებოდი ხოლმე — თემო შენი გულისთვის აქ არ ჩამოვა, თავი დაანებე-მეთქი. ის კი ყურსაც არ მიგდებდა. უზომოდ იყო თემოზე შეყვარებული. 9 თებერვალს, თემო თბილისში ჩამოვიდა და ისინი ერთმანეთს შეხვდნენ. ჩემი მეგობარი ბედნიერი იყო, მაგრამ მისი სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგან თემო მალე დაბრუნდა უკან. თემო ისევ ტელეფონით ეკონტაქტებოდა და სწერდა, როგორ ძლიერ უყვარდა და ენატრებოდა იგი, მაგრამ ეს ყოველივე ტყუილი და ფუჭი სიტყვები ყოფილა... თბილისში აღარ ჩამოდიოდა. ტყუილების ოსტატი გახლდათ. ერთი კვირის წინ კი, საერთოდ დაიკარგა. აღარც ურეკავს, აღარც მესიჯებს უგზავნის. მხოლოდ ერთი მესიჯი გამოუგზავნა და უთხრა, რომ აღარ უყვარდა. ჩემი მეგობარი შოკში ჩავარდა. მან თავისი პირველი სიყვარული სწორედ თემოს გამო ისე მიატოვა, რომ მიზეზიც კი არ აუხსნია მისთვის. იქნებ, ჩემი გზავნილი თემომ წაიკითხოს, ვაჟკაცობა ეყოს, დაურეკოს და აუხსნას, რატომ მოიქცა ასე. მზიას რომ ვუყურებ, გული მიკვდება, ისე განიცდის. თეა“.

„მარი, თუ ქუთაისელებს ოდნავ პატივს სცემ, გთხოვ, გამომიქვეყნო ეს მესიჯი. ანის ტელეფონის ნომერი საერთო ნაცნობისგან გავიგე. პირველად რომ დავურეკე, მითხრა — გეხვეწები, შინ ნუღარ დამირეკავო. მერე ერთმანეთი გავიცანით. ერთად თავს კარგად ვგრძნობდით. ამ ბოლო დროს კი, რაღაც ემართება. ძველებური ანი სადღაც გაქრა. თურმე, ჩემი ნახვის სურვილიც აღარ ჰქონია. ანი, იქნებ, სულ ცოტა დრო გამონახო და ყველაფერი ამიხსნა? „ზასტაველი“ ალიბაბა“.

„ძალზე დიდი ხანია, „გზავნილებში“ ამ თემას ველოდი. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ დაქალმა გამიმხილა — ერთი ბიჭი მევასება, გთხოვ, დაურეკე და გაიცანიო. ასე გავიცანი დათო. ძალზე თბილი, ზრდილობიანი და კარგი ადამიანი აღმოჩნდა. მან გამიმხილა, რომ მის შეყვარებულს სალომე ერქვა (ეს ჩემი დაქალის სახელი იყო). როცა ეს სალომემ გაიგო, სიხარულით გადაირია. მაგრამ რაც დრო გადიოდა, სალოს ვეღარ ვცნობდი: დათოს მიმართ გაცივდა, თავის დაფასება დაიწყო... ამასობაში, მე და დათო ტელეფონით საუბარს განვაგრძობდით და შეხვედრას მთხოვდა. ბოლოს, როგორც იქნა, შევხვდით. სალომე ჩემი დაქალი აღარ არის. მე და დათო კი საუკეთესო მეგობრები ვართ“.

„ახალციხელო ონო, თითქმის ერთი წელია, გიცნობ და ჩვენი შეხვედრა რატომღაც არ შედგა. გეყოს ვაჟკაცობა და ჩამოდი თბილისში. მინდა, თვალებში ჩაგხედო და ისე მოგიყვე, როგორ მიგეჩვიე და მჭირდები. ჩამოდი და არ ინანებ, გპირდები“.

„შარშან შემოდგომაზე, ტელეფონი დავკარგე. მას შემდეგ, ჩემს ნომერს ხშირად ვამოწმებდი — იქნებ, ვინმემ ჩართომეთქი, — მაგრამ ამაოდ. რამდენიმე თვის წინ, კიდევ დავრეკე და ერთმა გოგონამ მიპასუხა. ჯერ სხვა სახელით გავეცანი. ვცდილობდი, მასში ვინმე ნაცნობი ამომეცნო, რომ ტელეფონის ქურდი მეპოვა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ნომერი კომპანიის ოფისში ჰქონდა აღებული. როცა მის სიმართლეში საბოლოოდ დავრწმუნდი, ჩემი ნამდვილი ვინაობაც გავუმჟღავნე და ურთიერთობა გავაგრძელეთ. თეონა ფ-ძე ქუთაისში ცხოვრობს. ძალზე თბილი ურთიერთობა გვაქვს. შესაძლოა, მას არც მოეწონოს ჩვენი ურთიერთობის სახალხოდ გამოტანა, მაგრამ ჩემი გამართლება ის არის, რომ მინდა, მთელი საქართველოს წინაშე ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს... აი, ასე, ჩემო კარგებო — ვეძებდი ტელეფონის ქურდს და შევხვდი განუმეორებელ სიყვარულს“.

„ვისაც გათხოვება ან საზღვარგარეთ წასვლა სურს, მე უნდა დამირეკოს: ვინც ტელეფონით გავიცანი და მერე შევხვდი, მათგან 5 გათხოვდა, 1 — ახლა თხოვდება; ვინც მაკოცა, მათგან 3 უცხოეთში წავიდა. ჩემთან ურთიერთობამდე ისინი ვერ ახერხებდნენ გამგზავრებას“.

„ორი წლის წინ, ტელეფონით გავიცანი ბიჭი. გარკვეული დროის განმავლობაში, ერთმანეთი არ გვინახავს. ვერც კი მივხვდით, ისე შევეჩვიეთ ერთმანეთს, ლამის, ტელეფონს მივეჯაჭვეთ. ბევრჯერ ისე დამთენებია თავზე ლაპარაკში, რომ ვერც კი გამიგია. როდესაც ერთმანეთს შევხვდით, ორივე ყურებამდე ვიყავით შეყვარებული... შემდეგ ერთმანეთს ხშირად ვხვდებოდით და მომავალსაც ვგეგმავდით. ჩემი ოცნებები მაშინ დაიმსხვრა, როცა ყველაფერი მშობლებმა შეიტყვეს. ლამის გაგიჟდნენ. გაუთავებლად ჩამჩიჩინებდნენ, რომ ის და მისი ოჯახი, ჩვენი შესაფერისი არ იყვნენ. ვერ წარმოიდგენთ, რამდენი სიძნელის გადალახვა მიხდებოდა, მაგრამ ჩემი სიყვარულის დაცვა ვერ შევძელი... დღეს ქმარიც მყავს და შვილიც, მშობლების წყალობით. ჩემი პატარა მაძლებინებს მხოლოდ და ძალას მაძლევს საიმისოდ, რომ ცხოვრება თამაშითა და ნიღბით განვაგრძო... თათა“.

დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — ამას ვერ დავიჯერებდი, საკუთარი თვალით რომ არ მენახა... გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. გეშვიდობებით მომდევნო ხუთშაბათამდე. ■

იმედა კახიანისთვის დღემდე სამაგალითოა მამების თაობა და სურს, ბევრ რამეში მათ ჰგავდეს. მსახიობის თქმით, მისი თაობის ადამიანები უფრო გულისხმიერები, ლმობიერები და მიმტევებლები იყვნენ, უფრო უყვარდათ ერთმანეთი. მის დროს მეგობრობასაც სხვა ფასი ჰქონდა და სიყვარულსაც...

გიორგი შაყულიძესთან გატარებული ყველასგან ფარული საათები... რატომ იყო სპარტაკ ბერაშვილის შვილობა რთული...



ნინო ჯავახიშვილი

— ჩემთვის სამაგალითო იყო მამაჩემის თაობა. მათ კიდევ უფრო ცუდ დროს მოუხდათ ცხოვრება, ვიდრე ჩვენ — რევოლუციასაც მოესწრნენ, რეპრესიებსაც, ომსაც, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, მათ შორის, ვერ ნახავდით გაბოროტებულ და დაბოღმილ ადამიანს... ომის წლები კარგად მახსოვს. მიუხედავად იმხელა გაჭირვებისა, ხალხი უფრო მიმტევებელი და გამტანი იყო, ყველა ერთმანეთს ეხმარებოდა. ბავშვობისას, პლეხანოვზე ვცხოვრობდი. ეზოში სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობდა, მაგრამ ამას ყურადღებას არავინ აქცევდა — ყველანი თბილისელები ვიყავით. გაჭირვება უფრო აერთიანებდა ხალხს. საზოგადოება არ იყო დაყოფილი მილიონერებად და ღატაკებად. არ იყო ამხელა კონტრასტი შეძლებულსა და ღარიბს შორის. რომელი რაიკომის მდივანი გაბედავდა იმას, რასაც დღეს ჩვენი ჩინოვნიკები აკეთებენ?! როდესაც შენი მეზობელი შიმშილობს და შენ ყოველდღე ქეიფობ, განა შეგერგება!.. ცნობილი ამბავია, რომ ინგლისის დედოფალმა ომის დროს უფლება არ მისცა მსახურს, ბუხარში ცეცხლი დაენთო — ჩემს ხალხს სცივა და თავს უფლებას ვერ მივცემ, ბუხარში ცეცხლი მენთოსო... ახლა რაც ხდება, თვითონაც კარგად იცით. ამიტომაც არის, რომ მე და ჩემი მეგობრები ვაღმერთებდით მამების თაობას, ისე მოგვწონდა. როდესაც ჩემზე გაცილებით უფროსი ადამიანის თამაში მიწევს, ვცდილობ, სწორედ იმ თაობის კაცის სახე შევქმნა.

— მაინც როგორები იყვნენ ისინი?

— პირველ რიგში, ძალიან უყვარდათ თავიანთი ქვეყანა და ამაყობდნენ იმით, რომ საქართველოს შვილები იყვნენ. ოჯახის პატივისცემა იცოდნენ. სამაგალითო იყო შვილებისადმი მათ დამოკიდებულებაც. ჩემი 5 წლის შვილიშვილიც კი, თუ რაიმე ისე ვერ ვთქვი, როგორც საჭიროა — კარგი, რა, ბაბუო, — მეტყვის ხოლმე და ვხვდები — ე.ი. რაღაც შეცდომა დავუშვი და ვჩუმდები. ამის თქმას მამას და ბაბუას როგორ გავუბედავდი?! ვერ ვიტყვი, მათ არ ვუყვარდით-მეთქი. ალბათ, როგორც მე მიყვარს ჩემი შვილი და შვილიშვილები, ისე ვუყვარდით მათაც, მაგრამ ზედმეტს არ გაგვაბედვინებდნენ. უფროსუმცროსობის წესს ვიცავდით და უფრო მეტი რიდი გვქონდა მათი. ყველაზე უცნაური კი, იცით, რა იყო? დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების მიუხედავად, მაინც ისეთი გულუბრყვილოები იყვნენ, რომ ყველაფრის სჯეროდათ. ვერ წარმოედგინათ, ვინმე თუ მოატყუებდა, ფიქრობდნენ — კაცი სიტყვას რომ იტყოდა, აუცილებლად შეასრულებდა — სიტყვას არ გადავიდოდა. ადრე ტრადიციებსაც უფრო მეტად ვცემდით პატივს. ვფიქრობ, ახალი დროის მიუხედავად, საკუთარი სახე მაინც არ უნდა დაკარგოს ქართველმა ხალხმა. მე მომწონს ტრადიციული ქართული ოჯახი, სადაც უფროსი — მამაკაცია, მნიშვნელობა არა აქვს, მუშაობს ის თუ არა და არის თუ არა მარჩენალი. ჩვენს ოჯახში მხოლოდ დედა მუშაობდა და ფული მას შემოჰქონდა, მაგრამ არ მახსოვს, მამის უკითხავად, მას ან რაიმე გადაწყვეტილება მიეღო, ან ვინმესთვის პასუხი გაეცა... დღემდე მახსოვს მამაჩემის დარიგებები.

იმედა კახიანი ფილმში — „საბუდარელი ჭაბუკი“ გრიგოლ ტყაბლაძესთან ერთად

— ვინ იყვნენ თქვენი მშობლები, როგორ გზრდიდნენ, რას გასწავლიდნენ?

— მამა რეპრესირებული იყო და მუშაობის უფლება არ ჰქონდა, როგორც პოლიტიკურად არასაიმედოს. პროფესიით ეკონომისტი გახლდათ. დიდი აქტივისტი და რევოლუციონერი არ ყოფილა. თბილისში ცხოვრობდა. მასთან ხშირად რჩებოდნენ თანასოფლელები, მეგობრები, ვისაც აქ საცხოვრებელი არ ჰქონდა, ზოგჯერ — თვეობითაც კი. ერთხანს, მის მეზობელსაც უცხოვრია მასთან. ახალგაზრდა კაცი გახლდათ თურმე, მილიციაში მუშაობდა. ერთხელ მცხეთაში ყოფილან წასული საქეიფოდ. მამას მთავრობაზე რაღაც კრიტიკული გამოუთქვამს. ჰოდა, სწორედ იმ კაცმა ჩაუშვა, ვინც მამამ შეიფარა... მერე, უკვე გადასახლებიდან დაბრუნებულს, ქუჩაში შემთხვევით დაუნახავს თავისი „ახლობელი“. მას გაქცევა დაუპირებია. მამას უთქვამს — ახალგაზრდა კაცი ხარ და ალბათ, ვიღაცამ შეგაცდინა; არა უშავს, ახლობლები ვართ და ისევ ახლობლებად დავრჩეთო... ყველას უკვირდა, როგორ შეძლო პატიება, მაგრამ მამა სხვანაირი კაცი იყო. გადასახლებიდან დაბრუნებული, სულ ავადმყოფობდა, ბოლოს ლოგინადაც ჩავარდა, მაგრამ საყვედური არავისზე დასცდენია... მამას ქალაქის ტიპის დასახლებაში ცხოვრების უფლება არ ჰქონდა. ამიტომ მშობლები და ჩემი ორი ძმა სამტრედიის რაიონში, სოფელ ეწერში ცხოვრობდნენ, მე კი — თბილისში გაუთხოვარი მამიდა მყავდა და მასთან ვიზრდებოდი. 12 წლის ვიყავი, როცა მამიდა გარდაიცვალა. ახლაც მიკვირს, როგორ ვცხოვრობდი მარტო 12 წლის ბიჭი! მთელმა უბანმა იცოდა, რომ მარტოხელა ვიყავი და ჩემ მიმართ, ყველა მზრუნველობას იჩენდა. ჩემი მეგობრის დედა — დაშა ბარათაშვილი არაჩვეულებრივი ქალი იყო. მე და მისი შვილი ერთ სკოლაში ვსწავლობდით. ისინი ჩერქეზოვზე ცხოვრობდნენ, პლეხანოვიდან

საკმაოდ შორს. ყოველ დილით ჩამოდიოდა დაშა დეიდა და მაღვიძებდა — სკოლაში არ დაგაგვიანდესო. მაშინ ადამიანები ძალზე გულისხმიერები იყვნენ. მერვე კლასში ვსწავლობდი, როცა სკოლიდან გამრიცხეს: ზოგჯერ, როცა დაშა დეიდა არ ჩამოდიოდა, მეძინებოდა და სკოლაში მაგვიანდებოდა, ამას ცოტა სიზარმაცეც დაერთო სწავლაში და სკოლიდან გამრიცხეს. ისეთ სკოლაში გადავედი, სადაც მკაცრი დისციპლინა არ იყო დამყარებული. ზოგჯერ, რომ გავიღვიძებდი, ნახევარი კლასი ჩემთან ივჯდა — ვინც სკოლას აცდენდა, ყველა ჩემთან მოდიოდა. სკოლაში მაშინ მივდიოდი, როდესაც გაკვეთილები ვიცოდი.

— ალბათ, ქუჩაში ბევრ დროს ატარებდით, რაკი მშობლების მეთვალყურეობის ქვეშ არ იმყოფებოდით, არა?



ჩემი 5 წლის შვილიშვილიც კი, თუ რაიმე ისე ვერ ვთქვი, როგორც საჭიროა — კარგი, რა, ბაბუო, — მეტყვის ხოლმე და ვსვდები — ეი. რაღაც შეცდომა დავუშვი...

— დიდი მოჩხუბარი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ქუჩაში, ბირჟაზე დროის უმეტეს ნაწილს ვატარებდი. მაშინ ვჩხუბობდით პირველობისთვის — იმის დასადგენად, თუ ვინ უფრო მაგარი დამრტყმელი იყო უბანში. წაქცეულს, რა თქმა უნდა, არ ურტყამდნენ. გამორიცხული იყო იარაღის ხმარება. კაცურად ვჩხუბობდით. პლეხანოველი რუსთაველზე თუ „დააბირჟავებდა", ეს ბირჟისა და უბნის ღალატი იყო, დანაშაულად ეთვლებოდა. ბირჟაზე უღირსი კაცი ვერ დადგებოდა. რომელიმეს უსაქციელობა მთელი ბირჟისთვის თავის მომჭრელი იყო. ვთქვათ, იტყოდნენ ვინმეზე — ამ კაცმა მეგობრის შეყვარებულთან დაიწყო სიარულიო, — ის ბირჟაზე ჩვენთან ერთად ვეღარ დადგებოდა. მე და ჩემი მეუღლე 5 წელი ვიყავით შეყვარებულები და ამის შესახებ მთელმა ჩემმა სამეგობრომ იცოდა. ისე კი არ იყო — დღეს ერთთან გაგევლო და ხვალ — მეორესთან. როდესაც ერთი გოგო რამდენიმე ბიჭს მოსწონდა, მიდიოდნენ და თვითონ გოგოს ეკითხებოდნენ — რომელი გინდაო? რომელსაც გოგო აირჩევდა, იმის შეყვარებული ხდებოდა და ხმას ვეღარავინ გასცემდა... ადრე სხვა ფასი ჰქონდა სიტყვასაც და მეგობრობასაც. ბედნიერი კაცი ვარ, რომ ბრწყინვალე მეგობრები მყავდა და ახლაც მყავს. ჩემთვის მეგობარი, როგორც ჩემი სისხლი და ხორცი, როგორც დედმამიშვილი, ისეთივე საყვარელია. მაშინ მეგობრები უფრო მეტ დროს ვატარებდით ერთად. ხან ვაბირჟავებდით, ხან ახალი ფილმის ან ფეხბურთის საყურებლად მივდიოდით, ხანაც — ვქეიფობდით. ახლა ადამიანები უფრო ჩაკეტილები არიან — თითქოს მხოლოდ თავიანთი საქმე და სამსახური აინტერესებთ.

— რას ვერ აპატიებდით მეგობარს?

— ტყუილს... თუ ვინმეს ტყუილში გამოვიჭერდით, მას ჩვენს გუნდში აღარ ვიღებდით. ერთ ბიჭს ჩვენი გუნდის წევრობა უნდოდა. ერთხელ რესტორანში წავედით საქეიფოდ. ფულიც გაგვითავდა და ღვინოც. ის ბიჭი ცოტა ხნით გავიდა და როცა დაბრუნდა, ღვინო მოიტანა; ტუალეტში ფული ვიპოვე და ვიყიდეო, — გვითხრა. დავლიეთ ის ღვინოც, მაგრამ არ გვინდოდა დაშლა და ვფიქრობდით, როგორ გვეშოვა ფული. ის ბიჭი ისევ გავიდა და კვლავ ღვინით დაგვიბრუნდა — ვა, არ დაიჯერებთ და კიდევ ვიპოვე ფულიო. მივხვდით, რომ ტყუოდა. ის ღვინოც რომ დავლიეთ, ვუთხარით — აბა, ახლა წადი და ფული კიდევ იპოვე-თქო! წავიდა და „იპოვა" კიდეც, მაგრამ იმის გამო, რომ ტყუილში გამოვიჭირეთ, ჩვენი გუნდის წევრი მაინც ვერ გახდა. ეთქვა პირდაპირ — ფული მაქვს და დავხარჯოთო. მატყუარა კაცს როგორ ვენდობოდით?!.

— თქვენი წინამორბედი თაობის მსახიობებიდან ვის გაიხსენებთ?

— ბედი უნდა გქონდეს 19 წლის ბიჭს, ისეთი ბუმბერაზი მსახიობების გვერდით რომ ითამაშო, როგორებიც იყვნენ, გიორგი შავგულიძე, სპარტაკ ბაღაშვილი... რომელი ერთი გავიხსენო... ფილმში — „განაჩენი" — ახალგაზრდა ინჟინერს განვასახიერებდი, სამმართველოს უფროსის როლს კი, გიორგი — ჟორა შავგულიძე ასრულებდა. ყველა ჟორჟიკას ეძახდა. ფილმში კაშხალზე, რომელსაც ვაგებთ, ავარია ხდება, მე ვიღუპები, მას კი — იჭერენ. ამ ეპიზოდის გადაღების შემდეგ, საგრიმიოროში ავედით მე და ჟორჟიკა — წითელი საღებავით ვიყავით დასვრილები და უნდა მოგვეცილებინა. მითხრა — ახლა მე წავალ და საღამოს 8 საათისთვის დავბრუნდებიო. გადაღებები უნდა განახლებულიყო. ყველანი შევიკრიბეთ 8 საათზე, მაგრამ შავგულიძე არა და არ გამოჩნდა. მერე დაგვირეკეს — ჟორჟიკა შავგულიძე გარდაიცვალაო: პლეხანოვზე ტროლეიბუსი დასჯახებია... საავადმყოფოში კი გავიქეცით, მაგრამ უკვე გარდაცვლილი იყო. არასდროს დამავიწყდება ის დღე... სპარტაკ ბაღაშვილთან ერთად ვთამაშობდი ფილმში — „თეთრი ქარავანი". მამა-შვილის როლებს ვასრულებდით, მეცხვარეები ვიყავით, მე — გელა, ის — მარტია. ფილმში რაც ხდებოდა, ყველაფერს ისე განიცდიდა, თითქოს ეს მის ცხოვრებაში ხდებოდა. ფილმის სიუჟეტი ასეთი იყო — გელას მოსწყინდება მთაში ყოფნა და მეცხვარეობა, დატოვებს მამამისს და ქალაქში ჩამოვა. მარტია ქარბუქის დროს დაიღუპება. გელა ინანიებს თავის საქციელს — რომ არ წავსულიყავი და დავხმარებოდი, მამა არ დაიღუპებოდაო... ფილმის გადაღების დასრულების შემდეგ, სპარტაკმა ძალიან მოიწყინა. მიზეზი რომ ვკითხეთ, ასეთი რამ გვითხრა — რომ მცოდნოდა, „ჩემი შვილი" ასეთ რამეს ჩაიდენდა, ამ როლზე არ დავთანხმდებოდი, როგორ შეიძლება, კაცმა თავის წინაპრებს და ოჯახს უღალატოსო?!. აი, ასეთი ძნელი იყო სპარტაკ ბაღაშვილის „შვილობა"... მენატრებიან ის ადამიანები, ვინც ამქვეყნად აღარ არიან, ვისგანაც ბევრი გამიგია და მისწავლია. ახალგაზრდა ვაჟი დამეღუპა, მაგრამ უიმისოდ დღესაც არაფერს ვწყვეტ — ველაპარაკები და ყველაფერს ვუყვები ხოლმე... ჩემთვის წარმოუდგენელია, რომ ადამიანები უკვალოდ ქრებოდნენ — ისინი უბრალოდ, სულ სხვა განზომილებაში გადადიან და მჯერა, რომ ოდესღაც ერთად ვიქნებით...

■

ქრისტინე იმედაძე 2 წელია, რაც საკუთარი ავტომანქანის საჭეს უზის და მოძრაობის წესებს არ ემორჩილება. ამის გამო ხშირად იმსახურებს პატრულის რისხვას და ახლობელთა წყრომას. მომღერალი არ ურჩევს ახალგაზრდა კაცებს, მასთან „გონკაობა“ გამართონ. და თუ მაინც გაბედავს ვინმე, ირწმუნება — კარგი დღე არ დაადგებაო...

„გამეცალეთ, ცუდ რამეს მოიწვეთ, თავს თუ არ დამანებებთ–მეთქი!“ — კაეაფრთხილე ბიჭები...

ნინო ჯავახიშვილი

— ბავშვობაში ვერ ვიტანდი, ქალს საჭესთან. მეგონა, ეს მხოლოდ მამაკაცის საქმე იყო და ქალს არ უხდებოდა. მერე დედაჩემმა შეიძინა მანქანა. არ მომწონდა, ქუჩაში რომ მიზოზინებდა, ძალიან ფრთხილობდა ხოლმე და ამის გამო ყოველთვის ყველგან მაგვიანებდა. გზებიც არ იცოდა კარგად: სკოლაში რომ მივყავდი, ყოველთვის ეშლებოდა ქუჩა. ნახევარი საათით ადრე ვურეკავდი ხოლმე — წამიყვანე-მეთქი, რადგან დიდხანს უნდებოდა ადგილამდე მისვლას. არადა, ჩემი სკოლა სახლთან ახლოს, ოქროს უბანში იყო. ხალხი უკვე ცნობდა მას და გზას მიასწავლიდნენ ხოლმე — აქეთ, ქალბატონო, ამ გზით უნდა წახვიდეთო. ამიტომაც ვფიქრობდი, რომ საჭე ქალის საქმე არ იყო.

— ...და არც გქონდა სურვილი, საჭესთან დამჯდარიყავი?

— საჭის ტრიალი რომელ ბავშვს არ უყვარს და ეს მეც ძალიან მომწონდა. დედას ვთხოვდი ხოლმე, საჭესთან დავესვი და დიდი მონდომებით ვატრიალებდი — მეგონა, ასე უფრო სწრაფად ივლიდა მანქანა... ახლა ვფიქრობ, რომ ბევრი ქალი მამაკაცზე კარგად მართავს მანქანას. კაცებს სისწრაფე უფრო უყვართ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პროფესიონალი მძღოლები არიან.

— მანქანის მართვა ვინ გასწავლა?

— თვითონ ვისწავლე, თუ არ ჩავთვლი იმას, რომ 14 წლის ასაკში, ბათუმში ჩემი მეგობარი მასწავლიდა მართვას... ერთ მშვენიერ დღეს, გავიღვიძე და აღმოვაჩინე, რომ დედა შინ არ იყო. რას წარმოვიდგენდი, მანქანის გასაღებს პირდაპირ მაგიდაზე თუ დატოვებდა?! ეს შანსი ხელიდან არ გამიშვია. ძველით ახალი წელი იყო. საღამოს კონცერტი მქონდა. დავურეკე მეგობრებს — ამაღამ ქალაქს მანქანით შემოვივლით-მეთქი. დაახლოებით მახსოვდა, დედა როგორ ქოქავდა მანქანას და როგორ მართავდა. პირველ ცდაზე არაფერი გამოვიდა, ჩამიქრა. მეორედ რომ ვცადე, გამიმართლა. იმდენად კარგად გამომივიდა ყველაფერი, რომ იმ საღამოს „ვიგონკავე“ კიდეც. ერთი თვე დედაჩემის მანქანით დავდიოდი, დავულეწე ყველაფერი. თვითონ საზღვარგარეთ იყო წასული.

— მერე არ გაგიბრაზდა, როცა ნახა, მანქანა რა მდგომარეობაში იყო?

— ჩემი ბრალი არ ყოფილა — ჩემ წინ მიმავალი მანქანის მძღოლმა უცებ დაამუხრუჭა და ფარები დავლეწე. ღამით კი, ქურდებმა ჩალეწეს მინები. დედას ვერაფრით ვაჯერებდი, რომ ავარიაში არ მოვყოლილვარ.

— ორიენტაციის უნარი თუ გაქვს? ქუჩებში შენც ხომ არ იკარგები ხოლმე?

— ძალიან მიყვარს ფეხით სიარული და კარგად ვიცი, რომელი ქუჩა სად არის. უნდა გაგიმხილო, რომ ხშირად ვარღვევ მოძრაობის წესებს. მეზარება შუქნიშანზე გაჩერება და ლოდინი. ვიცი, რომ მანქანას მარჯვნიდან არ უნდა გადაუსწრო, ქალაქში სწრაფად არ უნდა იარო, მაგრამ რა ვქნა — ურჩი მძღოლი ვარ.

— ეი. ქალაქშიც სწრაფად დადიხარ?

— მიყვარს სისწრაფე, საერთოდ არ მაქვს შიშის გრძნობა. ტრასაზე 220 კმ/სთ სიჩქარითაც კი მივლია. ჩემს მანქანას — „ბეემვეს“, რომელიც ავტომატიკაზეა, ძლიერი მოტორი აქვს და მოკლე მანძილზე სწრაფად „კრებს“ სიჩქარეს. ჩემმა მეგობარმაც „ბეემვე“ შეიძინა, ოღონდ — ახალი გამოშვების. მთხოვა — მაინტერესებს, ჩემი მანქანის სიჩქარე და შეეჯიბრითო. ორივეს ერთნაირი მოტორი აქვს, ოღონდ, ის მექანიკური მართვის იყო. ჩემს მანქანას სპორტ-რეჟიმიც აქვს და სიჩქარეს კიდევ ვუმატებ ხოლმე. ეს დავუმალე და ვერაფრით რომ ვერ გამასწრო, კინაღამ გაგიჟდა... ჩემი ძმა და ბაბუა სულ მეუბნებიან — ქალაქში ნუ დაქრიხარო. რა ვიცი, უკვე ორი წელია, მანქანას ვმართავ და ჯერ არაფერი დამმართვია. როდესაც მარტო ვმგზავრობ, უფრო თავდაჯერებული და მშვიდი ვარ, როცა ვინმე გვერდით მიზის, მაშინ უფრო ვფრთხილობ და ვცდილობ, სწრაფად არ ვიარო. ერთ ამბავს მოგიყვები. ბიჭები გამომეკიდნენ „ოპელ კალიბრით“. კარგა ხანს მომყვებოდნენ უკან, მაგრამ არ ავყევი და არ შეეჯიბრებივარ; როდესაც გასწრება უნდოდათ, ამის საშულებას ვაძლევდი. ავტოგასამართ სადგურზე გავჩერდი. ისინიც გაჩერდნენ და კომპლიმენტი მითხრეს — მაგრად დაგყავს მანქანაო!.. — გამეცალეთ, ცუდ რამეს მოიწევთ, თავს თუ არ დამანებებთ-მეთქი! — ვუთხარი მათ. მაინც არ მომეშვნენ. ბოლოს, დიდი მანძილით გავუსწარი და როგორც ჩანს, ეს არ მოეწონათ. სიჩქარეს მოუმატეს, გვერდი ვეღარ ამიქციეს, გადავიდნენ გზის საპირისპირო მხარეზე და სამარშრუტო ტაქსის შეეჯახნენ. კიდევ კარგი, რომ არც ხალხი დაშავდა და არც ის ბიჭები. მანქანიდან გადავძახე — ხომ გითხარით, რაღაცას მოიწევთ-მეთქი! ხმის ამოღების თავიც არ ჰქონდათ, გამწარებული კრეფდნენ მანქანის ნაწილებს, რომ პოლიციას არ მოესწრო მოსვლა.



ისეთი რაღაცეები ვიცი, რაც ბევრმა ბიჭმაც არ იცის — თუ დამჭირდა, მანქანას საკუთარი ხელით დავშლი და ავაწყობ...

— გიყვარს მანქანაში მუსიკის მოსმენა?

— მიყვარს, მაგრამ მეგობრები არ მაძლევენ ხოლმე იმის საშუალებას, რომ მაგნიტოფონის ხმას ბოლომდე ავუწიო. თითქმის ყველანაირ მუსიკას ვუსმენ, მაგრამ საკუთარ სიმღერებს — არასდროს.

— მანქანას ძალიან უფრთხილდები?

— ადრე ძალიან ვუფრთხილდებოდი. ყოველ ნახევარ საათში, სამრეცხაოში მივარბენინებდი ხოლმე, სალონში სასიამოვნო სურნელის დასაყენებლად სპეციალურ აერო-

ზოლს ვასხურებდი და ა.შ. ახლა ამის სურვილი ნაკლებად მაქვს, რადგან ჩემი მანქანა გაძარცულია. 5 წუთითაც რომ გავაჩერო ქუჩაში, არ არსებობს, რომ რაიმე არ მომპარონ. ამას წინათ, სანამ ტელევიზიიდან გამოვედი, სარკეების მოხსნა მოუსწრიათ. ადრე პარპრიზი და „შიტოკი“ მოხსნეს... ერთხელ დილით, მეზობელმა დამირეკა და მითხრა – ორი ამბავი ვიცი, კარგი და ცუდი და რომლით დავიწყოო? – ცუდით დაიწყე-მეთქი. „შიტოკი“ მოპარეს, მაგრამ ნომრები დაგიტოვესო... გამიხარდა, რადგან ჩემს მანქანას ის ნომერი აქვს, რა მარკისაც არის და იმავე ნომრის აღება გამიჭირდებოდა. ავტოფარეხი არა მაქვს, მანქანას ეზოში ვაყენებ. ეზოში შემოსასვლელ კარს საღამოობით ვკეტავთ, მაგრამ როგორც ჩანს, მეზობელი ეზოდან იპარებიან ქურდები. ზოგჯერ არც არაფერს იპარავენ – მანქანაში სხდებიან, სიგარეტის ნამწვავებს ტოვებენ, მანქანას ჩხაპნიან.

— ეს მანქანა საკუთარი დანაზოგით შეიძინე თუ მშობლების საჩუქარია?

– მამამ მიყიდა. ადრე შემპირდა – 16 წლის რომ გახდები, გიყიდიო, – მაგრამ დანაპირები არც მაშინ შეასრულა და არც მერე – 17 წლის რომ გავხდი. როცა 18 შემისრულდა, ჩათვალა, რომ უკვე კარგად შემეძლო მანქანის მართვა და მიყიდა. დავინახე თუ არა ეს მანქანა, ვთქვი – აი, ეს მომწონს-მეთქი, – და დამტვერილ ძარაზე ხელით ჩემი სახელი დავაწერე...

— პატრულთან პრობლემები ხომ არ გაქვს იმის გამო, რომ მოძრაობის წესებს ხშირად არღვევ?

– პატრულს ხან ვაქებ და ხან ვაძაგებ – იმის მიხედვით, თუ როგორ მომექცევიან. ზოგჯერ ძალიან შემაშინებენ – „ბეემვე-328“, „ბეემვე-328“, გვერდზე გადააყენონ! – აცხადებენ. ერთხელ, მანქანაც წამართვეს. მოძრაობის წესები დავარღვიე, ეს პატრულმა ქალმა შეამჩნია და საბუთები ჩამომართვა. ამ შემთხვევის შემდეგ, 2 თვით წასული ვიყავი ქალაქიდან. როცა ჩამოვედი, პირველივე დღეებში კვლავ დავარღვიე მოძრაობის წესები. პატრული მოვიდა და მითხრა, რომ იმ ადგილზე მანქანის გაჩერება არ შეიძლებოდა. საბუთები მომთხოვა. ვუპასუხე – 2 თვეა, საქართველოში არ ვყოფილვარ, თანაც, საბუთები გამოსატანი მაქვს-მეთქი. – საბუთები გამოიტანე და თვალში აღარ მომხვდეო, – მითხრა. მეორე დღეს, კვლავ შეშხვდა და მკითხა – გამოიტანე თუ არაო? – საქმეები მაქვს და ვერ ვიცლი-მეთქი, – ვუპასუხე. მესამე დღეს, კვლავ დავარღვიე მოძრაობის წესები. პატრულმა გამაჩერა და დიდი დავაკამათის შემდეგ მითხრა – მანქანიდან გადმობრძანდით, ჩვენ წავიყვანთო. ცოცხალი თავით არ დავსვი ჩემი მანქანის საჭესთან – ტექნიკური დახმარების მანქანა გამოიძახეთ და ისე წაიყვანეთ-მეთქი... მერე ბევრი ვირბინე, რომ ყველა საბუთი წესრიგში მომეყვანა. იმის შემდეგ კი, რაც მონაწილეობა მივიღე გადაცემაში – „ათასიდან ერთი შანსი“, სადაც პატრულის ბიჭებს შორის უნდა გამეკეთებინა არჩევანი, მცნობენ და ხშირად მაჩერებენ კიდეც, იმის სათქმელად, რომ ეს გადაცემა ნახეს და ძალიან მოეწონათ.

— მანქანა შუა გზაში თუ გაგფუჭებია?

– ერთხელ ღამით, ძალიან მომინდა ნაზუქის ჭამა და ქალაქგარეთ წავედი მეგობრებთან ერთად. უკან რომ ვბრუნდებოდით, გაზზე რიგრიგობით ოთხივე საბურავი გასკდა. ერთი სათადარიგო მქონდა, დანარჩენი გზაზე გამვლელმა, უცხოელმა მათხოვეს. ყველა საბურავი თვითონ გამოვცვალე. გოგოები მეხმარებოდნენ. მანქანის ტექნიკურ მოწყობილობაში კარგად ვერკვევი, ისეთი რაღაცები ვიცი, რაც ბევრმა ბიჭმაც არ იცის – თუ დამჭირდა, მანქანას საკუთარი ხელით დავშლი და ავაწყობ... ■

ორგანიზმის სისუფთავე – ჯანმრთელობის საწინდარი

ორგანიზმის გაწმენდისა და გაჯანსაღების ეფექტური საშუალებები ჰოლივუდის ცნობილი დიეტოლოგისაგან

„დაავადებების 100 შემთხვევიდან 99-ის სიმძიმე პირდაპირპროპორციულ კავშირშია ორგანიზმში ტოქსინების რაოდენობასთან“ — ასეთი დასკვნა გამოიტანა მრავალწლიანი პრაქტიკისა და დაკვირვებების შედეგად ექიმმა ლინდსი დუნკანმა – კომპანია “ირვინ ნეიჩერალსის“ დირექტორთა საბჭოს თავჯდომარემ, რომელსაც ხშირად “ვარსკვლავთა ექიმს” უწოდებენ, რადგან მის პაციენტებს შორის მრავლად არიან კინოს, ტელევიზიის, მუსიკის, სპორტისა თუ პოლიტიკის კაბკაშა ვარსკვლავები. მის მიერ მოწოდებული ჯანმრთელი კვების მეთოდები თავის თავზე გამოსცადა რინგო სტარმა, დემი მურმა, რენე რუსომ, ლითლ რიჩარდმა, ენგელბერტ ჰამპერდინკმა. ლინდსი დუნკანი, ამერიკის 42-ე პრეზიდენტის ბილ ქლინტონის მეუღლის, ჰილარი ქლინთონის კვების პირადი კონსულტატია.

ლინდსი დუნკანი ასკვნის, რომ შეუძლებელია ეფექტური მკურნალობა, თუ ორგანიზმი არ გათავისუფლდა მასში არსებული მავნე ნივთიერებებისაგან, ანუ თუ არ მოხდა შინაგანი დეტოქსიკაცია.

საჭიროებს თქვენი ორგანიზმი შინაგან გაწმენდას? რა მოხდება თუ რამოდენიმე დღე არ გაიტანთ ნაგვის ნარჩენებით სავსე ვედროს სამზარეულოდან? როგორ ფიქრობთ, თქვენს სახლში არ იქნება საშინელი სუნი? ასევე ემართება ნაწლავებში დაგროვებულ საკვების ნარჩენებს. როდესაც ტოქსინები სრულად არ გამოიდევნება ორგანიზმიდან, ჯანმრთელობა მკეთრად უარესდება.

თუ ჩვენ არ გავთავისუფლდით მიღებული საკვების ნარჩენებისაგან, მაშინ ისინი ჩვენს ორგანიზმში თვეებისა და წლების მანძილზე დარჩებიან. ამ დროს ადგილი აქვს ტოქსინების ჩალაგებას ნაწლავის კედელში, რაც იწვევს აუტოინტოქსიკაციას. ტოქსინები აღწევენ სისხლში და იწვევენ უჯრედების, შესაბამისად კი, ორგანოების მოწამვლას. შედეგად – ჩვენი თვითშეგრძნება უარესდება, ქვეითდება ცხოვრების ტონუსი, ძალა, სიმხნევე, ცოცხალი გამოხედვა. ჩვენ ვიწყებთ მიზეზის ძებნას და ვფიქრობთ, რომ ეს არის სიბერე, მაგრამ სიმართლე სულ სხვაა – თქვენი ორგანიზმი უბრალოდ შინაგან გაწმენდას საჭიროებს.

ქვემოთ წარმოდგენილია ლინდსი დუნკანის მიერ შემუშავებული ორგანიზმის გამწმენდი პრეპარატების ჩამონათვალი და მათი მიმართულებების მოკლე აღწერილობა:

სრული გაწმენდა

უზრუნველყოფს მთელი ორგანიზმის გასუფთავებას შლაკებისაგან, ახდენს შინაგანი ორგანოებისა და სისხლის დეზინტოქსიკაციას.

სასუნთქი სისტემის გაწმენდა

მაქსიმალურად განამტკიცებს და ასუფთავებს სასუნთქ სისტემას.

ღვიძლის გაწმენდა

წარმოადგენს უძლიერესს ჰეპატოპროტექტორს, უზრუნველყოფს ღვიძლის დეტოქსიკაციას და აუმჯობესებს მის მეტაბოლურ ფუნქციას.

საშარდე გზების გაწმენდა

აუმჯობესებს თირკმელების, საშარდე გზების, შარდის ბუშტის ფუნქციას.

სუპერ გაწმენდა

ახდენს ორგანიზმის წმენდას ნაწლავთა სრული გასუფთავების ხარჯზე. ასტიმულირებს პერისტალტიკას და აუმჯობესებს სწორი ნაწლავის ფუნქციას.

დიეტა და შინაგარი გაწმენდა

ეს კომბინირებული პრეპარატი ორგანიზმის შინაგან გაწმენდა-გაჯანსაღებასთან ერთად წონაში კლების ეფექტს უზრუნველყოფს.

მეგაპოლის კლასიკი

ამერიკული კომპანია “ირვინ ნეიჩერალსის” წარმომადგენლობა
შპს “მეგაპოლის კლასიკი”, ი. აბაშიძის 14. ცხელი ხაზი: 94 33 92, 98 96 95, 22 05 32
პრეპარატები ასევე შეგიძლიათ შეიძინოთ “სამგორი-ფარმა”-ს საფთიაქო ქსელში.

საერთაშორისო ჰუმანიტარული ასოციაცია — „კათარზისი“ 15 წელია ფუნქციონირებს. მისი უცვლელი პრეზიდენტი ზაალ ალადაშვილი გახლავთ. „კათარზისთან“ არსებული სათნოების სახლი, ხანდაზმულ უპოვართა, მარტოხელათა და გაჭირვებულთათვის, მხოლოდ და მხოლოდ ქველმოქმედთა შეწირულობებით არსებობს. მუდმივ თავშესაფარში ოცამდე ხანდაზმული ცხოვრობს. აღრიცხვაზე მყოფ 359 ადამიანს კი, ყოველდღიურად უფასო სასადილო ემსახურება. ამჯერად ჩვენი ყურადღება „კათარზისში“ მოქმედმა ხანდაზმულთა თეატრმა — „ნოსტალგიამ“ და ხანდაზმულთა მუსიკალურმა გუნდმა მიიპყრო.

მათი წევრების უმრავლესობამ საკმაოდ მძიმე ცხოვრებისეული გზა განვლო და თავისთავად, არც ახლა აქვთ დალხინებული ცხოვრება. თუმცა, მათი შემხედვარე, ამას ნამდვილად ვერ იტყვი, გარწმუნებთ — ასეთი მხიარული, ენერგიული და აქტიური მოხუცები ალბათ, არასდროს გინახავთ. თურმე, სიბერეშიც შეიძლება სისხლსავსე, ემოციურად დატვირთული ცხოვრებით იცხოვრო. ახლა მოხუცი მსახიობები „დიდი პრემიერის“ მოლოდინში იმყოფებიან. სულ მალე, მათი მონაწილეობით „ხანუმას“ ვიხილავთ.

„შევნატრიდი სოფი ლორენის, ბრიჟიტ ბარდოს, ჯინა ლოლობრიჯიდას ბედს...“

„ნოსტალგიის“ თეატრმა მათ ახალგაზრდობა დაუბრუნა

ელენე ხირსელი

ხათუნა ჭალიაშვილი, *რეჟისორი:*

— თეატრი „ნოსტალგია“ 10 წლის წინ დაარსდა. წელს, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ კვლავ განაახლა ფუნქციონირება. როცა შევიტყვე, რეჟისორს ეძებდნენ, თავად გამოვთქვი მათთან თანამშრომლობის სურვილი. ეს ქველმოქმედებაა, ამიტომ შრომის ანაზღაურებაზე არც იყო საუბარი. მიმიზიდა იმ გარემოებამ, რომ საქმე საკმაოდ უჩვეულო, არაორდინარულ მსახიობებთან მექნებოდა. მოგეხსენებათ, ასაკთან ერთად ქვეითდება მეხსიერება და ათვისების უნარი, ამიტომ წინასწარ ვიცოდი, რომ საკმაოდ მძიმე შრომა მელოდა. გულახდილად გეტყვით — აქ ნანახმა მართლაც გამაოგნა. ვერ წარმოვიდგენდი, ამ ხნის ხალხი ამდენს თუ შეძლებდა. მაგალითად, თავადი ლევანის როლს 86 წლის კაცი ასრულებს... ჩემთვის გაუგებარია, საიდან აქვს ამ ადამიანს ამხელა ენერგია. სულ ახალგაზრდებთან მიწევდა მუშაობა, მაგრამ ასეთი მოწადინებული მსახიობები ჯერ არ შემხვედრია. საკმაოდ ხანგრძლივი და დამქანცველი რეპეტიციების შემდეგ, კიდევ კარგა ხანს არ იშლებიან, ისევ და ისევ იმეორებენ სცენებს, ერთმანეთს შენიშვნებს აძლევენ... გამოგიტყდებით, მე მათზე ადრე ვიღლები... გარდა ამისა, ბევრმა მათგანმა დიდი ნიჭი გამომამჟღავნა. სამწუხაროდ, მამაკაცების ნაკლებობას განვიცდით, ამიტომ ზოგიერთ როლს ქალები ასრულებენ. კოტეს როლის შესრულებაზე კი, ხანდაზმულთა გუნდის ხელმძღვანელი, ნოდარ ჩაჩხიანი დაგვთანხმდა. დეკორაციებს და ტანსაცმელს თეატრები გვათხოვებენ. გვინდა, სპექტაკლები რაიონებშიც გავიტანოთ, გაყიდული ბილეთებიდან შემოსული თანხა კი, ისევ ჩვენს ხანდაზმულებს მოხმარდება. ამათ ასეთ ბედნიერებს რომ ვხედავ, მეც ბედნიერი ვარ. მათ ძალიან შევეჩვიე და ყველა ძალიან მიყვარს.

ნოდარ ჩაჩხიანი, *ფოლკლორული გუნდის ხელმძღვანელი, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის (ახლანდელი „ერისიონის“) ყოფილი წევრი, ჰედაგოგი:*

— ჩვენი გუნდის შექმნის მიზანია, გავუხანგრძლივოთ სიცოცხლე ერთმანეთს. 15 წელია, ხანდაზმულთა გუნდს ვხელმძღვანელობ. მართლაც, საოცრებაა, 80 წლის ხალხი როგორ ამღერდა და აცეკვდა! მათ ყველაფერი არაჩვეულებრივად გამოსდით. საკმაოდ მცირე დროში, 100 სიმღერა შეისწავლეს. რამდენი კაციც არის გუნდში, იმდენი ხასიათია, თავისებური, მძიმე — ყველას უნდა მოერგო, საკუთარი გასაღები მოუძებნო. ბავშვებივით არიან, ზოგს უნდა გაუბრაზდე, ზოგს — მოფერება და დაყვავება უხდება. ზოგჯერ კი, ხმასაც ვერ აუწევ — უცებ გაიბუტებიან და ცრემლებს გადმოყრიან... ადამიანები, რომლებსაც 70-80 წლის ასაკამდე ფანდური ხელში არ სჭერიათ, ისე დაეუფლნენ ამ ინსტრუმენტს, თითქოს მთელი ცხოვრება უკრავდნენ. ბევრ მათგანს დღემდე, საერთოდ არ უმღერია. მაგალითად, გვყავს ერთი მომღერალი — 79 წლის აკაკი დოლიძე (ვოკალისტთა ჯგუფში), რომელსაც მხოლოდ 3 წლის წინ მოუვიდა ხმა. სპეციალისტთა აზრით, ახლა მას შესანიშნავი საოპერო ტენორი აქვს. ახალმოვლენილი ტენორის თქმით, მას ისეთი ნოტის აღება შეუძლია, რომელიც თვით პავაროტისაც კი უჭირს... მოვამზადეთ 7 ისეთი ნომერი, რომელიც ცეკვა-სიმღერებით სრულდება. ვასწავლი ასევე საკუთარ სიმღერებსაც. ფილარმონიაში ჩატარებულ ოლიმპიადაზე ჩვენმა გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა, გვქონდა კონცერტები ოპერის თეატრში, რკინიგზელთა სახლში. საავადმყოფოებში, სამხედრო ჰოსპიტალში, სათნოების სახლ „სავანეში“...

ანა კუპრეიშვილი, *76 წლის:*

— ჩემი ცხოვრება არასდროს ყოფილა ია-ვარდით მოფენილი. ორი შვილი ობლობაში გავზარდე. სულ ვშრომობდი. ბუნებით ხელოვანი ვარ: ვხატავ, ვძერწავ, ქსოვილებისგან ყვავილებს ვაკეთებ, დაწერილი მაქვს 100 ლექსი... სანამ ამ კლუბში მოვიდოდი, მდორედ და ერთფეროვნად მიედინებოდა ჩემი ცხოვრება. აქ თითქოს ახალგაზრდობა დამიბრუნდა — გამიჩნდა სურვილები, ოცნებები. ახლა ის მივარდნილი ინდიფერენტული მოხუცი აღარა ვარ, რომელიც ღუმელთან ზის და წინდებს ქსოვს — მშფოთვარე, სისხლსავსე ცხოვრებით ვცხოვრობ: სცენა, აპლოდისმენტები, გასტროლები... განა ეს სასწაუ-

„სულ ვჩხუბობთ, ვკბენთ ერთმანეთს, მაგრამ მაინც გვიყვარს ერთმანეთი“

ლი არ არის?! თურმე, სიბერეშიც შეიძლება იცხოვრო და არა — იარსებო.

„ხანუმაში“ სონას როლს ვასრულებ. ერთი რეპეტიციაც რომ გამოვტოვო, საშინლად განვიცდი. დარბაზში, სადაც რეპეტიციებს გავდივართ, გაზაფხულზეც კი ისე ცივა, პირიდან ორთქლი ამოგვდის. უცხოები 5 წუთსაც ვერ ძლებენ და უკვირთ, როგორ ვსხედვართ აქ საათობით. ჩვენ, ხანდაზმული ხალხი, საერთოდ ვერ ვგრძნობთ სიცივეს — „სისხლი გვიდულს“!.. ამას წინათ, რეპეტიციაზე ვაგვიანებდი, ისე მოვიჩქაროდი, ავტობუსიდან გადმოვვარდი და თავი დავარტყი. კლუბში მაინც მოვედი. ექიმმა ტვინის შერყევა დამიდგინა და 20 დღით წოლითი რეჟიმი „მომისაჯა“. ეს ჩემთვის დიდი ტრაგედია იყო. ერთი კვირა ძლივს გავძელი, მერე წამოვედი. თავბრუ დამეხვა და ისევ თავი დავარტყი. ექიმი ახლა უკვე მუქარაზე გადავიდა — იცოდე, დაგაბამო!.. რამდენიმე დღე ისევ დავწექი, მაგრამ გულმა მაინც აქეთ გამომიწია... აქაურობა მაცოცხლებს, ეს არის ჩემი წამალი.

დარიკო ღარიბაშვილი, *59 წლის:*

— 3 შვილი მყავს. ორი — პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდია, მეუღლე მეორე ჯგუფის ინვალიდია. 39 წლის ქალიშვილი ცერებრალური დამბლით არის დაავადებული, მას დამოუკიდებლად ჭამაც კი არ შეუძლია. მატერიალურადაც ძალიან

„აქ ყოველდღე გულისფანცქალით მოვისწრაფვი. გზის ფული მუდამ არა მაქვს, მაგრამ აქ მოსვლაში ხელს ვერაფერი შემიშლის...“

გვიჭირს. მაგრამ მაინც ხალისიანი ვარ და სანამ პირში სული მიდგას, მუდამ ვეცდები, ჩემს მძიმე ყოფას ეშხი და ლაზათი შევძინო. მსახიობობა ჩემი ბავშვობის ოცნება იყო. შევნატროდი სოფი ლორენის, ბრიჟიტ ბარდოს, ჯინა ლოლობრიჯიდას ბედს, მინდოდა, მათსავით ლამაზი და პოპულარული ვყოფილიყავი. რას წარმოვიდგენდი, თუ ამ ოცნების ასრულებას სიბერეში შევძლებდი?!. საოცრებაა, ისეთი კარგი მეხსიერება გამიხდა, ისე იოლად ვსწავლობ ტექსტებს, თავადაც მიკვირს. არადა, სკოლაში ყველაზე მეტად დაზეპირება მიჭირდა. ახლა ჩემთვის ყოველი დღე დღესასწაულია. პირველად რომ გავბედე და სცენაზე ვიცეკვე, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს გავფრინდებოდი... ბედნიერი ვარ, „ხანუმაში“ რომ მთავარი როლის შესრულება მომიწევს. ხანუმას როლზე დიდი კონკურენცია იყო — ყველას უნდოდა. ჩვენს პატარა თეატრში ისეთივე სიტუაციაა, როგორიც ნებისმიერ პროფესიონალურ თეატრში: ინტრიგები, შური, სასტიკი ბრძოლა როლებისთვის... სულ ვჩხუბობთ, ვკბენთ ერთმანეთს, მაგრამ მაინც გვიყვარს ერთმანეთი და უერთმანეთოდ ვერ წარმოგვიდგენია ცხოვრება.

ლალი ცაცვიტინიძე, *73 წლის:*

— უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დავამთავრე, რადიოში ვმუშაობდი. ჩემი მოთხრობები და ლექსები სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში („საქართველოს ქალი“, „მნათობი“) იბეჭდებოდა. სკოლასა და უნივერსიტეტში აქტიურად ვმონაწილეობდი ღონისძიებებში — ვმღეროდი, ვცეკვავდი, ვთამაშობდი პიესებში... კინომსახიობობაზე ვოცნებობდი. სიცოცხლით სავსე, ვერცხლისწყალივით გოგო ვიყავი, ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და საკმაოდ ლამაზიც — მეტსახელად ლამაზოსაც მეძახდნენ. ურიცხვი თაყვანისმცემელი მყავდა. ამაყი და თავმომწონე ვიყავი, იდეალურ მამაკაცზე ოცნებობდი. საკმაოდ გვიან მივხვდი, რომ იდეალური ამქვეყნად არავინ არის. გონს რომ მოვეგე, უკვე ძალიან დაგვიანებული იყო — დავრჩი ასე კენტად. ჯერ მშობლები გარდამეცვალა, მერე და-ძმა მივაბარე მიწას. მოვდიოდი გზაზე ეულად და ცრემლები ღაპაღუპით მდიოდა... 10 წლის წინ „ნოსტალგიის“ თეატრის შესახებ რომ გავიგე, ვიფიქრე — იქნებ, ცოტი გული გადავაყოლო-მეთქი და დასში ჩავეწერე. — ცხოვრებაში მიზანიც გამიჩნდა — ვაპირებ, გამოვცე საბავშვო ლექსების კრებული...

იაკობ ჟელიძე, *75 წლის:*

— წარმოშობით რაჭველი ვარ, ვცხოვრობ სანზონაში. წინათ, თბილისში პირველი ვაჭარი ვიყავი. ვმუშაობდი უნივერმაღში სექციის გამგედ, ვიყავი დირექტორის მოადგილეც. ჩემი მაღაზიისთვის რუსეთიდან ჩამომქონდა საქონელი (ქსოვილი, ფეხსაცმელი). ჩვენი დახლების წინ მუდამ რიგები იდგა. სულ ქეიფსა და დროს ტარებაში გავლიე წუთისოფელი, თუმცა ლოთი როდი ვიყავი... ბედნიერი კაცი ვარ. ორი შვილი და ერთი შვილიშვილი მყავს. „კათარზისში“ იმიტომ კი არ მოვედი, რომ საჭმელსასმელი მაკლია, პირიქით — საკმაოდ უზრუნველყოფილი ცხოვრება მაქვს. მე გართობა და უბრალოდ, ადამიანებთან ურთიერთობა მჭირდება. „ნოსტალგიის“ თეატრში და მუსიკალურ გუნდში ძალიან მხიარული ხალხია, განწყობა კი, მოგეხსენებათ, გადამდებია — აქ სიარულით, ცხოვრებას ვიხანგრძლივებ. 2 წელია, აქ დავდივარ, ძალიან მიყვარს სიმღერა, ყველა ხმაზე ვმღერი. „კათარზისში“ ყველა ქალი ძალიან ლამაზია — მე ყველა მომწონს.

ვენერა ბერიძე, *71 წლის:*

— გავთხოვდი, მაგრამ შვილი არ შეგვეძინა. ძალიან მინდოდა, ბავშვის აყვანა, მაგრამ იმის გამო, რომ ავად ვარ (სკლეროდერმიით), უფლება არ მომცეს. ძალიან განვიცდიდი, დარდისგან ავადმყოფობა უფრო გამიმწვავდა. რამდენიმე წლის წინ მეუღლეც დავკარგე, სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი, სიცოცხლე აღარ მინდოდა. სწორედ ამ დროს გავიცანი ერთი ქალბატონი, რომელმაც ამ კლუბში მომიყვანა, თითქოს დარდი გამიქარწყლდა, ნელ-ნელა აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებაში ჩავები: ვწერ ლექსებს, ვმღერი, ვცეკვავ, ვთამაშობ სპექტაკლებში. „ხანუმაში“ სონას დიდედის როლი მაქვს. თითქოს რამდენიმე ათეული წელი „ჩამოვიფერთხე“. აქ ყოველდღე გულისფანცქალით მოვისწრაფვი. გზის ფული მუდამ არა მაქვს, მაგრამ აქ მოსვლაში ხელს ვერაფერი შემიშლის. ხშირად, ლოტკინიდან მარჯანიშვილამდე ფეხით მოვსულვარ, ამაზე ლექსიც კი დავწერე. ■

„ჰოდა, ამ სტრიქონებს თუ წაიკითხავენ, გაიგონ, კარგად ვიცი, ტახი რომ მომჰარეს...“

ცნობილი დასტაქრის, აკადემიკოს შოთა ტყემალაძის მადლიან ხელს მრავალი პაციენტის სიცოცხლე გადაურჩენია. იგი თბილისის ყელ-ყურ-ცხვირის კლინიკაში თავისი მრავალი მოსწავლის გვერდით დღესაც აქტიურად მოღვაწეობს. მაგრამ ამჯერად ექიმის გატაცებაზე მოგითხრობთ. ბატონი შოთა, მისთვის დამახასიათებელი ღიმილიანი თვალებით, აზარტითა და თხრობის განუმეორებელი მანერით იხსენებს ნადირობისას თავს გადახდენილ ამბებს.

ნუცა თოფჩიშვილი

— ბატონო შოთა, ვინ შეგაყვარათ ნადირობა?

— საერთოდ, ჩვენი ოჯახის წევრები ყოველთვის ნადირობდნენ. მღვდლის შვილიშვილი ვარ. გასაბჭოებამდე, სანამ განგვაკულაკებდნენ, კარგად ვცხოვრობდით. ბევრი ძაღლიც გვყავდა. ჩვენი თანასოფლელი, ალექსანდრე გაფრინდაშვილი კარგი მონადირე გახლდათ. იმას დავყვებოდი. მამა ჩემი ნადირობის წინააღმდეგი იყო. უფროსები სულ მიჯავრდებოდნენ — ისწავლე, ისწავლეო... მქონდა 32-კალიბრიანი, ერთლულიანი თოფი. მაგრამ კალიბრში არ იყო საქმე, თოფში ერთი ვაზნა ჩადიოდა და რომ გავისროდი, ვიყვირებდი — არიქა, ალექსანდრე ბიძია, დატენე ვაზნა-მეთქი — და იყო ერთი ამბავი (*იცინის*). სად იყო მაშინ ვაზნები?!. ასე დავიწყე ნადირობა. როდესაც წამოვიზარდე, სხვებთან ერთადაც დავდიოდი სანადიროდ, მაგრამ არა როგორც კარგი მონადირე, არამედ — როგორც კარგი ძაღლების პატრონი. რომ დაეკარგებოდათ დაჭრილი კურდღელი, დამიძახებდნენ — შოთა, შოთა, ამოდი, ძაღლები ამოიყვანე, კურდღელი დავკარგეთო. მივუშვებდი ძაღლებს, მოძებნიდნენ და ატეხდნენ ერთ ამბავს...

— ძაღლები ახსენეთ და შემდეგ, უკვე სერიოზულად რომ გაგიტაცათ ნადირობამ, თბილისში, სახლშიც გყავდათ მონადირე ძაღლები?

— არა, სახლში არ მყავდა. ძაღლებს ვყიდულობდი და სანადიროდ სადაც დავდიოდი, იმ სოფლებში ვტოვებდი. თბილისში ერთი ძაღლი მყავდა, ლაიკა. ჩემს ქალიშვილს დაეტაკა, წააქცია და — ახალი „დუბლიონკა“ ეცვა — იმით ათრია... მას შემდეგ, თბილისში აღარ ვაჩერებ. ისე, მონადირე ძაღლს სახლში რა უნდა?

— მონადირეებს განსაკუთრებით უყვართ თოფები. თქვენ ბევრი თოფი გქონდათ?

— არა, სულ ორი თოფი მქონდა, მეტი არა. ერთი, ჩვეულებრივი, ამირან სახვაძემ მაჩუქა, მეორე კი, კარაბინი — ალიკა ანქვაბმა (*აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების პრემიერ-მინისტრი. — ავტ.*).

— ვინ იყვნენ თქვენი პარტნიორები ნადირობისას და ძირითადად სად ნადირობდით?

— მთელი საქართველო ფეხით მაქვს მოვლილი. ისე ვიყავი გატაცებული, ვცდილობდი, ორშაბათს, სამშაბათს და ოთხშაბათს გამეკეთებინა ოპერაციები, რათა დანარჩენი დღეები თავისუფალი მქონოდა. ბევრი მეგობარი შემძინა ნადირობის სიყვარულმა, ისეთი მეგობრები, რომლებთანაც მხოლოდ ეს აზარტი მაკავშირებდა, სხვა არაფერი. მინდა, გამოვყო რეზო თაბუკაშვილი და გოგი თოფაძე. რეზო თაბუკაშვილი, ძალზე სასიამოვნო პარტნიორი, დაკავებული იყო თავისი საქმეებით, მაგრამ მაინც ხშირად დავდიოდით ერთად. ბოლოს გული აწუხებდა, ნაინფარქტალი იყო და ვუფრთხილდებოდით. კავკასიონზე, სადამდეც მანქანა შეძლებდა ასვლას, მანქანით აგვყავდა, ვცდილობდით, ტყეში ბევრი არ ევლო, რომ არ დაღლილიყო. ერთხელ ბაღდათის რაიკომის პირველმა მდივანმა გიზო ნოზაძემ დაგვპატიჟა სანადიროდ. წავედი ჩემს ძმაკაცებთან ერთად. ვიყავით მე, თემურა და იუზა ტყემალაძეები, თენგიზ სეფიაშვილი, ამირან ბურჭულაძე და რეზო თაბუკაშვილი თავისი კინოოპერატორებიანად. ჩავედით, დავბინავდით და მეორე დღეს, ლიცენზიებისთვის მივედით მონკავშირში, სადაც დაგვხვდა თავმჯდომარე — მოხუცი კაცი, მგონი, გვარად საყვარელიძე.

ჩვენ, ის ფაქტი გავითვალისწინეთ, — მონადირე მონადირეს რომ შეხვდება, ნანადირევს უნაწილებს...

გამოგვიწერა ლიცენზია სამ ტახზე და წავედით მთაში. მთელი დღე ვიარეთ, არაფერი გამოჩნდა. გზაზე შემოგვხვდა ერთი ცუდად ჩაცმული მონადირე, რომელსაც შიმშილისგან ხერხემალში „გაღუნული“ მეძებარი ახლდა თან. ისეთი გამხდარი იყო, ნეკნები უჩანდა. მივუახლოვდი და ვეუბნები: კარგი კაცი ჩანხარ და წაგვიყვანე ხვალ სანადიროდ, ტახებზე-მეთქი. მოვიდა მეორე დღეს და თავისნაირად ჩაცმული, ჩანჩურა ძმაკაცი მოიყვანა. გვითხრეს – ვიცით, ტახები სადაც არიანო. წავედით, შევუშვით იმ ტერიტორიაზე ძაღლები. გამოყარეს ძაღლებმა ყეფა-ყეფით კოლტი და მთელი გუნდით დავერიეთ. ატყდა სროლა. კარგად ვინადირეთ. დავხოცეთ ტახები, რაიკომის მდივნის ცოლმა პურმარილი გამოგვიგზავნა. სუფრა გაიშალა. ეს მონადირე გვეუბნება – ერთხელ კიდევ მოვსინჯოთო. მოვსინჯეთ და დათვის კვალს დავადექით. შეუშვეს ეს გამხდარი, გაძვალტყავებული ძაღლი და – დათვი არ „ამოაგდო“?!. ამირან ბურჭულაძემ ესროლა და გააგორა. პატარა დათვის ჯიში – ღორადათვი აღმოჩნდა. ჰოდა, დახოცილი გვყავს 3 ტახი და 1 დათვი. ლიცენზია ტახებზე გვაქვს და არა დათვზე. წავედით ამ ჩვენი ნანადირევით და არ დაგვხვდა ქვევით ეს საყვარელიძე, მონკავშირის თავმჯდომარე?!. მეუბნება – ბატონო შოთა, 3 ტახი რომ მოკალით, აქ დათო სოკოლოვია (*ცნობილი ტელედიქტორი. – ავტ.*) ჩამოსული სანადიროდ, თავისი ჯგუფით, ვერაფერი მოინადირეს და ერთი ტახი უნდა დაუთმოთო. ჩვენ, რასაკვირველია, ის ფაქტი გავითვალისწინეთ, – მონადირე მონადირეს რომ შეხვდება, ნანადირევს უნაწილებს და ერთი ტახი დავთმეთ *(იცინის)*.

— მტაცებლებზე ნადირობისას, მონადირე ხიფათისგან არ არის დაზღვეული. ამასთან დაკავშირებით გექნებათ რაიმე გასახსენებელი.

– სასიკვდილო ხიფათს მე თვითონ არ გადავყრივარ, მაგრამ მინახავს, ერთ მონადირეს ტახი როგორ გამოეკიდა. ტახი, თანაც – გამძვინვარებული, საშიშია. ნადირობისას გოგი თოფაძის შვილები – ლევანი და ირაკლი იყვნენ ჩემთან ერთად. ლევანი ხშირად დამყავდა სანადიროდ. ერთი თათარი კაცი გვახლდა. 32-კალიბრიანი თოფი ჰქონდა. პატარა ტყვია ჩადის ამ თოფში, რომ დავინახე ეს ტყვია, – რად გინდა ეს თოფი-მეთქი? – ვკითხე. – Знаешь, эта пуля как далеко бьёт! – მიპასუხა. მაგარი ნადირობა გაჩაღდა. ლევან თოფაძემ 5 ტახი მოკლა. დიდი ტახი გამოვარდა. ესროლა თათარმა თავისი ნაქები თოფი, მაგრამ ვერ მოერია პატარა ტყვია და გამოეკიდა დაჭრილი ტახი, ჭყივილით. მირბის და ყვირის თათარი. ირაკლი კარგი მსროლელია, ცალ ტყვიას ისვრის, საფანტს არ ხმარობს. ჩემი ნაჩუქარი ამერიკული ვაზნა ჰქონდა. ესროლა, ყბაში მოარტყა და მთელი თავი დაუმსხვრია. დიდი ტახი იყო, 180 კგ-მდე იქნებოდა... კიდევ ერთი შემთხვევა მინდა გავიხსენო. ჩემი მოწაფე სოფელ კუმუხიდან იყო. სანადიროდ დამპატიჟა. ავედი მეგობრებთან ერთად, მათ შორის გოგი თოფაძეც იყო. სანადიროდ რომ წავედით, გზაში ერთმა დაიძახა – არიქა, ქვევით მგლები იპარებიანო... მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, მანამდე ადგილობრივი, დაღესტნელი მგლებზე მონადირეები შეგვხვდნენ. ჰოდა, ეს გაპარული მგლები ამ მონადირეებს გადაეყარნენ, მათაც ატეხეს სროლა-გრიალი და ვხედავთ, ძაღლები ერეკებიან მგლებს. ერთი მგელი გამოეყო და ტყეში, სადაც მე ვიდექი, იქ შემოვარდა. არ დაიჯერებთ და არ შემომახტა მგელი?!. ერთი „ვაის“ დაძახება მოვასწარი და ერთ მხარეს მე გადავვარდი, მეორე მხარეს – მგელი. უცებ მოვედი აზრზე, წამოვხტი, დავუმიზნე და მოვკალი. უკან დაბრუნებულებს, გზაში დაღესტნელი მონადირეები შეგვხვდნენ, გვეკითხებიან – რა ქენითო? ვეუბნებით – Убили волка ისინი – мы убили кабана. Давай сделаем чеиндж. გოგი თოფაძეს გულმა რეჩხი უყო. მეუბნება – აბა, ამოიღონ და გვაჩვენონო. ამოიღეს და ტახს ორი ფეხი აქვს. გოგი ეკითხება – слушай, Мамед, кабан на двух ногах как бегает? და ჩვენი გაცვლა არ შედგა, რადგან ნახევარ ტახს გვაძლევდნენ...

ბევრი მეგობარი შემძინა ნადირობის სიყვარულმა, ისეთი მეგობრები, რომლებთანაც მხოლოდ ეს აზარტი მაკავშირებდა, სხვა არაფერი...

— მონადირე, ვაჟკაცი, გულადი კაცი უნდა იყოს. თუ შეგხვედრიათ მშიშარა მონადირე?

– მონადირეს მუხლი უნდა ჰქონდეს მაგარი და გამბედავი უნდა იყოს. ღამე მიდიხარ ტყეში, ხიდან შეიძლება, ფოცხვერი გადმოეშვას და თავზე დაგახტეს. ათასი ხიფათი შეიძლება შეგემთხვეს. ერთხელ, ორი „ნივით“ ღამით წავედით სანადიროდ. უეცრად, წინა მანქანიდან თოფი გავარდა. დავცქვიტეთ ყურები და გადმოვედით. ვხედავთ, ხევში რაღაც მიჯლიგინებს. კიდევ გავარდა თოფი. თემურა ტყემალაძემ დაიყვირა – есть, есть! ჩვენთან ერთად ერთი ცნობილი პოეტის (გვარს არ დავასახელებ) ძმა იყო. სულ ეშინოდა ყველაფრის, ჰოდა, სანამ ხევიდან ტახი ამოჰქონდათ, მეკითხება – ბიჭო, ამისთვის არ დაგვიჭერენო? ვეუბნები – დაგვიჭერენ, მაგრამ შენი მანქანით გვერდით, ტყეში წადი, მოეფარე და ჩვენც მოგაკითხავთ-მეთქი. არ წავიდა, შეეშინდა. მშიშარა მონადირე ინადირებს, მაგრამ ფრინველზე. ნამდვილი ნადირი რასაც ჰქვია – ტახი, დათვი, ირემი, მგელი, – მათზე სანადიროდ ვერ წავა... სოფელ შილდაში წავედით სანადიროდ. შილდის მთები ნადირითაა ცნობილი. დავიწყეთ ნადირობა. სროლისგან, მთელი მთა გრუხუნებს. დინამიტიც ააფეთქეს – ისე ნადირს ვერ გამოაგდებ. უეცრად, მესმის ქოშინი. გავიხედე – 5 ტახი ერთად მორბის. ერთს ვესროლე და დავარდა. მეორეს ვესროლე, მოხვდა ტყვია, არ მოკლა, მაგრამ სიარულის უნარი კი დაუკარგა. მივედი მოკლულთან, დედა ღორი აგდია, სისხლი ბუშტუკებად გადმოსდის. ფილტვებში მომიხვედრებია. 2 ახალგაზრდა კაცი წამომადგა თავზე. ვეუბნები – ამ ნეზვს მე ჩავათრევ, თქვენ მეორე მოძებნეთ, დაჭრილია, სადმე აქვე იქნებამეთქი. რომ შევიკრიბეთ, ეს ბიჭებიც მოვიდნენ და მითხრეს – ბატონო შოთა, თქვენი დაჭრილი ტახი ვერ ვნახეთ, გაგვექცაო. 2 წლის შემდეგ, ჩემთან კლინიკაში მოვიდა ავადმყოფი, რომელიც შილდიდან იყო. გამოველაპარაკე, შილდაში ნამყოფი ვარ სანადიროდ-მეთქი, – ვუთხარი და ის ამბავი გავიხსენე, დაჭრილი ტახი რომ დავკარგე. აუტყდა სიცილი. რა გაცინებს-მეთქი? – ბატონო შოთა, ის ტახი არ დაკარგულა, იმ ბიჭებმა ნახეს, ხეზე ჩამოკიდეს, მეორე დღეს ავიდნენ და ჩამოიტანესო... ჰოდა, ის შილდელი ბიჭები თუ წაიკითხავენ ამ სტრიქონებს, გაიგონ, რომ კარგად ვიცი, როგორ მომპარეს ტახი და ყველაფერი მათ სინდისზე იყოს *(იცინის)*. ■

როგორ დავიცვათ გაზაფხულზე თმა მზისგან

ლამაზი თმა ისეთივე მნიშვნელოვანია ქალისთვის, როგორიც კარგი სახის კანი. თმის ნამდვილი მტერი, ავიტამინოზი და ტემპერატურის ცვლილებაა. ამიტომ, განსაკუთრებით გაზაფხულზე, მისი ვიტამინებით გამდიდრებაა საჭირო. თუ ზაფხულში თმას მზე ახუნებს, ზამთარში მისი უსიცოცხლობის მიზეზი წყალია, რომელიც ამ პერიოდში მეტ ქლორსა და მინერალურ მარილებს შეიცავს. ეს კი თმის სტრუქტურას არღვევს. თმის სწორ კვებაზე, გაშრობასა და მოვლაზე გვესაუბრება ერთ-ერთი ცნობილი სალონის სტილისტი — მადონა.

ლიკა ქაჯაია

— თმა რომ გამოვაცოცხლოთ, პირველ რიგში, საჭიროა, ხშირ-ხშირად ვცვალოთ შამპუნები. ერთი და იმავე შამპუნით თავის დაბანის შემთხვევაში, თქვენ ვერ გაიმდიდრებთ თმას ვიტამინებით. ამასთანავე, უნდა იხმაროთ თმის ნიღბები, რომელიც თმის გაცოცხლებაში, მისი ბრწყინვალების დაბრუნებაში დაგეხმარებათ. კარგია ბუნებრივი საშუალებებიც, ჭინჭრისა და გვირილის ნახარში.

— როგორ მოვამზადოთ ეს ნახარში?

— ჭინჭრის 10 ფოთოლი ან გვირილის 10 ყვავილი ჩავყაროთ მდუღარე წყალში. გავაჩეროთ 30 წუთი და დაბანილ თმაზე გადავივლოთ... ამ პროცედურის ჩატარება გაზაფხულზეც შეიძლება, თუ თქვენ ზემოთ ხსენებული მცენარეების გამხმარ ფოთლებსა და ყვავილებს შეინახავთ. იგი თმის ძირების გამაგრებას და ბზინვარებას უწყობს ხელს.

— თმის სწრაფი ზრდა რაზეა დამოკიდებული?

— გაზაფხულზე აუცილებლად უნდა შევიჭრათ თმა, რადგან ზამთარში გამომშრალი თმის ბოლოები განახლდეს. თმის სწრაფი ზრდა, უსიცოცხლო ბოლოების მოჭრაზეც და სავსე მთვარეზეცაა დამოკიდებული. აგრეთვე, მის ხშირ დაბანასა და სწორ მოვლაზე.

— რისთვის არის საჭირო თმის ბალზამი და უნდა იხმაროს თუ არა ის ცხიმიანი თმის პატრონმა?

— ის, ვინც ხშირად ხმარობს ფენს, მნიშვნელობა არა აქვს, ცხიმიანი თმა ექნება თუ მშრალი, აუცილებლად უნდა იხმაროს თმის ბალზამი, რადგან ის ცხელი ჰაერის მავნე ზემოქმედებისგან იცავს თმას ბალზამი. კარგად უნდა ჩამოვიბანოთ, რადგან იგი სწრაფად გაჭუ-



ჭყიანებას უწყობს ხელს და თმა ვეღარ სუნთქავს.

— როგორც ვიცი, ფენი თმას აშრობს და წვავს...

— თუ სტილისტი გამოცდილია, ამის საშიშროება ნაკლებად არსებობს. საშრობის პირი, თმის ღერთან ძალიან ახლოს არ უნდა მიიტანო. მათ ვინც ფენს იყენებს, რამდენიმე რჩევას ვთავაზობ: საშრობის გამოყენებამდე, თმა პირსახოცით კარგად შეიმშრალეთ. ნუ გამოიყენებთ ფენს, თუ თმიდან წყალი წურწურით ჩამოგდით. ჰაერის თბილი ნაკადი თანაბრად უნდა განაწილდეს თავზე. მოერიდეთ სველი თმის სარჭებით დამაგრებას და მისი დავარცხნა ხის სავარცხლით, თმის ბოლოებიდან დაიწყეთ ძირებისაკენ.

— კვირაში რამდენჯერ შეიძლება საშრობის გამოყენება და არის თუ არა ის დამოკიდებული თმის სტრუქტურაზე?

— ცხიმიანი თმის მქონე ადამიანმა, თავი 3-4 დღეში ერთხელ უნდა დაიბანოს და ფენიც გამოიყენოს. მშრალი თმის მქონემ კი — 7-10 დღეში ერთხელ. ნორმალური თმის პატრონმა კი — კვირაში ერთხელ.

— რამდენად მიზანშეწონილი და შედეგიანია თმის ქიმიური გასწორება?

— ქიმიური გასწორება თითქმის უშედეგოა. თქვენ შეგიძლიათ გაიკეთოთ ქიმია, მაგრამ თმის მაგივრად მიიღებთ „ჯოხებს“, რომელსაც ფენი მაინც დასჭირდება, რათა თმას ფორმა მისცეთ.

— როგორ დავიცვათ თმა მზისგან?

— ცხიმიანი თმის მქონე ადამიანისთვის, მზის მცხუნვარება იმდენად საშიში არ არის, რამდენადაც მშრალი თმის მქონესთვის. ცხიმი, ამ შემთხვევაში ასრულებს ბალზამის როლს. თუმცა, კარგია თუ მაინც გამოიყენებთ მზისგან დამცავ საშუალებებს, რათა ცხიმი ?ულიანად არ გამოშრეს, თმა არ გახუნდეს... მშრალი თმის მქონე ადამიანს უჩნდება ქერტლის გაჩენის, თმის გახუნების საშიშროება, ამიტომ თმა უნდა გაანებივროს ნიღბებით. მაქსიმალური ეფექტისათვის თმა ცელოფანით ან თბილი პირსახოცი-

| სახელმწიფო მმართველობა, მისი ორგანოები | | |

ით შეიკარით და 10 წუთი გაიჩერეთ. ეცადეთ, ყოველ მეორე დაბანაზე თმა თავისით გაშრეს. იხმარეთ ბავშვის შამპუნები, რადგან მათში ნაკლებადაა ქიმიკატები.

— რა აძლევს თმას ბზინვარებას?

— ჯანმრთელ თმას თავისებური ბზინვარება აქვს, ავადმყოფს — არა. რაც უფრო მუქი ფერისაა თმა, მით მეტ ბრწყინვალებას იძენს იგი (შავი, წაბლისფერი...) ქერა ფერის თმას, ნაკლები ბზინვარების შანსი აქვს.

— თუმცა, ამბობენ, რომ ეს საღებავების ხარისხზეცაა დამოკიდებული.

— არა, საღებავი არაფერ შუაშია, იგი უფრო თმის სტრუქტურაზე, მის ხარისხსა და ფერზეა დამოკიდებული.

— თმის როგორი შეფერილობაა წელს მოდაში?

— მოდაშია ყველაფერი, რაც გიხდება. თუმცა, ქერა ფერის თმა მეტი პოპულარობით სარგებლობს.

— როგორ ფიქრობთ, მუქი ფერის თმა ასაკს მატებს?

— მუქი ფერი, მით უმეტეს შავი, ელეგანტურია. ის ქალების თითქმის 80%-ს უხდება და ასაკს არანაირად არ მატებს. თუმცა, გააჩნია ადამიანის კანის ფერს, მის აღნაგობას... ასაკი შეიძლება ქერა თმამაც მოგვიმატოს... იმის მიხედვით, თუ რა ტონალობაში შევიღებავთ თმას, წარბების ფორმაც უნდა შევიცვალოთ ან შევიღებოთ სპეციალური საღებავით.

— მოდაშია თუ არა აჩეხილ თმაზე მიწებებული ერთი ნაწნავი ან გვერდზე ზოლად აპარსული თმა?

— რამდენად მოდაშია ვერ გეტყვით, მაგრამ ტინეიჯერებში თმის სწორედ ასეთი ვარცხნილობა ჭარბობს. თუმცა, არიან ასაკოვანი ქალებიც, რომელთაც სურვილი აქვთ — უცნაური ვარცხნილობით ასაკი მოიკლონ. მოდაშია აჩეხილი თმა და მოკლე, გვერდზე გაყოფილი „ჩოლკა“. ■

„სახის“ ფსიქოლოგია

ავსტრალიელი სპეციალისტების აღმოჩენა იმ ფაქტზეა დაფუძნებული, რომ თითოეული ადამიანის სიცილი განუმეორებელია. სიცილის მანერა კი ყოველთვის შეესაბამება ადამიანის ხასიათს.

როგორ იცინით? თავშეუკავებელი მხიარულებისას სარკეში ჩაიხედეთ, შემდეგ კი შეადარეთ, რამდენად ზუსტია თქვენი ფსიქოლოგიური პორტრეტი.



● **სიცილისას ნეკა თითით ტუჩებს ეხებით.** საკუთარი შეხედულებები გაქვთ კარგი ტონის, გრაციოზულობისა და ქალურობის შესახებ და ცდილობთ, მათ შეესაბამებოდეთ. გიყვართ ყურადღების ცენტრში ყოფნა.

● **პირზე ხელს იფარებთ.** საკუთარ თავში არ ხართ დარწმუნებული. მორცხვი ხართ და ყოველთვის ჩრდილში ყოფნა გირჩევნიათ.

● **თავს უკან სწევთ.** მიმნდობი ხართ. ზოგჯერ მოულოდნელი საქციელი გჩვევიათ. მხოლოდ გრძნობებით ხელმძღვანელობთ.

● ხელით სახეს ან თმას ეხებით. ასე მეოცნებენი და ფანტაზიორები იქცევიან.

● **სიცილისას ცხვირს იჭმუხნით.** თქვენი გრძნობები და შეხედულებები ხშირად იცვლება. ემოციური ადამიანი ხართ და ამასთანავე ჭირვეულიც. ადვილად ემორჩილებით წუთიერ განწყობილებას.

● ხმამაღლა იცინით და პირს ფართოდ აღებთ. ტემპერამენტიანი ადამიანი ხართ. თავშეკავება და ზომიერება გაკლიათ. გიყვართ ლაპარაკი, მაგრამ არ გიყვართ სხვების მოსმენა.

● **თავს წინ სრით, ვიდრე ჩუმად ჩაიცინებდეთ.** კეთილსინდისიერი ხართ, კარგად ეგუებით გარემოსა და ადამიანებს. გრძნობებს ყოველთვის აკონტროლებთ.

● **ხელს ნიკაპზე იკიდებთ.** თქვენს ასაკთან შედარებით, უფრო ახალგაზრდული ხასიათი გაქვთ. ხშირად დაუფიქრებელი მოქმედებები გახასიათებთ.

● **სიცილის დროს არ გაქვთ კონკრეტული მანერა.** თქვენ ინდივიდუალისტი ხართ. ყოველთვის და ყველაფერში საკუთარი აზრი გაქვთ. სხვების აზრს ხშირად უარყოფთ. ■

ინტიმური ტელეფონი

822-009-008
822-009-088
822-009-108

18 წლიდან
მომსახურება ფასიანია

	სხეული თავისა და ხელების გარეშე	ხელფასიდან წინასწარ აღებული ფული	ქალაქის ნანგრევები	კერვის დროს თითზე წამოსაცმელი საგანი	წინასწარ გაცემული დანხა	იგივეა, რაც ბრინჯაო
...ყოველთაო ლოცვა	...ქან-კლოდ ... დამი	მავთული	თავის ჩონჩხი	... მოტანილს ...ქარივე წაიღებსო	მოსეს ... მცნება	ზამთრის ბოლო თვე

ექინოკოკოზი

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

ძაღლი, ადამიანის ერთგული და მოყვარული ცხოველი, მეტად უსიამოვნო და საშიში დაავადების — ექინოკოკოზის წყაროს წარმოადგენს.

ექინოკოკოზი პარაზიტული დაავადებაა და ბევრი ქვეყნისათვის დიდ პრობლემას წარმოადგენს. ძაღლს კატისგან განსხვავებული ეკოლოგია აქვს: იგი ფეკალურ მასებს ადამიანის მახლობლად გამოყოფს, ტლეკს ფეკალიებს, შემდეგ კი ლოკავს ადამიანს, სურს მას ეს თუ არა. პარაზიტები ძაღლის ნაწლავებში ბუდობენ. ბეწვზე კი შეიძლება მოხვდეს ფეკალური მასის ნაწილაკები, ამიტომ ძაღლი მთლიანობაში უქმნის ადამიანს პოტენციურ საშიშროებას.

ზოგიერთი პატრონი გასეირნების შემდეგ ბანს ძაღლს, მაგრამ ეს ვერ უზრუნველყოფს მათ სრულფასოვან დაცვას.

უფრო ხშირად ექინოკოკოზით ის ადამიანები ავადდებიან, რომლებიც ძაღლს ეფერებიან, კოცნიან და ლოგინში იწვენენ, თუმცა სამწუხაროდ, არცთუ ისე იშვიათად, დაავადება მათაც ემართებათ, ვისაც ძაღლი საერთოდ არ ჰყავს. ფეკალიები ხომ ყველგან მიმოიფანტება. ადამიანი, რომელიც ახლოსაც არ ეკარება ძაღლს, ტყეში მოკრეფილი კენკრითაც შეიძლება დასნებოვნდეს.

ძაღლი არ გვყავს, მაგრამ პარაზიტი სახეზეა

პარაზიტი ადამიანის ორგანიზმში ორი გზით შეიძლება მოხვდეს: ძაღლთან კონტაქტით და ფეკალიებით დაბინძურებული ხილ-კენკრის ჭამით. ძაღლი მოცემულ მომენტში შეიძლება არც იყოს თქვენ გვერდით, მაგრამ მის მიერ დაბინძურებული მიწა კვლავ რჩება დაავადების წყაროდ.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ექინოკოკოზით ავადობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია. ეს განსაკუთრებულად შეეხება აზერბაიჯანს და აზიის ქვეყნებს. ბევრ ისლამურ სახელმწიფოში ძაღლის შეშვება სახლში საერთოდ არ შეიძლება, მაგრამ სახლის მახლობლად ძაღლები ცხოვრობენ, ბავშვები და მოზრდილები მასთან კონტაქტში შედიან და დასნებოვნებისთვის ესეც საკმარისია. თუ ძაღლი ოთახისაა და გარეთ არ გადის, მაშინ ცხოველი უსაფრთხოა.

დაავადების გამომწვევი ექინოკოკის ჭიის ჩანასახები ადამიანის კუჭ-ნაწლავის ტრაქტში თავისუფლდება გარსისაგან, ჩაინერგება სისხლძარღვებში და სისხლის ნაკადით მიმოიფანტება მთელ ორგანიზმში, სადაც წლების განმავლობაში იზრდება და ვითარდება. ექინოკოკის ჭია ქმნის მრგვალ ან ოვალურ ცისტებს (ბუშტებს), რომელთა ზომა 1-5-დან 40 სმ-მდეა (ზოგჯერ

მეტიც) და რომლებიც სითხითაა სავსე. ჭია შეიძლება მოხვდეს ნებისმიერ ორგანოში. ექინოკოკური ცისტა ზრდის კვალდაკვალ აწვება ორგანიზმის ირგვლივ მიმდებარე ქსოვილებს, იწვევს მათ ატროფიასა და დაშლას.

ეს სხვაგვარი სიმსივნეა

თუ ცისტა ორგანოს სიღრმეში იზრდება, ექინოკოკოზით დაავადებულმა მისი არსებობის შესახებ შეიძლება წლების განმავლობაში არაფერი იცოდეს. როდესაც ცისტა ღვიძლის მარჯვენა ნაწილში ვითარდება, ადამიანს ქოლეცისტიტის მსგავსი ტკივილი აწუხებს, კლებულობს წონაში, კარგავს მადას. პლევრის მახლობლად მდებარე მცირე ზომის ცისტაც კი ადრევე გამოვლინდება ტკივილით, ხოლო თუ იგი მსხვილ ბრონქს ეხება, მაშინ ადამიანს ხველა ეწყება.

ხშირ შემთხვევაში, ექინოკოკურ ცისტებს შემთხვევით აღმოაჩენენ ხოლმე ექოსკოპიური, ფლუოროგრაფიული ან კომპიუტერული ტომოგრაფიული კვლევისას. შემთხვევათა 30%-ში კი ექინოკოკოზი მაშინ ვლინდება, როცა იჩენს თავს გართულება: ცისტის დაჩირქების, პერიტონიტის, პლევრიტის, მექანიკური სიყვითლის, ბილიარული ციროზის, ფილტვიდან სისხლდენის, გულ-სისხლძარღვთა სისტემის უკმარისობის სახით.

ყველაზე საშიში გართულება ცისტის გახეთქვაა, რაც დარტყმის, სიმძიმის აწევის ან უხეში ზეწოლის შედეგად შეიძლება განვითარდეს. ძლიერი ტკივილის გარდა ავადმყოფს ალერგიული რეაქცია (ანაფილაქსიური შოკიც კი) ემუქრება.

ცისტის აღმოჩენისას დიდი მნიშვნელობა აქვს ექიმის სწორ ტაქტიკას. პირველი, რაც სიმსივნური წარმონაქმნის დანახვისას შეიძლება მოგვივიდეს თავში, ბიოფსიური (ჩხვლეტით აღებული მასალის) კვლევაა, მაგრამ ექინოკოკოზის დროს ამის გაკეთება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რადგან ეს პარაზიტის ორგანიზმში გავრცელებას გამოიწვევს. საჭიროა ოპერაციული მკურნალობა და ცისტის მთლიანად ამოღება. ოპერაციის შემდგომ ინიშნება მედიკამენტური მკურნალობა რამდენიმე თვის (ზოგჯერ წლის) განმავლობაში, რათა მოხდეს ორგანიზმში დარჩენილი ყველა ჩანასახის ლიკვიდაცია – წინააღმდეგ შემთხვევაში, ცისტა ხელახლა გაიზრდება და ყველაფერი თავიდან დაიწყება.

დასნებოვნება შეიძლება მოხდეს:

ძაღლისგან (როგორც შინაური, ასევე მაწანწალა), მგლისგან, ტურისგან, აგრეთვე მათი ბეწვისგან.

დაიცავით თავი!

პროფილაქტიკის უნივერსალური საშუალება არ არსებობს, თუმცა დასნებოვნების ალბათობა და ექინოკოკოზის საშიში გართულებები შეიძლება თავიდან აიცილოთ, თუკი:

- არ აკოცებთ ძაღლს და დაიბანთ ხელებს მასთან კონტაქტის შემდეგ;
- წელიწადში ერთხელ მაინც გაიკეთებთ მუცლის ექოსკოპიასა და ფლუოროგრაფიას;
- რეგულარულად ატარებთ თქვენს ძაღლს ვეტერინართან და ნახევარ წელიწადში ერთხელ მაინც ჩააბარებთ მის ანალიზს ექინოკოკებზე. ■

წნევა გაქვთ? უარი თქვით ჩიფსებზე

სულ ცოტა ხნის წინ 140/80 მმ. ვწყ.სვ.-ზე ნაკლები წნევა ნორმალურად ითვლებოდა, მაგრამ ამჟამად აშშ-ში აღნიშნული ციფრები გულისათვის სერიოზულ საფრთხედ მიიჩნევა. ბილ კლინტონს წნევა 136/84 ჰქონდა, როდესაც ექიმებმა საკმაოდ პროგრესირებული სკლეროზული პროცესი აღმოუჩინეს. მას გულის ოპერაცია დასჭირდა. ამის შემდეგაც კი ის კვლავ აგრძელებს წნევის დამწევი წამლების მიღებას. ამერიკის კარდიოლოგთა ასოციაციის მონაცემების თანახმად, სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებათა რისკი მაშინ იზრდება, როცა სისტოლური (ზედა) წნევა 115 მმ.ვწყ.სვ-ზე მაღალია, დიასტოლური (ქვედა) კი – 75 მმ. ვწყ.სვ-ზე მაღალი. ევროპაში არსებობს მოსაზრება, რომ მაღალწნევიანებმა (130-139/85-89) უბრალოდ უნდა დაიცვან დიეტა და გაზარდონ ფიზიკური აქტივობა. ამასთან, ითვლებოდა, რომ გულის დაავადებებისათვის განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს ქვედა ანუ დიასტოლური წნევა. ამერიკელ კარდიოლოგთა ახალი რეკომენდაციები კი ეფუძნება მოსაზრებას, რომ ორმოცდაათი წლის ასაკის შემდეგ, ზედა (სისტოლური) წნევა უფრო მეტი დამავჯერებლობით განსაზღვრავს მოსალოდნელ გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიას.

მაღალი წნევა შემთხვევათა 30%-ში გენეტიკურადაა განპირობებული, თუმცა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ცხოვრების სტილსაც, განსაკუთრებით დიეტას. მეძუძური დედა, რომელიც

კალიუმის დაბალი შემცველობის მქონე და მარილით მდიდარი საკვებით იკვებება, ხელს უწყობს შვილების ჰიპერტონიისადმი წინასწარგანწყობის ჩამოყალიბებას. წნევის მატების რისკი მაღალია იმ მოზარდებში, რომლებიც მარილიანი მიწის თხილითა და ჩიფსებით იკვებებიან. ცნობილია, რომ ყოველდღიურ რაციონში მარილის 10-დან 5 გრამამდე შემცირება 350 მლ-ით ამცირებს ორგანიზმის მოთხოვნილებას სითხეზე. ამის შესახებ კარგად უწყიან მარილიანი სასუსნავის მწარმოებლებმა, რომელთა პროდუქცია საგრძნობლად ზრდის ტკბილი სასმლის გაყიდვას.

ადამიანებმა, რომელთა წნევაა 120/80, არ უნდა მიიღონ წნევის დამწევი წამლები, საკმარისია, მათ დაიცვან დიეტა და მეტი იმოძრაონ. მარილიანი და ცხიმიანი საკვების შეცვლა ხილ-ბოსტნეულითა და თევზეულით რამდენიმე თვის განმავლობაში ზედა წნევას 8-9 მმ-ით, ქვედას კი 5 მმ-ით დააქვეითებს. მართალია, იაპონიაში საკმაოდ ბევრ მარილს იყენებენ, მაგრამ მის უარყოფით მოქმედებას აწონასწორებს თევზის დიეტა, რომლის წყალობითაც იაპონიაში გულ-სისხლძარღვთა დაავადებები სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო იშვიათად გვხვდება.

თუკი ადამიანს გადატანილი აქვს ინფარქტი, ინსულტი, ან ავადაა II ტიპის დიაბეტით, წნევის თუნდაც, სულ უმნიშვნელო მატების დროსაც კი აუცილებელია ჰიპოტენზიური პრეპარატებით მკურნალობა. გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიის განვითარების რისკი მათში წნევის უფრო დაბალ ციფრებზე ვლინდება.

■

მიოკარდიუმი შეიძლება აღდგეს

ამერიკელი მეცნიერები იტყობინებიან, რომ გულის უჯრედებს აღდგენის უნარი აქვს.

დღემდე ითვლებოდა, რომ მიოკარდიუმს არ გააჩნია თვითგანახლების უნარი, რის გამოც, ინფარქტის შემდეგ გულის კუნთის დაზიანების უბანზე უხეში ნაწიბური ვითარდება. მაგრამ თაგვის გულის გამოკვლევისას მეცნიერებმა



აღმოაჩინეს Islet-1-ს გენის შემცველი უჯრედები. ეს გენი ნაყოფში გულის ფორმირებისას არის აქტიური. თუ გენს გავაღვიძებთ მოზრდილ ადამიანში, მაშინ გულის კუნთის წინამორბედი უჯრედები შეიძლება გარდაიქმნას სრულყოფილ კარდიომიოციტებად. ამჟამად მეცნიერები ეძებენ, კერძოდ რომელი ქიმიური ნივთიერებით ან ჰორმონითაა ეს შესაძლებელი.

■

საათი დიაბეტიანებისათვის

ისრაელელმა მეცნიერებმა შექმნეს საათი გლუკომეტრი, რომლის მეშვეობითაც ადამიანს შეუძლია რეგულარულად მიიღოს ინფორმაცია სისხლში შაქრის დონის შესახებ.

მეთოდი ეფუძნება იმ ფაქტს, რომ სისხლში შაქრის კონცენტრაციის მიხედვით იცვლება სისხლის ზოგიერთი თვისება, კერძოდ – მისი ოპტიკური სიმკვრივე. ლაზერული სხივი ანათებს ზედაპირულ ვენებს, მისი ანარეკლი ხვდება გადამწოდს, რომელიც აწვდის ინფორმაციას გადამუშავებისათვის მიკროჩიპს და შემდეგ – ციფერბლატს. გარეგნულად ასეთი საათი არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი ელექტრონულისაგან. ლაზერული გამოსხივების გენერატორი და გადამწოდი სამაჯურის ქვეშაა დამალული.

■

როგორ დავიბრუნოთ სმენა

სულ ცოტა ხნის წინ, ავსტრიაში შექმნეს ყურის ლოკოკინას იმპლანტანტი, რომელიც წარმატებით ჩაუნერგეს ჩილელ ბიჭუნას.

რიგში კიდევ 30 ბავშვია, რომელსაც სმენის თანდაყოლილი დეფექტი აქვს. ლოკოკინა შიდაყურში მდებარეობს. მისი მეშვეობით ბგერითი რხევები ელექტრონულ იმპულსებად ტრანსფორმირდება. ეს იმპულსები კი ტვინამდე მიდის. ლოკოკინას აგებულების თანდაყოლილი დეფექტისას, ადამიანი ყრუა და მისი დახმარება მხოლოდ ამ ორგანოს შეცვლით შეიძლება. ავსტრიელი

მეცნიერების მიერ შემუშავებულ იმპლანტანტს შიდაყურში ნერგავენ. ოპერაციის შემდეგ პაციენტი გადის რეაბილიტაციის კურსს, რომლის დროსაც, ბგერების მოსმენას და აღქმას სწავლობენ.

■

რა უნდა ვიცოდეთ ეკუმენისტურ ერთობლივ ლოცვებთან დაკავშირებით?

განვაგრძობთ „გზის“ წინა ნომერში დაწყებულ საუბარს ეკუმენიზმზე. ამ ცნებასთან დაკავშირებულ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს, წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის მოძღვარი, მღვდელი დავით ძვლიანიძე განგვიმარტავს.

შორენა მერკვილაძე

— რა უნდა ვიცოდეთ ერთობლივი ლოცვის პრაქტიკასთან დაკავშირებით, რომელიც აღევლინება ეკუმენისტური შეხვედრების დროს?

— ერთობლივი ლოცვა — ე.ი. ლოცვის ერთიანობა ნიშნავს სარწმუნოებრივ ერთობას, რაც არ არსებობს ეკუმენისტურ წიაღში გაერთიანებულ რელიგიურ მიმდინარეობათა შორის. „ეკუმენისტური ლოცვა შეუძლებელია მის წევრთა შინაგანი მდგომარეობის, მათი სარწმუნოების გამომხატველი იყოს, რადგან თვით ლოცვის მონაწილეთა შორის არ არსებობს ერთი სარწმუნოება, ერთი განცდა და სულიერი სამყაროს ერთი აღთქმა“, — განმარტავს არქიმანდრიტი რაფაელი, ამიტომ ეკუმენისტების მიერ აღვლენილი საერთო რელიგიური ლოცვა, ერთობლივი ლოცვის იმიტაცია უფროა, ვიდრე ერთი სარწმუნოებისა და ერთი სასოების გამოხატულება.

— საინტერესოა, რას გვაუწყებს „წმინდა წერილი“ ერთობლივი ლოცვის შესახებ?

— „წმინდა წერილი“ სასტიკად კრძალავს ერთობლივ ლოცვას. ჯერ კიდევ „ძველი აღთქმის“ დროს, როდესაც დედამიწაზე ერთადერთი — ისრაელი იყო ჭეშმარიტი ღმერთის მიმდევარი, ღმერთი მათ მოსე წინასწარმეტყველის მეშვეობით უცხადებდა, რომ აკრძალული ჰქონდათ უცხო ტომის ქალების ცოლად მოყვანა, რადგან ისინი თავიანთ წარმართულ კერპებს შემოიტანდნენ და ჭეშმარიტება შეირყვნებოდა. სოლომონ მეფემ ეს ბრძანება დაარღვია და მეზობელი ტომების (ხეთების, ეგვიპტელებისა და სხვათა) ქალების მოყვანა დაიწყო, რომლებმაც ჯერ სოლომონის სასახლეში დადგეს თავიანთი კერპები, შემდეგ კი — იერუსალიმის ტაძრის ეზოში და დაიწყეს მათ წინაშე ლოცვა. როდესაც სოლომონის ტაძარში ჭეშმარიტი მსახურება აღესრულებოდა, ტაძრის ეზოში კერპთმსახურება მიმდინარეობდა — ანუ დაიწყო ერთობლივი ლოცვა. სოლომონ მეფეს გამოეცხადა ღმერთი და აუწყა, რომ ამ დარღვევის, ამ უდიდესი ცოდვის გამო, სასტიკად დასჯიდა — მისი სამეფო ორად გაიყოფოდა და არასოდეს გაერთიანდებოდა. აი, ასეთი მკაცრი განაჩენი გამოუტანა ღმერთმა თვით „ძველი აღთქმის“ უდიდეს წმინდანს იმის გამო, რომ ერთობლივი ლოცვა დაამკვიდრა. ერთობლივ ლოცვას სასტიკად კრძალავს „ახალი აღთქმის“ სჯულის კანონიც, რომლითაც ხელმძღვანელობს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესია. ეს იმას ნიშნავს, რომ მართლმადიდებელმა არ შეიძლება, ილოცოს უცხო კონფესიების წარმომადგნელებთან ერთად, თუ რატომ — ამის გასარკვევად, შეიძლება, მოვიყვანოთ საუფლო ლოცვის — „მამაო ჩვენოს“ მაგალითი, რომელიც ხშირად წარმოითქმის ეკუმენისტური ლოცვების დროს. როდესაც ღმერთის მართლად, სწორად მადიდებელი — ე.ი. მართლმადიდებელი ამბობს „მამაო ჩვენოს“, ის მოუხმობს ჭეშმარიტ მამაზეციერს. არასწორი სარწმუნოების მიმდევრები კი ამ ლოცვის წარმოთქმით ეშმაკს უხმობენ, რადგან თითოეული მათგანის სწავლა-მოძღვრება, ტყუილზე, სიცრუეზეა აგებული, სიცრუის მამა კი, ეშმაკია. ამის შესახებ ცხადად მიგვანიშნებს მაცხოვრის მიერ იუდეველების მიმართ წარმოთქმული სიტყვები: „რატომ ვერ იგებთ ჩემს ნათქვამს? იმიტომ, რომ არ შეგიძლიათ, მოისმინოთ ჩემი სიტყვა; თქვენი მამა არის ეშმაკი და მამათქვენის გულისთქმის შესრულება გწადიათ. ის კაცისმკვლელი იყო თავიდან და ჭეშმარიტებაში ვერ დადგა, რადგან არაა მასში ჭეშმარიტება. როცა სიცრუეს ამბობს, თავისას ამბობს, რადგან ცრუ არის იგი და სიცრუის მამა“ (იოანე 8, 43-44) — ამ სიტყვებით კი, იმის გამო მიმართავს მათ, რომ ვერ ჩასწვდნენ მის ნათქვამს. ასევე ვერ სწვდებიან და იზიარებენ არამართლმადიდებლები ქრისტეს მიერ ნაქადაგებ, ნაუწყებ ჭეშმარიტებას და ამიტომაც არის მათი მამა ეშმაკი. სწორედ ამის გამო არ შეიძლება მათთან ერთად ლოცვა და საერთოდ სულიერი, რელიგიური კონტაქტები.

— გამოდის, რომ თუკი მართლმადიდებელი, ეკუმენიზმის მომხრეა და მით უმეტეს ეკუმენისტურ თანალოცვებში მონაწილეობს, მიუხედავად იმისა, რომ სწორი სარწმუნოების მიმდევარია, სულს იღუპავს...

— საერთოდ, როდესაც მართლმადიდებელი სხვა რელიგიის მიმდევრების გვერდით ლოცულობს, ამით ის არა მხოლოდ საკუთარ თავს ვნებს, არამედ ხელს უწყობს თანამლოცველთა სულის დაღუპვასაც, რადგან არც კი შეახსენებს, რომ ცდომილებაში არიან და არ მოუწოდებს, რომ დაბრუნდნენ ჭეშმარიტების წიაღში და ცხონებისკენ მიმავალ გზას დაადგნენ. მაგრამ როგორი სურვილიც არ უნდა გაუჩნდეს მართლმადიდებელს იმისა, რომ ეკუმენისტურ შეხვედრებზე იქადაგოს ჭეშმარიტება და შეეცადოს, არამართლმადიდებლებს დაანახვოს თავიანთი ცდომილება, ამას ვერ მოახერხებს, რადგან ეკუმენისტური წესდებით „პროზელიტიზმი“ — ანუ ერთი სარწმუნოებიდან მეორეზე გადმობირება იკრძალება. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეკუმენისტური თანალოცვის მონაწილე ან თუნდაც, მომხრე მართლმორწმუნე ქრისტიანი სულს იღუპავს და სამუდამოდ სატანჯველს მხოლოდ გულწრფელი სინანულით განარიდებს თავს.

— თუკი მართლმადიდებელი ეკლესია ასე მკაცრად უდგება ეკუმენიზმს, მაშინ რატომ იყო და დღესაც არის რიგი მართლმადიდებელი ეკლესიები გაერთიანებული ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში, მათ შორის, გარკვეულ წლებში, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიაც იყო გაერთიანებული?

— საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეკუმენიზმში გაერთიანება მოხდა იმ პერიოდში, როდესაც საქართველოში საერთოდ იდევნებოდა რელიგია, მაშინ არც პატრიარქისთვის და არც წმინდა სინოდისთვის არ უკითხავთ, იყვნენ თუ არა ამ მოძრაობაში გაერთიანების მომხრე. ამდენად, ეს მოხდა ძალდატანებით, მათი თანხმობის გარეშე. მაგრამ ღვთის წყალობითა და წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ დატოვა ეკლესიათა მსოფლიო საბჭო, რაშიც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს — ილია მეორეს, რადგან მან სწორად შეაფასა, თუ რაოდენ დიდ ცდომილებაში იმყოფებოდა ჩვენი ეკლესია და რამდენად დიდი საფრთხის წინაშე ვიდექით. საქართველოს გარდა, ეკუმენიზმი დატოვა ბულგარეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამაც. რაც შეეხება ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ამჟამინდელ წევრ მართლმადიდებელ ეკლესიებს, ისინი თავიანთ წარმომადგენლებს აღარ გზავნიან ეკუმენისტურ შეხვედრებზე, რადგან ყველა მათგანმა დაიწყო სერიოზული მოძრაობა ეკუმენიზმიდან გამოსვლის თაობაზე. ■

ცოტა ხნის წინ საქართველოს კიდევ ერთი ემიგრირებული შვილის არქივი დაუბრუნდა. ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე სპირიდონ კედია გასული საუკუნის 20-იან წლებში გააძევეს სამშობლოდან. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა მთელი ცხოვრება ემიგრაციაში გაატარა და იმ დღეზე ოცნებობდა, როდესაც საქართველოს რუსის ჯარისგან გათავისუფლებულს იხილავდა. ის პირადად იცნობდა უინსტონ ჩერჩილს, ადოლფ ჰიტლერს. სტალინი კი მწარედ ნანობდა, რომ თავის დროზე, კედია ქვეყნიდან ცოცხალი გაუშვა...



ჩემს ნაგოგზო სტალინი

სამშობლოდან გაძევებული „საქართველოს ოქროპირი“ ჩერჩილს და ჰიტლერს პირადად იცნობდა

ემა ტუხიაშვილი

სპირიდონ კედიას ერთადერთი შთამომავალი, მისი შვილი თეო კედია-ჩიჯავაძე პატარა პარიზულ ბინაში ცხოვრობს. სწორედ მისი თანხმობით მოხერხდა, 1500-მდე საინტერესო დოკუმენტის ჩამოტანა საქართველოში. სპირიდონ კედიას არქივი XX საუკუნის შემსწავლელ სამეცნიერო-კვლევით ცენტრში განთავსდება, მეცნიერები კი დოკუმენტებზე დაყრდნობით, ჩვენი ქვეყნის ისტორიას ახალ შტრიხებს შემატებენ.

სპირიდონ კედია და მისი მეუღლე სოფიო ჩიჯავაძე

ოთარ ჭანელიძე, *პროფესორი, XX საუკუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი:*

— სპირიდონ კედია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი თავმჯდომარე გახლდათ. ამ პარტიამ გააერთიანა იმ დროის ქართველი ინტელიგენციის ფართო სპექტრი. მისი წევრები იყვნენ: ნიკო ნიკოლაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, გერონტი ქიქოძე, მიხეილ ჯავახიშვილი, გიორგი ლეონიძე, ნიკო კეცხოველი, ტიციან ტაბიძე და მრავალი სხვა გამოჩენილი ადამიანი, როდესაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოცხადდა და დამფუძნებელი კრების (საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკაში ეს იყო უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო) არჩევნებიც ჩატარდა, ეროვნულ-დემოკრატებმა მხოლოდ 8 დეპუტატის გაყვანა შეძლეს. რა თქმა უნდა, მათ შორის იყო სპირიდონ კედიაც. უნდა აღინიშნოს, რომ მათი პოლიტიკური მრწამსი ეწინააღმდეგებოდა მმართველი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის იდეოლოგიას, ამიტომ სპირიდონი და მისი თანამოაზრეები ოპოზიციაში აღმოჩნდნენ. მიუხედავად ამისა, ის პოლიტიკურ წრეებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა და როდესაც დამფუძნებელი კრების წინაშე სიტყვით გამოდიოდა, უკანა რიგებიდან მის მოსასმენად წინა რიგებში გადმოსხდებოდნენ ხოლმე. კარგი ორატორული ნიჭის გამო, მას „საქართველოს ოქროპირს“ ეძახდნენ, ხოლო ივანე ჯავახიშვილი ამბობდა: სპირიდონ კედიას სიტყვა, ევროპის დიდ პარლამენტში მოსმენის ღირსიაო. მოგეხსენებათ, რომ 1921 წელს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაეცა, მთავრობა უცხოეთში გაიხიზნა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარმა კომიტეტმა თავდაპირველად, აუკრძალა თავის წევრებს ემიგრაციაში წასვლა. მათაც გადაწყვიტეს, დარჩენილიყვნენ და ჩამოერეცხათ ის სირცხვილი, რომელიც ხელისუფლების თითქმის უბრძოლველად დათმობაში გამოიხატებოდა. მართლაც, 1921-22 წლებში, სპირიდონ კედია ქართული ეროვნული ძალების ერთ-ერთი აქტიური ხელმძღვანელი გახლდათ. ის იყო ცნობილი „შეფიცულთა რაზმის“ ერთ-ერთი იდეოლოგი, ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ერთად. სწორედ ამის გამო, 1922 წელს, სპირიდონ კედია დააპატიმრეს და ერთი წლის განმავლობაში ორთაჭალისა და მეტეხის ციხეებში გამოამწყვდიეს. 1923 წელს კი, იგი ყოველგვარი დოკუმენტების გარეშე გააძევეს სამშობლოდან.

— ოჯახს თუ მისცეს მასთან ერთად წასვლის საშუალება?

— ამ დროისთვის, სპირიდონ კედია უკვე დაოჯახებული იყო. ჰყავდა მეუღლე — სოფიო ჩიჯავაძე და ქალიშვილი — თეო. ცოტა რამ მისი მეუღლის შესახებაც მინდა გიამბოთ. ისიც საკმაოდ ცნობილი პიროვნება გახლდათ და გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ქართული გიმნაზიის გამგედ მუშაობდა. სოფიო ისეთი ცნობილი ადამიანების პედაგოგი გახლდათ, როგორებიც იყვნენ: კოტე ბაქრაძე და ნიკო კეცხოველი. ამ ულამაზეს, თავადის ქალს თურმე ბევრი ყმაწვილი ეტრფოდა, მათ შორის, კონსტანტინე გამსახურდიაც; იოსებ გრიშაშვილი სოფიო ჩიჯავაძეს ლექსებს უძღვნიდა. აღსანიშნავია ისიც, რომ სოფიოსა და სპირიდონის მეჯვარე, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, ალექსანდრე ასათიანი გახლდათ, ხოლო წყვილს ჯვარი, შემდგომში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, კალისტრატე ცინცაძემ დასწერა... სპირიდონ კედია საქართველოდან მარტო გააძევეს: კონსპირაციულად ჩაიყვანეს ბა-

სოფიო ჩიჯავაძე-კედია

თუმში, აიყვანეს უცხოურ გემზე და უცნობი მიმართულებით გაუშვეს. მისი მეუღლე და მცირეწლოვანი ქალიშვილი თბილისში დარჩნენ და ამაღლების ქუჩის №6 სახლში ცხოვრობდნენ. რა თქმა უნდა, ოჯახს საშინლად ავიწროებდნენ. ერთხანს, სპირიდონ კედიას მეუღლეც ჰყავდათ დაპატიმრებული. ჩეკისტები კედიას ოჯახს გაათმაგებულად უთვალთვალებდნენ. სოფიო ჩიჯავაძე თავის მოგონებებში ამბობს კიდეც: თეომ ციხის გზაზე აიდგა ფეხიო... მხოლოდ 1928 წელს დართეს ნება კედიას ცოლ-შვილს, რომ საქართველო დაეტოვებინა. სოფიომ და თეომ ჯერ წვალებით ჩააღწიეს ბერლინამდე, იქიდან კი – პარიზში ჩავიდნენ, სადაც სპირიდონ კედია ცხოვრობდა.

— იგი უცხოეთშიც გავლენიან კაცად ითვლებოდა. როგორ მოახერხა მან, აბსოლუტურად უცხო ქვეყანაში მოეხვეჭა სახელი?

– კედია ისეთ მძლავრ ანტისაბჭოურ ძალებს დაუახლოვდა, რომლებსაც სათავეში ედგნენ ბრიტანეთში – ჩერჩილი, ხოლო გერმანიაში – ჰიტლერი. ის პირადად იცნობდა ორივე მათგანს. ამის გამო, სტალინს უთქვამს: ეგ აქედან ცოცხალი არ უნდა გაგვეშვაო... სპირიდონ კედიას განათლება ევროპაში ჰქონდა მიღებული, საფრანგეთის უნივერსიტეტებში სწავლობდა, ამიტომ ენობრივი ბარიერი არ ჰქონია. თავდაპირველად, კედია პარიზში საქართველოს ემიგრირებულ მთავრობას დაუკავშირდა, მაგრამ მათი გზები მალევე გაიყარა. სპირიდონ კედია ეწინააღმდეგებოდა 1924 წლის აჯანყებას, რომელიც სოციალისტების წაქეზებით მზადდებოდა საქართველოში. მან კარგად იცოდა, რომ ომისგან დაღლილი ევროპა საქართველოს ვერ დეხმარებოდა და რუსეთთან კონფრონტაციის ნაცვლად, მასთან თანამშრომლობის გზას ამჯობინებდა. როგორც კედია თავის ჩანაწერებში აღნიშნავს, ევროპამ საქართველოს ჯერ კიდევ 1920-21 წლებში აქცია ზურგი, როდესაც ის ერთა ლიგაში არ მიიღეს. სპირიდონ კედიას პოზიცია ბევრი მისი თანაგუნდელისთვისაც მიუღებელი აღმოჩნდა და ის ფაქტობრივად, მარტო დარჩა. მოგვიანებით, მან პარიზში გამოსცა ქართულენოვანი ჟურნალი – „სამშობლოსათვის“, შემდეგ კი, გაზეთი – „საქართველოს გუშაგი“. ამის გამოცდილება კედიას ადრევე ჰქონდა დაგროვილი: 1915 წელს, როდესაც თბილისში გაზეთი „საქართველო“ გამოვიდა, სპირიდონი მისი ორგანიზატორი, მოგვიანებით კი – რედაქტორიც გახლდათ. საოცარია, მაგრამ ჟურნალის – „სამშობლოსათვის“ – რამდენიმე ნომერმა საქართველოშიც ჩამოაღწია, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, ანტისაბჭოური სულისკვეთების გამო, ჩეკისტების მიერ ნადგურდებოდა.

— სპირიდონ კედია ისე გარდაიცვალა, რომ სამშობლოში ჩამოსვლა არ ღირსებია...

– ის ემიგრაციაში გარდაიცვალა და ლევილში, ქართველთა სასაფლაოზეა დაკრძალული. საქართველოში არ ჩამოსულა არც მისი მეუღლე, რომელმაც 106 წელი იცხოვრა, რისთვისაც პარიზის მაშინდელმა მერმა, ახლა კი – საფრანგეთის პრეზიდენტმა, ჟაკ შირაკმა სოფიო ჩიჯავაძე-კედია ქალაქის უხუცეს მოქალაქედ გამოაცხადა. სპირიდონ კედიას ქალიშვილი – თეო კედია-ჩიჯავაძე ახლა 85 წლისაა, თუმცა შესანიშნავად გამოიყურება. ის საკმაოდ ცნობილი მუსიკოსია საფრანგეთში. ჩვენ დავპატიჟეთ ქალბატონი თეო საქართველოში, მაგრამ დელიკატური უარი გვითხრა: ახლა იქ დაბრუნება გამიჭირდებაო. ის სპირიდონ კედიას ერთადერთი შთამომავალია, ოჯახი არ შეუქმნია. მისი პატარა პარიზული ბინის კედლები მოფენილია ფოტოსურათებით. უამრავი გამოჩენილი ადამიანის ფოტოს გვერდით, საქართველოდან მიღებული ფოტოებიცაა, სადაც კედიებისა და ჩიჯავაძეების ყოფილი სახლებია აღბეჭდილი. ქალბატონ თეოს კარგად ახსოვს მამის მეგობრები და თანამოაზრეები. თავისი ბავშვობის დროინდელი ამბავიც გაიხსენა: ქაქუცას სახელი ბავშვობიდანვე მესმოდა. ვიცოდი, რომ ის იბრძოდა საქართველოს თავისუფლებისთვის, გმირი იყო და სხვა. ამიტომ ბუმბერაზ კაცად წარმომედგინა. როცა ჩვენთან მოსული პირველად ვნახე, აღმოჩნდა საშუალო სიმაღლის, ევროპულად ჩაცმული... მაშინ ვთქვი – ის ვერაფერს გააკეთებს საქართველოსთვის; თუ ჯარს შექმნის, მე ამოვუდგები მხარში და ვუშველი-მეთქი... ამის შემდეგ, ქაქუცა „ბელადის ბელადს“ მეძახდა...

ქალბატონ თეოსთან ამჟამად, საქართველოდან ჩასული გოგონა ცხოვრობს, რომელიც სორბონის უნივერსიტეტში სწავლობს.

— როგორც ვიცი, სპირიდონ კედიას არქივის გადმოცემის ინიციატორი, მისი შვილი იყო. გვიამბეთ, როგორ მოხდა ეს.

– 2002 წელს გამოვეცი წიგნი სპირიდონ კედიას შესახებ და ბატონ ჯანრი კაშიას მეშვეობით, ის თეო კედიას გავუგზავნე. ორ დღეში წაუკითხავს სქელტანიანი წიგნი, დამირეკა თბილისში და მითხრა – მამაჩემი გაგიცოცხლებიათო! უნდა აღვნიშნო: მიუხედავად იმისა, რომ პატარაობიდან ცხოვრობს საფრანგეთში, შესანიშნავად ლაპარაკობს ქართულად. მოგვიანებით, მან მიიღო გადაწყვეტილება, მამის არქივი საქართველოსთვის გადმოეცა, რისთვისაც მე და ჩემი კოლეგა, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურულ ურთიერთობათა ცენტრის ხელმძღვანელი სანდრო ნონეშვილი პარიზში მივიწვია.

ბატონი სანდროს ძალისხმევითა და კეთილი ადამიანების ხელშეწყობით, აპრილის შუა რიცხვებში, საფრანგეთში გავემგზავრეთ. სპირიდონ კედიას არქივი საკმაოდ მოცულობითია, 1500-მდე დოკუმენტს შეიცავს. აქ ნახავთ: ექვთიმე თაყაიშვილის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, გრიგოლ ვეშაპელის, გიორგი მაჩაბლის და სხვათა წერილებს. გიორგი მაჩაბე-

სპირიდონ კედია ემიგრაციაში გარდაიცვალა და ლევილში, ქართველთა სასაფლაოზეა დაკრძალული (ოთარ ჯანელიძე სპირიდონ კედიას საფლავთან)

ლი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე გახლდათ, მაგრამ ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გადაწყვიტა, საქმიანობის სფერო შეეცვალა და ამერიკაში საკუთარი პარფიუმერიული ფირმა შეექმნა. სწორედ მან გამოუშვა სუნამო – „პრინცი მაჩაბელი“, რომელიც ახლაც დიდი პოპულარობით სარგებლობს მრავალ ქვეყანაში. სპირიდონ კედია ქიმიკოსიც გახლდათ, ამიტომ გიორგი მაჩაბელმა მას კომპანიონობა შესთავაზა, საფრანგეთის მახლობლად სოფელ კლამარში სახლი შეუძინა და იქვე გახსნა პარფიუმერიული საამქრო. წერილების გარკვეული ნაწილი სწორედ ამ საქმიანობას ეხება. შემორჩენილია ნოე ჟორდანიას ერთი წერილიც, არქივში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სპირიდონ კედიას მიმოწერას მიხაკო წერეთელთან. ეს წერილები ძირითადად ეხება ქართველების მონაწილეობას მეორე მსოფლიო ომში და იმას, თუ როგორ აღმოჩნდნენ ჩვენი თანამემამულეები გერმანელების მხარეს. როდესაც გერმანიამ

სპირიდონ კედიას ქალიშვილი – თეო კედია-ჩიჯავაძე ახლა 85 წლისაა, თუმცა შესანიშნავად გამოიყურება (ოთარ ჯანელიძე თეო კედია-ჩიჯავაძესთან ერთად)

ომი გამოუცხადა საბჭოთა კავშირს, ემიგრაციაში მყოფმა ქართველებმა იფიქრეს: ჩვენი მტრის მტერი შესაძლოა, ჩვენი მეგობარი გახდესო. ასეთ მიდგომას პირველი მსოფლიო ომის დროს მიღებული ისტორიული გამოცდილებაც განაპირობებდა: მაშინ ვილჰელმ მეორის მთავრობამ პირობა მისცა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს, რომ რუსეთის დამარცხების შემთხვევაში, გერმანია საქართველოს დამოუკიდებლობას დაიცავდა. მართლაც, 1918 წელს, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მისი სუვერენიტეტის დაცვა გერმანიამ იკისრა. ვილჰელმ მეორისგან განსხვავებით, ჰიტლერმა არ ცნო გეგმა, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის დამოუკიდებლობის მინიჭებას ითვალისწინებდა. მეორე მსოფლიო ომის დროს, ჩვენმა ემიგრანტებმა ის მაინც მოახერხეს, რომ ასობით ქართველი ტყვე საკონცენტრაციო ბანაკებში სიკვდილს გადარჩინეს. ძირითადად, მათგან ჩამოყალიბდა გერმანიის მხარეზე მებრძოლ ქართველთა შენაერთები – „თამარ I“ და „თამარ II“; ინფორმაციას ყოველივე ამის შესახებ სპირიდონ კედიას არქივიც გაგაცნობთ.

ოთარ ჯანელიძე და სანდრო ნონეშვილი ლევილში, ქართულ ბიბლიოთეკაში

— როგორც ვიცი, არსებობდა იმ წერილის ასლი, რომელიც სპირიდონ კედიამ ადოლფ ჰიტლერს გაუგზავნა, მაგრამ ის საარქივო მასალებში არ აღმოჩნდა...

– ცნობილია და დოკუმენტურადაც არის დადასტურებული, რომ სპირიდონ კედია ბერლინში გასული საუკუნის 20-იან წლებში შეხვდა ჰიტლერს. მათი შეხვედრა ცნობილი გერმანელი მხატვრის კურსელის დახმარებით შედგა, ჰიტლერს პირობა მიუცია კედიასთვის: ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, საქართველოს დამოუკიდებლობას მივცემთო. როგორც ჩანს, მოგვიანებით კედიამ სცადა, ჰიტლერისთვის პირობა შეეხსენებინა და ისევ კურსელის ხელით გაუგზავნა წერილი, რომელიც დაახლოებით ასე მთავრდებოდა: „თუ კავკასიის ერებს არ გადასძახებთ თავისუფლებას, თქვენ კატასტროფა გელით!“ მოგეხსენებათ, რომ მოგვიანებით, პარიზში ე.წ. ანტიფაშისტური „წმენდის“ ოპერაციები ჩატარდა, ამიტომ გასაკვირი არც არის, რომ კედიამ ამ წერილის ასლი გაანადგურა, მაგრამ წერილში მოყვანილი ფრაზები დამოწმებული აქვს თავისი მოგონებების წიგნში სპირიდონ კედიას მეუღლეს.

— რამდენადაც ვიცი, ქალბატონმა თეო კედია-ჩიჯავაძემ უკვე შეადგინა ანდერძი, რომლის თანახმადაც, მისი გარდაცვალების შემდეგ ოჯახის მთელი არქივიც საქართველოს გადმოეცემა. წერილების გარდა პირად არქივში თუ არსებობს რამე ნივთი, ქონება?..

– დიახ. ქალბატონ თეოს წერილობითი თანხმობა ხელთა გვაქვს. საქმე ეხება სპირიდონ კედიასა და მისი ცოლშვილის პირადი წერილების ორიგინალებს, რომელთა ასლები უკვე ჩამოვიტანეთ. ამ ბარათებს აუღელვებლად ვერ წაიკითხავ, რადგან თვალწინ დაგიდგება ემიგრაციაში მყოფი ერთი ქართული ოჯახის მძიმე ხვედრი... რაც შეეხება სხვა ქონებას – ასეთი რამ მათ, ფაქტობრივად, არც გააჩნდათ. ქალბატონი თეო ერთოთახიან მუნიციპალურ ბინაში ცხოვრობს.

— როგორც მაჩაბლის პარფიუმერიული ფირმის კომპანიონს, კედიას არაფერი ერგო?

– ვინაიდან ის და გიორგი მაჩაბელი უახლოესი მეგობრები იყვნენ, კომპანიონობა ოფიციალური დოკუმენტით არ გაუმყარებიათ. მაჩაბელი 1935 წელს გარდაიცვალა – ქონებას მისი მეუღლე დეპატრონა. სპირიდონ კედიას გარდაცვალების შემდეგ ოჯახი კლამარის სახლიდან გამოასახლეს და ვიდრე პარიზის მერიამ პატარა ბინა არ გამოუყო, ხან სად აფარებდა თავს და ხან – სად.

— სულ ერთი თვეა, რაც პარიზიდან ჩამობრძანდით. მოგვიყევით, როგორ გამოიყურება ლევილი?

– იქ ახლა მხოლოდ 3-4 ოჯახიღა ცხოვრობს. ძალიან მწყდება გული, ამას რომ ვამბობ, მაგრამ იქაურობა, ჩვენებური აზნაურის მიტოვებულ სახლ-კარს ჰგავს...

— საუბრის დასასრულს გვითხარით, რა გეგმები გაქვთ არქივთან დაკავშირებით?

– ჩვენს ცენტრში უკვე შევუდექით სპირიდონ კედიას საარქივო მასალების შესწავლასა და დამუშავებას. თუ შესაძლებლობა მოგვეცა, სურვილი გვაქვს, ისინი ერთ წიგნად გამოვცეთ.

■

ოთარ ქორქიას ვარსკვლავი 12 წელი ბრწყინავდა

გოგი ფრანგიშვილი

ალბათ განგებამ ინება, რომ ქართული კალათბურთი და მისი პატრიარქი ერთსა და იმავე გაზაფხულზე დაბადებულიყვნენ. ჩვენებურმა კალათბურთმა 1923 წელს, თბილისში აიდგა ფეხი, ხოლო მისმა მომავალმა ვარსკვლავმა – ოთარ ქორქიამ – ქუთაისში. კიდევ მრავალი წელი გაივლის, ვიდრე ერთიც და მეორეც დიდების მწვერვალებს მიაღწევენ, მაგრამ ქართველი კაცისთვის კალათბურთი და ოთარ ქორქია, განუყოფელ ცნებად დარჩება.

ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომი არ იყო დამთავრებული, საკავშირო არენაზე ოთარ ქორქია რომ გამოჩნდა. მაშინ იგი ქუთაისის „დინამოში“ თამაშობდა, რიონისპირელები კი თბილისის ოფიცერთა სახლისა და მოსკოვური გუნდების შემდეგ, მეოთხე-მეხუთე ადგილებს იკავებდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში.

მისი დებიუტი თბილისის „დინამოში“ 1947 წელს შედგა. იმ სეზონში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატს თბილისის კიროვის პარკი – ახლანდელი ვერის ბაღი მასპინძლობდა. ქართულმა კლუბმა გადამწყვეტ შეხვედრაში პირველობა კუნასის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს დაუთმო, „დინამოელებმა“ კი ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს. თუმცა, უფრო მნიშვნელოვან წარმატებას ბატონმა ოთარმა კიდევ ერთ ჩვენს ვეტერან – ნოდარ ჯორჯიკიასთან ერთად, პრაღის ევროპულ ჩემპიონატზე იმავე სეზონში მიაღწია.

კონტინენტის მეხუთე ჩემპიონატი ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში ჩატარდა. მასპინძლები ევროპის ჩემპიონების რანგში თამაშობდნენ და საკუთარ მოედანზე გამარჯვების იმედი ჰქონდათ, მით უმეტეს, რომ საბჭოთა კალათბურთელებს, რომლებისთვისაც ეს ტურნირი დებიუტი იყო, საერთაშორისო მატჩების გამოცდილება არ ჰქონდათ. მაგრამ მათი იმედები არ გამართლდა. ფინალურ შეხვედრაში საბჭოთა ნაკრების ლიდერმა – ოთარ ქორქიამ მასპინძლებს შანსი არ დაუტოვა. ამ მატჩში მან 25 ქულა მოაგროვა, საბოლოო ანგარიში კი 56:37 იყო სტუმართა სასარგებლოდ. პრაღიდან ბატონმა ოთარმა ნოდარ ჯორჯიკიასთან ერთად ევროპის ჩემპიონატების პირველი ოქროს მედალი ჩამოიტანა.

მოგვიანებით, ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ფორვარდები – ივან მრაზევი და ირჟი შკერჟიკი აღნიშნავდნენ, რომ მათ უბრალოდ ეშინოდათ ქართველი კალათბურთელისა. ფიზიკურად იგი იმდენად ძლიერი იყო, რომ მასთან შეჯახებას ყველა ერიდებოდა.

კონტინენტის ჩემპიონატზე გამარჯვების შემდეგ, საბჭოთა კავშირშიც და საქართველოშიც კიდევ უფრო პოპულარული გახდა კალათბურთი, ხოლო ჩვენი დედაქალაქი სულ უფრო ხშირად მასპინძლობდა სოლიდურ ტურნირს. საკავშირო თასის პირველი გათამაშებაც სწორედ თბილისში, 1994 წელს მოეწყო. და პირველმა ეს პრესტიჟული პრიზი ჩვენი გუნდის კაპიტანმა – ოთარ ქორქიამ ჩაიბარა.

მოგეხსენებათ, კალათბურთში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სიმაღლეს. დღეს ეს პრაქტიკულად გიგანტების თამაშია. ისიც ცნობილია, რომ აქ გამორჩეული ფუნქცია აკისრია ცენტრალურ თავდამსხმელს. როგორც წესი, „ცენტრი“ ყველაზე მაღალია და სანახევროდ მის თამაშზეა დამოკიდებული გუნდის ბედიც. გასული საუკუნის 40-50-იან წლებში, როდესაც ოთარ ქორქია იცავდა თბილისის „დინამოს“ ღირსებას საბჭოთა კლუბებშიც და უცხოეთის გუნდებშიც უკვე გამოდიოდნენ ორმეტრიანი გიგანტები. რიგელი იანის რუმინეთის სიმაღლე 218 სმ იყო, ალმა-ათელი გოლიათი უვაის ახტაევი კი – 236 სმ! მაშინ, როდესაც ჩვენს გუნდში ყველაზე მაღალი, ბატონი ოთარი თამაშობდა, მისი სიმაღლე კი 190 სმ გახლდათ და მაინც ოთარ ქორქიაც და თბილისის „დინამოც“ საუკეთესო იყო საბჭოთა კავშირში. როგორ? დღეს ამის ახსნა ძალიან ძნელია, მაშინ კი – აი, რას წერდა თავის მემუარებში საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ალექსანდრ გომელსკი: – *„საბჭოთა ნაკრებში ოთარ ქორქია არ გამორჩეოდა განსაკუთრებული სიმაღლით, მაგრამ თავისი ათლეტური ფიგურითა და თამაშის მანერით იგი თითქოს მთელი თავით აღემატებოდა მეტოქეებს. მისთვის ბურთის წართმევა შეუძლებელი იყო, მის შეჩერებას ვერავინ ახერხებდა. მთავარი იყო, დროულად მიგეწოდებინა ბურთი, შემდეგ კი, თუნდაც 3 მცველი ყოფილიყო მის წინ, მაინც ჩაგდებდა ბურთს კალათში. გამორჩეული ფიზიკური ძალის მიუხედავად, ოთარ ქორქია ისე თამაშობდა, თითქოს ერიდებოდა მეტოქეებს – არ დავაზიანოო. კალათში ტყორცნა უყვარდა, თუმცა გუნდის ინტერესების შესაბამისად თამაშობდა, ცენტრალურ თავდამსხმელებს შორის, პირველად სწორედ მან დაიწყო პარტნიორებისათვის შედეგიანი გადაცემების განაწილება და კიდევ, სწორედ ოთარ ქორქიამ შემოიღო ჩვენი „კრიუკად“ წოდებული გვერდიდან ხელგაშლილი ტყორცნები, რომლებსაც ვირტუოზულად ასრულებდა“.*

ალბათ, ამ მცირედი, თუმცა მეტყველი მოგონების მოშველიებითაც ძნელი გადმოსაცემია, თუ რამდენად აღემატებოდა ოსტატობაში ოთარ ქორქია თავის თანამედროვეებს. პირადად მე, არასდროს მინახავს ბატონი ოთარი საკალათბურთო მოედანზე, თუმცა საარქივო კინოქრონიკის კადრებით თუ ვიმსჯელებთ, იგი მართლაც, შეუცვლელი ლიდერი იყო, როგორც თბილისის

და თუ ამხელა ქვეყნის უძლიერეს გუნდებს შორის, ქართული კლუბი და ქართველი კაცი იმარჯვებდა, ვფიქრობთ, მით უფრო დასაფასებელია ეს გამარჯვებები...

ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორ და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ გურამ საღარაძესთან ერთად

„დინამოში“, ასევე საბჭოთა კავშირის ნაკრებში. დინჯი, ოდნავ შენელებული, მაგრამ გოლიათური ნაბიჯებით მორბენალი. ხელებს გაშლიდა და საჯარიმო მოედნის ნახევარი უკვე გადაკეტილი იყო. პირველ გრძელ გადაცემას შეტევაში ჩინებულად ასრულებდა, ტყორცნის დროს კი, მეტოქეები მკლავებზე ეკიდებოდნენ და მაინც აგდებდა ბურთს კალათში.

რა თქმა უნდა, ბატონი ოთარი მარტო არ იყო მოედანზე. თბილისის „დინამოში“ მის გვერდით თამაშობდნენ: გიორგი ავალიშვილი, მიხეილ კეკელიძე, სულიკო თორთლაძე, ლევან ინწკირველი და სხვა ჩინებული კალათბურთელები, მაგრამ გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ იმ პერიოდის ქართული და საბჭოთა კალათბურთის ყველა წარმატება ოთარ ქორქიას სახელთანაა დაკავშირებული.

1950 წელს, ჩვენმა „დინამომ“ ქართული სპორტის ისტორიაში პირველი დუბლი შეასრულა – გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატშიც და საკავშირო თასის გათამაშებაშიც. მომდევნო სეზონში ოთარ ქორქიამ ოქროს მედლები მოიპოვა სტუდენტთა მსოფლიო გათამაშებასა და ევროპის ჩემპიონატზე. თბილისის „დინამოელებმა“ თავიანთ კაპიტანთან ერთად კიდევ ორჯერ – 1953 და 1954 წლებში მოიპოვეს პირველობა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში.

დღეს არავის ეპიტნავება სიტყვა „საბჭოთას“ ხსენება. მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ეს პრაქტიკულად აღმოსავლეთ ევროპისა და ნახევარი აზიის ჩემპიონატი იყო. და თუ ამხელა ქვეყნის უძლიერეს გუნდებს შორის, ქართული კლუბი და ქართველი კაცი იმარჯვებდა, ვფიქრობთ, მით უფრო დასაფასებელია ეს გამარჯვებები. მით უფრო, რომ ჩემპიონატში „სტაჟიანი საბჭოელები“ ბალტიისპირელებიც მონაწილეობდნენ, მათი კალათბურთელები კი, ევროპის პირველ სამ ჩემპიონატზე – 1935-39 წლებში – უცილობლად ოქროს მედლებს ეუფლებოდნენ.

1952 წლის სეზონი გამორჩეული გახლდათ ოთარ ქორქიას სპორტულ კარიერაში – საბჭოთა სპორტსმენებს და მათ შორის, კალათბურთელებსაც პირველად მიეცათ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის საშუალება. ოლიმპიურ პროგრამაში კალათბურთი 1936 წელს შეიტანეს და ჰელსინკამდე გამართულ ორივე ოლიმპიადაზე კალათბურთის სამშობლოს წარმომადგენლებმა – ამერიკელებმა იმარჯვეს. რა თქმა უნდა, ისინი უცილობელი ფავორიტები იყვნენ ფინეთის დედაქალაქშიც და გაიმარჯვეს კიდეც, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამერიკელ ვირტუოზებს მაინც ყველაზე მეტად გაუჭირდათ საბჭოთა გუნდთან, რომელშიც ოთარ ქორქია და ნოდარ ჯორჯიკია თამაშობდნენ. ამერიკელებს 3 ორმეტრიანი გიგანტი ჰყავდათ, მათ შორის, რიჩარდ კურლანდი – 213 სმ სიმაღლის. საბჭოთა ნაკრებში კი, ტრადიციულად, ყველაზე მაღლები, თბილისელი ოთარ ქორქია და ტალინელი ილმარ კულამი იყვნენ – ორივე 190 სმ და ისევ, უკვე მერამდენედ, დადგა გიგანტების ბრძოლის საკითხი. თუმცა, აქ თანაბარ ბრძოლაზე საუბარი არამართებული იქნება. ამ სოლიდური უპირატესობის მიუხედავად, ფინალური მატჩი ქულა-ქულაში მიმდინარეობდა. საბჭოთა ნაკრებმა

ოთარ ქორქია (მარცნივ, წინა პლანზე) ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მომგებ თბილისის „დინამოელებთან“ ერთად

პირველი ტაიმი მხოლოდ 2 ქულით დათმო 15:17. ვერც ერთმა მეტოქემ ვერ მიაღწია უპირატესობას თამაშის განახლების შემდეგაც. მაგრამ საფინალო სასტვენამდე 10 წუთით ადრე, როდესაც ანგარიში 22:22 იყო, ოთარ ქორქიამ მაშინდელი წესებით ბოლო, მეოთხე პერსონალური ჯარიმა მიიღო და იძულებული გახდა, მოედანი დაეტოვებინა. მატჩის ბედიც სწორედ მაშინ გადაწყდა. საბოლოოდ, ამერიკელთა გუნდმა 36:25 იმარჯვა და მესამედ მოიპოვა ოლიმპიური ოქროს მედლები, ოთარ ქორქიამ და ნოდარ ჯორჯიკიამ კი ვერცხლის მედლები დაიმსახურეს.

შესაძლოა, ზოგმა ჩვენი ნაამბობი გადაჭარბებულ ჟურნალისტურ ფანტაზიას მიაწეროს, მით უმეტეს, რომ ქართველებს ეს გვახასიათებს – გარდაცვალების შემდეგ გამორჩეულ პატივს მივაგებთ ადამიანებს. მაგრამ ბატონი ოთარი სიცოცხლეშივე იქცა ქართული სპორტის ლეგენდად, მისი ავტორიტეტი ყველგან და ყოველთვის უცილობელი იყო. ვფიქრობთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ რიგითი გულშემატკივრების გარდა, მას პატივს მიაგებდნენ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებშიც. ოთარ ქორქია ერთადერთია საბჭოთა კალათბურთელ ვაჟთა შორის, რომელიც იმ პერიოდის უმაღლესი ჯილდოთი – ლენინის ორდენით დაჯილდოვდა. ვფიქრობთ, ესეც ქართული კალათბურთის პატრიარქის ღვაწლის აღნიშვნა გახლდათ.

12 წელი ითამაშა ბატონმა ოთარმა თბილისის „დინამოში“. ამ ხნის განმავლობაში, სამ-სამჯერ გახდა საბჭოთა კავშირის და ევროპის ჩემპიონი, ორჯერ გაიმარჯვა საკავშირო თასის გათამაშებაში. იყო მსოფლიოს სტუდენტთა და ახალგაზრდობის საერთაშორისო მეგობრული თამაშების ჩემპიონი. აქტიურ სპორტს თავი რომ დაანება, საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის სხვადასხვა გუნდს წვრთნიდა. თუმცა, თავისი ბოლო და ამასთან, ყველაზე დიდი გამარჯვება, მაინც თბილისის „დინამოსთან“ ერთად იზეიმა, როდესაც 1962 წელს ჩვენმა კლუბმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიპოვა. მადრიდის „რეალთან“ ფინალურ მატჩში მოპოვებული ეს გამარჯვება დღემდე განუმეორებელია ქართულ სპორტში, დინამოელთა მთავარი მწვრთნელი კი, ოთარ ქორქია გახლდათ...

ბორის პაიჭაძე, ნინო დუმბაძე, გივი კარტოზია, ოთარ ქორქია, მიხეილ მესხი, ომარ ფხაკაძე... სამწუხაროდ, ქართული სპორტის ეს ლეგენდები დღეს ჩვენ შორის აღარ არიან. მაგრამ ლეგენდები მათ შესახებ სამუდამოდ დარჩა.

10 მაისს ოთარ ქორქიას 82 წელი შეუსრულდებოდა...

მიხეილ იაშვილი

(დასაწყისი „გზა“ №14-19)

იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებით დაპატიმრებული ჟურნალისტი ზურა მჭედლიძე, მისი მეგობრის, იუსტიციის მინისტრის მოადგილის, ოთარ ცაგარეიშვილის წყალობით, წინასწარ პატიმრობას ციხის საავადმყოფოში, ხანდაზმულ კანონიერ ქურდთან, გოგი ჩხეიძესთან ერთ პალატაში ატარებს. ზურა და მისი ადვოკატი შალვა საყვარელიძე იმაზე იმტვრევენ თავს, თუ ვის დასჭირდა ჟურნალისტის იზოლირება. რამდენიმე თვის წინ, პანკისის თემაზე მუშაობისას, ზურა შეხვდა ჩეჩენ მუსას, რომელსაც საბჭოთა ჯარში სამსახურის დროს დაუმეგობრდა. მუსა, რომლის ოჯახმა პანკისს შეაფარა თავი, ჟურნალისტს გატაცებული ადამიანების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ჰპირდებოდა, მაგრამ შემდეგ, კარგა ხნით გადაიკარგა. ზურას დაპატიმრების წინადღეს, მას ოციოდე წლის, რუსულად მოლაპარაკე ბიჭი ეძებდა, რომელიც სავარაუდოდ, მუსას გამოგზავნილი უნდა ყოფილიყო.... ამასობაში, ჟურნალისტს კიდევ ერთ ბრალდებას წაუყენებენ — რამდენიმე თვის წინ მომხდარ, ორი პოლიციელის მკვლელობაში დაადანაშაულებენ... ჟურნალისტის საცოლე ეკა პანკისში მუსას საპოვნელად გაემგზავრება და შეიტყობს, რომ მას შეიარაღებული პირები ეძებდნენ და იძულებული გახდა, დედასა და შვილთან ერთად, ღამით მიეტოვებინა დროებითი თავშესაფარი... ადვოკატი ზურას აცნობებს, რომ ავტოავარიაში იუსტიციის მინისტრის მოხვედრის შემდეგ, მის გამოჯანმრთელებამდე, ყველა ტიპის საპატიმროში სასტიკად გამკაცრებულია რეჟიმი და მასაც კი უჭირს ხოლმე თავისი კლიენტის სანახავად ციხის საავადმყოფოში შესვლა... ამასობაში, გოგი ჩხეიძე თანამესაკნე ჟურნალისტს საკუთარი ქურდული ბიოგრაფიის საინტერესო ეპიზოდებს უყვება. მათ შორისაა შემთხვევა, რომელიც მრავალი წლის წინ, ქუთაისის იზოლატორში მომხდარა, როცა პატიმარმა შენობის სახურავიდან ისკუპა, ხუთმეტრიან გალავანს გადააფრინდა და მანქანის ძარაში ჩახტა...

— მანძილი სახურავიდან მანქანამდე, სულ ცოტა, ოცი მეტრი მაინც იქნებოდა და ეს სივრცე მან ჰაერში იფრინა! ჩემო ზურა, მერწმუნე, ასეთი ილეთის შესრულება მილიონ ადამიანსაც რომ ეცადა, სიკვდილს ან სამუდამო ხეიბრობას ვერც ერთი ვერ გადაურჩებოდა... ყოჩაღმა ქუთაისელმა კი ტრიუკის შესრულება შეძლო და ეს მართლაც სასწაული იყო!

— გასაოცარ ამბებს ჰყვებით, ბატონო გოგი.

— ეჰ, ზურაჯან... — ამოიოხრა მოხუცმა. — Пиши, пока я жив… თუმცა, როგორც შევთანხმდით, მიქელ-გაბრიელი რომ მომაკითხავს, მერე გამოაქვეყნე... კიდევ რა გიამბო? სიკვდილმისჯილებზე გვინდა?

— აუცილებლად.

— არის, უფროსო!... — მოხუცი რამდენიმე წამით ჩაფიქრდა და განაგრძო: — ალბათ, დამეთანხმები, რომ პატიმართა სიკვდილით დასჯის შესახებ ხალხში უამრავი განსხვავებული აზრი არსებობს. ზოგი ჩმახავს, საწამლავს ასმევენო, სხვები — ინიექციას უკეთებენო და ა.შ. ტუფტაა ეს, სინამდვილეში ყველაფერი სხვაგვარად ხდება.

50-იან წლებამდე სიკვდილმისჯილთა მიმართ განაჩენის სისრულეში მოყვანა ანუ დახვრეტა ქალაქგარეთ ხდებოდა, მაგრამ ეს პროცედურა მთავრობისთვის გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. პატიმართა ტრანსპორტირებისას, შესაძლოა, მოულოდნელი რამ მომხდარიყო. გარდა ამისა, არ იყო გამორიცხული, დახვრეტისთვის წინასწარ შერჩეულ ადგილას შემთხვევითი ხალხი გამოჩენილიყო. ერთი სიტყვით, გადაწყვიტეს, რომ თავად ციხეებში გაეკეთებინათ სპეციალური ოთახები, სადაც ადამიანებს სიცოცხლეს გამოასალმებდნენ... ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, იქმნებოდა სპეციალური ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ: დაწესებულების უფროსი, ფიზიკურად ძლიერი კონტროლიორები, კორპუსის ხელმძღვანელები, ზედამხედველი პროკურორი და ციხის ექიმი.

საკნიდან სამორიგეო ნაწილში პატიმარი სწორედ ამ ჯგუფს გადაჰყავდა. ეს ყოველთვის ღამის საათებში ხდებოდა. სიკვდილმისჯილს უცხადებდნენ, რომ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა მისი საკითხი, შეწყალებაზე უარი უთხრა და ამის გამო განაჩენი დაუყოვნებლივ უნდა აღსრულებულიყო...

ხელებზე ბორკილდადებული პატიმარი ჯგუფის წევრებს იმ ავადსახსენებელ ოთახში შეჰყავდათ. უბედურს პირქვე აწვენდნენ, იარაღს კეფასა და ზურგში აბჯენდნენ და ხვრეტდნენ... ამის შემდეგ ექიმი მის სიკვდილს აფიქსირებდა, დილით კი ბრეზენტში გახვეულ მიცვალებულს ქალაქგარეთ ასაფლავებდნენ...

სხვათა შორის, დიდი ხნის წინ, სიკვდილმისჯილთა საკანში თქვენი მონამორჩილი, გიორგი იასონის ძე ჩხეიძეც ბრძანდებოდა... მერე დიდი ხალხი გამომესარჩლა და დახვრეტა 25-წლიანი პატიმრობით შემიცვალეს... მანამდე კი, თითქმის ერთი თვე, იმ საკნიდან ვხედავდი, როგორ გაჰყავდათ ტუსაღები...

სიკვდილმისჯილთა დახვრეტა, როგორც წესი, ყოველგვარი ექსცესის გარეშე ხდებოდა, თუმცა იყო გამონაკლისი შემთხვევებიც.

ერთი კაცი იყო, გვარად — კოზაევი. საოცარი ჯანის პატრონს, ლაგოდეხის ერთ-ერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარის მკვლელობაში ედებოდა ბრალი.

განაჩენის სისრულეში მოყვანის დღეს საკნიდან მისი გამოყვანა ვერაფრით მოახერხეს. კოზაევმა რაღაცნაირად თვითნაკეთი დანა ჩაიგდო ხელში და ამ მომარჯვებული იარაღით იმუქრებოდა: ვინც ჩემს გაყვანას შეეცდება, ადგილზევე დავბრიდავო. მას დასაკარგი აღარაფერი ჰქონდა და მართლაც დახოცავდა კონტროლიორებს. თანაც მსგავსი მკვლელობა არცთუ დიდი ხნის წინ იყო მომხდარი — სიკვდილმისჯილმა ციხის თანამ-



შრომელს, შავიშვილს, დანა გულში გაუყარა. ჰოდა, დაფრთხა ჯგუფი... არც აყალმაყალი აძლევდა ხელს, რადგან ამას ციხეში, შესაძლოა, ბუნტი, არეულობა მოჰყოლოდა. გადაწყვიტეს, ეშმაკობისთვის მიემართათ.

კოზაევი რატომღაც დაჟინებით ითხოვდა მოსკოვში, ბუტირკის ციხეში გადაყვანას და ციხის უფროსმაც სასწრაფოდ დააწერინა წერილი, თითქოს სამინისტროს ხელმძღვანელები თანახმანი იყვნენ, დაეკმაყოფილებინათ სიკვდილმისჯილის ეს მოთხოვნა.

ფანდმა არ გაჭრა. ეტყობა, კოზაევმა რაღაცით იგრძნო სიყალბე.

იმ დროს ორთაჭალის ციხესთან ახლოს საბადრაგო პოლკი იყო განლაგებული. იქ ავი ძაღლები ჰყავდათ და ადმინისტრაციამ პატიმრის დამორჩილება სწორედ ამ ძაღლების საშუალებით განიზრახა.

მაშინ ციხეში ერთი ძალიან კარგი კაცი, გრიშა დავითულიანი მუშაობდა. შენ წარმოიდგინე, ისეთი ვაჟკაცი, სუფთა და პატიოსანი ადამიანი იყო, რომ მასთან მეგობრობა ქურდებისთვისაც კი არ ითვლებოდა გრეხად...

სწორედ გრიშასგან ვიცი, რომ ძაღლებისთვის მისულებს პოლკის მეთაურმა კატეგორიული უარი განუცხადა, — რას ამბობთ, იმდენად აგრესიული ნაგაზები არიან, ერთიც რომ მივუშვათ, პატიმარს უთუოდ დაგლეჯს და შეჭამსო! თუმცა, პირადად შინაგან საქმეთა იმჟამინდელი მინისტრის ჩარევის შედეგად, ძაღლი მაინც მოიყვანეს.

უზარმაზარი შავი ცხოველი იყო, ნამდვილი ბასკერვილების ძაღლი! შემზარა, რომ დავინახე, როგორ აფრქვევდა თვალებიდან ცეცხლს...

ეს საშინელება იქაურობას ყეფით იკლებდა, გააფთრებით იწევდა წინ და ორი გამცილებელი ძლივს აკავებდა. მიიყვანეს სიკვდილმისჯილის საკანთან, კარი გააღეს და ნადირი შურდულივით შეიჭრა შიგ...

ამ შემზარავ სცენას ჩემი საკნის კარში დატანებული ჭუჭრუტანიდან — ვალჩოკიდან — ვადევნებდი თვალყურს. რომ წარმოვიდგინე, რაც უნდა მომხდარიყო, ღრიალი ავტეხე — რას შვრებით, თქვენი ასე და ისე-მეთქი. გვერდით მდებარე საკნებიდანაც ამყვნენ... მერე კი ყველანი საოცრების მომსწრენი გავხდით...

შევარდა თუ არა, ძაღლმა უმალ შეწყვიტა ყეფა და კოზაევის კამერიდან კუდამოძუებული, უკანა სვლით გამოვიდა... ბალანი აბურძგნილი ჰქონდა, საცოდავად წკმუტუნებდა...

გაშტერდნენ შობელძაღლი ნადზირატელები. მონუსხულები იდგნენ და ხმას ვერ იღებდნენ. ორიოდე წუთიც გავიდა და კოზაევის ხმა გავიგონე, დანას ვაგდებ, გნებდებით, თქვენი დედაცო...

გაგებაში არა ვარ, იუზგარ, რა მოხდა იქ... ეტყობა, სიკვდილმისჯილთა იმ საკანში სიკვდილის ისეთი სუნი ტრიალებდა, რომ ძაღლი შეძრწუნდა...

21.

დილის შვიდი საათია. კარგა ხანია, გავიღვიძე. ლუარსაბ თათქარიძესავით პირაღმა ვწევარ, ჭერს შევცქერი და მექანიკურად ბუზებს ვითვლი. მყრალ ხასიათზე ვარ — სამოცდამესამე დღეა, რაც აქ ვზივარ და კაცმა არ იცის, კიდევ რამდენ ხანს მაყურყუტებენ. ერთი სული მაქვს, გოგიმ გაიღვიძოს, სიჩუმესა და მარტოობაში დრო უსაშველოდ იწელება.

— რას დაგიჭყეტია, ბიჭო, თვალები? — მესმის მისი ხმა. — ტოროლა ხარ ალიონზე? ბარემ გეგალობა, რაღა...

— არ გძინავთ, ბატონო გოგი? ჩაი ხომ არ დაგველია?

— აადუღე, გეთაყვა და მოვდივარ.

გუშინ საღამოს რესტორნიდან მორიგი ამანათი მოუვიდა. შიგ ნაირ-ნაირი ტკბილეული ეწყო. ჩაისთან მისწრება იქნება. სუფრას ვაწყობ. გოგი ჩეფირსაა შეჩვეული და მის ჭიქაში ერთ მუჭა შავ ჩაის ვყრი. მე ერთი კოვზიც მყოფნის... ვსაუზმობთ. ფანჯარა ღია გვაქვს. გარეთ საუცხოო ამინდია, საკანი ბუნების დამათრობელი სურნელით ივსება, ჩიტების ჭიკჭიკი ისმის. კაცმა თვალი რომ დახუჭოს, თავი სადმე ქალაქგარეთ ეგონება. ხასიათზე მოვდივარ...

— გოგი ბატონო, სულ რომ მკვლელობებსა და სისხლზე მიყვებით, ნუთუ თავშესაქცევი და სასაცილო თავგადასავლები არ გადაგხდენიათ თავს?

— შენ რა პრეტენზიული გამხდარხარ, ძმობილო, — წარბები აზიდა და დამცინავად გამომხედა ჩხეიძემ. ვხუმრობ, არ გეწყინოს. შენ, ვგონებ, აფერები და მსგავსი ამბები უნდა გაინტერესებდეს... კაი, ბატონო, შეკვეთა მიღებულია, ოღონდ, ცოტა მაცალე, მოვიფიქრებ...

ციხეში ქურდი სუფრას არ ალაგებს, არც ჭურჭელს რეცხავს და არც იატაკს გვის. იგი პატიმრების მეფეა და ასეთ დამამცირებელ სამუშაოს არასოდეს იკადრებს. აქ კი საქმე სხვაგვარადაა. გოგი ჩხეიძე ჩემთან დამოკიდებულებაში ჩვეულებრივი ადამიანია. მეტიც — რაღაც განსაკუთრებულად, მამაშვილურად მეპყრობა და ერთსაც აკეთებს, მეორესაც და მესამესაც... რატომ? არც კი ვიცი. ჩემი მხრივ, ყოველთვის ვცდილობ, დავასწრო და ბერიკაცი ზედმეტად არ შევაწუხო. ჯერ ერთი, ორი წელია მარტო ვცხოვრობ, ასეთ რამეებს — დალაგებას და საჭმლის მომზადებას ვგულისხმობ — უკვე შევეჩვიე. გარდა ამისა, ის ხომ ბაბუაჩემის ხნისაა...

ამჯერადაც ერთად ვალაგებთ სუფრას. მაგიდას — ჯერ მშრალი, მერე კი სველი ტილოთი საგულდაგულოდ წმენდს, ნამცეცებს ხელსახოცზე აგროვებს და სანაგვე ყუთში ყრის, მერე ჩემ მიერ დარეცხილ ჭიქებს აკურატულად აწყობს თაროზე... ნეტავ, ასე მოფუსფუსე, მისმა კოლეგებმა რომ დაინახონ, რას იფიქრებენ?...

ჩხეიძე დუმს. დიდხანს ფიქრობს, რა მიამბოს და კარგა ხნის შემდეგ იწყებს:

— იმ ღორი ხრუშჩოვის ხანაა. მოსკოვში ვარ და იქაურ ძმაბიჭებთან ერთად პატარ-პატარა საქმეებს ვიწყებ, მაგრამ არაფერი გამოდის, არ გვიმართლებს. მერე ისინი ოდესაში წავიდნენ, ერთ ებრაელ ვაჭარს უნდა დასცემოდნენ. მე დავრჩი. იმ ქალაქში მანამდე რამდენიმე თვე გავატარე, ლამის ყოველი მილიციელი უკვე სახეზე მცნობდა და აღარ ჩამესვლებოდა.

დავეხეტები დედაქალაქის ქუჩებში. ჯიბეში გროშიც აღარ დამრჩა და ვფიქრობ, ეგებ, სუფთა ჰაერზე რამე კარგი იდეა გამიჩნდეს-მეთქი... მაღაზიების ვიტრინებს ვათვალიერებ, მერე გუმშიც შევდივარ... იცი გუმი? უზარმაზარი უნივერმაღია მოსკოვის ცენტრში. მთელი საბჭოთა კავშირის მაღაზიების დახლები რომ დაცარიელებულიყო, იქ მაინც საქონლის სიუხვე გხვდებოდა. ეს იმიტომ, რომ გუმი საჩვენებელი მაღაზია იყო. უცხოე-

ლი სტუმრები იქ ექსკურსიაზე დაჰყავდათ და თავს იწონებდნენ, – აი, ნახეთ, საბჭოთა მოქალაქეებს არაფერი აკლიათო...

ვაკვირდები ტანსაცმლის, პარფიუმერიის, ავეჯის სექციებს, შემდეგ ტექნიკა, საათები და ოქროულობაა... სტოპ. შთაგონებაც მოვიდა!

შეგირდად ერთი გაჩხინკული ახალგაზრდა რუსი მყავდა, გენკა ერქვა, გვარად – პანტელეევი. თავი მოჰქონდა, 20-იანი წლების ცნობილი პეტერბურგელი ყაჩაღის, ლიონკა პანტელეევის ძმისშვილი ვარო. ბებერი ლენინგრადელი ქურდებისგან ვიცოდი, რომ არ ჰყავდა იმ ლიონკას ძმა, მაგრამ ამას არაფერს ვეუბნებოდი, გაიხაროს, თავისი გაჭირვებაც ეყოფა-მეთქი. 19-20 წლის იქნებოდა და სიმაღლით, როგორც რუსები იტყვიან, Метр в кепке იყო, მაქსიმუმ – მეტრნახევარი. ძირითადად, ბინების გატეხვისას ვიხმარებდი, ღია სარკმელებში ოლივერ ტვისტივით, თავისუფლად ეტეოდა...

წავედი, ვიპოვე ის ბიჭი და კარგად დავარიგე, რაც უნდა ექნა. იმ საღამოს გუმში შევიდა და ავეჯის განყოფილებასთან შეჩერდა. როცა შეატყო, რომ ირგვლივ მყოფნი საქონლის თვალიერებით იყვნენ გართული და მას არავინ აქცევდა ყურადღებას, კუთხეში მდგარ ტახტთან მივიდა, თავსახური ახადა, ერთხელაც მიმოიხედა და შიგ ჩაძვრა.

მალე მაღაზიის დაკეტვის დროც დადგა. ხალხი ნელ-ნელა გაიკრიბა შენობიდან. გუმის დარაჯებმა სავაჭრო სექციები და სათავსები დაათვალიერეს, საეჭვო ვერაფერი შენიშნეს, მაღაზიის ყველა კარი გამოკეტეს და სიგნალიზაცია ჩართეს.

შუაღამისას ჩვენი გენკა ტახტიდან ამოძვრა და მაღაზიის შემოვლას მოჰყვა, თან ყველაზე ძვირფას ნივთებს აგროვებდა და ტახტში აწყობდა. მალე ისე აავსო, თავად ძლივს ჩაეტია შიგ. თავსახური ისევ დაახურა და გაყუჩდა.

კოხტად ჩავიცვი, ჰალსტუხი გავიკეთე, მოდური შლაპაც დავიხურე და დილით, გუმის გაღებისთანავე, ერთ-ერთი პირველი იქ მე შევედი. თან წინასწარ დაქირავებული მტვირთავები მახლდნენ. აბა, ჰე – აბა, ჰო! ის ტახტი უმალ ვიყიდე, საბარგო მანქანაზე დავადებინე და სანამ მაღაზიაში დანაკლისს აღმოაჩენდნენ, გენკასთან ერთად უკვე სამშვიდობოს ვიყავი გასული... ჰა, ზურაჯან, დავაკმაყოფილე შენი ინტერესი?

– მაგარია!

– განვაგრძო?

– განაგრძეთ!

– საერთოდ, ამ გუმში, რატომღაც ყოველთვის მიმართლებდა. ეტყობა, ჩემი მფარველი ანგელოზი ზედ მის თავზე დაფრინავდა... არადა იქ, საითაც გაიხედავ, მილიციონერები დაგულაობენ. ეს მაღაზია, როგორც გითხარი, მოსკოვის ცენტრშია, ზედ კრასნაია პლოშჩადზე... – გოგი ჩხეიძე შეჩერდა და ჩაფიქრდა.

– პირველი შემთხვევაა, ბატონო გოგი, რაღაც ამბავი რომ დაგავიწყდათ...

– არა, ძმობილო, მეხსიერებას არ ვუჩივი, აქ სხვა რამაა. დავბერდი კაცი და ახლაღა მივხვდი, რომ ეს კრასნაია პლოშჩადი ქართულად არა წითელ, არამედ ლამაზ მოედანს ნიშნავს. კრასნაიას რუსები ზოგჯერ მოხდენილს, მშვენიერს, ლამაზს უწოდებენ. აი, მაგალითად, კალინა კრასნაია და ა.შ. რა წითელი, რის წითელი! ამ ჩვენ გოთვერან კომუნისტებს ყველაფრის წითლად შეღებვა და გადაკეთება რომ უნდოდათ... იმისი არ იყოს, კანონიერი ქურდები რომ შეგვარქვეს. რა შუაშია კანონიერი?! ქურდი! მორჩა და გათავდა... ერთი სიტყვით, ისევ გუმში ვარ, ალიოშკა-შუსტრისთან ერთად. პადელნიკი იყო ჩემი. კლიენტურას ვზვერავთ, თუმცა ჯერ არც კი ვიცით, რა საქმე უნდა დავატრიალოთ. წინასაახალწლო ციებცხელებაა, ირგვლივ ნაძვის ხეები, ბრჭყვიალა სათამაშოები, თოვლის ბაბუები და მსგავსი რამერუმეები იყიდება. ერთი ფაშფაშა დედაკაცი შევარჩიეთ, იმხელა იყო, ამ კარში ვერ შემოეტეოდა. უძვირფასესი ნორკის შუბა ეცვა, ხელში პატარა თეთრი ცუგა ეკავა და ისეთი ქედმაღლური სიფათით დაიარებოდა, კაცი იფიქრებდა, იმპერატრიცა არისო. მიდის, მივყვებით. ოქროულობის სექციაში შევიდა და რაღაც სამკაული იყიდა. აჰა! ფული გაქვს ბლომად, გენაცვალე? ისევ მივყვებით. ნაძვის ხეებთან შეჩერდა და გამყიდველს ცხვირაბზეკილი ეუბნება, – იცით, რა, მე მაღალჭერიან ბინაში ვცხოვრობ და ამაზე უფრო მაღალი ნაძვის ხე მჭირდება, თორემ ეს რომ შინ დავდგა, არც კი გამოჩნდებაო... სამწუხაროდ, ბარიშნა, ამის მეტი არა გვაქვს, მაგრამ ამ დღეებში სამმეტრიანებს ველოდებითო, – პასუხობს ისიც. ფაშფაშა უცებ გაღიზიანდა და აყვირდა, – რას მიქვია, ამ დღეებში, გინდა თუ არა, ახლავე გამიჩინეთო... გესმის, შენ?.. შეწუხდა გამყიდველი, ცდილობს, დაამშვიდოს, მაგრამ ნურას უკაცრავად! ბარიშნა მთელ ხმაზე გაკივის, – თქვენ ეგრე იცით, ხარისხიან საქონელს დახლქვემოდან ყიდით, სპეკულანტები ხართ, სუყველას დაგხსნით და დაგიჭერთო...

ვინ ჯანდაბაა-მეთქი? – ჩუმად ვიკითხე. ო, ეს დიდი ვინმეა, ოლგა ტიმოფეევა, ოპერის ცნობილი მომღერალი, ბრეჟნევთან „შენობით“ არისო...

ქალი, როგორც იქნა, დააწყნარეს და გაისტუმრეს. ავედევნეთ. მაღაზიის მახლობლად შავი „ვოლგა“ ელოდებოდა. მძღოლი გადმოხტა და უკანა კარი გაუღო...

ე, ბიჭო, გვეთესება, დროზე ტაქსი იშოვე-მეთქი, – გადავულაპარაკე შუსტრის. ბედად იქვე კერძო „მოსკვიჩი“ იდგა, ტაქსაობდა და ამ მანქანით გავყევით. დიდხანს არ გვივლია, გორკის გამზირზე შეჩერდა, საცხოვრებელ კორპუსთან. ალიოშა აცმუკდა, – დავაი, გოგი, სადარბაზოში შევყვეთ და გოპ-სტოპზე შევაყენოთო, მაგრამ ასე არაფერი გამოვიდოდა. მსგავსი შენობების სადარბაზოებში მორიგეები ჰყავთ და ხელი შეგვეშლებოდა. მე უკეთესი გეგმა მქონდა.

მეორე დღეს ავეჯის მაღაზიის საწყობში მოზრდილი ყუთი ვიყიდეთ.

სიმძიმისთვის შიგ რამდენიმე საშენებლო ბლოკი ჩავდეთ, თავსახური ლურსმნებით დავაჭედეთ და ბრჭყვიალა ლენტებით მოვრთეთ. მერე სატვირთო მანქანა ვიქირავეთ, ყუთი ზედ დავდგით, ბარიშნას კორპუსს მივადექით, მძღოლს დალოდება ვთხოვეთ და „საახალწლო საჩუქარი“ სადარბაზოში შევიტანეთ. იქ, როგორც ვვარაუდობდი, მორიგე დაგვხვდა. თავი გალანტურად დავუკარი:

– გამარჯობა უფროსო. გუმიდან ვართ. ჩვენმა დირექტორმა, მატვეი ზახარიჩმა ოლგა ვასილევნასთან ნაძვის ხე გამოგვატანა. დაშლილია, ბინაშივე უნდა ავუწყოთ...

მოხუცმა აგვათვალიერ-ჩაგვათვალიერა, მოკაზმულ ყუთსაც დახედა.

– ვასილევნა შინ არ გახლავთ. შეგიძლიათ, საჩუქარი აქვე, ჩემთან დატოვოთ.

– რას ამბობთ, ბიძაჩემო, – შეიცხადა შუსტრიმ. – დირექტორი თავებს წაგვაძრობს, დავალება რომ არ შევასრულოთ. ვინმე ხომ მაინც იქნება ბინაში... თან იმსიმძიმე რამაა, უჩვენოდ როგორ აიტანენ, ან აწყობა ხომ უნდათ?

– ოლგა ვასილევნა მარტო ცხოვრობს, თუმცა მისი დამლაგებელია ახლა შინ. დროზე ადით, მეოთხე სართულია, ხელმარცხნივ...

ყუთი ლიფტში არ შეეტია და ბლოკებიანად მისი ფეხით ატანა მოგვიხდა. კარი ხანში შესულმა ქალმა გაგვიღო. ავუხსენით, რაშიც იყო საქმე და უპრობლემოდ შევედით.

პალტოს ჯიბიდან „ტეტე“ დავაძვრე. ქალს ელდა ეცა, მაგრამ სიტყვაც არ დაუძრავს. შუსტრიმ იმ ჭრელი ლენტებით გაკოჭა, პირიც აუკრა და საქმეს შევუდექით. Ох, блядь, ты смотри, какое богатство! – გადაირია ჩემი ნაპარნიკი. ბინა ანტიკვარიატით იყო სავსე...

ყუთიდან ბლოკები ამოვალაგეთ და ვერცხლის ჭურჭლით და ტანსაცმლით ავავსეთ. ტრილიაჟის უჯრაში შუსტრიმ ფული, ობლიგაციები და ოქროულობაც იპოვა. ესეც ზედ დავაყარეთ, თავი დავახურეთ, კარი გამოვიკეტეთ და კიბეზე დავეშვით. ოპერაცია 10-15 წუთში დამთავრდა.

— პაპაშა, ავაწყვეთ ნაძვის ხე, — კვლავ ზრდილობიანად მივმართე მორიგეს. — ამ ცარიელ ყუთს კი წავიღებთ და გადავაგდებთ.

თან ვცდილობთ, არ შევიმჩნიოთ, რომ ყუთი სულაც არ არის ცარიელი... ნაგლი ალიოშკა-შუსტრი მოხუცს დამდეგ ახალ წელს ულოცავს და ჰაიდაა...

მანქანა ერთ სკვაზნიო სადარბაზოსთან გავაჩერებინეთ, მძღოლს ფული გადავუხადეთ და მიხვეულ-მოხვეული გასასვლელებით სამშვიდობოს გავედით.

— საწყალი მომღერალი ქალი, — ვთქვი წყნარად.

— ეგეთი საწყლები, ნეტავ, ჩვენ ვიყოთ, იუზგარ! — ხმას აუწია ჩხეიძემ. — წარმოიდგინე, რა შებერტყილი ვინმე უნდა ყოფილიყო, კომუნისტების დროს ამხელა ქონება რომ დააგროვა. ჩვენ მხოლოდ მცირე ნაწილი გავიტანეთ და ას მაგდენს ეგ კიდევ იშოვიდა მერე. ღმერთმა ცხვარი იმისთვის შექმნა, რომ კაცმა გაკრიჭოს...

ჰა, продолжаем თუ ოლგა ვასილევნა უნდა გამოიგლოვო?...

– Продолжаем. Я весь во внимании…

— ასეთი შემთხვევაც მახსენდება: გალელი მეგობარი მყავდა, ავთო გაბელაია. საკავშირო ძებნა იყო მასზე გამოცხადებული და ყაზახეთის ერთ პატარა ქალაქში იმალებოდა. უშოვია ყალბი პასპორტი, სხვა საჭირო საბუთები, სამსახურში მოწყობილა და ცხოვრობდა არხეინად, თუმცა ხალხმრავალ ადგილებში გამოჩენას მაინც ერიდებოდა.

ერთხელ ადგილობრივ იპოდრომზე დღი გამართულა. მოგეხსენება, ყველა მეგრელი ცხენის მოტრფიალეა. ჩვენი ავთოს წინაპრები სამურზაყანოში განთქმული მოჯირითეები ყოფილან. ჰოდა, ამასაც უყივლა სისხლმა, ცდუნებას ვერ გაუძლო, შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო და თავისდა საუბედუროდ, გაიმარჯვა კიდეც. მივარდნილან ფოტორეპორტიორები...

მეორე დღეს გაბელაიას სურათები რამდენიმე გაზეთში დაუბეჭდავთ. გამარჯვებულში მილიციას ძებნილი ამოუცნია და ჩვენი ავთოც იმავე დღეს დაუპატიმრებიათ.

აი, კიდევ ერთი ამბავი, შენ რომ შემიკვეთე, ისეთი... ჩემი დეიდაშვილი, ვანო ანთაძე, თბილისში რაღაც შარში გაეხვია და მილიცია ეძებდა. თავი ლენინგრადს შეაფარა. ერთხელ, ნევის სანაპიროზე სეირნობისას, ქალ-ვაჟის ჩხუბს შესწრებია. ისინი ჯერ, თურმე, ხმამაღლა კამათობდნენ, შემდეგ ყვირილზე გადასულან, ბოლოს კი კაცს ხელი უკრავს და ქალი მდინარეში გადაუგდია.

ვანო ანთაძე წამითაც არ დაფიქრებულა — პიჯაკი გაუძრია, ნევაში გადაშვებულა და ქალბატონი, რომელსაც ცურვა არ სცოდნია, უეჭველ სიკვდილს გადაურჩენია.

ამასობაში ნაპირზე ხალხი მოგროვდა. მილიციელებიც გამოჩნდნენ და ქალიც და მისი მშველელიც ჩორნი ვარონით განყოფილებაში გააქანეს. პირველი, როგორც დაზარალებული და მეორე, როგორც მოწმე. იქ კი დაადგინეს, რომ ანთაძე ძებნილი იყო. მაშინვე საკანში გამოამწყვდიეს და თბილისში სასწრაფო დეპეშა აფრინეს — თქვენი ბოროტმოქმედი დავაკავეთო. რომელი ბოროტმოქმედი და ჯეკ პატრაშიტელი ეგ იყო, მაგისთანა წესიერი კაცი მეორე არ დადის...

ყველაფერი ეს საღამოს ხდება, დილით ადრე კი მილიციის შენობის წინ შავი „ვოლგა“ შეჩერდა და იქიდან მილიციის ფორმაში გამოწყობილი ორი ტიპი გადმოვიდა. ერთი გენერალი იყო, მეორე — მაიორი. განყოფილებაში მტკიცე ნაბიჯით შევიდნენ. გენერლის დანახვაზე მორიგე ოფიცრები ფეხზე წამოცვივდნენ და პატაკიც ჩაბარეს, — ამა და ამ რაიონულ მილიციაში ყველაფერი რიგზე გვაქვსო. გენერალმა ძებნილი ანთაძის ნახვა ისურვა. მას სასწრაფოდ მიჰგვარეს პატიმარი. Вот этот сволочь ограбил мою жену! — თქვა გენერალმა და ვანოს სილა უთავაზა. შემდეგ განაცხადა, — ამ ნაძირალას თან წავიყვან, თქვენ კი მისი დაკავებისთვის მალე შესაბამის ჯილდოებზე წარგადგენთო. თანმხლებმა მაიორმა ვანოს ქეჩოში ჩაავლო ხელი და „ვოლგაში“ ჩატენა. გენერალი მძღოლის გვერდით დაჯდა, პირდაფჩენილ მორიგეებს მიაძახა, – благодарю за службу-ო და წავიდა და წავიდა...

არა, არა, მე არ ვყოფილვარ. ჩემი ბიჭები იყვნენ. გადავაცვი ფორმები და მივუშვი... აბა, საკუთარ დეიდაშვილს მილიციისთვის ხომ არ გავიმეტებდი?...

— თქვენი თქმისა არ იყოს, ამ ამბებიდან მართლაც კარგი კინოფილმები გამოცხვებოდა, — ვთქვი გულწრფელად. — თან ო'ჰენრის ნოველებსაც წააგავს, მოულოდნელი ფინალებით.

— ჰოდა, დაწერე, ძმობილო, ნოველებიც და ფილმების სცენარებიც. სხვათა შორის ო'ჰენრიმ თავისი პირველი მოთხრობები სწორედ ციხეში არ შექმნა?!

— რა თქმა უნდა, დავწერ, ბატონო გოგი, თუმცა მის სიმაღლეებს შევწვდები-მეთქი, ნამდვილად ვერ შეგპირდებით. ჩემგან განსხვავებით, ის გენიოსი იყო.

— კარგია თვითკრიტიკა... განვაგრძოთ ჩვენი დღევანდელი თემატიკა, უფროსო?

— დიდი სიამოვნებით მოგისმენდით.

— მაშ, კარგი. იმ ხალიჩაზე გიამბობ, მოსკოვის სასტუმრო „ლენინგრადსკაიას“ ჰოლში რომ ეფინა და მისი მნახველი უზბეკები რომ გადაურევია.

ვეებერთელა, ულამაზესი სპარსული ხალიჩა იყო. ამბობდნენ, თავის დროზე სტალინისთვის საჩუქრად მიურთმევიათ, მერე კი ხრუშჩოვმა სასტუმროს უფეშქაშაო. მოკლედ, დგანან უზბეკები და ხმამაღლა გამოხატავენ აღტაცებას.

ამ დროს სასტუმროს რესტორნიდან ერთი კარგი თბილისელი კაცი შალვა ფხაკაძე გამოდის. ნაქეიფარი იყო, მაგრამ სიტუაცია წამში შეაფასა, გულუბრყვილო შუააზიელებთან მიაჭრა და ხალიჩის მიყიდვა შესთავაზა. ფასზე ივაჭრეს კიდეც, მერე ჩვენს შალიკოს თუმნიანების დასტა მისცეს, ხალიჩა კი დაახვიეს, მხარზე გაიდეს და თავიანთ ნომერში ატანას შეეცადნენ... ფხაკაძე უკვე აორთქლებულა, სასტუმროს დაცვა და ადმინისტრაცია კი უმალ ფეხზე დამდგარა, — სად მიგაქვთ, რომ მიგაქვთ, თქვენი ვიწროთვალება დედაცო... უზბეკებს ხალიჩა გამოჰგლიჯეს და სასტუმროდანაც კინწისკვრით გაყარეს...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

1. ნისანი თვეა ებრაულ კალენდარში.

2. ვენდეტა იტალიურად შურისძიებას ნიშნავს.

3. პეტრე პირველის საყვარელ ცხენს ლეზეტა ერქვა.

4. ნიკო ფიროსმანს მეტსახელად გრაფს ეძახდნენ.

5. მინის დამზადების ხერხი ძველ სირიაში გამოიგონეს.

6. „ფეხებდაგრეხილი იხვი“ ბრაზილიელი ფეხბურთელის, რივალდოს ეპითეტია.

7. ღამღამობით ტოკიოს ერთ-ერთ უბანში სუმოს მოჭიდავეები პატრულირებენ.

8. „სილამაზეს და ბედნიერებას ძალიან ბევრი მტერი ჰყავს“, – ამბობდა ვიქტორ ჰიუგო.

9. მამა-შვილი დოდო და ზაზა აბაშიძეები დიმიტრი ყიფიანის პირდაპირი შთამომავლები არიან.

10. ძველი თბილისის ერთ გარეუბანში იყო დუქანი, რომელსაც „ნე უეზჟაი გალუბჩიკ მოი“ ერქვა.

11. დობერმან-პინჩერის ჯიშის ძაღლი თიურინგიელმა გადასახადების ამკრებმა, დობერმანმა გამოიყვანა.

12. ზიგმუნდ ფროიდის დედა, ამალი, მამამისის მესამე ცოლი იყო. მამამისი დედამისზე 20 წლით უფროსი იყო.

13. საავადმყოფოში მყოფი სულთმობრძავი ალექსანდრე ყაზბეგი ერთთავად ყურძენსა და თამბაქოს ითხოვდა.

14. მეცნიერებმა გენიოსი ადამიანების ჯანმრთელობა გამოიკვლიეს და გაირკვა, რომ მათ შორის მხოლოდ 7%-ს ჰქონდა ჯანმრთელი ფსიქიკა.

15. ინგლისელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ლოცვის დროს თავს კარგად გრძნობს არა მარტო მლოცველი, არამედ ისიც, ვისთვისაც ლოცულობენ.

16. „ბრიტანული სამზარეულო დიდად ვერაფრით გამოირჩევა, ცეცხლზე შემწვარი ხორცის ნაჭრები ბრიტანული კულინარიის უმაღლესი მწვერვალია“, – ამბობს მოგზაური და კულინარი ბარტ ვულფი.

17. დევიდ კოპერფილდი „ფრენისას“ სპეციალურ მოწყობილობაზე 24 წვრილი მეტალის ძაფით არის გამობმული. თითოეული მათგანი 11 კილოგრამ სიმძიმეს უძლებს.

ალენ ჟირესი

ერიტიეოსებს ეორექტულობისკენ მოუწოდებს

მიშელ პლატინის აზრით ჯი, ქართველებმა თურქებს 3 გოლი „აჩუქეს“

საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის უცხოელ მწვრთნელს როდესაც ეძებდნენ, ფეხბურთის ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას, ფრანგი ალენ ჟირესის კანდიდატურა ფიფას ვიცე-პრეზიდენტმა მიშელ პლატინმ შესთავაზა. მოგეხსენებათ, პლატინი მარტის ბოლოს, თბილისში იმყოფებოდა და საქართველო-თურქეთის მატჩსაც დაესწრო. ჟირესს აქამდე, მხოლოდ ფრანგულ კლუბებში მუშაობის გამოცდილება ჰქონდა და სიმართლე უნდა ითქვას, იქ დიდი შედეგებისთვის არ მიუღწევია. ამის მიზეზად იღბლის არქონას ასახელებდნენ, რომელიც ცოტათი ნებისმიერ მწვრთნელს სჭირდება.

გიორგი ლანჩავა

სანაკრებო დონეზე მისი სამწვრთნელო დებიუტი საქართველოს ნაკრებში შედგა და 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის საწყის ეტაპზე ჟირესის თავკაცობით ჩვენი ეროვნული გუნდი არცთუ ისე ურიგოდ გამოიყურებოდა. ამას თუნდაც სტუმრად – თურქეთთან და საკუთარ მოედანზე – დანიასთან ჩატარებული მატჩები მოწმობს, როდესაც თამაშის მსვლელობისას ქართველებმა პირველი გოლი საკუთარ კარში მიიღეს, მაგრამ მაინც შეძლეს შეხვედრის ბედის შემოტრიალება და ქულის აღება, რაც მანამდე, საქართველოს ნაკრების ისტორიაში არ მომხდარა. მაშინ ფეხბურთის სპეციალისტები და გულშემატკივრები ამბობდნენ, რომ ჟირესის მოწვევა ფედერაციის სწორი გადაწყვეტილება გახლდათ. მაგრამ საბერძნეთთან და თურქეთთან შინ განცდილი მარცხის შემდეგ, ბევრმა ფრანგი მწვრთნელის კვალიფიკაცია ეჭვქვეშ დააყენა...

— რით ახსნით საქართველოს ნაკრების ასეთ კატასტროფულ თამაშს საბერძნეთთან და თურქეთთან?

– დეტალურად იმ მიზეზების განხილვა, რომლის გამოც უკანასკნელი ორი შეხვედრა დავთმეთ, შეუძლებელია და ამიტომ ძირითადს შევეხები. პირველ რიგში, აღნიშნული მატჩების წინ, ვერ გადავჭერით ის პრობლემები, რომლებიც შეკრების დასაწყისშივე შეგვექმნა. ტრავმის გამო გამოგვაკლდა გახოკიძე, ამავე მიზეზით სათანადო სათამაშო ფორმაში არ იმყოფებოდა ცქიტიშვილი. შეკრებაზე არ გამოცხადდა მაღრაძე, რომელიც ჩვენი მოწვევის მიუხედავად, ნაკრებში არ ჩამოდის. ასევე ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო მინდვრის საფარი, სადაც გუნდს თამაშების ჩატარებამ მოუწია. თუმცა, უმთავრესი პრობლემა, ფეხბურთელთა ფსიქოლოგიური მომზადება აღმოჩნდა, რომელიც ისეთი არ გახლდათ, როგორიც საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩების დროს. სამწუხაროდ, ნაკრებში სათანადო ფსიქოლოგიური ფონის შექმნა შეუძლებელი აღმოჩნდა. შესარჩევი ციკლის დასაწყისში 4 შეხვედრა ბევრად უკეთესად ჩავატარეთ და შესაძლოა, ამის ბრალიც იყო, რომ ჩვენს გუნდს საბერძნეთთან და თურქეთთან კონცენტრაცია აკლდა. თუმცა, რატომ მოხდა ყოველივე, ამის ახსნა ძნელია. უბრალოდ, მწვრთნელებიც და ფეხბურთელებიც განვლილ ორ მარცხზე პასუხისმგებლობას თანაბრად ვინაწილებთ.

— რას ფიქრობთ აღნიშნული მატჩების შემდეგ, საქართველოს საფეხბურთო წრეებში თქვენ მიმართ გამოთქმულ კრიტიკაზე?

– ძლიერი ნაკრების ჩამოყალიბება ორ დღეში შეუძლებელია და ამას დიდი ენერგია სჭირდება. მე ვერავის დავუშლი, ჩემს კომპეტენციაში ეჭვი შეიტ-

ანოს, მაგრამ ტყუილი არავინ არ უნდა ილაპარაკოს და კრიტიკა კორექტული უნდა იყოს. სამწუხაროდ, ჩვენ გარშემო ბევრი ადამიანია, რომელსაც უხარია, როდესაც საქმე ცუდად მიდის და ისინი ამ დროს საკუთარი აზრის გამოთქმას არ ერიდებიან. თუმცა, ეს ხალხი მაშინ არაფერს ამბობდა, როცა ნაკრები შედარებით წარმატებით თამაშობდა. ასეთი ადამიანების მიმართ პოზიტიურად ვერ განვეწყობი, რადგან მათი თითოეული წინადადება ნეგატიურია. მათ ვინაობას ვერ დავაკონკრეტებ, ჟურნალისტები მათ უკეთ იცნობთ, ვინაიდან ამ ხალხთან პირადად გქონიათ ურთიერთობა. ჩვენ შორის ის განსხვავება გახლავთ, რომ მე საქართველოს ნაკრების განვითარებისთვის ვიღწვი, ისინი კი მხოლოდ კრიტიკით არიან დაკავებული.

— რამდენად ეთანხმებით აზრს, რომ ეროვნულ ნაკრებში ახალი ფეხბურთელების მოწვევაა საჭირო, თანდაც საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდებიდან?

— ქართველ ფეხბურთელთა საუკეთესო ნაწილი საზღვარგარეთ თამაშობს და ისინი ეროვნული გუნდის ძირითად ძალას წარმოადგენენ. შეუძლებელია, ადგილობრივ ჩემპიონატში მოასპარეზე მოთამაშეებისგან ძლიერი ნაკრები ჩამოვაყალიბოთ, რადგან მათ სათანადო ოსტატობა არ გააჩნიათ.

— მთავარ მწვრთნელად როდესაც დაინიშნეთ, თქვენ განაცხადეთ, რომ გუნდი ჯგუფიდან გასვლისთვის იბრძოლებდა. ხომ არ ფიქრობთ, რომ მაშინ ჩვენი ნაკრების შესაძლებლობები საკმარისზე მეტად შეაფასეთ?

— შესარჩევი ციკლის დასაწყისში აღვნიშნე, რომ ჯგუფიდან გასვლა რთული იქნებოდა, მაგრამ — არა შეუძლებელი. მაგრამ ის, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ მოვხვდით, კატასტროფა არ გახლავთ. გასაკვირი ის იქნებოდა, თურქეთის, დანიისა და საბერძნეთისთვის რომ გვეჯობნა... თუმცა, ეს ნათქვამი იმას არ ნიშნავს, რომ ნაკრები აღარ არსებობს და იგი საკუთარი ფუნქციების შესრულებას წყვეტს.

— მარცხის მიზეზები სხვა ფაქტორებთანაც ხომ არ არის დაკავშირებული, მაგალითად, ცუდად შედგენილ კალენდართან?

— საბოლოო შედეგს ყოველთვის კალენდარი არ განაპირობებს. თუმცა, ჩვენს შემთხვევაში, ამ ფაქტორმა გარკვეული როლი ითამაშა, რადგან საკმაოდ რთულია, ოთხი დღის შუალედით ორ ძლიერ გუნდს ეთამაშო. საქართველოს ნაკრების მომზადებას იმანაც შეუშალა ხელი, რომ ყაზახეთთან, თებერვლის ნაცვლად, აგვისტოში ვითამაშებთ. ეს მატჩი თებერვალში რომ გამართულიყო, მისი მოგების შემთხვევაში, დამატებითი სტიმული მოგვეცემოდა.

— დარჩენილ შეხვედრებში როგორი სამოქმედო გეგმა გაქვთ?

— უახლოესი მატჩი — 4 ივნისს, ალბანეთთან გვაქვს და ვეცდებით, ტირანაში გუნდმა საკუთარი თავის რწმენა დაიბრუნოს. ჯგუფიდან გასვლაზე საუბარი ზედმეტია, მაგრამ მთავარია, ფეხბურთელთა ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამოსწორება, რაც ნაკრებისთვის სამომავლოდ აუცილებელია.

— საერთოდ, ჩვენი ნაკრებისა და ზოგადად, ქართული ფეხბურთის მომავალი როგორ გესახებათ?

— რაც შეეხება მომავალს, აუცილებელია, ოთხივე ასაკობრივ ნაკრებს შორის კოორდინირებული მუშაობა და მათ, რაც შეიძლება მეტი მატჩი უნდა ჩაატარონ, რათა პროფესიონალიზმს მიაღწიონ. საჭიროა, ქართულ ფეხბურთში ფუნდამენტური მუშაობა წარიმართოს, რომ ქართველმა მოთამაშეებმა წარმატებით არა მარტო ადგილობრივ დონეზე, არამედ საზღვარგარეთაც იასპარეზონ, ამისთვის კი აუცილებელია, ბავშვთა ფეხბურთში ფიზიკური მომზადების გაუმჯობესება, რაც ქართველ ბავშვებს აშკარად აკლიათ.

— ახლა, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, თქვენ შესახებ რამდენიმე კითხვით მოგმართავთ. საინტერესოა, ფეხბურთის თამაში სად დაიწყეთ?

— მე ბორდოდან 25 კილომეტრის მოშორებით პატარა სოფელ ლანგუარანში 1952 წელს დავიბადე, სადაც სულ 1500 მოსახლე იყო. დედაჩემმა შინ იმშობიარა... ფეხბურთის თამაში 8 წლის ასაკში ამავე სოფლის გუნდში დავიწყე და ვინაიდან ლანგუარანში ჩემხელა ბიჭები ცოტანი იყვნენ, 12-14 წლის ბავშვებთან მიხდებოდა თამაში. 12 წლის რომ გავხდი, მამაჩემმა „ბორდოს“

ახალგაზრდა ჟირესი საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში

ინფორმაციულ-შეეცნებითი კოლაჟი

ეიზა დვალის **უბის წიგნაკიდან:**

18. საბჭოთა კავშირი ისრაელის სახელმწიფოს შექმნის მხარდამჭერად გამოდიოდა, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს ქვეყანა სოციალისტური განვითარების გზას აირჩევდა.

19. „ვ სავეტსკამ საიუზე ნეტ დისიდენტოვ, უ ნას ესტ ოტსედენტი ი დოსედენტი“, — პირქუშად ხუმრობდა საბჭოთა კავშირის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი იური ანდროპოვი.

20. სულ ცოტა ხნის წინ, ესპანეთში მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა: მადრიდის ზოოპარკში ალბინოსი ვეფხვისა და ლომის ჰიბრიდი დაიბადა. ბოკვერი გარეგნულად დედა ვეფხვს ჰგავს, მაგრამ ზოოპარკის მესვეურთა თქმით, მას მამამისის მეფური ბუნება გამოჰყვა.



21. მსოფლიოში ყველაზე დიდი ბოულინგცენტრი იაპონიაში, ქალაქ ოსაკაშია. იგი 144 საგორავებელი ბილიკისგან შედგება.

22. „რუსეთში მრავალშვილიანობა პრესტიჟული უნდა გახდეს“, — განაცხადა ერთ-ერთ გამოსვლაში ვლადიმირ პუტინმა. P.S. თხა, თხაზე ნაკლები!... არა, მიშა?!..

23. საბჭოთა პარტიზანებს, რომლებიც ცნობების მოსაპოვებლად ქალაქებში იპარებოდნენ, გერმანელი ფაშისტები კვამლის სუნით ცნობდნენ. ამიტომ ქალაქში დაზვერვაზე წასვლის წინ პარტიზანები ცეცხლს ახლოს არ ეკარებოდნენ, რათა თმასა და ტანსაცმელზე კვამლის სუნი არ ასვლოდათ.

24. მხატვრული ფილმის „მიმინოს“ პირველი ნაწილი თუშეთშია გადაღებული. გადაღებისას იქაური მწყემსები ორი დღის სავალ გზაზე მოდიოდნენ იმისათვის, რომ ბუბა კიკაბიძესთან ერთად არაყი დაელიათ. ბუბას უარი რომ არ გასდიოდა, ტრიპერი მაქვსო, იტყუებოდა და ისე იშორებდა მწყემსებს თავიდან.

25. ცნობილი ნახატი — „ლამაზმანები“ პიკასომ ოლგა ხოხლოვაზე დაქორწინების შემდეგ გაყიდა. მანამდე მხატვარს იგი დახვეული და შენახული ჰქონდა. ერთხელ გერმანელი კრიტიკოსისთვის სურდა ეჩვენებინა და ტილო იატაკზე გაშალა. ოლგა ნახატის დანახვისას შეძრწუნდა და ქმარს უთხრა: ეს სურათი არ მომწონს, სახლიდან მოაშორეო. ათი წლის შემდეგ, პიკასოს „ლამაზმანები“ ისტორიის სახელმძღვანელოებში შეიტანეს.

ბავშვთა გუნდში გადამიყვანა. მაშინ ვერ ვაცნობიერებდი, თუ რატომ გააკეთა ეს. ეტყობა, ჩემში რაღაც პერსპექტივა დაინახა. „ბორდოში“ 1986 წლამდე ვითამაშე, ხოლო შემდეგ, 2 წელი „მარსელში“ დავყავი.

— საფრანგეთის ეროვნულ გუნდში სტაბილურად თამაში 28 წლისამ დაიწყეთ. მანამდე რატომ არ გიწვევდნენ ხშირად ნაკრებში?

— პირველად საფრანგეთის ნაკრებში 1974 წელს მიმიწვიეს, როდესაც 22 წლის გახლდით. გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატის წინ, პოლონეთის ნაკრებს ვეთამაშეთ, რომელმაც შემდეგ, მსოფლიო პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავა. მეორედ ეროვნულ გუნდში 1977 წელს გამომიძახეს და მონაწილეობა მივიღე ტურნეში, რომელიც შვეიცარიაში დაიწყო, ხოლო არგენტინასა და ბრაზილიაში გაგრძელდა. ნელ-ნელა მივიწევდი წინ და ვფიქრობ, შეცდომა დავუშვი, ნაკრების ხელმძღვანელობას საკუთარ სურვილს თავს რომ არ ვახვევდი. თან, იმ პერიოდში, „ბორდო“ საფრანგეთის საუკეთესო კლუბი ნამდვილად არ გახლდათ, ჩემპიონატში მე-12, მე-13 ადგილებს იკავებდა. 1981 წელს კი, როდესაც „ბორდოს“ კაპიტანი გავხდი და კლუბი საფრანგეთის ჩემპიონატში მაღალი ადგილებისთვის იბრძოდა, ნაკრებში სტაბილურად თამაშისთვის მომწიფებული ვიყავი და საკუთარი შანსი გამოვიყენე.

— ტანმორჩილობის გამო, საფეხბურთო მოედანზე სხვებთან შედარებით დაჩაგრულად ხომ არ გრძნობდით თავს?

— საკუთარ სიმაღლეზე არასოდეს მიფიქრია. ამის გამო, მოედანზე პრობლემა არ მქონია. შეიძლება, ვიღაც ფიქრობდა კიდეც, რომ ჩემნაირი ფიზიკური მონაცემების პატრონს ფეხბურთი არ უნდა მეთამაშა, მაგრამ მე ეს საკითხი არ მაღელვებდა.

— როგორ ფიქრობთ — საფრანგეთის ნაკრები, რომელშიც მიშელ პლატინისთან ერთად გამოდიოდით, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას იმსახურებდა?

— შესაძლოა, იმსახურებდა კიდეც და ამის შანსიც ჰქონდა, მაგრამ ალბათ ბოლომდე ჩვენს ძალებში დარწმუნებული არ ვიყავით.

— მაშინდელი ნაკრები და მისი ფეხბურთელები უფრო მაღალი დონისანი იყვნენ, თუ საფრანგეთის ნაკრები, რომელმაც 1998 წელს მსოფლიო, ხოლო 2000 წელს — ევროპის ჩემპიონატი მოიგო?

— არ შეიძლება, ორი ეპოქის ნაკრები ერთმანეთს შევადაროთ, რადგან გუნდის მომზადების მაშინდელი და ახლანდელი მანერა, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება. რასაკვირველია, ძლიერი ფეხბურთელები მაშინაც იყვნენ და დღესაც არიან, მაგრამ მათ შორის პარალელების გავლება ძალიან რთულია.

მერაბ ქორდანია და ალენ ჟირესი

— რომელ ნაკრებსა და კლუბს გულშემატკივრობთ?

— ცხადია, საქართველოს ნაკრებს ვგულშემატკივრობ... საერთოდ, ბრაზილიელების თამაში მომწონს, ხოლო კლუბებს შორის, „ბარსელონის“ ქომაგი ვარ.

— ვინ მიგაჩნიათ მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად?

— მიმაჩნია, რომ პელე სხვა დანარჩენებზე მაღლა დგას.

— რას იტყვით დიეგო მარადონას შესახებ?

— მარადონა ფანტასტიკური ფეხბურთელი იყო, რომლის მსგავსი ბევრი არ მოიძებნება.

— ვიდრე გია გურულს გაიცნობდით და საქართველოში ჩამოხვიდოდით, თუ გქონდათ რაიმე ინფორმაცია ჩვენი ქვეყნის ან რომელიმე ქართველი ფეხბურთელის შესახებ?

— გეოგრაფია და მოგზაურობა ძალიან მიყვარს. შესაბამისად, ვცდილობ, რაც შეიძლება მეტი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობისა და კულტურული ცხოვრების შესახებ საინტერესო ამბები შევიტყო. ბუნებრივია, საქართველოს არსებობაც ვიცოდი და ისიც, რომ მისი დედაქალაქი თბილისია. ასევე მქონდა ინფორმაცია, რომ თქვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოიპოვა.

ცხადია, ბევრი რამ მსმენოდა თბილისის „დინამოს“ შესახებ, რომელმაც 1981 წელს ევროპის თასების თასი მოიპოვა. მინახავს ჩივაძის, გაბელიას, ხურცილავას და ყველა იმ ქართველი ფეხბურთელის თამაში, რომლებიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრებში გამოდიოდნენ.

— ქეიფი თუ გიყვართ და ქართული სუფრის შესახებ როგორი აზრის ხართ?

— სუფრასთან ჯდომა და ღვინის სმა, კაცობრიობის კულტურის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და ამ მხრივ, გამონაკლისი არც საქართველოა. სასიამოვნო ადამიანების გარემოცვაში ყოფნა, მათთან ერთად დროს ტარება და დალევა ნამდვილად კარგია.

— ქართული ღვინო სჯობია თუ ფრანგული?..

— მსოფლიოში პირველი, ფრანგული ღვინოა, ხოლო მეორე — ქართული...

— უპირატესობას ფრანგ ქალებს მიანიჭებთ თუ ქართველებს?..

— უპირატესობას საკუთარ მეუღლეს — შანტელს ვანიჭებ, რომელთანაც ორი ვაჟი: 27 წლის მატიე და 23 წლის ტიბო მყავს.

— ქართული სამზარეულოდან ყველაზე მეტად რომელი კერძი მოგწონთ?

— მიყვარს უწვნო ხინკალი, განსაკუთრებით — ფასანაურში გაკეთებული, რომელიც შემწვარიც გემრიელია. ასევე მომწონს ხაჭაპური. მაგრამ ამას წინათ, ცუდად გაკეთებული ხაჭაპური ვჭამე და ყველას მოვუწოდებ ასეთი აღარ შემომთავაზონ, რადგან საქართველოში ტურისტი არა ვარ და ხაჭაპურის გემოც კარგად ვიცი.

— მიშელ პლატინი საქართველოზე რა აზრის დარჩა?

— პლატინის პარიზშიც შევხვდი და მასთან ტელეფონითაც რამდენჯერმე მქონდა საუბარი. იგი შეშფოთებულია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში არსებული პრობლემებით. ამასთანავე აღნიშნა, რომ საქართველოს ნაკრების მარცხი საბერძნეთთან და თურქეთთან გასაოცარი არ არის. მან ხაზი გაუსვა ჩვენი ეროვნული გუნდის სათამაშო რგოლების დაუბალანსებლობას, რამაც პლატინის აზრით, ეს ორი წაგება განაპირობა. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის სახით ძლიერი მეტოქე გვყავდა, 3 ბურთი სტუმრებს თავად „ვაჩუქეთ“... ■

Audi-ს „ექვსიანი-ჯოზიი“

გერმანულმა კომპანიამ გადაწყვიტა, თავისი წამყვანი მოდელის – A8-ის მოდიფიკაციათა პალიტრა გააფართოოს და უკვე სთავაზობს მომხმარებელს 6-ცილინდრიანი ბენზინის ძრავათი აღჭურვილ ვარიანტს, რომელიც 260 ცხ.ძ. სიმძლავრეს განავითარებს. 3,2 ლ მოცულობის ძრავამ, 3-ლიტრიანი, 220 ცხ.ძ. სიმძლავრის წინამორბედი შეცვალა. ადრე ამ მოტორს მხოლოდ A6-ს ურთავდნენ თან.

ახალი ძრავათი აღჭურვილი A8-ის მაქსიმალური სიჩქარე 250 კმ/სთ-ს აღწევს (მეტსაც განავითარებდა, რომ არა სიჩქარის ელექტროშემზღუდავი); 100 კმ/სთ-ს – 7,7 წმ-ში აღწევს, ხოლო საწვავის ხარჯი 100 კმ გარბენზე სულ 9,8 ლ-ს შეადგენს.

A6-ის ძრავათი აღჭურვილი საბაზო Audi A8 ევროპის ბაზარზე 60.900 ევრო ღირს. დამატებით ფასად მომხმარებელი 6-საფეხურიან ავტომატურ გადაცემათა კოლოფს, ქსენონის მაშუქებსა და სრულ ამძრავს მიიღებს. ■

Golf-ის „ძმა“ - Leon

„ფოლკსვაგენის“ შემადგენლობაში შემავალი ესპანური კომპანია Seat მორიგ პრემიერას ამზადებს. ეს გახლავთ სერიული Seat Leon, რომლის პრემიერაც ბარსელონაში მიმდინარე თვეში დაგეგმილ გამოფენაზე შედგება. ადრე ის, როგორც კონცეპტუალური მოდელი ჟენევის ავტოსალონზე იყო ნაჩვენები.

ახალი „ლეონი“ მნიშვნელოვნად გაიზარდა: მისი სიგრძე 4315 მმ-ა (წინამორბედთან შედარებით, 132 მმ-ით მეტი), სიგანე – 1768 მმ (26-ით მეტი), საბორბლე ბაზა კი – 2578 მმ (65-ით მეტი). მხოლოდ მანქანის სიმაღლე დარჩა თითქმის უცვლელი – ის 1460 მმ-ს შეადგენს.

ხუთადგილიანი „ლეონი“ 2 ბენზინის და 1 დიზელის ძრავათი იქნება აღჭურვილი. სამივე, კომპანია „ფოლკსვაგენშია“ შემუშავებული. საბაზო ვერსია 1,6 ლ მოცულობის 4-ცილინდრიანი (102 ცხ.ძ.) აგრეგატითაა აღჭურვილი. წამყვან მოდიფიკაციას, 150 ცხ.ძ-იან 2-ლიტრიან ძრავას – FSI-ის დაურთავენ თან.

მიუხედავად იმისა, რომ „ლეონი“ დილერებისთვის მისაწოდებლად უკვე პრაქტიკულად მზადაა, საბოლოო ფასები ჯერჯერობით არ გამოუცხადებიათ. ექსპერტთა აზრით, ეს იმით არის გამოწვეული, რომ ახალი „სეატი“ რეალურ კონკურენციას გაუწევს კორპორაციის მთავარ პროდუქტს – Volkswagen Golf-ს, ამიტომ მისი ფასის განსაზღვრისას ფირმის მესვეურებს განსაკუთრებული დაკვირვება მართებთ. ■

Elantra უფრო მძლავრი გახდა

აღმოსავლეთ ევროპის ავტობაზარზე კორეული მანქანის – Hyundai Elantra – ახალი მოდიფიკაცია გამოჩნდა. წინამორბედისგან ის 1,8 ლ მოცულობის, 131 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავათი გამოირჩევა. Elantra 1,8-ს, მომხმარებელს მხოლოდ სედანის სახით შესთავაზებენ. ის ორნაირი გადაცემათა კოლოფით აღიჭურვება – 5-საფეხურიანი მექანიკურით და 4-საფეხურიანი „ავტომატით“.

ახალი „ელანტრის“ მაქსიმალური სიჩქარე 199 კმ/სთ და 195 კმ/სთ-ია, 100 კმ/სთ სიჩქარის მიღწევის დრო, შესაბამისად – 9,7 წმ და 11,5 წმ. მიუხედავად მძლავრი აგრეგატისა, კორეული მანქანა საკმაოდ ეკონომიურია: მექანიკურკოლოფიანი ვარიანტი, ყოველ 100 კმ-ზე 8,2 ლ-ს, ხოლო „ავტომატი“ – 8,7 ლ საწვავს ხარჯავს. მანქანა აღჭურვილია: მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემით, ბორტკომპიუტერით, ბურუსის საწინააღმდეგო მაშუქებით, უსაფრთხოების ფრონტალური და გვერდითი ბალიშებით. კომპლექტაციაში შედის აგრეთვე: კლიმატ-კონტროლი, წინა სავარძლებისა და სარკეების გამათბობლები, მინების ელექტროამწეები. Hyundai Elantra-ს მექანიკურკოლოფიანი ვარიანტის ფასი 16.900 დოლარია, „ავტომატიანი“ – 1.000 დოლარით ძვირი. ■

თბილისელი გოდერძი კაციტაძე მარიო მერონად მას შემდეგ იქცა, რაც 20 წლის ასაკში შეიტყო, რომ იტალიელი ქალის შვილი იყო. მამამ გოდერძის უამბო, რომ მეორე მსოფლიო ომის დასასრულს, იტალიელი კლავდია მერონი შეირთო ცოლად და 1945 წელს, საქართველოში გამომგზავრებისას, მისი ცოლი თვითმფრინავში მშობიარობას გადაჰყვა... გოდერძი კაციტაძე ბაბუის — მარიო მერონის გვარ-სახელზე დაიწერა. მის მამას არ გადაუწყვეტია კავშირი დალუპული კლავდიას ოჯახთან. გოდერძი-მარიომ იტალიიდან მიწვევა მიიღო და ბებიისა და ბიძების გასაცნობად, მილანში გაემგზავრა. შემდეგ, იტალიელი ნათესავები ესტუმრნენ მას საქართველოში და ბორჯომში კლავდიას საფლავიც მოინახულეს. ეს ყველაფერი გასული საუკუნის 60-იან წლებში მოხდა. 80-იან წლებში კი, გოდერძის კვლავ უჩვეულო თავგადასავალი გადახდა. 43 წლის კაცმა, ხალხური ცეკვის ანსამბლში ამოყო თავი და გასტროლების დროს, საბჭოთა კავშირიდან გაქცევა გადაწყვიტა...

ვაჟსევა ავარიაში... იდლოეთის ვაკლით

მარიო მერონი: „არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს!"

ფრაგმენტები წიგნიდან

(დასაწყისი იხ. №17-19)

ცხოვრებაში ხშირია სასწაული და ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. აბა, სხვანაირად რას მივწერო ის, რომ მე და კოტე 43 წლის ასაკში ცეკვის წყალობით მოვხვდით ინდოეთში?!

შავ ბაზარზე იმ პერიოდში ერთი ამერიკული დოლარი ხუთი მანეთი ღირდა და ჩვენც, ვისაც რისი საშუალება გვქონდა, შევიძინეთ დოლარები უჩას დახმარებით. მხოლოდ ჩემი მეგობარი კოტე, უწყინარი და უბოროტო კაცი აღმოჩნდა დოლარების გარეშე, ვინაიდან მას არასოდეს ჰქონია არც ფული და არც მისი შოვნის სურვილი. მე და კოტემ მოვლაპარაკეთ, რომ ბიჭებს შევთავაზებდი დოლარების საზღვარგარეთ გატანას კოტეს დახმარებით, რაშიც ყველას თავისი თანხის 10 პროცენტი უნდა გადაეხადა მისთვის.

კოტე თავის მხრივ 100-დოლარიანებს დაკეცავდა წვრილად, გაახვევდა ცელოფანში კაფსულის მსგავსად, გადაყლაპავდა და ამ გზით გავიტანდით ვალუტას. ჩანფიქრი ბიჭებმა მოგვიწონეს. სულ 2.500 დოლარი შეგროვდა, რაშიც კოტეს წილი 250 დოლარი იყო.

მოსკოვში, სასტუმრო „უკრაინაში" მოხდა ამ ოპერაციის ჩატარება, აეროპორტში გამგზავრების წინ. დამზადდა 25 კაფსულა. კაფსულები მე მეჭირა, ხოლო გრაფინით წყალი ბეჟან სურმავას.

კოტე გააღებდა პირს, მე ჩავუდებდი კაფსულას და ბეჟანი მიაწოდებდა ჭიქით წყალს და ა. შ.

ოპერაცია „კაფსულა" თხუთმეტ წუთს გაგრძელდა. ავტობუსით წავედით აეროპორტ „შერემეტიევოში".

დღის ორ საათზე ჩავფრინდით ქ. დელიში. აქვე მინდა მოვიგონო, რომ მოსკოვში ჰაერის ტემპერატურა გამოფრენის წინ მინუს 10 გრადუსი იყო, დელიში კი პლუს 30 გრადუსი. ალბათ, ძნელი წარმოსადგენია ექვს საათში ტემპერატურის ასეთი ცვალებადობა. აეროპორტში დაგვხვდა რუსულის მცოდნე ინდოელი გიდი და რამდენიმე პირი, რომლებმაც ტრადიციის მიხედვით ყელზე ყელსაბამებად ყვითელი ყვავილის აცმულები გაგვიკეთეს, გაგვანაწილეს ორ მიკროავტობუსში და წავიყვანეს ქალაქის მიმართულებით.

გიდი ავტობუსში გვიყვებოდა ქალაქ დელის ისტორიული ძეგლების შესახებ. სწორედ ამ დროს მან მიგვანიშნა მარცხენა მხარეს და გვითხრა, რომ ეს იყო ამერიკის საელჩო. გავიხედე და დავინახე დაახლოებით სამმეტრიანი კედლით გარშემორტყმული ტერიტორია, შუაში დიდი შენობით, რომლის თავზეც ამერიკის დროშა ფრიალებდა. კიდევ ვიარეთ დაახლოებით ორი კილომეტრი და მივადექით სასტუმროს, რომელსაც ერქვა „აშოკი".

გაგვანაწილეს ნომრებში. მე და ანსამბლის ხელმძღვანელი უჩა კაშმაძე 351-ე ნომერში მოვხვდით. იმ დღეს სადილის შემდეგ ავტობუსით წავიყვანეს სტადიონზე, სადაც ხის მასალისაგან პატარ-პატარა სცენებს ამზადებდნენ ცალ-ცალკე ანსამბლებისათვის. საბჭოთა დელეგაციაში იყვნენ ანსამბლები ბელორუსიიდან, უკრაინიდან, ბალტიისპირეთიდან და სხვა რესპუბლიკებიდან.

გავიარეთ პირველი რეპეტიცია... საღამოს ცხრა საათზე ვივახშმეთ, სასტუმროდან გამოვედი და გავემართე ამერიკის საელჩოს მიმართულებით. ძალიან ცხელოდა. მივადექი საელჩოს. ალაყფის კართან შეიარაღებული ინდოელი ჯარისკაცი იდგა. ინსტინქტურად ამოვიღე ჯიბიდან საბჭოთა პასპორტი, მივუახლოვდი ჯარისკაცს და მივაწოდე. თანაც ჯიყჯიყა ინგლისურით ავუხსენი, რომ საელჩოში შესვლა მინდოდა, რამაც მისი უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. გამოვართვი პასპორტი და უკან დავიხიე. რამდენიმე წუთის შემდეგ, ისევ მივუახლოვდი ჯარისკაცს და კვლავ დავუწყე თხოვნა საელჩოში შეშვებაზე, რამაც ისე გაღიზიანა, რომ იარაღს დაადო ხელი... ამ დროს, უფლის ნებით (ღმერთმა მპატიოს), საელჩოს ჭიშკარს რაღაც მსუბუქი მანქანა მიადგა, მანქანიდან გადმოვიდა ახალგაზრდა მამაკაცი, მოგვიახლოვდა, გამომართვა პასპორტი და გვერდზე გამიყვანა. მე ჩემი დამტვრეული ინგლისურით ავუხსენი, რომ მინდოდა საელჩოში შესვლა. ის ყველაფერს მიხვდა, ხელებით ამიხსნა, 10-15 წუთს იქვე შორიახლოს დავლოდებოდი, თვითონ კი ჩავდა მანქანაში და საელჩოს ტერიტორიაზე შევიდა. გავიდა დაახლოებით 15 წუთი, ის კი არ ჩანდა. იმედი გადამეწურა, ვიფიქრე, მომატყუა-მეთქი. ამის გაფიქრება და საელჩოს ტერიტორიიდან იმ მანქანის გამოსვლა ერთი იყო. მძღოლმა კარი გამიღო და მეც ჩავჯექი. მან მითხრა, რომ მანქანით ერთად შევიდოდით საელჩოს ტერიტორიაზე. გადასწია სკამის საზურგე და მთხოვა, დასაჯდომზე დავწოლილიყავი. ასეც მოვიქეცი, რამდენიმე კილომეტრი შორიახლოს ვიარეთ, შემდეგ კვლავ მიადგა საელჩოს კარს, რომელიც სასწრაფოდ გააღო ინდოელმა ჯარისკაცმა და აშშ-ის საელჩოს ტერიტორიაზე შევედით.

თვითონ შენობა იდგა ამაღლებულ ადგილზე. იგი გადმოვიდა, გამოაღო კარი და მთხოვა, გადავსულიყავი. მეც გადავედი, ავედით კიბეზე, კართან ამერიკულ ფორმაში გამოწყობილი ჯარისკაცი დაგვხვდა, შემამოწმეს, გამომართვეს პასპორტი და შემიყვანეს ოთახში. გავიდა დაახლოებით 5 წუთი, შემოდის საკმაოდ მაღალი, სიმპათიური, ჯინსში და „კაზაჩოკებში" გამოწყობილი ახალგაზრდა მამაკაცი და სუფთა რუსულით მეცნობა:

„მენია ზავუტ ჩარლი". კალამი და ფურცელი მომაწოდა და მითხრა, რომ მე უნდა დამეწერა, ვინ ვიყავი, საიდან და რატომ მინდოდა ამერიკაში წასვლა. რასაკვირველია, არც ყავისა და სიგარეტის შემოტანა დავიწყებია. დრო ბევრი არ მქონდა, ნახევარ საათში საელჩოს ტერიტორიიდან უნდა გავეყვანე.

ჩარლი გავიდა, მეც არ დავიბენი, ყავა მივირთვი, სიგარეტი გავაბოლე და დავიწყე წერა. დაახლოებით 20 წუთში ჩარლი შემობრუნდა, გამომართვა ჩემი დაწერილი ფურცელი და მითხრა:

– ის მამაკაცი, მანქანით რომ მოგიყვანათ, საელჩოს ექიმი გახლავთ და იმავე მეთოდით უნდა გაგიყვანოთ საელჩოს ტერიტორიიდან.

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე. ამასთან, შევთანხმდით, რომ მეორე დღეს, კონცერტის დროს, შეიძლება, იგი ვიღაც ქალთან ერთად დამენახა და ყურადღება არ უნდა მიმექცია. რასაკვირველია, შეთანხმება არ დამირღვევია. ამერიკის დაზვერვა კი ყველაფერს საფუძვლიანად იკვლევდა, ისიც დაეზუსტებინათ, რომელ სასტუმროში ვცხოვრობდი, ვისთან ერთად, რომელ სართულზე, რომელ ნომერში და სხვა.

– კარგად მომისმინეთ, – მეუბნება ჩარლი. – კონცერტის დამთავრების შემდეგ, 10 საათზე დაგირეკავთ და იმოქმედებთ ჩვენი დირექტივებით.

ჩვენი საუბრის დამთავრების შემდეგ, მე და ჩარლი გამოვედით შენობიდან. ის მანქანა, რომლითაც მომიყვანეს, გაუნძრევლად იდგა. ჩამსვეს მანქანაში და ისევ დაწოლილ მდგომარეობაში გამომიყვანეს საელჩოს ტერიტორიიდან. რამდენიმე კილომეტრში მძღოლმა მანქანა შეაჩერა და ამიხსნა, როგორ უნდა მივსულიყავი სასტუმრო „აშოკთან“.

იქნებოდა საღამოს თორმეტის ნახევარი, სასტუმროში რომ მივედი...

მეორე დღეს, კონცერტის ჩასატარებლად ავტობუსით წავედით. აჭარული ცეკვის დროს, ჩარლი ვიღაც მანდილოსანთან ერთად ხალხის მასაში დავლანდე, რაც, როგორც მოვილაპარაკეთ, არ შემიმჩნევია. მოუთმენლად ველოდებოდი საღამოს, ჩარლის დარეკვას. თუმცა, მაინც ეჭვის ქვეშ ვაყენებდი ჩარლის ჩემთან მოსვლას.

საღამოს, სასტუმროში დაბრუნების შემდეგ ვივახშმეთ და ვისვენებდით, მაგრამ არ მასვენებდა ერთი აზრი, მეთქვა თუ არა ჩემი ჩანაფიქრის შესახებ უახლოესი მეგობრის – კოტე გვერდწითელისთვის. და მაინც, ინფორმაციას რომ არ გაეყონა და ჩანაფიქრი არ ჩაშლოდა, დუმილი ვამჯობინე.

ათ საათამდე თხუთმეტი წუთი რჩებოდა. საშინლად ვნერვიულობ, ადგილს ვერ ვპოულობ. სულსა და გულში სიცარიელე ჩამისახლდა. აღარ მახსოვს ცოლი, შვილები, მშობლები, მეგობრები. არც სამშობლო მაღელვებს, სამშობლო, რომლის სადღეგრძელოც ამაღლებული პათოსით ვინ იცის, რამდენჯერ დამილევია, რამდენჯერ მიკოცნია მისი მიწისთვის.

კიდევ რამდენიმე წუთი რჩება. აჰა, ერთი წუთი და უცებ რაღაც იდუმალი ხმა ჩამესმის ყურში:

– გონს მოდი, გოდერძი, შეცვალე გადაწყვეტილება, ნუ გაიხდი საქმეს სატირლად და სავაგლახოდ.

პასუხი არ მაქვს. თევზის თვალებით მივჩერებივარ ტელეფონს. აჰა, ათმა საათმაც ჩამორეკა და...

აწკრიალდა ტელეფონი. ყურმილი ავიღე.

– მისტერ კაციტაძე? – ტელეფონის ყურმილში გაისმის ჩარლის გაყინული ხმა.

– „ეტა ჩარლი, ვაზმიტე ტოლკო პასპორტ ი სპუსკაიტეს პო ლესნიჩნოი კლედკე, ია ბუდუ ჟდაც მეჟდუ ვტარიმ ი ტრეტიმ ეტაჟამი ნა პლოშჩადკე“.

მეც რობოტივით ავიღე პასპორტი, გამოვედი ნომრიდან და გავემართე კიბის უჯრედისაკენ.

ჩარლი ჯიბიდან იღებს 50-დოლარიანებს და მეუბნება:

– აქ არის 1.500 დოლარი, სწორედ ის თანხა, რაც საჭიროა თვითმფრინავის ბილეთის ასაღებად. ბილეთის შესაძენად კი ამ თანხის ინდურ რუპიებზე გადაცვლაა საჭირო.

ჩარლიმ გამოთქვა შიში, რომ ვინაიდან სასტუმროს ვესტიბიულში შეიძლებოდა, უშიშროების მუშაკებს შევემჩნიეთ, სწრაფად უნდა გვემოქმედა. ამიტომაც ამჯობინა, იქვე თვითონვე გადაეხურდავებინა ნახევარი თანხა, ხოლო დანარჩენს აეროპორტში გადავახურდავებდით. იგი ასეც მოიქცა, ფული გადაახურდავა, მე ვესტიბიულის კუთხეში სავარძელში ვიჯექი და ყველაფერს ვხედავდი. შემდეგ ჩარლი მოვიდა ჩემთან, მომცა პატარა ფურცელზე რაღაც დაწერილი და წავიდა გასასვლელისაკენ.

კიბის უჯრედზე საუბრისას ჩარლიმ მითხრა, რომ ჩვენი სასტუმროდან ერთად გასვლა და მით უმეტეს, მანქანით ერთად წასვლა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა და მომცემდა მისამართს, სადაც უნდა მივსულიყავი ტაქსით. ასეც მოხდა. რამდენიმე წუთში გამოვედი სასტუმროდან, მივედი ტაქსის მძღოლთან და გავუწოდე ქაღალდი, სადაც მისამართი იყო აღნიშნული. მძღოლი გადმოხტა მანქანიდან, გამიღო უკანა კარი, ჩამსვა მანქანაში და წავედით, ამ ქაღალდზე ეწერა სასტუმრო „ჰილტონი“, რომელიც მდებარეობდა აეროპორტის ტერიტორიაზე. ინდოეთში მანქანებს საჭე მარჯვენა მხარეს აქვს და შესაბამისად, ქუჩაზე მოძრაობა მარცხენა მხარესაა. მძღოლს თავზე რაღაც სტანდარტული ზეწრის შემოხვეული ქუდი ეხურა და გამუდმებით იქექებოდა.

ტაქსი უზარმაზარ ლამაზ შენობას – სასტუმრო „ჰილტონს“ მიადგა. გადავიხადე საფასური, გადმოვედი მანქანიდან და გავემართე სასტუმროს ვესტიბიულისკენ. ჰოლში მოშორებით შევნიშნე ჩარლი, რომელიც ჩემს დანახვაზე, იქვე კარში შევიდა. მეც იმავე შესასვლელს მივაშურე. ჩარლი კარს უკან მელოდებოდა. მან მომაწოდა პატარა, ზოლიანი ზურგჩანთა, მითხრა, რომ შიგ იდო პირსახოცი და ამ ჩანთით მიცნობდნენ, როცა ჩავფრინდებოდი, ე.ი. ჩანთა მხარზე უნდა მქონოდა გადაკიდებული. მერე მომცა ის გადახურდავებული რუპიები და 700 დოლარი, რომელიც უკვე მე უნდა გადამეხურდავებინა სასტუმრო „ჰილტონის“ ვესტიბიულში. ასეც მოვიქეცი, ფული გადავახურდავე, ორივენი გამოვედით სასტუმროდან, ჩავსხედით მის მანქანაში და გავედით აეროპორტის ტერიტორიაზე. მანქანა სადგომზე გავაჩერეთ და შევედით აეროპორტის შენობაში. ჩარლიმ გამაფრთხილა, რომ ბილეთის აღებისას სიტყვა არ უნდა დამეძრა, რადგან აეროპორტში შეიძლებოდა, უშიშროების თანამშრომლები ყოფილიყვნენ და ყველაფერი წყალში გადაგვყროდა. ასეც მოვიქეცით, ფული მე მედო ჩანთაში, მან მოლარეს რაღაც უთხრა, გამომართვა ფული მოლიანად და გადასცა მოლარეს, იმანაც ბილეთი გამოწერა და მიაწოდა ჩარლის. იქვე, ფეხზე სადგომ მაგიდასთან, ჩარლიმ ყავაზე დამპატიჟა და ორი „კაპუჩინო“ მოიტანა, ჯიბიდან ამოიღო 100 დოლარი, მომცა და მკითხა, მქონდა თუ არა რაიმე თანხა ჯიბეში. მეც არ დამიმალავს, ვუთხარი, რომ მქონდა 150 დოლარი, ორი ბრილიანტის ბეჭედი და მარგალიტის ყელსაბამი. მან დამარიგა, რომ ამ თანხის შესახებ არავისთვის არაფერი მეთქვა, ბილეთი გამომიწოდა და მითხრა:

– ამ ბილეთით შენ გაფრინდები ბანგკოკში (ტაილანდში), ოღონდ იცოდე, ბილეთი აღებულია ჰონგკონგამდე, ე.ი. დელი–ბანგკოკი–ჰონკონგი. ეს იმიტომ გავაკეთეთ, რომ დილით, როცა უშიშროება გაიგებს, რომ შენ ჰონკონგში გაფრინდი, იქ დაგიწყებს ძებნას. მათთვის კვალის ასაბნევად შენ ჩამოხვალ ბანგკოკში, სადაც დაგხვდება ჩვენი კაცი და დანარჩენს იქ გეტყვიან.

ახლაც კი შეუძლებელია იმის ახსნა, თუ რა დამემართა, როცა ჩარლიმ მითხრა ყოველივე ეს. იმ დროს, როცა დელიდან პირდაპირ ამერიკაში გამგზავრებას ველოდებოდი, უცებ მეუბნებიან ასეთ რამეს. ჩარლიმ შემატყო ანერვიულება და დასამშვიდებლად მითხრა, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ნებართვის გარეშე, არ არსებობს ვარიანტი, ამ ქვეყანაში მოხვედრისო. რაღას ვიზამდი? უკან დასახევი გზა აღარ არსებობდა. და მეც მივენდე ბედს, რაც იქნება, იქნება-მეთქი.

ჩარლი კვლავ მარიგებდა, რომ ჩვენ მივიდოდით სასაზღვრო დეპარტამენტის ჯიხურთან, სადაც ხდება პასპორტებისა და ვიზების შემოწმება და შემახსენა, ხმა არ ამომეღო, თან ამიხსნა, რომ იგი მათ გაეცნობოდა, როგორც საბჭოთა კავშირის საელჩოს წარმომადგენელი (თარჯიმანი) და მე, როგორც ანსამბლის ხელმძღვანელი, მივდიოდი ჰონკონგში ხელშეკრულების გასაფორმებლად, რათა ინდოეთში გასტროლების შემდეგ, ანსამბლი წამეყვანა ჰონკონგში კონცერტების ჩასატარებლად.

■



ჰოლივუდის მსახიობი, ჯენიფერ კონელი ნიუ-იორკის შტატის პატარა ქალაქ კეტსკილ-მაუნთინსში 1970 წლის 12 დეკემბერს დაიბადა. ჯენიფერის მამა — ჯერარდი ტექსტილისა და ტანსაცმლის მწარმოებელი იყო, დედა — ეილინი კი — ხელოვნებათმცოდნე. მსახიობი ფიქრობს, რომ პატარაობისას გონჯი იყო, მაგრამ სინამდვილეში, საკმაოდ მიმზიდველი გარეგნობის გოგონა გახლდათ.

ჯენიფერ კონელი: მე უფრო მეტი ვარ, ვიდრე მხოლოდ ლამაზი მაყურებელი და გრძელი ფეხებია...

10 წლის ჯენიფერმა უკვე მოდელობას მიჰყო ხელი და მისი ფოტოები პოპულარული ახალგაზრდული ჟურნალის – Seventeen – გვერდებს ამშვენებდა. ჯენიფერ კონელის კარიერას ბიძგი მისცა მამის მეგობრის რჩევამ, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ გოგონა სამოდელო ბიზნესში დიდ წარმატებებს მიაღწევდა.

ჯენიფერი კომპანია Ford-ის მოდელი გახდა და კინოკარიერის დაწყებამდე, ათეულობით სარეკლამო რგოლში მონაწილეობდა. ჯერ კიდევ წმინდა ანას სკოლის მოსწავლემ, თავის პირველ ფილმში – „ერთხელ, ამერიკაში“ – ელიზაბეტ მაკგოვერნის როლი შეასრულა. ამ განგსტერულ დრამაში ის თვით რობერტ დე ნიროს უწევდა პარტნიორობას. ასე დაიწყო პატარა გოგონას შესანიშნავი სამსახიობო კარიერა.

სერიალს – „მოულოდნელი ამბები“ – დიდ ეკრანზე ნათამაშები რამდენიმე როლი მოჰყვა, მაგრამ სურათებმა – „მცოცავნი“, „ფენომენი“, „7 წუთი ზეცაში“ – დამწყებ მსახიობს წარმატება ვერ მოუტანა. ჯენიფერ კონელის ნამდვილი აღიარება წინ ელოდა.

1986 წელს, 16 წლის გოგონა ჯორჯ ლუკასმა ფილმში – „ლაბირინთი“ მიიწვია, სადაც ის დევიდ ბოუის უწევდა პარტნიორობას. ამ პროექტში მონაწილეობამ ჯენიფერს საშუალება მისცა, ჩრდილიდან გამოსულიყო და მაყურებლისთვის თავი შეეხსენებინა. სურათმაც და მისმა როლმაც პუბლიკისა და კრიტიკის ინტერესი გამოიწვია. ჯენიფერი ახალგაზრდობის კერპი გახდა და იმ თაობის მაყურებელს მსახიობი დღესაც, „ლაბირინთში“ ნათამაშები როლით ახსოვს. მაგრამ ჰოლივუდის ოლიმპზე ადგილის მოსაპოვებლად ეს წარმატებაც არ აღმოჩნდა საკმარისი.

იმ დროისთვის, როდესაც ჯენიფერმა სკოლა დაამთავრა, კინოს გარდა, უკვე როი ორბისონის ვიდეოკლიპშიც – I Drove All Night – იყო გადაღებული, ჯეისონ პრისტლისთან ერთად. გარდა ამისა, იაპონიაში რამდენიმე სარეკლამო რგოლშიც მიიღო მონაწილეობა და ამომავალი მზის ქვეყანაში საკუთარი სინგლიც კი გამოუშვა, სახელწოდებით – „სიყვარულის მონოლოგი“, სადაც ჯენიფერი იაპონურად მღერის. მისი აგენტი ირწმუნება, რომ მსახიობმა ეს ურთულესი ენა იაპონიაში ყოფნისას შეისწავლა და საკმაოდ კარგადაც დაეუფლა მას.

სამწუხაროდ, „ლაბირინთში“ მიღწეული წარმატების გამეორება მან კარგა ხანს ვეღარ მოახერხა. 90-იან წლებში, სურათებში – „ცხელი წერტილი“ და „კარიერული შესაძლებლობანი“ – ნათამაშებმა როლებმა მსახიობს მხოლოდ იმედგაცრუება მოუტანა.

ჯენიფერი მუშაობისა და სწავლის შეთავსებას ცდილობდა. ის თავდაპირველად, იელის უნივერსიტეტში დადიოდა ლექციებზე, შემდეგ კი მისი არჩევანი სტენფორდზე შეჩერდა. „უოლტ დისნეის“ სტუდიაში გადაღებული სურათის – „ადამიანი-რაკეტა“ – გადაღებების დროს, ჯენიფერი საბოლოოდ მიხვდა, რომ სამსახიობო კარიერის შექმნა მისთვის უმთავრესი იყო. სურათმა მოულოდნელად, დიდი წარმატება მოიპოვა. ეკრანებზე მისი გამოსვლისთანავე, ჯენიფერ კონელის წარუმატებლობათა ჯაჭვი გაწყდა.

ამ პერიოდში დაიწყო კონელისა და მისი პარტნიორის – ბილი კემპბელის სასიყვარულო ურთიერთობაც, რომელიც 5 წელი გრძელდებოდა.

1995 წელს, მომხიბლავმა, მწვანეთვალება ლამაზმანმა შავკანიან კინოვარსკვლავ ქალთან – ტაირა ბენქსთან ერთად ფილმში – „უმაღლესი განათლება“ – ლესბოსელი ქალი განასახიერა. მომდევნო წელს, მაყურებელმა ჯენიფერი იხილა სურათებში: „მალჰოლანდის კლდე“ და „საბედისწერო იახტა“. 1997 წელი კი, მსახიობის შემოქმედებისთვის განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა: ჯენიფერ კონელიმ ზედიზედ რამდენიმე სურათში ითამაშა. მათ შორის აღსანიშნავია: „ებოტთა გამოგონებისას“, სადაც მსახიობმა ლივ ტაილერის გმირის და განასახიერა, აგრეთვე – „წყდიადის ქალაქი“, „ცხედართა გამოღვიძება“, „პოლოკი“ და „რეკვიემი ოცნებაზე“, რომელსაც კინოკრიტიკოსთა განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად. ამ სურათში ჯენიფერ კონელიმ ძალზე დამაჯერებლად განასახიერა ახალგაზრდა ნარკომანი ქალი და ეს სახე დღემდე, მსახიობის ერთ-ერთ საუკეთესო ნამუშევრად ითვლება.

1998 წელს, ჯენიფერი მცირე ხნით

ტელევიზიას დაუბრუნდა და ნაკლებად პოპულარულ სერიალში – „ქუჩა“ – ითამაშა, რომელიც დაბალი რეიტინგის გამო, მალევე დახურეს. მაგრამ ამან მსახიობის კარიერას ვერაფერი დააკლო. მოკლე ხანში, კონელიმ, რონ ჰაუერდის მასშტაბურ პროექტში – „გონების თამაშები“ – მიმზიდველი წინადადება მიიღო. ეს სურათი ამერიკის კინოაკადემიამ 2001 წლის საუკეთესო ფილმად დაასახელა. როდესაც რეჟისორმა ჯენიფერი როლზე მიიწვია, ჰაუერდი მიიჩნევდა, რომ სწორედ კონელი შეძლებდა სტენფორდის უნივერსიტეტის სტუდენტი გოგონას განსახიერებას, რომელიც გენიალური და ამავე დროს, შიზოფრენიით დაავადებული მათემატიკოსის, ჯონ ნეშის (რასელ ქროუ) ცოლი ხდება. აღსანიშნავია, რომ ადრე, ჯენიფერი თავადაც სტენფორდის უნივერსიტეტში ეუფლებოდა ფიზიკასა და მათემატიკას. მსახიობმა ამ როლს მართლაც, ბრწყინვალედ გაართვა თავი. ბოლოს და ბოლოს, მისი შემოქმედება ღირსეულად შეფასდა. მანამდე, ფილმში – „რეკვიემი ოცნებაზე“ – ნათამაშები როლისთვის კონელი შედარებით მოკრძალებული ჯილდოს – Independent Spirit Award – ნომინაციაზე იყო წარდგენილი. 2002 წელს კი, მან სანუკვარი „ოსკარი“ მიიღო – „ქალის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესოდ შესრულებისათვის“, რასაც „ოქროს გლობუსიც“ უძღოდა წინ.

კონელის ბოლო ნამუშევრებია, მთავარი როლები რეჟისორ ენგ ლის სურათში – „ჰალკი“ და კინოდრამაში – „ქვიშისა და ნისლისგან აგებული სახლი“. მალე ეკრანებზე გამოვა უოლტერ სალერის ტრილერი – „მუქი წყლები“, რომელიც იაპონური სურათის რიმეიკს წარმოადგენს. ცოტა ხანში, მაიკლ კორენტეს ფილმის – „ბერკლისაკენ მიმავალი გზა“ – გადაღებებიც დაიწყება, სადაც ჯენიფერი რობერტ დიუვალსა და დასტინ ჰოფმანს გაუწევს პარტნიორობას. სურათი ეკრანებზე 2006 წელს გამოვა.

ჯენიფერ კონელი გათხოვდა და მეუღლესთან, პოლ ბეტანისთან ერთად ზრდის ვაჟიშვილს, რომელიც ჯენიფერს ფოტოგრაფ დეივ დუგანისგან შეეძინა. ცოტა ხნის წინ, ცოლ-ქმარს კიდევ ერთი ბავშვი შეემატა, რომელმაც ბედნიერი ოჯახი კიდევ უფრო გააბედნიერა.

ამ დღეებში, ერთ-ერთმა პოპულარულმა ამერიკულმა ჟურნალმა, ჯენიფერ კონელის ჩამოართვა ინტერვიუ, რომლის ყველაზე საინტერესო მომენტებს წერილის დასასრულს გთავაზობთ:

— ბედნიერი ოჯახი გაქვს, არაჩვეულებრივი მეუღლე და 2 შესანიშნავი ბიჭუნა გყავს. სამუშაო ხელს ხომ არ უშლის თქვენს ოჯახურ იდილიას?

– კინობიზნესი ძალზე მერყევი და წარმავალი რამ არის, მას უამრავი ნევროზული მომენტი, მოგზაურობა და ქაოსი ახლავს თან. ბედნიერი ვარ, რომ ოჯახის სახით, მუდმივი და მყარი ნავსაყუდელი მაქვს. სახლში შემიძლია, მოვეშვა, დავისვენო და დადებითი მუხტი მივიღო. შესანიშნავი შვილები მყავს და მათთან ერთად ყოფნას არაფერი მირჩევნია. ჩემი მეუღლეც არაჩვეულებრივი ადამიანია.

— ისეთი აკადემიური განათლება, როგორიც შენ გაქვს, ჰოლივუდში იშვიათობაა...

– პატარაობიდანვე ბევრს ვმეცადინეობდი. სწავლას პასუხისმგებლობით ვეკიდებოდი. ბავშვობაში მოდელად ვმუშაობდი და სწავლისთვის ცოტა დრო მრჩებოდა. ამიტომ კარგი ნიშნების მისაღებად თავს არ ვზოგავდი. მახსოვს,

ერთხელ, პირველკურსელთა წვეულებაზე წასვლას, ბიბლიოთეკაში ჯდომა ვარჩიე. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში კი, უკვე კინოში მიღებდნენ და ამიტომ, ორად გახლეჩა მიხდებოდა. ეს ძალზე დამღლელი იყო. დასვენებისა და გართობის საშუალება იშვიათად მეძლეოდა. ახლა ყველაფერი შეიცვალა და დაკარგულის ანაზღაურებას ვცდილობ. მინდა, რომ უფრო ხალისიანი ცხოვრება მქონდეს.

— საკუთარ თავს როგორ დაახასიათებდი?

– საკმაოდ გულჩათხრობილი ადამიანი ვარ. არავინ იცის, ჩემს სულში რა ხდება. იქ მართვის ფარული მექანიზმი მუშაობს, რომელიც სხვებივით მოქცევას მიკრძალავს... თუმცა, ბოლო დროს საკმაოდ შევიცვალე და შინაგანი ცენზურისგან გავთავისუფლდი. თავს უკვე ნაკლებად ვაკონტროლებ და ცხოვრებაც უფრო მხიარული გახდა.

— შენი მიმზიდველი გარეგნობისადმი გადამეტებულ ყურადღებას თუ შეეჩვიე?

– იმ ადამიანებთან, რომლებიც ფანატიკოსებივით შემომცქერიან და ყოველ წამს ქათინაურს მეუბნებიან, თავს მუდამ უხერხულად ვგრძნობ. ადამიანს მიმზიდველი გარეგნობა ცხოვრებაში დიდ უპირატესობას ანიჭებს. მაგრამ მედალს ორი მხარე აქვს. მინდა მჯეროდეს, რომ მე იმაზე მეტს წარმოვადგენ, ვიდრე მხოლოდ ლამაზი მკერდი და გრძელი ფეხებია. ქათინაურებისადმი ახლა სხვაგვარი დამოკიდებულებით გამოვირჩევი, რადგან მიმაჩნია, რომ ლამაზი სხეულის გარდა, საამაყო სხვაც ბევრი რამ მაქვს. და ამიტომ ვთვლი, რომ ჩემდამი ნათქვამი ქათინაურები უსაფუძვლო არ არის. ძალიან მსიამოვნებს, როდესაც ჩემს როლებს აქებენ. ეს განსაკუთრებული სიამაყით მავსებს და იმედი მაქვს, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია. ■

კიანუ რიეზი და დაიან კიტონი – როდემდე გასტანს „უთანასწორო“ რომანი?



ჰოლივუდის ვარსკვლავმა კიანუ რივზმა ახალი სიყვარული იპოვა. „მატრიცის“ ვარსკვლავის რჩეული მასზე 20 წლით უფროსი, დაიან კიტონი გახლავთ. 40 წლის რივზი და 59 წლის კიტონი ერთმანეთს ფილმის – „სიყვარული კანონების დაცვით... და მათ გარეშე“ – გადაღებებზე შეხვდნენ. ახლა ისინი სულ უფრო ხშირად ხვდებიან ერთმანეთს. კიტონი, კიანუს სახლის ხშირი სტუმარია და ტელეფონითაც ბევრს ესაუბრება. 2005 წლის დასაწყისში, კიტონი სპეციალურად ჩავიდა ჰოლივუდში, რომ დიდების ხეივანში რივზის ვარსკვლავის გახსნას დასწრებოდა. ვერავინ ბედავს პროგნოზის გაკეთებას, თუ როგორ დასრულდება ეს რომანი. მათზე საუბრისას, ჭორიკანები მეორე ჰოლივუდურ წყვილს – დემი მურსა და ეშტონ კატჩერს იხსენებენ, რომელთა რომანი, სოლიდური ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, უკვე რამდენიმე წელია გრძელდება. დაიან კიტონის ყოფილი საყვარლების სია ასე გამოიყურება: რეჟისორი ვუდი ალენი, მსახიობები: ალ პაჩინო და უორენ ბიტი. კიანუ რივზს კი, მსახიობსა და მოდელთან, ამანდა დე კადენეტთან რომანს მიაწერენ, რომელსაც მაყურებელი ფილმით – „ოთხი ოთახი“ – იცნობს. რივზი კერი-ენ მოსსაც ხვდებოდა. როდესაც რივზის მეგობარი ქალი, ჯენიფერ სიმი დაორსულდა, მსახიობმა დაოჯახება გადაწყვიტა, მაგრამ ბავშვი მკვდარი დაიბადა, 2001 წლის აპრილში კი, თავად ჯენიფერ სიმიც ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ■



პიტერ ჯექსონი – ჰოლივუდის მმართველი

კინოტრილოგიის – „ბეჭდების მბრძანებელი“ – რეჟისორი პიტერ ჯექსონი ჰოლივუდის ყველაზე გავლენიან ადამიანად აღიარეს. ჟურნალი Premiere მიიჩნევს, რომ ჯექსონი იმ უნივერსალურ რეჟისორთა ძალზე მცირერიცხოვან ჯგუფს მიეკუთვნება, რომლებიც ჰოლივუდის ხელისუფლების სტრუქტურას ცვლიან. ჯექსონთან ერთად, პლანეტის უპირველესი კინოფაბრიკის სადავეები ხელთ უპყრიათ რეჟისორსა და პროდიუსერს, სტივენ სპილბერგს (II ადგილი) და კომპანია Pixar-ის მესვეურებს სტივ ჯობსსა და ჯონ ლესეტერს, რომლებიც შარშან, მთავარ კინომაგნატებად აღიარეს, წელს კი, მესამე ადგილი აკმარეს. გასული თვის გმირი, ჯორჯ ლუკასი მეთერთმეტე ადგილს დასჯერდა. ლუკასის გარდა, ამ სიაში მსახიობები: ტომ კრუზი, მელ გიბსონი, ტომ ჰენკსი, უილ სმიტი და ჯონი დეპიც აღმოჩნდნენ. ■

ჟერარ დეპარდიე საკუთარ მიზნესს ათვართოებს



ჟერარ დეპარდიე ყირიმში ჩავიდა, სადაც უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოსთან შეხვედრას აპირებს. გარდა ამისა, მას ყირიმის ვენახების მონახულებაც უნდა. ჟერარ დეპარდიეს ჯერაც არ გადაუწყვეტია, ვენახებს იყიდის თუ უკრაინელებთან ერთობლივ საწარმოს შექმნის. მსახიობი ყირიმში ფრანგ ექსპერტებთან ერთად ჩავიდა. ის საწარმოო გაერთიანება „მასანდრისა“ და „მაყარაჩის“ ვენახების დათვალიერებას და მათი საფირმო ღვინოების დეგუსტაციას აპირებს. ■

Franz Ferdinand – იმიჯი ყველათვრია!

შოტლანდიური ჯგუფის – Franz Ferdinand – ფრონტმენს, ალექს კაპრანოსს თაყვანისმცემლები ვერაგი პარიკმახერის ხელით განადგურებული ვარცხნილობის აღდგენას სთხოვენ. თავიანთ კერპზე ზემოქმედების მოსახდენად, ფანებმა სპეციალური ონლაინ-პეტიციაც კი შეადგინეს, რომელსაც 9 მაისის საღამოსთვის, უკვე 200-მა კაცმა მოაწერა ხელი. პეტიციის მთავარი მიზანი ის გახლავთ, რომ მუსიკოსმა საკუთარ იმიჯს ყურადღება მიაქციოს, რადგან შუბლზე ჩამოყრილი თმის გაქრობის შემდგომ, მან ერთგულ თაყვანისმცემელთა თვალში, მიმზიდველობა დაკარგა.

„ალექს კაპრანოსის შუბლზე ჩამოყრილი თმა მისი ფანებისთვის თავისუფლების, გულწრფელობის, სილამაზისა და სამართლიანობის სიმბოლო გახლდათ. მაგრამ მუსიკოსმა ვარცხნილობა შეიცვალა და მისი მიმზიდველობაც გაქრა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს უსამართლო, შოკის მომგვრელი, გულსატკენი ფაქტია. გადავწყვიტეთ, მისტერ კაპრანოსს თავისუფლების, გულწრფელობის, სილამაზისა და სამართლიანობის სახელით მივმართოთ და ვთხოვოთ, თმა ისევ მოუშვას და ის მამაკაცური იმიჯი დაიბრუნოს, რომელიც ჩვენ ასე მოგვწონდა“, – ნათქვამია პეტიციაში. როდესაც კაპრანოსმა პეტიციის შესახებ შეიტყო, ერთობ გაოცდა იმ გარემოებით, რომ მისი ვარცხნილობა ხალხს ასე აღელვებს, მაგრამ პირობა დადო, რომ კარგად დაფიქრდება და შესაძლოა, სტილისტიც კი გამოიცვალოს. ■

გიგა მიძაბერიძემ პირველი სოლო კონცერტი ჩაატარა. მართალია, მას ლექს-სენივით უამრავი ტინეიჯერი არ ესტუმრა, მაგრამ ასე თუ ისე, საღამომ კარგად ჩაიარა. კონცერტი იმით გამოირჩეოდა, რომ მასზე კომპიუტერული დისკუოკეი იყო გამოყენებული და ელექტრონული და ცოცხალი მუსიკის სინთეზის მომსწრენი გავხდით. რა არის ტელეეკრანებიდან გიგას გაუჩინარების მიზეზი, რა ადგილი უკავია მის ცხოვრებაში მუსიკას და მიიჩნევს თუ არა თავს პოპულარულ შემსრულებლად?..

„მიყვარს მუსიკა, რომელსაც სექსი არ აქვს...“

ნათია ქივიძე

— გიგა, რატომ გადაწყვიტე, რომ კონცერტი მაინცდამაინც 13 რიცხვში ჩაგეტარებინა? ის შენთვის იღბლიანია?

— 14-ში მკვდარი კაცი არ გინახავთ?.. ცრუმორწმუნე ადამიანი არ ვარ.

— ეს შენი პირველი სოლო კონცერტი იყო. რატომ დაგჭირდა ამდენი დრო მის მოსამზადებლად?

— ეს იმის ბრალი იყო, რომ ვმუშაობდი ახალ ალბომზე, რომელსაც ჰქვია — „შენთვის ვმღერი მე ამ ღამეს“. მესამე ალბომს — „პირამიდები“ — 2 თვე მოვანდომე, ახალს კი, უფრო მეტი დრო დასჭირდა, იმიტომ, რომ ის მუსიკა, რომელსაც მე ვაკეთებ, არ არის ადვილი გასაკეთებელი, თან — ყველაფერს თვითონ შევეჭიდე: ტექსტსაც ვწერ, მუსიკასაც და საკუთარი სიმღერების არანჟირების ავტორიც ვარ.

— ყოველთვის ხარ სიმღერის წერის ხასიათზე?

— მუსიკა ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, მაგრამ ყოველთვის წერის ხასიათზე ნამდვილად არ ვარ, ისევე, როგორც სხვა ბევრი რამის ხასიათზე არ ვარ ხოლმე. მე ტექსტსა და მუსიკას ცალ-ცალკე არ ვწერ, ეს ყველაფერი ერთდროულად ხდება. უბრალოდ, ჯერ ტექსტს ვწერ, მერე, როცა ვიღლები, არანჟირებაზე გადავდივარ, მერე — მუსიკაზე და ა.შ. ერთმანეთს ვუნაცვლებ, რომ არ მომბეზრდეს ერთი და იმავე საქმის კეთება. შეიძლება ითქვას, რომ სტუდიიდან საერთოდ არ გამოვდივარ. წერის პროცესი ძალზე რთულია. ეს ალბომი უკვე ორი თვეა, რაც იყიდება. რაც შეეხება ჩემს სოლო კონცერტს, რა თქმა უნდა, „მაესტროსთან“ ერთად მომზადდა, რადგან მე მასთან კონტრაქტი მაქვს გაფორმებული.

— ამ ბოლო დროს, „მაესტროს“ გადაწყვეტილებით, შენი სიმღერები, მისი არხის გარდა, არც ერთი ტელევიზიით არ გადის. ეს შენს პოპულარობას არ აზარალებს?

— ეს შემოქმედებითი ჯგუფის გადაწყვეტილია. ჩემს პოპულარობაზე მოქმედებს თუ არა, ვერ გეტყვი. მე ვერ ვგრძნობ, რომ ეს ფაქტი ჩემს პოპულარობაზე უარყოფითად მოქმედებდეს. ვისაც ჩემი შემოქმედების მოსმენა უნდა, „მაესტროზეც“ კარგად მოისმენს. პოპულარობა კი, არც არასოდეს მაღელვებდა და არც ამაღელვებს. ჩემი თვითმიზანი პოპულარობა არასოდეს ყოფილა. მუსიკას ჩემთვის, ჩემი სულიერი მდგომარეობისა და სიმშვიდისთვის ვაკეთებ. მე მიყვარს მუსიკა და ამით ყველაფერია ნათქვამი.

— როგორც ვიცი, შენი შემოსავლის წყარო მხოლოდ საკუთარი სიმღერებია, რომლებიც კომერციული თვალსაზრისით, დიდად მომგებიანი არ არის...

— მართალია, ჩემი სიმღერები მატერიალური თვალსაზრისით მომგებიანი არ არის. თუ მატერიალურ თვალსაზრისს გამოვეკიდები, მაშინ საერთოდ ვერაფერს ჩავწერ, არ გამომივა ასეთი პროდუქცია. საერთოდ, ადამიანმა მუსიკას ასეთი თვალით არ უნდა შეხედოს და არც მე ვუყურებ. შეიძლება, ოდესმე დადგეს დრო, როცა ამ საქმეს აღარ გავაკეთებ, რადგან ძნელია, როცა ასაკი გემატება და ფული არ გაქვს.

— რამდენი წლის ხარ?

— 28-ის.

— მაშინ, სიბერისგან ჯერ შორს ყოფილხარ...

— კი, მაგრამ ზოგადად ვამბობ. ადამიანი როცა იზრდება, მერე უკვე სხვანაირად აზროვნებს. მე სიმღერის გარდა, სხვა შემოსავლის წყარო არ მაქვს. უბრალოდ, ბავშვებს ვამზადებ ინგლისურში (მოგეხსენებათ, პროფესიით უცხო ენების სპეციალისტი ვარ) და გიტარაზე დაკვრასაც ვასწავლი, თუმცა, როცა კონცერტს ვამზადებდი, მოსწავლეებს ვერ ავიყვანდი. ასე ვლავირებ, ხან კონცერტს ვამზადებ, ხან ალბომს ვწერ, მაგრამ სადამდე მეყოფა ძალები, არ ვიცი...

— თავისუფალ დროს რას აკეთებ?

— თავისუფალი დრო ფაქტობრივად, არ მაქვს. თუ სტუდიაში არ ვარ, მივდივარ დედასთან ან ჩემს შვილთან. ასეა — „ცხოვრება მიდის, როგორც არასდროს“...

— შენს პირად ცხოვრებაში თუ არის რაიმე სიახლე?

— ალბათ, ის გაინტერესებთ, ვინმე მიყვარს თუ არა. არავინ არ მიყვარს. მიყვარს ისევ და ისევ ჩემი მუსიკა, რომელსაც სექსი არა აქვს და ეს სიყვარული ჩემი სულიერებისთვის ამ ეტაპზე, აბსოლუტურად საკმარისია, რადგან ადამიანში ყველაზე მთავარი, სულიერებაა...

■



მანჩესტერელთა წითური პრინცი

პოლ სკოულზში „მანჩესტერ იუნაიტედის“ ქომაგები ყოველთვის რაღაც განსაკუთრებულს ხედავდნენ. ეს ჯერ კიდევ 10 წლის წინ გახდა თვალში საცემი — მას შემდეგ, რაც სკოულზმა თავის სადებიუტო მატჩში Port Vale-ს კარში ორი გოლი გაიტანა. ის დღემდე აღაფრთოვანებს მაყურებელს თავისი ზუსტი და ტექნიკური დარტყმებით, გამოზომილი პასებითა და მოედნის უნაკლო ხედვით.

რაიან გიგზი, ნიკი ბატი, პოლ სკოულზი, ძმები ნევილები და დევიდ ბექჰემი ერთმანეთს ბავშვობიდან იცნობენ. როდესაც ისინი 1991 წელს, ერთად გამოჩნდნენ პირველად „მანჩესტერის“ ძირითადი და ახალგაზრდული შემადგენლობების საწვრთნელ შეხვედრაში, „წითელი ეშმაკუნების“ მაშინდელ კაპიტანს, ბრაიან რობსონს უთქვამს: „ოქროს თაობა! „მანჩესტერ იუნაიტედის“ მომავალი საიმედო ხელშია. ეს ეშმაკუნები მსოფლიოს შეძრავენ! მალე აქტიურ ფეხბურთს გამოვეთხოვები, მათი დევნა ჩემთვის ნამდვილად უაზრობა იქნება“...

შემდგომში, „შესანიშნავი ექვსეული“ წლების მანძილზე, მოედანსა და ცხოვრებაშიც განუყოფელი იყო. პოლ სკოულზს კი, გასული საუკუნის 90-იან წლებში, „მანჩესტერის“ წარმატებაში ლომის წილი მიუძღვის. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ სკოულზი მანჩესტერელ ფანთა საყვარელი ფეხბურთელია და მისთვის მოფერებით „წითური პრინცი“ შეურქმევიათ. თუ ინგლისური გრანდის ქომაგებს შეეკითხებით — რატომ აღმერთებენ პოლს? — ისინი დაუფიქრებლად გიპასუხებენ: „არაჩვეულებრივი თამაშისა და დიდი საფეხბურთო ინტელექტის გამო!“ ბევრი მის ფანტასტიკურ პასებსა და ულამაზეს გოლებს გაიხსენებს, ზოგი — მის უნივერსალობას გაუსვამს ხაზს და შეგახსენებთ, რომ სკოულზს თანაბარი წარმატებით შეუძლია თამაში დაცვაშიც, ნახევარდაცვაშიც და თავდასხმაშიც. გარდა ამისა, „წითური პრინცი“ ნამდვილი ლიდერია, ლაღად მოძრაობს მოედანზე და სათამაშო სცენარის მომენტალურად შეცვლაც ხელეწიფება.

თუმცა, პოლ სკოულზი გულშემატკივრებს მხოლოდ მისი საფეხბურთო მონაცემების გამო როდი აღაფრთოვანებს. „ჩვეულებრივი გოლი გავიტანე და მეტი არაფერი“ ან — „ისეთი დიდებული პასი მივიღე, როგორ შეიძლებოდა, არ გამეტანა?..“ — ასეთ ფრაზებს წარმატებული მატჩის შემდეგ ხშირად მოისმენთ პოლისგან. დიახ, „იუნაიტედის“ ღირსებას იცავს მოთამაშე, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა, მაგრამ უჩვეულო თავმდაბლობითა და უბრალოებით გამოირჩევა და პრესასთან ურთიერთობასაც თავს არიდებს. ყოველი შეხვედრის შემდეგ, „წითური პრინცი“ სწრაფად ტოვებს მოედანს, რათა შხაპი მიიღოს და შინისკენ გაეშუროს.

ფეხბურთის ქომაგები და მიმომხილველები ხშირად ადარებენ ერთმანეთს დევიდ ბექჰემსა და პოლ სკოულზს. „მანჩესტერის“ ჭეშმარიტი ქომაგები კი, ამ ორ დიდოსტატს შორის უპირატესობას ყოველთვის „წითურ პრინცს“ ანიჭებდნენ. არა მხოლოდ იმიტომ, რომ „რეალის“ ნახევარმცველისგან განსხვავებით (რომელიც ლონდონელია), იგი ნამდვილი მანჩესტერელია. თვით „მანჩესტერ იუნაიტედში“ დევიდის ასპარეზობის ბოლო წლებშიც, როდესაც ის მთელი ევროპის მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა და ნამდვილ შოუმენად იქცა, ინგლისური კლუბის ფანები მასზე წინ მაინც პოლს აყენებდნენ. ბექსის მაღაზიაში შესვლაც კი, საზოგადოების მხრიდან მისდამი გადაჭარბებული ინტერესის გამო, ხალხის თავშეყრის გარეშე არასოდეს სრულდება. სკოულზი კი, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გამოჩენას ყოველთვის შეუმჩნევლად ამჯობინებს.



„მანჩესტერის“ ქომაგები ყოველთვის მიიჩნევდნენ, რომ „წითური პრინცი“ ბექჰემზე უკეთესად თამაშობს. მას შემდეგ, რაც 2002-03 წლების სეზონში, პოლმა 20 გოლი გაიტანა, მის მიმართ საფეხბურთო სამყაროს ყურადღება კიდევ უფრო გამძაფრდა. მაგრამ ამ გარემოებას „მანჩესტერელი“ სულაც არ შეუცვლია. პირიქით — „წითური პრინცი“ მისდამი ამგვარი ყურადღებით შეშფოთებულიც კია. ის იშვიათად თანხმდება ტელეინტერვიუზე, ხოლო როდესაც ამას აკეთებს, ამბობენ, ამ დროს თავს მეტისმეტად არაკომფორტულად გრძნობსო. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ამ ამპლუაში მყოფს, ერთი სული აქვს, მალე დატოვოს იქაურობა.

მაშინ, როცა რუდ ვან ნისტელროი, უეინ რუნი და კრიშტიანუ რონალდუ სისტემატურად ხვდებიან ჟურნალ-გაზეთების პირველ გვერდებზე, „წითური პრინცი“ ქომაგთა დიდი სიყვარულით კმაყოფილდება და მხოლოდ თამაშზეა კონცენტრირებული. „მ ჩესტერის“ ერთგული გულშემატკივრები ხაზს უსვამენ იმას, რომ პოლი შოუვარსკვლავი არ არის. ის ფეხბურთელთა იმ კატეგორიას არ მიეკუთვნება, რომლებიც მასმედიასთან ურთიერთობას უფრო დიდ ყურადღებას უთმობენ, ვიდრე ფეხბურთს. უბრალოდ, სკოულზი მუდამ 100%-ით იხარჯება მოედანზე და ამას ყოველგვარი თვითრეკლამის გარეშე აკეთებს. ■

ჯიჭა ისევ განქორწინებას აპირებს

რონალდოს პირად ცხოვრებაში ნამდვილად არ უმართლებს. ცოტა ხნის წინ, ცნობილი გახდა, რომ იგი ახალშერთულ მეუღლეს, დანიელა ჩიკარელის ეყრება. როგორც ცნობილია, კიჭას პირველი ქორწინებაც წარუმატებელი აღმოჩნდა. მილენე დომინგეშთან განშორების შემდეგ, ბრაზილიელ ვარსკვლავს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ეს მის ცხოვრებაში ერთ-ერთი მძიმე ეტაპი იყო. მილენესთან მას ვაჟიშვილი რონალდი ჰყავს. ახლა კი, „რეალის" ფორვარდი პარიზის მახლობლად მდებარე ძველ ციხესიმაგრეში გადახდილი ქორწილისა და დანიელა ჩიკარელისთან სამთვიან ქორწინებაში ყოფნის შემდეგ, კვლავ მარტო რჩება (დიდი თუ მცირე ხნით, ეს თავად მისი გადასაწყვეტია). სააგენტო Reuters იუწყება, რომ ბრაზილიელი მოდელის თქმით, რომელიც ამავე დროს, პოპულარული ტელეწამყვანიცაა, უახლოეს მომავალში ის და რონი განქორწინების შესახებ ოფიციალურ განცხადებას გააკეთებენ, თუმცა მიზეზების გახმაურებას არ აპირებენ. ■

ჟინოლა ჯინომ გაიტაცა

საფრანგეთის ნაკრების ყოფილი წევრი, დავიდ ჟინოლა საკუთარი ძალების კინოში მოსინჯვას განაგრძობს. როგორც ცნობილია, ამ სფეროში მისი დებიუტი შარშან კანის კინოფესტივალზე შედგა (მოკლემეტრაჟიან ფილმში – „როსტბიფი"). ამჯერად კი, 37 წლის სპორტსმენი ფილმში – „უკანასკნელი წვეთი" – გადაიღეს, რომლის პრემიერაც ასევე კანის ფესტივალზე 16 მაისს გაიმართა. ფილმი მეორე მსოფლიო ომს ეძღვნება, რომელშიც ჟინოლა ნაცისტი სნაიპერის როლს ასრულებს. საგულისხმოა ისიც, რომ ამჟამად დავიდი „წითელი ჯვრის" კომპანიაში და იუნესკოს აქციებში აქტიურად მონაწილეობს, რაც ბავშვთა დახმარებას ითვალისწინებს. ფილმის გადაღებები შარშან რუმინეთში მიმდინარეობდა და ფრანგ ფეხბურთელს ამერიკელი მსახიობები – ბილი ზეინი და მაიკლ მედსენი უწევდნენ პარტნიორობას. „უკანასკნელი წვეთის" გადაღებამდე, ჟინოლამ ლონდონის დრამატული ხელოვნების სამეფო აკადემიაში გაიარა სწავლების კურსი. „არ შემიძლია იმის თქმა, რომ უკვე მსახიობი გავხდი, ვარ ფეხბურთელი, რომელიც მსახიობის ოსტატობას ეუფლება, – ამბობს დავიდი, – თავადაც ვსწავლობ და სხვებსაც ვაკვირდები. კინოში, შეცდომის გამოსწორება მორიგი დუბლის მეშვეობითაა შესაძლებელი, ფეხბურთში ასეთ შანსს არავინ მოგცემს". ■

პელე მსახიობობაზე ოცნებობს

პელე არ მალავს, რომ მას აქვს ოცნება, რომელიც ჯერაც ვერ აისრულა. „თეატრის მსახიობის პროფესია ყოველთვის მიზიდავდა, – ამბობს ფეხბურთის მეფე, – გპირდებით, მანამდე არ მოვკვდები, ვიდრე რომელიმე როლს არ შევასრულებ". ბრაზილიელი ვარსკვლავის აზრით, ფეხბურთსა და თეატრს ბევრი რამ აქვს საერთო – მაგალითად, ხალხი თეატრშიც დადის და სტადიონზეც. პელეს თქმით, მოედანზე ის ლიდერი იყო, ამიტომ თეატრშიც მთავარი როლის შესრულებას აპირებს. ამბობენ, ის მრავალმხრივ ნიჭიერი ადამიანიაო. პელე დიდი საფეხბურთო ბიოგრაფიის მქონე პიროვნებაა. მის აქტივშია აგრეთვე, წიგნი თავისი კარიერის შესახებ, საქმიანობა ყავის ბიზნესში. გარდა ამისა, პელე აქტიურად მონაწილეობს პოლიტიკურ პროცესებში და, ბოლოს, საკუთარი სიმღერებიც ჩაუწერია. ასე და ამგვარად, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ერთ მშვენიერ დღეს, მართლაც, სცენაზე, სპექტაკლში მთავარი როლის ამპლუაში მოგვევლინება. ■

ჯლოზე – სამართლიანობის ნიმუში

ბრემენის „ვერდერისა" და გერმანიის ნაკრების ფეხბურთელი, მიროსლავ კლოზეს ქვეყნის ოლიმპიურმა საზოგადოებამ გადასცა სპეციალური ჯილდო – DOG. ეს პრიზი ფეხბურთელმა „არმინიასთან" გამართულ მატჩში გამოვლენილი სამართლიანობისთვის მიიღო. ანგარიში 0:0 იყო, როდესაც შეხვედრის არბიტრმა, ჰერბერტ ფანდელმა ჩათვალა, რომ „არმინიის" საჯარიმოში მეკარე მათიას ჰაინემ კლოზესთან ორთაბრძოლისას თამაშის წესი დაარღვია და „ვერდერის" სასარგებლოდ პენალტი დანიშნა. მაგრამ მიროსლავი მსაჯთან მივიდა და აუწყა, რომ გოლკიპერს მის წინააღმდეგ თამაშისას არ უუხეშია. ამის შემდეგ, ცხადია, ჰერბერტ ფანდელს ისღა დარჩენოდა, რომ გადაწყვეტილება შეეცვალა. მიუხედავად ამისა, მატჩი ბრემენელთა გამარჯვებით – 3:0 დასრულდა და ერთი გოლის გატანა კლოზემაც მოახერხა. „მიმდინარე სეზონში ქვეყნის ჩემპიონატში არაერთხელ გავმხდარვართ იმის მოწმენი, რომ მოთამაშეებმა, მსაჯის მოტყუების გზით, თეთრთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმის უფლების მოპოვება შეძლეს. ამ ფონზე, კლოზეს საქციელი ყველასათვის სამაგალითოდ უნდა იქცეს," – დასძინა DOG-ის თავკაცმა, ჰანს-იოჰიმ კლიაინმა. თავად ფეხბურთელმა კი განაცხადა: „ჩვენ ახალგაზრდა მოთამაშეებისთვის მისაბაძ მაგალითს წარმოვადგენთ. ისინი მშვენივრად ხედავენ, თუ როგორ ვიქცევით მოედანზე. კარგი იქნება, თუ ახალგაზრდები დაიჯერებენ, რომ მატჩების მოგება სამართლიანი თამაშით შეიძლება". ■

სამუდამოდ გამოფხიზლებული

ინგა ჯაყელი

ამაოდ ეძახდნენ მთელი კვირის განმავლობაში მერაბია თარგამაძეს ძმაკაცები: გამოი გარეთ, ორი კაპიკი ვიშოვეთ, ჯართი ჩავაბარეთ და არაყი ვიყიდეთ, უშენოდ ყელში არ გადაგვდისო! – მაგრამ გაგიგონია?! – იყო მომაკვდავივით კედლისკენ მიბრუნებული და ბატონებიანი ბავშვივით გაბუტული წარბს არ ხსნიდა...

ერთი-ორი დღე კი იყო გახარებული მისი ცოლი, ხოლო სიდედრი საერთოდ ცას სწვდებოდა სიხარულით: გვეშველა, გონია, გაჭრა ჯადომ და აწყინა ღვინო-არაყმა, აღარ უნდა სმაო!.. მაგრამ კვირის თავზე, ისიც შეშფოთდა და ტაბურეტი მიიდგა სიძის საწოლთან, თავის დღეში რომ არ ყოფილა, იმისთანა ნაზი და ალერსიანი ხმით შეაპარა:

– დედა, შვილო, ხომ მშვიდობაა ჩვენს თავს?!.

– გონია, მართლა ვკვტები! – დაიგმინა მერაბიამ და ყურებზე აიფარა ხელისგული, მერე ცოლს გასძახა: – გეიყვანე დედაშენი ოთახიდან, წყნარად სიკვტილი მაცალეთ...

– სასიკვტილო რა გჭირს, ხარივით აბრიალებ თვალებს, არ გადამრიო!.. – ხმას აუწია მზიამ და მთლად გადარია კაცი.

– რაის დედაშვილობია ოუტყდა, აპა, ამ საღამოს, ჩვენ შორის მტყუნის... რავარც მე მაგას ვუყვარვარ და ვედარდები! – ხელი გაიშვირა სიდედრისკენ.

– ცეცხლი დალია შენმა პირმა, მდუღარე! რა ჩახეთქე ამფერი, მთელი კვირაა, ფეხზე რომ ვერ ადექი?!. – სიდედრსაც უმტყუნა ნერვებმა და ფეხზე წამომდგარმა, ისეთი წიხლი ჰკრა ტაბურეტს, შუშაბანდში ფანჯარა ჩაიმსხვრა ზრიალით...

– დევიღუპეთ, გონია, მერაბიისასაა გლახა ამბავი! – თქვა ეზოში შეკრებილ ბიჭებში ვასიკომ და პირველი გავარდა თარგამაძეების ეზოსკენ. უკან მიჰყვნენ სირბილით რეზოია და დათოია. კართან სული მოითქვეს და პანაშვიდზე მისულებივით მძიმედ შეაბიჯეს შუშაბანდში.

– ჯოჯოხეთს ნიგუზალი აკლდა კიდო!.. – მთლად გადაირია მერაბიას სიდედრი, სიძის მეინახეების დანახვისას და თვალით აშკარად ცოცხს დაუწყო ძებნა...

ისევ მზიას შერცხვა და დედა გარეთ გაიყვანა:

– დეიწვა ჩემი ბედ-იღბალი, წევიდეთ, გევეცალოთ, თვარა, გასკტა გული და მეტი კი არაფერი უნდა ამგენს, ჩვენი გასვენებაც ერთი მიზეზი ექნებათ დასათრობათ!..

ბიჭების დანახვაზე დაწვა ისევ მერაბია და კედლისკენ გადაბრუნდა დანაშაულზე წასწრებული, დარცხვენილი ბავშვივით.

– აღარ იტყვი, რა მოგვიდა?! – საწოლზე ჩამოუჯდა რეზო.

– ნუ დაგვზაფრე, შენი ჯავრით, არაყიც აღარ გვათრობს, რა ჭირი გეტაკა ამფერი? – მსუბუქად უსაყვედურა დათოიამ.

– ე, ბიჭო, ამეიღე ხმა, თვარა, ჩვენს ძმობას ვფიცავარ, ვენები თვარ გედევიჭრა! – გამოამღაბავნა სიფიცხე ვასიკომ.

...ნელა, მძიმედ გადმობრუნდა და წამოჯდა საწოლში მერაბია, რეზოს ანიშნა, კარისკენ და ჩურჩულით უთხრა: ნახე, ჩემი სიდედრი არ იყოს კარზე მოყურადებულიო!.. რეზოც, ფეხის წვერებზე მივიდა კართან, შეაღო და მერე გულდაგულ ჩარაზა.

– ე, ბიჭო, ამოღერღე, რა უბედურება გეტაკა ამფერი! – ისევ ვასიკოს უმტყუნა ნერვებმა და გულზე წაივლო ხელი ავის მოლოდინში.

– ხომ გახსოვთ, რაფრა დავთვერით თამაზიას სიმამრის გასვენებაში გასულ სამშაფათს? – დაიწყო მერაბიამ.

– მთვრალი რომ ვიყავი, ვიცი, მარა მეტი არაფერი მახსოვს, ის ღამე ეზოში გამითენებია. გამწარებულმა ჩემმა ცოლმა არ დაანება ბაღნებს თურმე ჩემი სახლში „ატანა“, – ხელი ჩაიქნია ვასიკომ.

– ნამდვილად ზედმეტი მოგვივიდა, არც მე მახსოვს რამე! – აღიარა დათოიამ.

– მე, კიდო, იმფერი რამე დამემართა, – განაგრძო მერაბიამ, – სამუდამოთ გამოვფხიზლდი და აწი არ მითხრათ დალევა, თვარა, ან თავს მევიკლავ და ან შემომაკვტებით რომელიცხა... შენ რომ „მიგასვენე“ სახში, რეზოია და გადაგკიდე ღობეზე, ნებიერიძეების ნაგაზი დამხვდა ჭიშკარში, მიყურებდა კაცივით ჭკვიანი თვალებით და თითქოს მეუბნებოდა: სირცხვილი არაა, შენ კაცი გერქვას და მე – პირუტყვიო?!. ოვუშარდი და გედევირიე: შენ მაკლიხარ ახლა ჭკუის მასტავლებლად, სიგრძე და სიგანე ხვარ გატყუებს-თქვა! – და მუშტი ჩავარტყი თვალებ შუა.

– არ გადამრიო, კაცო! ნებიერიძეების მოსკვიჩას, ხბოს ხელა რომაა ტანად და დათვს მიუგავს თავი?!.

– კი, ბატონო, მაგ მოსკვიჩას სტორედ... უცებ გოუკვირდა ეტყობა და მოულოდნელობისგან უკანა თათებზე ჩაცუცქდა. მეც, მევერიე-თქვა და კიდო ავმართე მუშტი, რომ... დაკრიჭა კბილები და იმფერი ისკუპა, მიწა გამათხრევია ცხვირით და გონი დავკარგე. არ ვიცი, რამდენ ხანს ვეგდე ასე და რამ მომიყვანა, თუ იცით, გონს?.. – კოსტუმში კბილებით ჩაფრენილი მოსკვიჩა მიწაზე მიმახოხებდა... შიშით განძრევაც ვერ გავბედე და ვაცალე – ნეტა, რას იზამს-თქვა?.. მომათრია ჩემი სახლის ჭიშკართან, კაცო და ორჯერ დეიყეფა – კაცივით დეიძახა თითქოს. ჩემმა ბიჭმა გააღო კარი და რომ მიხვდა მოსკვიჩა, – მეშველაო, ასწია უკანა თათი, მომაფსა და გამარჯვებული ძიუდოისტივით გოუყვა სახლისკენ გზას... ე-უ-უ, რა დემემართა, თუ იცით!.. ბავშვი შემეცოდა, თვარა, იქვე მევიკლავდი თავს... კაცი ვარ ამის მერე?!. ძაღლიც მიხვდა, რისი ღირსიც ვიყავი და 13 წლის ბაღანა კიდო ატირებული მეხვერწებოდა: მემეხმარე, ბაბაია, ჩუმათ შეგაპარო სახში, რას გავხარ, სირცხვილია, ბებია და დედიკო რას იტყვიენო?!.

– ე-უჰ, არ გადამრიო, კაცო, ძაღლმა თავზე დაგაოხრა?! – შეიცხადა რეზომ.

– არ ვიყავი ღირსი?! – თვალი მოარიდა ძმაკაცებს მერაბიამ. – თქვენ წაით და ღმერთმა მოგცეთ ქეიფის ხასიათი, მე კიდო, მოვრჩი – ღმერთს ვფიცავარ, აწი რძის და ჩაის მეტი თუ რამე დავლიო! – ფიცის ურყევობის დასტურად პირჯვარიც გადაისახა კაცმა.

...პირველი ვასიკო გავიდა გარეთ. უკან მიჰყვნენ რეზოია და დათოია, საჯდომზე ხელდაწყობილები, და... მწარედ დაფიქრებულები...

■

ნუმეროლოგიური ამანათები 167 რიცხვის სიფრონის

იმისათვის, რომ გავიგოთ საკუთარი ბედისწერის ციფრი (ნუმეროლოგიური კოდი, „მატრიცა“), საჭიროა, გამოვთვალოთ იგი. ამისთვის კი, უნდა შევკრიბოთ ჩვენი დაბადების წლის, თვისა და დღის რიცხვები. მაგ: ადამიანი დაიბადა 1971 წლის 13 დეკემბერს.
13(დღე)+12(თვე)+1971(წელი)=1+3+1+2+1+9+7+1=25. ეს კი დავიყვანოთ ერთნიშნა ციფრამდე 2+5=7. ე.ი. ამ კონკრეტული ადამიანის ბედისწერის ციფრი იქნება 7, რომელიც პლანეტა ნეპტუნს შეესაბამება. ზუსტად ასევე უნდა შეიკრიბოს 2000 წლის შემდეგ დაბადებული ადამიანის დაბადების თარიღი. მაგ: 2001 წლის 7 მაისი.
7+5+2+1=15=1+5=6 (რა თქმა უნდა, შეკრების დროს, ნული მხედველობაში არ მიიღება). ამ პიროვნების ბედისწერის ციფრია 6 და ის იქნება პლანეტა ვენერას მფარველობის ქვეშ. ქვემოთ იხილეთ ცხრავე ციფრის ნუმეროლოგიური ინტერპრეტაცია.

1. ადამიანი, რომლის ციფრია 1, ნოვატორი გახლავთ. ამაყია, რაც ზოგჯერ ამპარტავნებაშიც გადასდის. ახასიათებს ძლიერი ნებისყოფა და შეუპოვრობა. აქტიურია, მუდამ ლიდერობისკენ მიისწრაფვის. მებრძოლია და ხშირადაც აღწევს დასახულ მიზანს, რაც ამბიციურობას უწყობს ხელს. თითქმის არასდროს ექცევა გავლენის ქვეშ. თუ მის საქმიანობას (განსაკუთრებით ბავშვობაში) კონტროლი არ გაეწია, შესაძლოა, საკუთარი პოტენციალი ცუდი მიზნებისთვისაც გამოიყენოს. გულუხვი და სულგრძელია. მოსალოდნელია, საკუთარმა წარმატებებმა ეგოისტად ჩამოაყალიბოს. გარშემო მყოფებზე კარგ შთაბეჭდილებას ახდენს, რადგან მისი პლანეტა მზეა.

2. ადამიანი, რომლის ციფრია 2, მოკრძალებული და დიპლომატიურია. მუდამ მზადაა სხვათა დასახმარებლად. ერთგულია და ტაქტით გამოირჩევა. ყურადღებას იჩენს ირგვლივ მყოფების მიმართ. დაინტერესებულია შეუცნობელი მოვლენებით. მისი დევიზია: „ვიდჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი“. ერიდება უსიამოვნებებს და მუდამ ცდილობს, თავი აარიდოს კონფლიქტურ სიტუაციებს. ზოგჯერ ტყუილსაც მიმართავს, თუმცა, ეს მხოლოდ მისი მეოცნებე ხასიათიდან გამომდინარეობს. ცხოვრებისეული ჰარმონიის დარღვევისას, დეპრესიაში ვარდება. კარგი განათლების მიღების შემთხვევაში, მისგან კარგი მრჩეველი, ფსიქოლოგი ან ასტროლოგი დგება.

3. 3-ანი „სრულყოფილი ციფრია“, ამიტომ მისი „მფარველობის“ ქვეშ მყოფი ადამიანი ყველაზე მეტად აფასებს სრულყოფილებას. კეთილი, ნიჭიერი და ბეჯითია, ოპტიმიზმითა და ენერგიულობით გამოირჩევა. სიცოცხლით ტკბობის უნარითაა დაჯილდოებული. მისი დევიზია: „იცხოვრე და სხვებსაც მიეცი ცხოვრების საშუალება“. კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ კარგ დღეებს, უსიამოვნებები ენაცვლება ხოლმე, ამიტომ დეპრესიაში არ ვარდება და აქტიურად ებრძვის ხოლმე ცხოვრებისეულ სიძნელეებს. არ მიიღტვის სხვათა ჩაგვრისაკენ, ზოგჯერ თავად ემორჩილება სხვებს, ზოგჯერ კი, პირიქით, თვითონაც იმორჩილებს. მაგრამ ეს უმეტესად, სასიყვარულო ურთიერთობებში ახასიათებს.

4. ამ ადამიანს ანალიტიკური და ორიგინალური აზროვნება ახასიათებს (ჩვეულებრივ, ეს გენიოსების ციფრია). დამოუკიდებელი ხასიათი აქვს, აინტერესებს საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტიკა, კოსმოსი. უყვარს მოგზაურობა, განსაკუთრებით — ეგზოტიკურ ადგილებში. მიიღტვის განმარტებისკენ. არ უყვარს აუწონავი ნაბიჯების გადაგმა. თუ ხელოვნებაში მოღვაწეობს, უმეტესად, აბსტრაქტულ სახეებს ქმნის. იტაცებს მისტიკა და ოკულტური მეცნიერებები. გამოირჩევა ინტუიციით. ცდილობს, იყოს ორიგინალური და ამის გამო ხშირად, მტრებსაც იჩენს. მიისწრაფვის სრულყოფის მიღწევისკენ. შესანიშნავად ერკვევა ტექნიკაში. კომპიუტერულ ხულიგანთა (ჰაკერების) უმეტესობა სწორედ ამ ციფრის ქვეშ არის დაბადებული.

5. ამ ციფრის ქვეშ დაბადებული ადამიანი გამოირჩევა სწრაფი და ლოგიკური აზროვნებით. აფასებს თავისუფლებას. მოუსვენარი და დაუდგრომელია. უყვარს თავგადასავლები და რისკიანია, თუმცა, ეს ხშირად, პრობლემებს უქმნის. უყვარს ბევრი საქმის ერთდროულად კეთება, მაგრამ ხშირად, არც ერთი არ მიჰყავს ბოლომდე. იმპულსურია, მუდამ დღევანდელი დღით ცხოვრობს და შემთხვევითობის იმედი აქვს. ხასიათის ცვალებადობის გამო ნევროზი და ზოგჯერ ისტერიკაც კი ემართება.

6. აფასებს ჰარმონიას, სილამაზეს, წონასწორობასა და სტაბილურობას. პატიოსანი და კეთილშობილია. საკუთარი ღირსების მძაფრი შეგრძნებით გამოირჩევა. სილამაზის ტრფიალია. აღმერთებს საკუთარ ოჯახს და ხშირად, მისთვის უმთავრეს მიზანს სტაბილური და ბედნიერი ქორწინება წარმოადგენს. თუმცა, სიჯიუტის გამო, აუტანელიც არის ხოლმე. თითქმის სიცოცხლის ბოლომდე, მეურვეობს შვილებს და მზადაა, მათთვის თავიც გაწიროს. ძალზე მოწესრიგებულია. უყვარს მშვიდ გარემოში ყოფნა, მაგრამ წონასწორობიდან გამოსვლის შემთხვევაში, შეუძლია, ყველაფერი გადათელოს. მეტისმეტად ვნებიანია და სიყვარულისთვის მსხვერპლსაც გაიღებს.

7. დიდი სიყვარულის უნარი, ფილოსოფიისა და მისტიციზმისკენ მიდრეკილება ახასიათებს. ძალზე მგრძნობიარეა, ამიტომ ნეგატიური გარემო მასზე გამანადგურებლად მოქმედებს. განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ახლობლების, განსაკუთრებით — გაჭირვებაში მყოფების მიმართ. საერთოდ, პატრონობს დაჩაგრულებს, დავდომილებსა და მოხუცებს. ზოგჯერ ეს გადაჭარბებული მზრუნველობა მას დათვურ სამსახურსაც უწევს... მახვილი ინტუიციის წყალობით, ხშირად წინასწარმეტყველის ამპლუაშიც შეიძლება მოგვევლინოს.. მისთვის ფულსა და ძალაუფლებას არავითარი ღირებულება არ გააჩნია და მხოლოდ იმისთვის სჭირდება, რომ გაჭირვებულებს დაეხმაროს.

8. სამართლიანობისა და პასუხისმგებლობის გამახვილებული გრძნობით გამოირჩევა. შესაშური მიზანდასახულობა ახასიათებს. გამრჯე, ერთგული, გაწონასწორებული და საიმედოა. კონსერვატორია, მისგან იშვიათად დგება ნოვატორი და გამომგონებელი. აქვს ორგანიზატორული ნიჭი და საქმის ბოლომდე მიყვანის უნარი. კეთილსინდისიერად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს. წვრილმანებზე ყურადღების გამახვილების გამო, ზოგჯერ ავიწყდება ძირითადი მიზანი. არ უყვარს ცვლილებები. გადაწყვეტილების მიღების წინ, ბევრს ფიქრობს და ამის გამო, ზოგჯერ ზედმეტად ყოვნდება. მაგრამ დასახულ მიზანს მაინც ხშირად აღწევს.

9. ეს ყველაზე ძლიერი ციფრია (ზოგიერთი ნუმეროლოგი ცხრიანს ბრძოლისა და ნგრევის სიმბოლოდ მიიჩნევს). ამ ციფრის ქვეშ დაბადებული ადამიანი კონცენტრაციის დიდი უნარით გამოირჩევა. თავდაჯერებულია. მის ნებისყოფას ბევრი აღტაცებაში მოჰყავს. შეუძლია, მთები გადააბრუნოს. ზოგჯერ, ფანატიკოსადაც კი იქცევა. მისთვის უცხოა შუალედური გადაწყვეტილებები, ამიტომ მისი დევიზია — „ან გამარჯვება, ან — სიკვდილი“. მომთხოვნია, როგორც საკუთარი თავის, ისე სხვების მიმართ. ხშირად ახდენს ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს ძალაუფლების ხელში ჩაგდება სწადია, რაც ხშირად, სიმართლეს არ შეეფერება. მართალია, მას ძალაუფლება უყვარს, მაგრამ — მხოლოდ დაფარული: ურჩევნია, სიტუაცია კულისებიდან გააკონტროლოს... განრისხების დროს შეუძლია, არა მარტო სხვები, არამედ საკუთარი თავიც „დაგესლოს“.

■

მოამზადა რამაზ ბიგაურმა

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ

(19 - 25 ᲛᲐᲘᲡᲘ)

ᲛᲔᲠᲫᲘ — 21/III-20/IV

გადატვირთული გრაფიკისა და დაძაბული რიტმის გამო მოსალოდნელია, გადაიღალოთ, ამიტომ შეეცადეთ, დროებით ყველა საქმე გვერდზე გადადოთ და საფუძვლიანად დაისვენოთ. თუ საყვარელ საქმეს დიდი ხნით ვერ მოსწყდებით, მაშინ შეეცადეთ, ძილი მოიწესრიგოთ. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და სასწორთან, ნეგატიური — თხის რქასა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები:** 20, 21, 23. **ნეგატიური დღეები:** 19, 24.

ᲙᲣᲠᲝ — 21/IV-21/V

ამ კვირაში მეტი პრაგმატიზმი უნდა გამოიჩინოთ. ნუ აჰყვებით ილუზიებს და ვარდისფერ სათვალეს ნუ მოირგებთ — ეს სიკეთეს არ მოგიტანთ. მიხედეთ იმ საქმეებს, რომლებიც თქვენს საერთო მდგომარეობას რეალურად გამოასწორებს. გამოიჩინეთ ყაირათიანობა, მოერიდეთ ფულის გასესხებას და მსხვილ შენაძენებს. ურთიერთობები პოზიტიურია კირჩხიბსა და ქალწულთან, ნეგატიური — მარჩბივსა და სასწორთან. **პოზიტიური დღეები:** 19, 22, 23. **ნეგატიური დღეები:** 24, 25.

ᲛᲐᲠᲩᲑᲘᲕᲘ — 22/V-21/VI

მიმდინარე კვირაში შეეცადეთ, იაქტიუროთ და მეტი მიზანდასახულობა გამოიჩინოთ. ყურადღებით მოეკიდეთ ნებისმიერ საქმიან ინფორმაციას: ადვილი შესაძლებელია, სწორედ ის გახდეს თქვენი ახალი პროექტებისთვის იმპულსის მიმცემი. დაიხმარეთ მეგობრები და კოლეგები, უფრო მეტიც — ეცადეთ, ოპონენტებთანაც გამონახოთ საერთო ენა, რათა მათთან ჭიდილმა დრო და ენერგია არ დაგაკარგვინოთ. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და კირჩხიბთან, ნეგატიური — ქალწულსა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები:** 22, 24, 25. **ნეგატიური დღეები:** 20, 21.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲑᲘ — 22/VI-22/VII

არ არის გამორიცხული, რომ ცხოვრებისეულმა წვრილმანებმა თქვენში გაღიზიანება გამოიწვიოს, თუმცა, მოსალოდნელია პოზიტიური ძვრებიც. ახალი პარტნიორები გარკვეული წინადადებებით მოგმართავენ, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის თქვენს ფინანსურ შემოსავლებს. შესაძლოა, ახალი სასიყვარულო პარტნიორი გაგიჩნდეთ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და თევზებთან, ნეგატიური — ვერძსა და სასწორთან. **პოზიტიური დღეები:** 21, 22, 24. **ნეგატიური დღეები:** 19, 23.

ᲚᲝᲛᲘ — 23/VII-23/VIII

გარემოებები რამდენადმე შეგზღუდავთ მოქმედებაში, ამიტომ ვერ შეძლებთ საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენას, ეს კი ნერვებისმომშლელი იქნება. სამსახურებრივი პრობლემების გადაჭრისას, შეეცადეთ, ძირითადად საკუთარ ინტუიციას დაეყრდნოთ, რადგან ლოგიკური გათვლების მცდელობის შემთხვევაში, შეცდომებს დაუშვებთ. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩბივსა და სასწორთან, ნეგატიური — კუროსა და ლომთან. **პოზიტიური დღეები:** 19, 23, 24. **ნეგატიური დღეები:** 22, 25.

ᲥᲐᲚᲬᲚᲘ — 24/VIII-23/IX

ენერგია უნდა მოიკრიბოთ, რათა მოზღვავებულ საქმეებს გაუმკლავდეთ და ყველა პრობლემის გადაჭრა მოახერხოთ. შეეცადეთ, შეამციროთ ხარჯები, უარი თქვით არაკანონიერ შემოსავლებსა და საეჭვო გარიგებებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამას შესაძლოა, თქვენი რეპუტაციის შელახვა მოჰყვეს. არ არის გამორიცხული, რომ ორიგინალური იდეების ხორცშესხმამ მოგიწიოთ. ურთიერთობები პოზიტიურია კირჩხიბსა და ქალწულთან, ნეგატიური — ვერძსა და სასწორთან. **პოზიტიური დღეები:** 20, 21, 22. **ნეგატიური დღეები:** 23, 24.

ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ — 24/IX-23/X

აქტიურად ჩაებმებით თქვენ გარშემო მიმდინარე პროცესებში და პროდუქტიულად გამოიყენებთ ყველა ახალ შესაძლებლობას. მიიღებთ ძალზე საჭირო ინფორმაციას, კოლეგებისა და პარტნიორების თვალში კი ზუსტად ისეთ იმიჯს შეიქმნით, როგორიც თავად გსურთ. შესაძლებელია მატერიალური ზარალი, ამიტომ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ საფულისა და საბუთების მიმართ. ურთიერთობები პოზიტიურია მშვილდოსანსა და მერწყულთან, ნეგატიური — კირჩხიბსა და ღრიანკალთან. **პოზიტიური დღეები:** 22, 24, 25. **ნეგატიური დღეები:** 19, 20

ᲦᲠᲘᲐᲜᲙᲐᲚᲘ — 24/X-22/XI

არ გირჩევთ, ახალი პროექტების წამოწყებას, ჯობს, გადადებული საქმეები დაამთავროთ, რათა ამან ხელი არ შეგიშალოთ შემდგომი ამოცანების გადაწყვეტაში. მომავალზე სერიოზული დაფიქრება გმართებთ. ასევე აუცილებელია იმ პიროვნებათა რჩევების გათვალისწინება, ვისაც ენდობით. კარგი იქნება, თუ სამუშაო გრაფიკს შეადგენთ, რათა უფრო რაციონალურად გაანაწილოთ დრო. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩბივსა და ქალწულთან, ნეგატიური — მერწყულსა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები:** 20, 21, 24. **ნეგატიური დღეები:** 22, 23.

ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ — 23/XI-21/XII

აუცილებლად წინასწარ დაგეგმეთ კონკრეტული ამოცანის შესრულება. ამავე დროს, განზრახვას ნუ გაახმაურებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩანაფიქრის განხორციელება ძალზე გაგიჭირდებათ (მით უმეტეს, რომ შესაძლოა, ხელისშემშლელებიც გამოგიჩნდნენ). მოგეცემათ შანსი, გაიმყაროთ სოციალური სტატუსი. კარგი პერიოდია ქორწინებისთვის. ურთიერთობები პოზიტიურია ლომსა და მშვილდოსანთან, ნეგატიური — ქალწულსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები:** 19, 21, 23. **ნეგატიური დღეები:** 20, 25.

ᲗᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ — 22/XII-20/I

საზოგადოებრივ საქმიანობას მიჰყოფთ ხელს. მოგიწევთ მოგზაურობები მოკლე მანძილზე, შეხვედრები, ასევე — სარეკლამო საქმიანობასთან დაკავშირებული საქმიანობა. გაჭირვების ჟამს, დახმარებას პარტნიორებს ნუ სთხოვთ, შეეცადეთ, საკუთარი ძალებით გახვიდეთ ფონს. ამაში ის გამოცდილება დაგეხმარებათ, რომელიც დღემდე დაგიგროვდათ. ურთიერთობები პოზიტიურია ქალწულსა და ღრიანკალთან, ნეგატიური — ვერძსა და კირჩხიბთან. **პოზიტიური დღეები:** 19, 22, 24. **ნეგატიური დღეები:** 21, 23.

ᲛᲔᲠᲜᲔᲣᲚᲘ — 21/I-19/II

შესაძლოა, გაგიჩნდეთ საკუთარი ცხოვრების განახლების სურვილი და ამასთანავე — შესაძლებლობებიც. თუმცა, დიდი ყურადღება გმართებთ, რომ ამ ცვლილებებს მნიშვნელოვანი დანაკარგებიც არ მოჰყვეს. შეეცადეთ, ნებისმიერ წვრილმანს მთელი სერიოზულობით მოეკიდოთ და მოუხმოთ თქვენს ორგანიზატორულ ნიჭს — ეს მოსალოდნელი შეცდომებისაგან დაგაზღვევთ. ურთიერთობები პოზიტიურია სასწორსა და თევზებთან, ნეგატიური — კუროსა და ღრიანკალთან. **პოზიტიური დღეები:** 20, 23, 25. **ნეგატიური დღეები:** 22, 24.

ᲗᲔᲕᲖᲘᲡᲘ — 20/II-20/III

რაიმე განსაკუთრებული არ გელოდებათ, თუმცა, ადრე წამოწყებული პროექტები შემოსავალს მოგიტანთ, ეს კი ხასიათს საგრძნობლად გამოგიკეთებთ, პარალელურად გაგეზრდებათ ხარჯებიც, რაც ყოფითი პრობლემების მომრავლებით იქნება გამოწვეული. შესაძლოა, სტუმრად წაბრძანდეთ ან პირიქით — თქვენ გეწვიოთ სტუმარი, რაც გაუთვალისწინებელ ხარჯში ჩაგაგდებთ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და კირჩხიბთან, ნეგატიური — სასწორსა და თხის რქასთან. **პოზიტიური დღეები:** 20, 22, 24. **ნეგატიური დღეები:** 21, 25.

ანეკდოტები

***

პატარა ბიჭუნა მშობლების გაყრის პროცესს ესწრება. მოსამართლე მზრუნველი ტონით ეკითხება:

— ვისთან გირჩევნია ცხოვრება — დედიკოსთან თუ მამიკოსთან?

— გააჩნია, ვის დარჩება კომპიუტერი.

***

— ექიმო, ვკვდები!

— ახლავე მოგეხმარებით...

***

მათხოვარი, მიხოს ფულს სთხოვს.

— დასალევად გინდა, არა?

— არა, არ ვსვამ.

— მოსწევის საყიდლად?

— არა, არ ვეწევი.

— წამო, წამო, ჯო... ჩემს მაროს ვაჩვენებ — ვინც არ სვამს და არ ეწევა, რა ემართება...

***

ბებიამ შვილიშვილს შუბლზე ხელი დაადო.

— რა ცხელი შუბლი გაქვს! ნამდვილად გაცივებული ხარ.

— არა, ბებო, შენ ცივდები ნელ-ნელა.

***

— ექიმო, სმენას ვკარგავ, — წუწუნებს პაციენტი, — საკუთარი ხველებაც კი აღარ მესმის.

— ა! შენ წამალი მიიღე დღეში სამჯერ.

— უკეთესად გავიგონებ?

— არა, უფრო ხმამაღლა დაახველებ.

***

ოსი ჯარიდან დაბრუნდება და ბირჟაზე გავა.

— ვალოდია, შენზე „ტუპოი“ ჯარში არავინ იჭნებოდა! — ეკითხებიან უბნელები.

— როგორ არა, სენი წილიმ. ერთი იყო ჩემზე „ტუპოი“ — ორი წელი, ქალი ვეგონე..

***

ქუთაისის ქათმების ფერმაში დირექტორი შევიდა ქათმებთან და ეუბნება:

— აღარ დაგინახოთ, 18-თეთრიანი კვერცხების დობა, 20-თეთრიანებზე გადადით!

ქათმები გაისუსნენ. ვერც ერთი ვერ ბედავს შეპასუხებას. ბოლოს, ყველაზე ბებერი ქათამი გამოდის კოჭლობით და დირექტორს ეუბნება:

— ტაკ... ახლა, დომენტიჩ, 2 თეთრის გულობიზა, ნუ დაგვახვევ პრ..ებს.

***

მოსამართლემ ბრალდებულს 25 წელიწადი მიუსაჯა.

— რას ამბობთ, მე ხომ 83 წლის ვარ!

— თქვენგან შეუძლებელს არავინ ითხოვს... იმდენი მოიხადეთ, რამდენსაც შეძლებთ.

***

მმაკაცმა ფსიქოლოგთან ცოლი მიიყვანა.

— ექიმო, აი, ეს... ფუჰ... რა ჰქვია... სულ ჩივის, რომ სათანადო ყურადღებას არ ვუთმობ.

***

უფროსი თავის მდივანს ეუბნება:

— სამსახურში რომ სასიყვარულო წერილს წერთ — ჯანდაბას, მაგრამ ხელმოსაწერად ჩემთან რატომღა შემოგაქვთ?..

***

დირექტორი ხელქვეითს ეუბნება:

— თქვენგან შესანიშნავი დამნაშავე გამოვიდოდა.

— რატომ, შეფ?

— თქვენი საქმიანობის არავითარ ნაკვალევს არ ტოვებთ.

***

— ჭიჭიკია, უკვე ნახევარი საათია, ყურმილი გიჭირავს და არ ლაპარაკობ. იქნება დამარეკვინო, რაია?..

— ნუ მიშლი... ცოლთან ვჭუკჭუკობ...

***



წლიური ბალანსი დგება, ბუღალტერიაში მუშაობა დუღს. ერთი გადაღლილი ბუღალტერი კითხულობს:

— წელიწადში რამდენი თვეა?

— დღგ-ს გარეშე — ათი.

***

ებრაელი გაკოტრდა. ქართველმა მიუსამძიმრა და ჰკითხა — როგორ გძინავსო?

— ბავშვივით, — უპასუხა ებრაელმა.

— ეგ როგორ? — გაუკვირდა ქართველს.

— ყოველ საათში ვიღვიძებ და ვტირიი... — დააზუსტა ებრაელმა.

***

ყოველ საღამოს, ზღვის ნაპირზე ჩუქჩა გამოდის და ამერიკის მხარეს ყვირის:

— მათხოვრებო, ღარიბებო!

ეკითხებიან:

— რატომ არიან მათხოვრები? ისინი ხომ კარგად ცხოვრობენ!

— ალიასკა იყიდეს, ჩუკოტკის საყიდლად კი, ფული არ ეყოთ.

***

— ერთდროულად ათ რამეზე შემიძლია ფიქრი.

— თუ ნასვამი ხარ?

— მაშინ — ცხრაზე.

— ეგ რატომ?

— აბა, სასმელზე ფიქრს რაღა აზრი აქვს?!.

***

კახელი „ზაპოროჟეცით“ ტრასაზე მიდის. ამ დროს, უკნიდან სიგნალის ხმა ესმის. გაატარებს და დაინახავს, რომ ნაგვის მანქანაა. გასძახებს:

— ჰოო-ჰოო, დედიშენისამ, გაიქეცი — პროდუქცია არ გაგიფუჭდეს!..

***

ქმარი მივლინებიდან ღამით ჩამოდის და თავისი სახლის კარზე აკაკუნებს. არავინ არ უღებს... ჩამოიღებს კარს ბრახუნით. მაინც არ უღებენ. ამ დროს, მეზობლის კარი იღება, გამოდის მოხუცი ქალი და ეუბნება:

— ეგრე ვერ გაიგონებენ, შვილო, რქებით დაუკაკუნე, რქებით!

***

პალატაში ავადმყოფი კვნესის.

— რა სჭირს, კვდება? — ეკითხება ექიმი ექიმს.

— მთლად უიმედოა...

— როგორ, კაცო?.. არც — ფული, არც — ნათესავები?!

სართ თუ არა ეჭვიანი?

ქვემოთ მოყვანილ 10 სიტუაციაში, თქვენთვის ყველაზე მისაღები პასუხის ვარიანტი შეარჩიეთ.

1. როდესაც თქვენი პარტნიორი ტელეფონით ლაპარაკობს, თქვენ:

ა) ვცდილობ მივხვდე, ვის ელაპარაკება – 2;

ბ) მშვიდად ვაგრძელებ საკუთარ საქმეს – 1;

გ) პირდაპირ ვეკითხები, ვის ელაპარაკება ან გვერდით ოთახში გავდივარ და პარალელური ტელეფონის ყურმილს ვიღებ – 3.

2. „კეთილისმსურველისგან“ შეიტყვეთ, რომ თქვენი პარტნიორი საპირისპირო სქესის წარმომადგენელთან ერთად, სადღაც მარტო უნახავთ. თქვენ:

ა) ჩემი აზრით, ეს მე არ მეხება და ამიტომ ამ ინფორმაციის იგნორირებას ვახდენ – 1;

ბ) ხელსაყრელ დროს შევარჩევ და აუცილებლად ვკითხავ მას ამ შეხვედრის შესახებ – 2;

გ) ჩემს „კეთილისმსურველს“ ყველაფერს დაწვრილებით გამოვკითხავ – 3.

3. თქვენთვის ცნობილია, რომ თქვენი პარტნიორი დღიურს აწარმოებს, მაგრამ ეს დღიური მას თქვენთვის არასოდეს უჩვენებია. თქვენ:

ა) მისგან მალულად წავიკითხავ მის ჩანაწერებს – 3;

ბ) პატივს ვცემ ჩემი პარტნიორის უფლებას, იქონიოს საკუთარი სულიერი ცხოვრება – 1;

გ) დაჟინებით მოვთხოვ, რომ დღიური წამაკითხოს – 2.

4. თქვენს პარტნიორს ვიღაცამ კანფეტები მიართვა კოლოფით. თქვენ:

ა) ვკითხავ, ვინ მიართვა ეს საჩუქარი – 2;

ბ) კანფეტების წარმომავლობით არ დავინტერესდები; აი, მის ჭამაში კი სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას – 1;

გ) კოლოფს სანაგვე ყუთში ჩავუძახებ (ბუნებრივია, კანფეტებთან ერთად) – 3.

5. როცა გარეგნობასთან დაკავშირებულ კომპლიმენტებს გეუბნებიან, ეს სიამოვნებას განიჭებთ?

ა) არა. ვერ ვიტან – 1;

ბ) ხშირ შემთხვევაში, სიამოვნებით ვისმენ ამგვარ კომპლიმენტებს – 3;

გ) ზოგჯერ მსიამოვნებს – 2.

6. ღამის კლუბში პარტნიორთან ერთად წახვედით, მან კი ერთ-ერთი ცეკვა სხვასთან ერთად იცეკვა. თქვენ:

ა) ამას ყურადღებას არ მივაქცევ – 1;

ბ) დავინტერესდები იმით, თუ რაზე ლაპარაკობენ ცეკვის დროს – 2;

გ) მართალია, არ მესიამოვნება, მაგრამ ამას არ შევიმჩნევ – 3.

7. რაღაც გარკვეული პერიოდის მანძილზე თქვენი პარტნიორი შინიდან წასული გახლდათ. თქვენ:

ა) დაბრუნებისთანავე წვრილად გამოვკითხავ, სად იყო და რას აკეთებდა – 2;

ბ) მოუთმენლად დაველოდები მის დაბრუნებას – 1;

გ) სკანდალს მოვუწყობ ან ვეცდები საკუთარი ძალებით გამოვიძიო, სად იყო და რას აკეთებდა – 3.

8. სტუმრად ყოფნისას, თქვენი პარტნიორისთვის საპირისპირო სქესის წარმომადგენლის გაცნობა მოგიხდათ. თქვენ:

ა) ვეცდები, ამ ადამიანს თვალნათლივ დავანახვო, რომ ჩემს პარტნიორთან სერიოზული ურთიერთობა მაკავშირებს – 3;

ბ) ასე მხოლოდ იმ შემთხვევაში მოვიქცევი, თუკი ჩემს პარტნიორს ამის სურვილი ექნება – 2;

გ) საკუთარი ურთიერთობების აფიშირებას არასოდეს ვახდენ – 1.

9. თქვენს პარტნიორთან ერთად სტუმრად წახვედით. თქვენ:

ა) მთელი საღამოს მანძილზე გვერდიდან არ მოვშორდები – 3;

ბ) სხვა სტუმრებთან ურთიერთობითაც შევიქცევ თავს – 1;

გ) მთელი საღამოს მანძილზე თვალყურს მივადევნებ იმას, თუ ვის ეკონტაქტება და რას აკეთებს ჩემი პარტნიორი – 2.

10. თუკი თქვენი პარტნიორი საკუთარი გარეგნული იმიჯის ცვლილებაზე იწყებს თქვენთან მსჯელობას, მაგალითად, მსჯელობს ახალ ვარცხნილობაზე ან სამოსზე. თქვენ:

ა) ამ სიახლეს მაშინვე დადებითად შევაფასებ და ყველაფერში დავეთანხმები – 3;

ბ) მასთან ერთად საგულდაგულოდ ვიმსჯელებ ამ საკითხზე – 1;

გ) ზედმეტად მივიჩნევ ამ საკითხზე მსჯელობას – 2.

ტესტის შედეგები

25-30 ქულა: შეიძლება ითქვას, რომ საოცრად ეჭვიანი ადამიანი ბრძანდებით. თქვენ გამუდმებით ეჭვი გეპარებათ პარტნიორის ერთგულებაში და იმასაც კი უშვებთ, რომ ის გღალატობთ. თქვენ ვერც კი აფიქსირებთ, მაგრამ ყოველივე ამის გამო საკუთარი გრძნობების სიმტკიცეშიც ეჭვი შეგაქვთ, ამგვარი განწყობით, კი თქვენ შორის მხოლოდ გაუცხოებას უწყობთ ხელს. თუკი ოჯახის შენარჩუნება გსურთ, უფრო მეტად უნდა გჯეროდეთ საკუთარი თავის და ენდობოდეთ თქვენს მეუღლეს.

18-24 ქულა: ზომიერად ეჭვიანი ადამიანი ბრძანდებით. საკმაოდ ჭკვიანი ხართ საიმისოდ, რომ ეჭვებს არ აჰყვეთ და თავის შეკავება შეძლოთ, ვინაიდან არ გსურთ, აღმოჩნდეთ ისეთ სიტუაციაში, როცა თავს დამცირებულად იგრძნობთ ან თქვენი საქციელით პარტნიორს დაამცირებთ.

10-17 ქულა: გულკეთილი, გულუბრყვილო და საოცრად მიმნდობი ადამიანი ბრძანდებით. თქვენთვის სრულიად უცხოა ეგოიზმი. ამ თვისებების წყალობით კი ცხოვრებაში უამრავი უსიამოვნების თავიდან აცილებას შეძლებთ და არც ოჯახის შენარჩუნება გაგიჭირდებათ.

შეყვარებულის გულისთვის ინდუსი მამაკაცად იქცა

ჰერმაფროდიტი ინდუსის – კუტიამას ცხოვრება 15 წლის ასაკიდან ნამდვილ ჯოჯოხეთად იქცა: მას თავდავიწყებით, მაგრამ უიმედოდ შეუყვარდა თავისი ნათესავი ლაურა. ბუნებრივია, გოგონას ამგვარ „მამაკაცთან" ბედის დაკავშირება არ სურდა. თუმცა, ეტყობა, მან თაყვანისმცემლის გრძნობებზე თამაშით, გართობა მოისურვა და

ცოლად გაყოლას შეჰპირდა – იმ შემთხვევაში, თუ ის „ნამდვილი მამაკაცი" გახდებოდა.

ცხადია, უგონოდ შეყვარებული ინდუსი საყვარელი ქალის გულისთვის უკან არაფერზე დაიხევდა და არც უკიდურესი ზომების მიღებას მოერიდებოდა: მან ბანკისგან სესხად 1.150 დოლარი აიღო და ქალის გენიტალიების მოსაცილებლად, ურთულესი ოპერაცია გაიკეთა. კუტიამამ, რომელიც ლაურასთან ბედნიერი თანაცხოვრებით წინასწარ ტკბებოდა, გვარ-სახელიც კი შეიცვალა. ლაურამ კი, ამასობაში, გათხოვება გადაწყვიტა და არჩევანი სულ სხვა მამაკაცზე შეაჩერა.

ამჟამად, უნუგეშო მდგომარეობაში მყოფი, 29 წლის კუტიამა, ლაურასგან ოპერაციაზე დახარჯული თანხის კომპენსაციის მიღებას ცდილობს. ის გოგონას მისი ნდობის ბოროტად გამოყენებაში ადანაშაულებს. „ლაურა მეფიცებოდა, რომ ოპერაციის შემდეგ ცოლად გამომყვებოდა, მაგრამ დანაპირები არ შეასრულა", – ამბობს „დაზარალებული". აღსანიშნავია, რომ ლაურას საქმრომ, როცა ეს ამბავი შეიტყო, მის ცოლად შერთვაზე უარი განაცხადა.

■

ბრიტანელმა არქეოლოგებმა უძველესი ფეხსაცმელი იპოვეს

დიდ ბრიტანეთში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს მაღალყელიანი, დაახლოებით, 44 სმ ზომის ტყავის ფეხსაცმელი, რომელიც, თამამად შეიძლება ითქვას, ცივილიზაციის გარიჟრაჟზეა შექმნილი. როგორც არქეოლოგები ამბობენ, ნაპოვნი ფეხსაცმელი ბრიტანეთის ისტორიაში უძველესია და სავარაუდოდ, პლატონისა და დემოკრიტეს თანამედროვეების მიერაა დამზადებული. „მიუხედავად სიძველისა, 2000 წლის წინ შექმნილი ფეხსაცმელი იმდენად კარგად შემონახულა, რომ მისი ჩაცმა დღესაც შეიძლება", – აღნიშნა არქეოლოგმა რიჩარდ ვუდგერმა. თუმცა, საეჭვოა, იღბლიანმა არქეოლოგებმა ეს რარიტეტი პირდაპირი დანიშნულებით გამოიყენონ. ფეხსაცმელს ალბათ, ეკზეტერში მდებარე, პრინც ალბერტის მემორიალურ მუზეუმში მოათავსებენ.

■

აშშ-ის სპეცრაზმში მაიმუნი იმუშავებს

არიზონის შტატის, ქალაქ მესის პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმის ხელმძღვანელობა მივიდა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ სამუშაოდ სპეციალურად გაწვრთნილი მაიმუნი მიიღოს – ვინაიდან, მის დაქვემდებარებაში მყოფნი, პირველყოფილი ინსტინქტების ნაკლებობას განიცდიან.

იდეის ავტორი – ოფიცერი შონ ტრულავი, რომელსაც სახელმწიფოსგან გრანტის მიღების იმედი აქვს, რაციითა და ჯავშანჟილეტით აღჭურვილი მაიმუნი-სპეცაგენტის გაწვრთნას აპირებს. მისი წამოწყება ირგვლივ მყოფთ სასაცილოდაც არ ჰყოფნით. თუმცა თვითონ ტრულავი, დარწმუნებულია, რომ სწრაფი რეაგირების რაზმში მაიმუნის მიღება დადებითად აისახება ქვედანაყოფის მუშაობაზე.

„თუკი პენტაგონის მაღალტექნოლოგიური თავდაცვითი პროექტების სააგენტო ჩემს მოთხოვნას დააკმაყოფილებს და 100-ათასდოლარიან გრანტს გამომიყოფს, აქედან 15 ათასს მაიმუნი-კაპუცინისა და მისთვის განკუთვნილი სპეციალური ჯავშანჟილეტის, მინიატურული ვიდეოკამერისა და რაციის შესაძენად დავხარჯავ. მაიმუნის წვრთნაზე გაწეული ხარჯებიც ამ თანხაში შევა", – ამბობს შონი.

კაპუცინს შიმპანზეს მერე ყველაზე ჭკვიან მაიმუნად მიიჩნევენ. ის იოლად ემორჩილება წვრთნას, მაგრამ მისგან სპეცაგენტის გამოზრდა აზრად ჯერ არავის მოსვლია. ტრულავის აზრით, მაიმუნისგან, რომელიც 4 კგ-ზე მეტს არ იწონის, შეიძლება კარგი მზვერავი დადგეს: მას შეუძლია გაჩხრიკოს შენობები, უხმაუროდ გააღოს კარი შიგნიდან და ა.შ. პატარა მაიმუნს ისეთ ადგილებში შეძრომაც შეუძლია, სადაც ვერც ადამიანი შეეტევა და ვერც რობოტი. ვიდეოკამერა და რაცია კი, მისი მუშაობის ეფექტურობის გაზრდას შეუწყობს ხელს.

■

ჯორჯ ბუშის „ატომური ჩემოდანი" თავდასხმას გადაურჩა

ნიდერლანდებში პოლიციამ დააპატიმრა ჰოლანდიური ახალგაზრდული ორგანიზაციის ექვსი აქტივისტი, რომლებიც იმ ოტელში შეღწევას ცდილობდნენ, სადაც ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში დაბინავდა. აქტივისტების სათვალთვალო ობიექტი ბუშის ე.წ. „ატომური ჩემოდანი" გახლდათ. „ჩვენ შევიტყვეთ, რომ ბუშს მართლაც აქვს ამგვარი, წითელღილაკიანი ჩემოდანი, რომლის მეშვეობითაც, მას ნებისმიერ მომენტში ძალუძს ატომური იარაღის გააქტიურება. ეს კი, ძალზე სახიფათოა", – ასეთი კომენტარი გააკეთა ამ ინციდენტის შემდეგ ორგანიზაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა.

ესოდენ გაბედული გეგმის სისრულეში მოყვანას სასტუმროს პერიმეტრის დაცვის თანამშრომლებმა შეუშალეს ხელი.

■

ფოტოკუთხეები





20 მაისიდან!

ყველანაირი

№8(19), 20 მაისი - 2 ივნისი, 2005

ფასი 80 თეთრი

კვირის ალიბი

მართლმადიდებლური ჟურნალი

ნომრის თემა:
სამშობლო

685/6

ამ ამბის შემდეგ
დედას არასოდეს
უთქვამს, მკაცრად
ნუ მარხულობთო

ჯვარი სამკაული
არ არის, მისით
ადამიანმა თავი
არ უნდა მოიწონოს

კრავსაც კი არ
აწყენინებდა არც
სიტყვით
და არც საქმით

ნაბიჯი ჭეშმარიტებისაკენ